К 96007
2

კარლ პოპერი

# ისტორიციზმის სიღატაკე

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის“ მხარდაჭერით, ფონდის **OSI-ZUG**, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობის განვითარების ცენტრისა და ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით

KARL POPPER

# THE POVERTY OF HISTORICISM

IOANE PETRITZI

2006

K 96007/2
ფ.ბ. 2016-16442

კარლ პოპერი

# ისტორიციზმის სიღატაკე

იოანე პეტრიწი

2006

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლ პოპერის „ისტორიციზმის სიღატაკის“ ქართული თარგმანი შესრულებულია ქალბატონ მელიტა მიუს, სერ კარლ პოპერის საავტორო უფლებათა იურიდიული მფლობელის თანხმობით.

This translation of “The Poverty of Historicism” by Karl Popper is published by agreement with Mrs. Melitta Mew, the legal owner of the copyrigths of Sir Karl Popper.

ინგლისურიდან თარგმნა **მარინე ამბოკაძემ**
რედაქტორი **მიხეილ ბეჟანიშვილი**
ქართული გამოცემის წინასიტყვაობა **მიხეილ ბეჟანიშვილის**
გამომცემლობის რედაქტორი **ცისანა შალამბერიძე**

Translated by Marina Ambokadze
Edited by Michael Bezhanishvili
Preface to the Georgian translation by Michael Bezhanishvili

**ISBN 99928 - 887 - 6 - 8**

გარეკანის გაფორმებისას გამოყენებულია
ფრანც მარკის „ფორმათა ბრძოლა“

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „იოანე პეტრიწი“

ᲡᲐᲯᲐ
L.H.S.

## შინაარსი

ქართული თარგმანის წინასიტყვაობა 5
ისტორიული შენიშვნა 8
წინასიტყვაობა 9
შესავალი 12
I. ისტორიციზმის ანტინატურალისტური დოქტრინები 15
1. განზოგადება 16
2. ექსპერიმენტი 18
3. სიახლე 19
4. სირთულე 22
5. პროგნოზირების არაადეკვატურობა 23
6. ობიექტურობა და შეფასება 24
7. ჰოლიზმი 27
8. ინტუიციური წვდომა 30
9. რაოდენობრივი მეთოდები 35
10. ესენციალიზმი ნომინალიზმის წინააღმდეგ 37
II. ისტორიციზმის პრონატურალისტური დოქტრინები 46
11. შედარება ასტრონომიასთან. ‘გრძელვადიანი პროგნოზები და ფართომასშტაბიანი პროგნოზები 47
12. დაკვირვების საფუძველი 49
13. სოციალური დინამიკა 50
14. ისტორიული კანონები 52
15. ისტორიული წინასწარმეტყველება სოციალური ინჟინერიის წინააღმდეგ 53
16. ისტორიული განვითარების თეორია 56
17. ინტერპრეტაცია სოციალური ცვლილების დაგეგმვის წინააღმდეგ 61
18. ანალიზის შედეგები 64
III. ანტინატურალისტური დოქტრინების კრიტიკა 68
19. ამ კრიტიკის პრაქტიკული მიზნები 68
20. ტექნოლოგიური მიდგომა სოციოლოგიისადმი 70
21. თანდათანობითობა უტოპიური ინჟინერიის წინააღმდეგ 77

22. ეშმაკისეული ალიანსი უტოპიზმთან 85
23. ჰოლიზმის კრიტიკა 91
24. სოციალური ექსპერიმენტების ჰოლისტური თეორია 100
25. ექსპერიმენტის პირობების ცვალებადობა 111
26. შეზღუდულია თუ არა განზოგადებები პერიოდებით? 116
IV. პრონატურალისტური დოქტრინების კრიტიკა 124
27. არსებობს თუ არა ევოლუციის კანონი? კანონები და ტენდენციები 124
28. რედუქციის მეთოდი. მიზეზობრივი ახსნა. პროგნოზი და წინასწარმეტყველება 141
29. მეთოდის ერთიანობა 153
30. თეორიული და ისტორიული მეცნიერებები 168
31. სიტუაციური ლოგიკა ისტორიაში. ისტორიული ინტერპრეტაცია 173
32. პროგრესის ინსტიტუციონალური თეორია 178
33. დასკვნა. ისტორიციზმის ემოციური ხიბლი 187
პირთა და საგანთა საძიებელი 189

## ქართული თარგმანის წინასიტყვაობა

კარლ პოპერის (1902-1994) ინტერესების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხების კვლევაში. ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად პოპერი მიიჩნევდა მეცნიერული ცოდნის გამიჯვნას, დემარკაციას არამეცნიერული ცოდნისაგან. ამ მიზნისთვის მან გამოიყენა მის მიერ შემუშავებული ფალსიფიკაციის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ემპირიული მეცნიერებების დებულებათა პრინციპულ დარღვევადობაში. ფალსიფიკაციის მეთოდსავე ეფუძნება პოპერის კონცეფცია მეცნიერული ცოდნის ზრდის შესახებ და პოპერის უნდობლობა ინდუქციური დასკვნებისადმი.

განსაკუთრებული წვლილი პოპერმა შეიტანა სოციალური ფილოსოფიის პრობლემების კვლევაში. ამ საკითხს მან ორი გამოკვლევა მიუძღვნა „ისტორიციზმის სიღატაკე“, რომლის ქართულ თარგმანსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ, და „ღია საზოგადოება და მისი მტრები“.

„ისტორიციზმის სიღატაკე“ ოთხი ნაკვეთისაგან შედგება. პირველ ნაკვეთში გადმოცემულია ისტორიციზმის ანტინატურალისტური დოქტრინა (პოპერს მხედველობაში აქვს ისტორიციზმის გაგება პლატონის „სახელმწიფოში“ და ჰეგელისა და მარქსის მოძღვრებებში). მეორე ნაკვეთში განხილულია პრონატურალისტური დოქტრინა. მესამე ნაკვეთი ეძღვნება ისტორიციზმის ანტინატურალისტური დოქტრინის კრიტიკას, კერძოდ, ჰოლიზმის ანუ მთლიანობების კონცეფციას, რომელიც ორი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ. პირველი გულისხმობს საგნის ყველა თვისებისა და ასპექტის ერთობლიობას და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთდამაკავშირებელ ყველა მიმართებას. მეორე გაგება კი უკავშირდება გეშტალტთეორიას, სახელდობრ, გეშტალტფსიქოლოგიას, რომლის თანახმად მთლიანობა მეტია მისი ნაწილების ჯამზე. პოპერს მიაჩნია, რომ მთლიანობების შესწავლა მეორე მნიშვნელობით არ უნდა გამოვიყენოთ იმის გასამართლებლად, თითქოს შესაძლებელია მთლიანობების კვლევა პირველი მნიშვნელობით. ასეთი პრეტენზია უნდა უკუვაგდოთ, ვინაიდან სამყაროზე როგორც მთელზე დაკვირვება

ანდა მისი როგორც მთელის აღწერა შეუძლებელია. გეშტალტის აღქმას არაფერი აქვს საერთო მთლიანობებთან პირველი მნიშვნელობით. ამიტომ ფსიქოლოგიაში მთლიანობების შესწავლა გამართლებულია, სოციალურ ფილოსოფიაში კი – არა. კონკრეტული სოციალური სიტუაციის მთლიანი აღწერის არც ერთი მაგალითი არ არის ცნობილი. ეს შეუძლებელიცაა, რადგან ყოველი ასეთი შემთხვევისათვის ადვილია მივუთითოთ უგულებელყოფილი თვისება ან ასპექტი, რომელიც შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. პოპერი თვლის, რომ მთლიანობების პირველი მნიშვნელობით შესწავლა არის საკითხისადმი ტოტალიტარული მიდგომა, საზოგადოებაზე ტოტალური კონტროლის უტოპიური ოცნება.

ისტორიცი'ზმი და უტოპი'ზმი ჰოლისტურ მიდგომას ეფუძნება. პოპერი ერთმანეთს უპირისპირებს ორ დოქტრინას: თანდათანობითსა და ჰოლისტურს ანუ უტოპიურს. პირველი საზოგადოებაში ცვლილებების თანდათანობით განხორციელებას ითვალისწინებს. მეორეს კი წინასწარ აქვს გადაწყვეტილი, რომ საზოგადოების სრული რეკონსტრუქცია შესაძლებელი და აუცილებელია. ამიტომ ის გულისხმობს საზოგადოების არა მარტო დაგეგმილ გარდაქმნას, არამედ ადამიანების გარდაქმნასაც (გავიხსენოთ მარქსის მოძღვრება). პირველ დოქტრინას პოპერი ჭეშმარიტს და განხორციელებადს უწოდებს, მეორეს კი მცდარს და განუხორციელებელს.

პოპერს მიაჩნია, რომ საუკეთესო განზრახვების მქონე უტოპისტს მხედველობიდან ეპარება ის, რომ მისი პროგრამის განხორციელება დასაწყისიდანვე არის განწირული წარუმატებლობისათვის. მოთხოვნა, რომ საჭირო ავაშენოთ ახალი საზოგადოება, რომელშიც ცხოვრება კომფორტული იქნება, გულისხმობს ადამიანების შეცვლას იმ მიზნით, რომ ისინი ახალ საზოგადოებას მოერგონ. ადამიანები, რომლებიც ახალ საზოგადოებაში ცხოვრებას ვერ შეეგუებიან, უნდა გარდაიქმნან, რამაც შეიძლება ადამიანთა დიდი მსხვერპლი გამოიწვიოს (გავიხსენოთ ფაშისტური და კომუნისტური ტერორი და ის უთვალავი ადამიანი, რომლებიც ფაშისტურ და კომუნისტურ რეჟიმებს შეეწირა და რომელთა ხსოვნასაც მიუძღვნა პოპერმა ეს წიგნი). ამიტომაც, სამართლიანად



დაასკვნის პოპერი, ჰოლისტური მიდგომა შეუთავსებელია ჭეშმარიტ მეცნიერულ პოზიციასთან.

წინამდებარე წიგნის მეორე ნაკვეთი ეძღვნება ისტორიცი'ზმის პრონატურალისტური თეორიების კრიტიკას. ისტორიცისტების მტკიცებით, შეუძლებელია დაეჭვება ტენდენციების არსებობაში სოციალური ცვლილებების განხორციელების დროს. პოპერი კი თვლის, რომ ამ რწმენის საფუძველია ისტორიცისტების მიერ ტენდენციებისა და კანონების განუსხვავებლობა. ამა თუ იმ ადგილზე, ამა თუ იმ დროის მონაკვეთში ტენდენციის გამომხატველი დებულება კონკრეტული ისტორიული დებულებაა. ამიტომ ასეთი დებულება ეგზისტენციალური ხასიათისაა, კანონი კი უნივერსალურია. კანონი არსებობას არ ამტკიცებს. ის რაიმეს შეუძლებლობას ამტკიცებს.

მაგალითად, ასი ან თუნდაც ათასი წლის მანძილზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია დროის ხანმოკლე მონაკვეთში შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს. ისტორიცისტი დარწმუნებულია, რომ ტენდენცია კანონია. ამიტომ პირობები, რომლებშიც ტენდენცია შეიძლება გაქრეს, მისთვის დაუჯერებელია. ისტორიცისტის სიღატაკე ასეთი წარმოსახვის სიღატაკეა. ისტორიცისტს ღარიბი წარმოსახვა აქვს, რადგან შეუძლებლად მიაჩნია ცვლილების პირობების შეცვლა. ასეთია პოპერის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ისტორიცი'ზმის პრონატურალისტური დოქტრინის წინააღმდეგ.

როგორც პოპერი თავისი წინასიტყვაობის 1959 წლის მინაწერში აღნიშნავს, მისი წიგნის ზოგიერთი, განსაკუთრებით გამჭრიახი რეცენზენტი წინამდებარე წიგნის სათაურმა საგონებელში ჩააგდო. წიგნის სათაური ჩაფიქრებული იყო როგორც ალუზია მარქსის წიგნზე „ფილოსოფიის სიღატაკე“, რომელიც თავის მხრივ პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიას“ მიგვანიშნებდა (გვ.10 ).

წინამდებარე ქართული გამოცემის მკითხველს გვინდა ვაცნობოთ, რომ სიტყვა happening თარგმნილია როგორც ხდომილება, ხოლო სიტყვა event – როგორც მოვლენა.

**რედაქტორი**

10 ნოემბერი, 2005 წ.

*ეძღვნება ყველა აღმსარებლობის, ეროვნებისა და რასის იმ უთვალავ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს, რომლებიც ისტორიული გარდუვალობის ულმობელი კანონების ფაშისტურ და კომუნისტურ რწმენას შეწირნენ.*

## ისტორიული შენიშვნა

ამ ნაშრომის ფუნდამენტური თეზისი არის ის, რომ ისტორიული გარდუვალობის რწმენა წმინდაწყლის ცრურწმენაა და რომ მეცნიერული, ან რაიმე სხვა რაციონალური მეთოდით კაცობრიობის ისტორიის პროგნოზირება შეუძლებელია. ეს თეზისი 1919-1920 წწ. ზამთარში ჩამოვაყალიბე. ძირითადი მონახაზი 1935 წელს დავასრულე, ხოლო 1936 წლის იანვარსა თუ თებერვალში, ბრიუსელში, ჩემი მეგობრის ალფრედ ბრაუნტალის სახლში გამართულ არაოფიციალურ სესიაზე პირველად წავიკითხე მოხსენება სათაურით „ისტორიციზმის სიღატაკე“. ამ შეხვედრაზე, დისკუსიის დროს, ჩემმა ერთ-ერთმა ყოფილმა სტუდენტმა რამოდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა გამოთქვა. ეს დოქტორი კარლ ჰილფერდინგი გახლდათ, რომელიც სულ მალე გესტაპოსა და მესამე რაიხის ისტორიცისტულ ცრურწმენებს შეეწირა. შეხვედრას რამდენიმე სხვა ფილოსოფოსიც ესწრებოდა. ცოტა ხნის შემდეგ იგივე მოხსენება ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში პროფესორ ფ.ა.ფონ ჰაიეკის სემინარზე წავიკითხე. პუბლიკაციამ რამოდენიმე წლით დაიგვიანა, რადგან ფილოსოფიურმა ჟურნალმა, რომელსაც ჩემი ნაშრომი შევთავაზე, მის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა. ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში *Economica*, N.S., სამ ნაწილად, ტ.XI, №42 და №43, 1944 და ტ.XII, №46, 1945. შემდგომ წლებში წიგნად გამოიცა მისი იტალიური (მილანი, 1954) და ფრანგული (პარიზი, 1956) თარგმანები. წინამდებარე გამოცემის ტექსტი გადასინჯულია და მასში რამოდენიმე დამატებაა შეტანილი.



## წინასიტყვაობა

„ისტორიციზმის სიღატაკეში“ შევეცადე მეჩვენებინა, რომ ისტორიციზმი ბერწი მეთოდია – მეთოდი, რომელსაც შედეგი არ მოაქვს. თუმცა, რეალურად, ისტორიციზმის დარღვევა არ მომიხდენია.

მას შემდეგ ისტორიციზმის უკუგდების საქმეში გარკვეულ წარმატებას მივაღწიე: *ვუჩვენე, რომ მკაცრად ლოგიკურად ისტორიის მომავალი განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია.*

ამ პოზიციის დასაბუთება მოცემულია სტატიაში „Indeterminism in Classical Physics and in Quantum Physics“, რომელიც 1950 წელს გამოვაქვეყნე. თუმცა ეს სტატია აღარ მაკმაყოფილებს. გაცილებით უფრო დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი თავში ინდეტერმინიზმის შესახებ, რომელიც ჩემი წიგნის Logic of Scientific Discovery ბოლოსიტყვაობაში After Twenty Years არის მოცემული.

მკითხველისათვის ამ, შედარებით ახალი შედეგების გასაცნობად, რამოდენიმე სიტყვით *ისტორიციზმის დარღვევის* ჩემს სქემას წარმოვადგენ. არგუმენტაცია შემდეგ ხუთ დებულებად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

(1) კაცობრიობის ისტორიის მსვლელობაზე დიდ გავლენას ახდენს ცოდნის ზრდა (ამ წანამძღვრის ჭეშმარიტება მათაც უნდა აღიარონ, ვინც ჩვენს იდეებს, მათ შორის მეცნიერულ იდეებსაც, მხოლოდ ამა თუ იმ სახის *მატერიალური* განვითარების თანმხლებ პროდუქტად მიიჩნევს).

(2) მეცნიერული ცოდნის შემდგომი ზრდის პროგნოზირება რაციონალური ან მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია (ამ დებულების ლოგიკურად დამტკიცება ქვემოთ ჩამოყალიბებულ მოსაზრებათა საფუძველზეა შესაძლებელი).

(3) მაშასადამე, კაცობრიობის ისტორიის მომავლის პროგნოზირება შეუძლებელია.

(4) ეს ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ *თეორიული ისტორიის* ანუ ისეთი ისტორიული სოციალური მეცნიერების შესაძლებლობაზე, რომელიც *თეორიული ფიზიკის* შესატყვისი იქნებოდა. ისტორიული განვითარების რაიმე ისეთი მე-

ცნიერების არსებობა, რომელიც ისტორიული პროგნოზირების საფუძვლად გამოდგებოდა, შეუძლებელია.

(5) მაშასადამე, ისტორიცისტული მეთოდების (იხილეთ ამ წიგნის მე-11-16 პარაგრაფები) ფუნდამენტური მიზანი არასწორადაა გაგებული და ისტორიციზმი გაკოტრებულია.

ეს არგუმენტაცია, რა თქმა უნდა, ყველა სახის სოციალური პროგნოზირების შესაძლებლობას არ უარყოფს: პირიქით, ის სავსებით თავსებადია სოციალური თეორიების, მაგალითად, ეკონომიკური თეორიების შემოწმების შესაძლებლობასთან, – იმის პროგნოზირებით, რომ ესა თუ ის პირობები განვითარების ამა თუ იმ ტენდენციებს წარმოშობენ. ჩემი არგუმენტაცია უარყოფს ისტორიული განვითარების პროგნოზირების შესაძლებლობას იმ ფარგლებში, რომლებშიც ამ განვითარებაზე გავლენას ჩვენი ცოდნის ზრდა ახდენს.

ამ არგუმენტაციაში გადამწყვეტია (2) დებულება. ვფიქრობ, რომ ის თავისთავად დამაჯერებელია: *თუკი არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა ადამიანური ცოდნის ზრდა, მაშინ დღეს იმის წინასწარგანჭვრეტა, რაც მხოლოდ ხვალ გვეცოდინება, შეუძლებელია.* ვფიქრობ, ეს სადი სჯაა, თუმცა ამ დებულების *ლოგიკური დამტკიცება* მაინც არ არის. ამ დებულების დამტკიცება, რაც ზემოაღნიშნულ პუბლიკაციებშია მოცემული, რთულია; ამიტომ, არ გამიკვირდება, თუკი უფრო მარტივ დამტკიცებასაც აღმოაჩენენ. ჩემი დამტკიცება იმის დემონსტრირებაში მდგომარეობს, რომ *ვერც ერთი მეცნიერული პროგნოზისტი* – ვერც ადამიანი და ვერც გამომთვლელი მანქანა, *მეცნიერული მეთოდებით მომავალი შედეგების პროგნოზირებას ვერ შეძლებს.* ამგვარი მცდელობები შედეგს მხოლოდ მას შემდეგ აღწევენ, რაც რაღაც უკვე მოხდება და პროგნოზირება უკვე ძალიან დაგვიანებულია; ისინი შედეგს მხოლოდ მას შემდეგ აღწევენ, როცა წინასწარგანჭვრეტა უკუჭვრეტად გადაიქცევა.

ეს არგუმენტაცია, როგორც წმინდა ლოგიკური, ნებისმიერი სირთულის მეცნიერული პროგნოზისტების, მათ შორის ინტერაქტიური პროგნოზისტების „საზოგადოებების“ მიმართ გამოდგება. ეს კი ნიშნავს, რომ ვერანაირი საზოგადოება ვერ შეძლებს საკუთარი ცოდნის მომავალი მდგომარეობის მეცნიერულ პროგნოზირებას.



ჩემი არგუმენტი, ცოტა არ იყოს, ფორმალურია და ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ლოგიკური მართებულობის უეჭველობის მიუხედავად, მას რეალური ძალა არ აქვს.

ამ პრობლემის მნიშვნელობის დემონსტრირება ორ გამოკვლევაში ვცადე. მათგან უფრო გვიანდელში *The Open Society and its Enemies* ისტორიცისტული აზრის ისტორიიდან რამოდენიმე მაგალითი შევარჩიე, რათა მეჩვენებინა, რომ ჰერაკლიტესა და პლატონიდან მოკიდებული ჰეგელისა და მარქსის ჩათვლით, ის ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენდა სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაზე. ადრეულ გამოკვლევაში *The Poverty of Historicism*, რომელიც ახლა პირველად იბეჭდება წიგნად ინგლისურ ენაზე, ისტორიციზმის როგორც განსაცვიფრებელი ინტელექტუალური სტრუქტურის მნიშვნელობა ვუჩვენე. შევეცადე გამეანალიზებინა მისი, ხშირად საოცრად დახვეწილი, მიმზიდველი და მატყუარა ლოგიკა და დამესაბუთებინა, რომ მას თანდაყოლილი და გამოუსწორებელი მანკიერება ახასიათებს.

კ.რ.პ.

პენი, ბაკინგემშირი
ივლისი, 1957

ამ წიგნის ზოგიერთი, განსაკუთრებით გამჭრიახი რეცენზენტი მისმა სათაურმა საგონებელში ჩააგდო. სათაური ჩაფიქრებული იყო როგორც ალუზია მარქსის წიგნზე *The Poverty of Philosophy* („ფილოსოფიის სიღატაკე“), რომელიც თავის მხრივ, პრუდონის *Philosophy of Poverty*-ზე („სიღატაკის ფილოსოფია“) მიგვანიშნებდა.

კ.რ.პ.

პენი, ბაკინგემშირი
ივლისი, 1959

# შესავალი

სოციალური და პოლიტიკური საკითხებისადმი მეცნიერულ ინტერესს ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც მეცნიერულ ინტერესს კოსმოლოგიისა და ფიზიკისადმი. ანტიკურობაში იყო პერიოდები, როცა სოციალური მეცნიერება ბუნებათმეცნიერებაზე უფრო განვითარებულად შეიძლება ჩათვლილიყო (მხედველობაში პლატონის პოლიტიკური თეორია და კონსტიტუციების არისტოტელესეული კრებული მაქვს). მაგრამ გალილეოსა და ნიუტონის წყალობით ფიზიკამ მოსალოდნელზე მეტ წარმატებას მიაღწია და დიდად გაუსწრო ყველა სხვა მეცნიერების განვითარებას. ბიოლოგიის გალილეოს – პასტერის მოღვაწეობის შემდეგ კი ბიოლოგიურმა მეცნიერებებმა თითქმის ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს. სამწუხაროდ, სოციალური მეცნიერებები ჯერ ისევ ელიან თავიანთი გალილეოს გამოჩენას.

ამ ვითარებაში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე მკვლევარები დიდ ინტერესს იჩენენ მეთოდის პრობლემებისადმი. მისი განხილვისას ძირითადად უფრო წარმატებული მეცნიერებების, განსაკუთრებით კი ფიზიკის, მეთოდებზე ამახვილებენ ყურადღებას. ასე, მაგალითად, ვუნდტის თაობის მიერ ფიზიკის ექსპერიმენტული მეთოდის შეგნებულმა გამოყენებამ ფსიქოლოგიის რეფორმირება გამოიწვია. ჯ.ს. მილის შემდგომ კი სოციალურ მეცნიერებათა მეთოდის ამგვარი რეფორმირებაც არა ერთხელ სცადეს. ამ რეფორმებს ფსიქოლოგიის სფეროში, მიუხედავად მრავალი იმედგაცრუებისა, როგორც ჩანს, გარკვეული წარმატებაც ხვდა წილად. მაგრამ თეორიულ სოციალურ მეცნიერებებში, ეკონომიკის გარდა, ამგვარ მცდელობებს იმედგაცრუების გარდა, თითქმის არაფერი მოუტანია. ამ წარუმატებლობების განხილვისთანავე ჩნდება კითხვა, თუ რამდენად გამოგვადგება ფიზიკის მეთოდები სოციალურ მეცნიერებათა სფეროში. იქნებ სწორედ მათი გამოსადეგობის ეს ბრმა რწმენაა ამ კვლევების მეტად სავალალო მდგომარეობის მიზეზი?

ეს კითხვა ნაკლებ წარმატებული მეცნიერებების მეთოდების შესწავლით დაკავებული ფილოსოფიური მიმდინარეობების მარტივ კლასიფიკაციას გვკარნახობს. ამ სფეროში ფიზიკის მეთოდების გამოსადეგობის საკითხზე მათი შეხედულებების მიხედვით შესაძლებელია ამ მიმდინარეობების *პრონატურალისტურად* და *ანტინატურალისტურად* კლასიფიცირება. იმ მიმდინარეობებს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ ფიზიკის მეთოდების გამოყენებას სოციალურ მეცნიერებებში, „პრონატურალისტურს“ ან „პოზიტიურს“ ვუწოდებ, იმ მიმდინარეობებს კი, რომლებიც ამ მეთოდების გამოყენებას ეწინააღმდეგებიან, „ანტინატურალისტურს“ ან „ნეგატიურს“.

მეცნიერის მიერ ანტინატურალისტური ან პრონატურალისტური დოქტრინისათვის უპირატესობის მინიჭება ანდა სულაც ამ ორივე სახის დოქტრინის გამაერთიანებელი თეორიის მიღება დიდწილად იმით იქნება განპირობებული, თუ როგორ წარმოუდგენია მას როგორც განსახილველი მეცნიერების, ასევე ამ მეცნიერების საგნის ხასიათი. თუმცა მის მიერ ამა თუ იმ პოზიციის არჩევა იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რას ფიქრობს ის ფიზიკის მეთოდების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს უკანასკნელი საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია და, ვფიქრობ, მეთოდოლოგიური დისკუსიების უმრავლესობაში არსებითი შეცდომები ფიზიკის მეთოდების რაღაც, საკმაოდ გავრცელებული მცდარი გაგების შედეგია. კერძოდ, ვფიქრობ, ეს შეცდომები ფიზიკის თეორიების ლოგიკური ფორმის, მათი შემოწმების მეთოდების, დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ლოგიკური ფუნქციის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად ჩნდება. ჩემი აზრით, ამ მცდარ გაგებას სერიოზული შედეგები მოსდევს და წიგნის III და IV ნაწილებში ამ აზრის დასაბუთებას შევეცდები. შევეცდები ვუსვენო, რომ განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები და დოქტრინები, როგორც ანტინატურალისტური, ასევე პრონატურალისტური, მართლაც ეფუძნებიან ფიზიკის მეთოდების მცდარ გაგებას. თუმცა I და II ნაწილებში მხოლოდ ზოგიერთი იმ ანტინატურალისტური და პრონატურალისტური დოქტრინის ახსნით შემოვიფარგლები, რომლებიც მათი გამაერთიანებელი ტიპური მიდგომის ნაწილია.

ამ მიდგომას, რომელსაც ჯერ ავხსნი და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკრიტიკებ, „ისტორიციზმს“ ვუწოდებ. ის

ხშირად გვხვდება სოციალურ მეცნიერებათა მეთოდის თაობაზე გამართულ დისკუსიებში და ხშირად მას კრიტიკული გააზრების გარეშე იყენებენ ანდა მიიჩნევენ, რომ მას დასაბუთებაც კი არ ესაჭიროება. ამ გამოკვლევაში დეტალურად იქნება ახსნილი ის, თუ რა შინაარსს ვდებ „ისტორიციზმში“. ამჯერად კი იმის აღნიშვნას დავჯერდები, რომ „ისტორიციზმში“ ვგულისხმობ სოციალური მეცნიერებებისადმი ისეთ მიდგომას, რომლის თანახმადაც მათი მთავარი მიზანი *ისტორიული პროგნოზირებაა* და რომელიც მიიჩნევს, რომ ამ მიზნის მიღწევა ისტორიული განვითარების საფუძვლადმდებარე „რიტმებისა“ თუ „მოდელების“, „კანონებისა“ თუ „ტენდენციების“ აღმოჩენითაა შესაძლებელი. რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ თეორიული სოციალური მეცნიერებების (ეკონომიკური თეორიის გარდა) არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, არსებითად, სწორედ მეთოდის ამგვარი ისტორიცისტული დოქტრინების დამსახურებაა, ამდენად, მათი გადმოცემისას, ცხადია, მიუკერძოებელი ვერ ვიქნები. მაგრამ თავი არ დამიზოგავს, რომ ისტორიციზმი რაც შეიძლება მიმზიდველად წარმომედგინა, რათა შემდგომი კრიტიკა კიდევ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო. შევეცადე, ისტორიციზმი კარგად გააზრებულ და მწყობრ ფილოსოფიად წარმომეჩინა. არც მისი დასაცავი ისეთი არგუმენტების მოძიებისაგან შემიკავებია თავი, რომლებიც, რამდენადაც ვიცი, თვით ისტორიცისტებსაც კი არ წამოუყენებიათ. იმედი მაქვს, რომ ამ გზით მართლაც შევძელი კრიტიკის ღირსი პოზიციის ჩამოყალიბება. სხვა სიტყვებით, შევეცადე სრულყოფილებამდე მიმეყვანა თეორია, რომელსაც ხშირად იყენებენ, მაგრამ თითქმის არასოდეს მისი სრულად განვითარებული ფორმით. სწორედ ამიტომ განგებ ავირჩიე ცოტა არ იყოს უცნობი სახელი „ისტორიციზმი“. მისი შემოტანით, წმინდა ვერბალური ხასიათის შემოდავების აცილების იმედი მაქვს, რადგან ვფიქრობ, არავის გაუჭირდება ცოუნება იკითხოს, ეხება კი აქ განხილული არგუმენტებიდან რომელიმე ისტორიციზმს ნამდვილად, ან საკუთრივ, ან არსებითად, ან კიდევ რას ნიშნავს სიტყვა „ისტორიციზმი“ ნამდვილად, ან საკუთრივ ანდა არსებითად.



I

## ისტორიციზმის ანტინატურალისტური დოქტრინები

ისტორიციზმი, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება მეთოდოლოგიურ ნატურალიზმს სოციოლოგიის სფეროში, ამტკიცებს, რომ სოციოლოგიასა და ფიზიკას შორის არსებული სიღრმისეული განსხვავებების გამო სოციალურ მეცნიერებებში ფიზიკის ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენება შეუძლებელია. ის გვასწავლის, რომ ფიზიკური კანონები ანუ „ბუნების კანონები“ ყველგან და ყოველთვის მართებულია, რადგან ფიზიკურ სამყაროს სივრცესა და დროში უცვლელი ფიზიკური ერთგვარობების სისტემა მართავს. სოციოლოგიის ანუ სოციალური ცხოვრების კანონები კი სხვადასხვა ადგილსა და ეპოქაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიციზმი აღიარებს მრავალი ისეთი ტიპური სოციალური პირობის არსებობას, რომელთა რეგულარულ განმეორებას შეიძლება დავაკვირდეთ, ის უარყოფს იმას, რომ ეს კანონზომიერებები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთივე უცვლელი ხასიათისაა, როგორც ფიზიკური სამყაროს კანონზომიერებები. ისინი ხომ კონკრეტულ *ისტორიულ სიტუაციაზეა* დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ეკონომიკის კანონების შესახებ საუბარი შეუძლებელია შემდგომი დაზუსტების გარეშე, შესაძლებელია მხოლოდ ფეოდალიზმის ეპოქის ანდა ადრეინდუსტრიული პერიოდის და სხვ. ეკონომიკური კანონების შესახებ საუბარი. აუცილებელია იმ ისტორიული პერიოდის აღნიშვნა, რომელშიც ესა თუ ის კანონი დომინანტურად იყო მიჩნეული.

ისტორიციზმის თანახმად, სოციალური კანონების ისტორიული რელატიურობის გამო, ფიზიკის მეთოდების უმრავლესობა სოციოლოგიაში არ გამოდგება. ტიპური ისტორიცისტული არგუმენტები, რომლებსაც ეს შეხედულება ემყარება, დაკავშირებულია განზოგადებასთან, ექსპერიმენტთან, სოციალური მოვლენების სირთულესთან, ზუსტი პროგნოზირების სიძნელესთან და მეთოდოლოგიური ესენციალიზმის მნიშვნელობასთან. ამ არგუმენტებს ცალ-ცალკე განვიხილავ.

## 1. განზოგადება

ფიზიკურ მეცნიერებებში განზოგადების მნიშვნელობა და მისი წარმატებულობა, ისტორიციზმის თანახმად, ბუნების საყოველთაო ერთგვარობას ემყარება. კერძოდ, იმ დაკვირვებას ან, უფრო ზუსტად, იმ დაშვებას, რომ მსგავს სიტუაციებში მსგავსი მოვლენები განვითარდება. ეს პრინციპი, რომელიც ყველგან და ყოველთვის მართებულადაა მიჩნეული, ფიზიკის მეთოდის საფუძველია.

ისტორიციზმი ამტკიცებს, რომ სოციოლოგიაში ეს პრინციპი უპირობოდ გამოუსადეგარია. მსგავსი სიტუაციები მხოლოდ რომელიმე ცალკეულ ისტორიულ პერიოდში წარმოიშობა. ისინი არასოდეს არ გადადიან ერთი პერიოდიდან მეორეში. მაშასადამე, საზოგადოებაში არ არსებობს რაიმე ხანგრძლივი ერთგვარობა, რომელიც ხანგრძლივი განზოგადების საფუძვლად გამოგვადგებოდა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ *ტრივიალურ კანონზომიერებებს*, ისეთებს, რომლებიც გამოიხატება ტრუიზმებით, რომ ადამიანები ყოველთვის ჯგუფებად ცხოვრობენ ან რომ გარკვეული პროდუქტის რაოდენობა ყოველთვის შეზღუდულია, ხოლო სხვა პროდუქტის კი, მაგალითად, ჰაერის, არა და რომ საბაზრო ანდა გაცვლითი ღირებულება მხოლოდ პირველი სახის პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს.

ისტორიციზმის თანახმად, მეთოდი, რომელიც ამ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს და სოციალური ერთგვარობების განზოგადებას ცდილობს, იმპლიციტურად უშვებს, რომ ეს კანონზომიერებები მარადიულია. ამრიგად, მეთოდოლოგიურად გულუბრყვილო თვალსაზრისი, რომლის თანახმად ფიზიკის სფეროდან სოციალურ მეცნიერებათა სფეროში განზოგადების მეთოდის გადმოტანა შესაძლებელია, მცდარ და სახიფათო, შეცდომაში შემყვან თეორიას მოგვცემს. ასეთი თეორია უარყოფს როგორც საზოგადოების განვითარებას, ასევე მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაძლებლობას, ისევე როგორც იმას, რომ სოციალურ განვითარებას, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს, სოციალური ცხოვრების საფუძვლადმდებარე კანონზომიერებებზე რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლია.



K 96004

ისტორიცისტები ხშირად იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ასეთი მცდარი თეორიების უკან, როგორც წესი, გამოქომაგების მიზანი იმალება; და მართლაც, ადვილია ასეთი მიზნების გამო უცვლელი სოციოლოგიური კანონების დაშვების არასწორად გამოყენება. ჯერ ერთი, არგუმენტად ის შეიძლება გამოდგეს, რომ უარყოფითი ანდა არასასურველი მოვლენები უნდა მივიღოთ, რადგან ისინი ბუნების უცვლელი კანონებითაა დეტერმინირებული. მაგალითად, ეკონომიკის „ულმობელ კანონებზე“ მიუთითებენ, როცა სურთ სახელფასო ხელშეკრულების საკანონმდებლო რეგულირების შეუძლებლობა დაასაბუთონ. უცვლელობის დაშვების გამამართლებელი კიდევ ერთი მცდარი გამოყენება გარდუვალობის საყოველთაო განცდის ჩამოყალიბება და ამით გარდუვალის მშვიდად და პროტესტის გარეშე მოთმენისათვის მზადყოფნის ჩამოყალიბებაა. ის, რაც ახლაა, ყოველთვის იქნება, ხოლო მოვლენათა მსვლელობაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის ან თუნდაც მისი შეფასების მცდელობა, სასაცილოა. ბუნების კანონებთან კამათი შეუძლებელია, მათი უარყოფის მცდელობა კი მხოლოდ კატასტროფას მოგვიტანს.

2 ისტორიცისტი თვლის, რომ ეს კონსერვატული, აპოლოგეტური და ფატალისტური არგუმენტებია, რომლებიც სოციოლოგიაში ბუნებისმეტყველების მეთოდის შემოტანის მოთხოვნის აუცილებელი შედეგია.

მათ საპირისპიროდ, ისტორიცისტი ამტკიცებს, რომ სოციალური ერთგვარობები ძალიან განსხვავდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთგვარობებისაგან. ისინი განსხვავებულია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და ძალა, რომელიც მათ ცვლის, *ადამიანის* აქტივობაა. სოციალური ერთგვარობები ბუნების კანონები კი არაა, არამედ ადამიანის შემოქმედების შედეგია და თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ისინი ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული, ეს იმიტომაა ასე, რომ ადამიანს აქვს მათი შეცვლის და, შესაძლოა, მათი კონტროლის ძალაც. მაშასადამე, ვითარება შეიძლება ან გაუმჯობესდეს, ან გაუარესდეს: არ არის აუცილებელი, რომ აქტიური რეფორმა ამაო აღმოჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
G. L. S.
N.L.G

ისტორიციზმის ეს ტენდენციები მიმზიდველია მათთვის, ვისი მოწოდებაცაა აქტიურობა, ჩარევა, განსაკუთრებით ადამიანურ საქმეებში და არსებული ვითარების როგორც გარდუვალის მიღებაზე უარის თქმა. აქტივობისაკენ სწრაფვისა და ნებისმიერი სახის სიმშვიდეზე უარის თქმის ტენდენციას „აქტივიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ. მე-17 და მე-18 პარაგრაფებში ისტორიციზმისა და აქტივიზმის მიმართებაზე ვისაუბრებ, აქ კი ცნობილი ისტორიცისტის – მარქსის კარგად ცნობილი გამონათქვამის ციტირებას მოვახდენ, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული „აქტივისტური“ მიმართება: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად *განმარტავდნენ* სამყაროს, საქმე *მისი შეცვლაა*“.[4]

## 2. ექსპერიმენტი

ფიზიკა ექსპერიმენტულ მეთოდს იყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შემოაქვს ხელოვნური კონტროლი, ხელოვნური იზოლირება და ამით უზრუნველყოფს მსგავსი პირობების რეპროდუცირებას და, შესაბამისად, გარკვეული შედეგის მიღებას. ეს მეთოდი, ცხადია, იმ აზრს ემყარება, რომ მსგავს პირობებში მსგავსი მოვლენები განვითარდება. ისტორიცისტი ამტკიცებს, რომ სოციოლოგიაში ეს მეთოდი არ იმუშავებს, კიდეც რომ გამოვიყენოთ, ის ვერაფერში დაგვეხმარება. საქმე ისაა, რომ რადგან მსგავსი პირობები მხოლოდ ერთი ცალკეული პერიოდის საზღვრებში გვხვდება, ნებისმიერი ექსპერიმენტის შედეგს მეტად შეზღუდული მნიშვნელობა ექნება. მეტიც, ხელოვნური იზოლაცია სოციოლოგიაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს გამორიცხავს. რობინზონ კრუზო და მისი იზოლირებული ინდივიდუალური ეკონომიკა ვერასოდეს გახდება იმ ეკონომიკის ღირებული მოდელი, რომლის პრობლემებიც სწორედ ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების ეკონომიკური ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა.

---

[4] იხ. მეთერთმეტე თეზისი მის ნაშრომში *„თეზისები ფოიერბახის შესახებ“* (1845); იხ. აგრეთვე ამ წიგნის მე-17 პარაგრაფი.



ეროვ. ბიბლ.

იმასაც ასაბუთებენ, რომ რადაც მართლაც ღირებული ექსპერიმენტის განხორციელება შეუძლებელია. ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტები სოციოლოგიაში არასოდეს არ არის ის, რაც ექსპერიმენტი ფიზიკაში. მათი მიზანი ცოდნის როგორც ასეთის განვითარება კი არ არის, არამედ პოლიტიკური წარმატების მიღწევაა. ეს ექსპერიმენტები გარე სამყაროს მოწყვეტილ ლაბორატორიაში არ ტარდება, პირიქით, საზოგადოებაში არსებულ პირობებს სწორედ მათი განხორციელება ცვლის. მათი განმეორება ზუსტად იმავე პირობებში შეუძლებელია, რადგან პირობები ამ ექსპერიმენტების პირველი ჩატარების შედეგად შეიცვალა.

## 3. სიახლე

არგუმენტი, რომელიც ახლა ჩამოვაყალიბე, დეტალურ განხილვას იმსახურებს. როგორც აღვნიშნე, ისტორიციზმი უარყოფს ფართომასშტაბიანი სოციალური ექსპერიმენტის განმეორებას ზუსტად იმავე პირობებში, რადგან მეორე ექსპერიმენტზე გავლენა უნდა მოახდინოს იმ ფაქტმა, რომ ეს ექსპერიმენტი უკვე ჩატარდა. ეს არგუმენტი იმ მოსაზრებას ემყარება, რომ საზოგადოებას, ორგანიზმის მსგავსად, აქვს რაღაც მეხსიერება იმისა, რასაც ჩვენ ამ საზოგადოების ისტორიას ვუწოდებთ.

ბიოლოგიაში შესაძლებელია ვისაუბროთ ორგანიზმის ისტორიის შესახებ, რადგან ორგანიზმი ნაწილობრივ წარსულის მოვლენებითაა განპირობებული. თუკი ასეთი მოვლენები განმეორდება, ისინი მათი განმცდელი ორგანიზმისათვის სიახლეს აღარ წარმოადგენენ და ჩვევის ელფერს იძენენ. და მაინც, სწორედ ამის გამოა, რომ განმეორებითი მოვლენის განცდა *არ არის* ისეთივე, როგორც ორიგინალური მოვლენის განცდა, ამიტომაა განმეორების განცდა *ახალი*. მაშასადამე, დაკვირვებაში მოცემული მოვლენის განმეორება დამკვირვებელში ახალი განცდის წარმოშობის შესატყვისი შეიძლება იყოს. რამდენადაც განმეორება ახალ ჩვევას აყალიბებს, ის ახალ, ჩვეულ პირობებს წარმოშობს. იმ, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი პირობების ერთობლიობა, რომელთა ფონზეც ერთსა და იმავე ორგანიზმზე რაღაც ექსპერიმე-

ნტი განმეორებით ტარდება, არ იქნება საკმარისად მსგავსი იმისათვის, რომ ნამდვილი განმეორების შესახებ ვისაუბროთ. საქმე ისაა, რომ გარე პირობების ზუსტი განმეორებაც კი ორგანიზმის ახალ შინაგან პირობებთან იქნება დაკავშირებული: ორგანიზმი გამოცდილების საფუძველზე სწავლობს.

ისტორიციზმის თანახმად, ეს ძალაშია საზოგადოების მიმართაც, რადგან საზოგადოებაც იდებს შთაბეჭდილებას: მასაც აქვს თავისი ისტორია. საკუთარი ისტორიის (ნაწილობრივი) განმეორების შედეგად მას მხოლოდ თანდათანობით შეუძლია ისწავლოს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ის ნაწილობრივ საკუთარი წარსულითაა განპირობებული, ეჭვის შეტანა იმაში, რომ საზოგადოება სწავლობს, შეუძლებელია. სხვაგვარად ტრადიციები და ტრადიციით განპირობებული ნათესაური გრძნობები და მტრული განწყობები, ნდობა და უნდობლობა სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ვერ შეძლებდნენ. მაშასადამე, რეალური განმეორება სოციალურ ისტორიაში შეუძლებელი უნდა იყოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებითად ახალი ხასიათის მოვლენების წარმოშობაა მოსალოდნელი. ისტორია შეიძლება განმეორდეს – მაგრამ არასოდეს იმავე დონეზე, განსაკუთრებით, თუ საქმე ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს ეხება და თუკი ისინი საზოგადოებაზე ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენენ.

ფიზიკის მიერ აღწერილ სამყაროში შეუძლებელია რაიმე ნამდვილად და არსებითად ახალი მოხდეს. შესაძლებელია ახალი ძრავა გამოიგონონ, მაგრამ მას ყოველთვის განვიხილავთ როგორც იმ ელემენტების ხელახალ მოწესრიგებას, რომლებიც ნამდვილად არ არიან ახალი. სიახლე ფიზიკაში მხოლოდ მოწესრიგებისა ან კომბინაციის სიახლეა. ისტორიციზმი ამტკიცებს, რომ ამის საპირისპიროდ, სოციალური სიახლე, ბიოლოგიური სიახლის მსგავსად, ნამდვილი სიახლეა. ეს რეალური სიახლეა, რომელიც არ დაიყვანება მოწესრიგების, განლაგების სიახლეზე. საქმე ისაა, რომ სოციალურ ცხოვრებაში ახლებურად დალაგებული ერთი და იგივე ძველი ფაქტორები რეალურად არასოდეს არ არის იგივე ძველი ფაქტორები. იქ, სადაც შეუძლებელია რაიმეს ზუსტად განმეორება, ყოველთვის რეალური სიახლე უნდა იყოს



მოცემული. მიჩნეულია, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვანია ისტორიის ახალი ეტაპების, ან პერიოდების განვითარების გასააზრებლად, რადგან თითოეული ასეთი ეტაპი, თუ პერიოდი არსებითად განსხვავდება ნებისმიერი სხვისაგან.

ისტორიციზმი ამტკიცებს, რომ ნამდვილად ახალი პერიოდის წარმოშობაზე მნიშვნელოვანი არაფერია. სოციალური ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტი შეუძლებელია შევისწავლოთ იმავე გზით, რომელსაც ჩვეულებრივ ვირჩევთ ფიზიკურ სამყაროში სიახლის როგორც ნაცნობი ელემენტების ხელახალი მოწესრიგების ახსნისას. ფიზიკის ტრადიციული მეთოდების გამოყენება საზოგადოების მიმართ შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თვისებების – *პერიოდებად დაყოფისა და სიახლის წარმოშობის* – ასახსნელად ისინი მაინც არ გამოდგებოდნენ. თუკი სოციალური სიახლის მნიშვნელობის წვდომას შევძლებთ, იძულებული გავხდებით უარი ვთქვათ იმ აზრზე, რომ სოციოლოგიის პრობლემების მიმართ ფიზიკის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენება სოციალური განვითარების პრობლემების გაგებაში დაგვეხმარება.

სოციალური სიახლის კიდევ ერთი ასპექტი არსებობს. ჩვენ ვნახეთ, რომ თითოეულ კერძო სოციალურ მოვლენას, თითოეულ ცალკეულ სოციალურ ფაქტს, გარკვეული აზრით, ახალი შეიძლება ვუწოდოთ. შესაძლებელია მისი კლასიფიცირება სხვა მოვლენებთან; გარკვეული ასპექტებით ის ამ მოვლენების მსგავსი შეიძლება იყოს, მაგრამ ის ყოველთვის, სავსებით გარკვეული აზრით, უნიკალურია. ეს, იმდენად, რამდენადაც საქმე სოციოლოგიურ ახსნას ეხება, ფიზიკისაგან სავსებით განსხვავებულ ვითარებას ქმნის. შესაძლებელია, რომ სოციალური ცხოვრების ანალიზით მოვახერხოთ იმის აღმოჩენა და ინტუიციურად წვდომა, თუ როგორ და რატომ მოხდა რაღაც კერძო მოვლენა, ისევე როგორც მისი *მიზეზებისა* და *შედეგების*, ე.ი. მისი გამომწვევი ძალებისა და სხვა მოვლენებზე მისი გავლენის ნათლად გაგება. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღმოვაჩენთ, რომ იმ *ზოგადი კანონების* ფორმულირება, რომლებიც ასეთი მიზეზობრივი კავშირების ზოგადი აღწერა იქნებოდა, არ შეგვიძლია, რადგან ჩვენს მიერ აღმოჩენილ კონკრეტულ ძა-

ლებს მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი კერძო სოციოლოგიური სიტუაციის სწორად ახსნა შეუძლია და სხვა არც ერთისა. სავსებით შესაძლებელია, ეს ძალებიც უნიკალური იყოს: ისინი შეიძლება მხოლოდ ერთხელ, ამ კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში გამოვლინდეს და აღარასოდეს განმეორდეს.

## 4. სირთულე

მეთოდოლოგიურ სიტუაციას, რომელიც ეს-ესაა მოვხაზე, მთელი რიგი სხვა ასპექტებიც აქვს. ერთ-ერთი, რომელსაც საკმაოდ ხშირად განიხილავენ (და რომელსაც აქ არ შევეხები), კონკრეტული უნიკალური პიროვნებების სოციოლოგიურ როლთანაა დაკავშირებული. ამ ასპექტებიდან კიდევ ერთი კი სოციალური ფენომენების სირთულეა. ფიზიკაში საქმე გაცილებით მარტივ ვითარებებთან გვაქვს. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტული იზოლაციის მეთოდის დახმარებით მას, ხელოვნურად, კიდევ უფრო ვამარტივებთ. სოციოლოგიაში ამ მეთოდის გამოუსადეგრობა ორი სახის სირთულის წინაშე გვაყენებს – სირთულე, რომელსაც წარმოშობს ხელოვნური იზოლირების შეუძლებლობა და სირთულე, რომელსაც ის ფაქტი განაპირობებს, რომ სოციალური ცხოვრება ბუნებრივი ფენომენია, რომელიც გულისხმობს ინდივიდების მენტალურ ცხოვრებას ე.ი. ფსიქოლოგიას, რომელიც, თავის მხრივ, ბიოლოგიას გულისხმობს, ეს უკანასკნელი კი – ქიმიასა და ფიზიკას. ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა ამ იერარქიაში სოციოლოგია ბოლო ადგილზეა, სოციალურ ცხოვრებაში ჩართული ფაქტორების მართალაც რომ საოცარ სირთულეს გვიჩვენებს. ფიზიკის ერთგვარობების მსგავსი სოციოლოგიური ერთგვარობები კიდეც რომ არსებობდეს, სავსებით შესაძლებელია, ამ ორმაგი სირთულის გამო, მათი აღმოჩენა ვერ შევძლოთ. მაგრამ თუკი მათი აღმოჩენა შეუძლებელია, მაშინ არც იმის მტკიცებას აქვს აზრი, რომ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არსებობენ.



## 5. პროგნოზირების არაადეკვატურობა

პრონატურალისტური დოქტრინების განხილვისას ვუჩვენებ, რომ ისტორიციზმი პროგნოზირების როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ამოცანის აქცენტირებას ცდილობს (ამ მიმართებით, სავსებით ვეთანხმები მას, მაგრამ *ისტორიული წინასწარმეტყველება* სოციალური მეცნიერების ერთ-ერთ ამოცანად არ მიმაჩნია). თუმცა ისტორიციზმი ამტკიცებს, რომ სოციალური პროგნოზირება მეტად ძნელია არა მხოლოდ სოციალური სტრუქტურების სირთულის გამო, არამედ იმ სპეციფიკური სირთულის გამოც, რომელსაც პროგნოზებისა და პროგნოზირებული მოვლენების ურთიერთკავშირი წარმოშობს.

აზრი, რომ პროგნოზს პროგნოზირებულ მოვლენაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, საკმაოდ ძველია. უძველესი ლეგენდის თანახმად, ოიდიპოსმა მოკლა საკუთარი მამა, რომელიც მანამდე არასოდეს ენახა. და ეს იმ წინასწარმეტყველების პირდაპირი შედეგია, რომელმაც მამამისი აიძულა უარი ეთქვა მასზე. სწორედ ამიტომ პროგნოზირებულ მოვლენაზე პროგნოზის გავლენის აღსანიშნავად (ან, უფრო ზუსტად, იმ გავლენის აღსანიშნავად, რომელსაც ინფორმაციის ერთეული ახდენს იმ სიტუაციაზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება) გთავაზობთ ტერმინს „*ოიდიპოსის ეფექტი*“, მიუხედავად იმისა, ეს გავლენა პროგნოზირებული მოვლენის განხორციელებას უწყობს ხელს, თუ მის თავიდან აცილებას.

ცოტა ხნის წინ ისტორიცისტებმა უჩვენეს, რომ ამ სახის გავლენა სოციალური მეცნიერებებისათვის რელევანტური შეიძლება იყოს, რომ მან შეიძლება ზუსტი პროგნოზების სიძნელე გაზარდოს და საფრთხე შეუქმნას მათ ობიექტურობას. ისინი აცხადებენ, რომ დაშვება, თითქოს სოციალური მეცნიერებები შეიძლება ოდესმე ისე განვითარდნენ, რომ შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სოციალური ფაქტისა და მოვლენის *ზუსტი* მეცნიერული პროგნოზი, აბსურდულ შედეგებამდე მიგვიყვანს და რომ ამის გამო ეს დაშვება, წმინდა ლოგიკურ საფუძველზე, უნდა დაირღვეს. საქმე ისაა, რომ თუკი ასეთი ახალი სახის მეცნიერული სოციალური კალენდარი შეიქმნება და ცნობილი გახდება (მისი ხანგრძ-

ლივად გასაიდუმლოება შეუძლებელი იქნება, რადგან, პრინციპში, ვინმე მაინც შეძლებს მის ხელახლა აღმოჩენას), ის ნამდვილად გამოიწვევს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც პროგნოზებს ჩაშლიან. მაგალითად, დავუშვათ, რომ პროგნოზის თანახმად, აქციების ფასი სამი დღის განმავლობაში გაიზრდება და შემდეგ დაეცემა. ნათელია, რომ ყველა, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ბაზართან, აქციებს მესამე დღეს გაყიდის, რითაც სწორედ ამ დღეს გამოიწვევს ფასების ვარდნას და ამით კი პროგნოზის ფალსიფიცირებას. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მოვლენების ზუსტი და დეტალური კალენდრის იდეა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია და, მაშასადამე, *ზუსტი და დეტალური* მეცნიერული სოციალური პროგნოზები შეუძლებელია.

## 6. ობიექტურობა და შეფასება

სოციალურ მეცნიერებებში პროგნოზირების სირთულის აქცენტირებისას ისტორიციზმს, როგორც ვნახეთ, პროგნოზირებულ მოვლენებზე პროგნოზების გავლენის ანალიზზე დამყარებული არგუმენტები შემოაქვს. მაგრამ, ისტორიციზმის თანახმად, გარკვეულ პირობებში ამ გავლენამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგნოზის გამკეთებელ დამკვირვებელშიც გამოიწვიოს. ამგვარი მოსაზრებები გარკვეულ როლს ფიზიკაშიც კი ასრულებენ, სადაც ყოველი დაკვირვება დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის ენერგიის გაცვლაზეა დაფუძნებული. ეს იწვევს იმას, რომ ფიზიკის პროგნოზები არაცალსახაა, რაც, ჩვეულებრივ, მსჯელობაში არ მიიღება და რის აღწერასაც *„ინდეტერმინაციის პრინციპი“* გვაძლევს. შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ეს არაცალსახობა დაკვირვების ობიექტისა და დამკვირვებელი სუბიექტის ურთიერთქმედების შედეგია, რადგან ორივე ქმედებისა და ურთიერთქმედების ერთსა და ემავე ფიზიკურ სამყაროს მიეკუთვნება. როგორც ბორმა უჩვენა, ამ ფიზიკური სიტუაციის ანალოგები სხვა მეცნიერებებშიც, განსაკუთრებით ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, გვხვდება. თუმცა იმ ფაქტს, რომ მეცნიერი და მისი ობიექტი ერთსა და იმავე სამყაროს მიეკუთვნება, არსად არ აქვს ისეთი დიდი დატვირთვა, როგორც სოციალურ მეცნიერებებში, სადაც ის (როგორც ვუჩვენეთ) იწვევს პროგნოზის არაცალსახობას, რასაც ზოგჯერ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.



სოციალურ მეცნიერებებში დამკვირვებელსა და დაკვირვების საგანს, სუბიექტსა და ობიექტს შორის სრული და რთული ურთიერთქმედება გვაქვს. იმის გაცნობიერება, რომ არსებობს ტენდენციები, რომლებსაც მომავალში რაღაც მოვლენის გამოწვევა შეუძლია და მეტიც, იმის გაცნობიერება, რომ პროგნოზს თვითონვე შეუძლია მოახდინოს გარკვეული გავლენა პროგნოზირებულ მოვლენებზე, როგორც ჩანს, პროგნოზის შინაარსზეც ზემოქმედებს. თანაც ეს გავლენა შეიძლება ისეთი ტიპის იყოს, რომ ის სერიოზულად შეამცირებს პროგნოზირებისა და სოციალური მეცნიერებების კვლევის შედეგების ობიექტურობას.

პროგნოზი სოციალური მოვლენაა, რომელსაც შეუძლია სხვა სოციალურ მოვლენებთან ურთიერთქმედება და მათ შორის იმ მოვლენებთანაც, რომელთა პროგნოზირებაც ხდება. როგორც ვნახეთ, მას შეუძლია დაეჩქაროს ეს მოვლენა, თუმცა იმის დანახვაც ადვილია, რომ მას ამ მოვლენზე სხვა მიმართებითაც შეუძლია ზემოქმედება. პროგნოზს, ექსტრემალურ შემთხვევაში პროგნოზირებული მოვლენის *გამოწვევაც* შეუძლია: შესაძლებელია, მოვლენა საერთოდ არ მომხდარიყო, ის პროგნოზირებული რომ არ ყოფილიყო. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ მომწიფებული მოვლენის პროგნოზირებას მისი *აცილება* შეუძლია (ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ მისი პროგნოზირებისაგან განგებ, ან დაუდევრობის გამო თავის შეკავებით სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტს მისი შექმნა, ან გამოწვევა შეუძლია). ამ ორ უკიდურესობას შორის, ცხადია, მრავალი გარდამავალი შემთხვევა არსებობს. როგორც რაღაცის პროგნოზირებას, ასევე პროგნოზირებისაგან თავის შეკავებას ნებისმიერი ხასიათის შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

ახლა ნათელია, რომ სოციოლოგებმა დროზე უნდა გააცნობიერონ ეს შესაძლებლობები. მათ შეიძლება რაიმეს პროგნოზირება მოახდინონ და თანაც წინასწარგანჭვრიტონ, რომ მათი პროგნოზი ამ მოვლენის მიზეზი გახდება. ან მათ შეიძლება უარყონ, რომ რაღაც მოვლენა მოსალოდნელია,

რითაც თავიდან აიცილებენ მას. და ორივე შემთხვევაში სოციოლოგები შესაძლებელია იცავდნენ იმ პრინციპს, რომელმაც მეცნიერული ობიექტურობა უნდა უზრუნველყოს: მოგვაწოდონ ჭეშმარიტება და არაფერი ჭეშმარიტების გარდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჭეშმარიტება მოგვაწოდეს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მათ მეცნიერული ობიექტურობა დაიცვეს, რადგან შესაძლებელია, რომ თავისი პროგნოზით (რომელიც მოსალოდნელმა მოვლენებმა უნდა გაამართლონ) ამ მკვლევარებმა სწორედ იმ მიმართულებით მოახდინეს ამ მოვლენებზე გავლენა, რომელიც პირადად მათთვის იყო მისაღები.

ისტორიცისტმა შეიძლება აღიაროს, რომ ეს სურათი ცოტა არ იყოს სქემატურია, მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ის მკაფიოდ წარმოგვიდგენს სოციალური მეცნიერებების ყველა სფეროში არსებულ ერთ-ერთ პრობლემას. მეცნიერის განცხადებებსა და სოციალურ ცხოვრებას შორის ურთიერთქმედება თითქმის ყოველთვის ქმნის ისეთ სიტუაციებს, როცა ჩვენ არა მხოლოდ ამ განცხადებების ჭეშმარიტება უნდა გავითვალისწინოთ, არამედ მათი აქტუალური გავლენაც მომავალ განვითარებაზე. სოციოლოგი შეიძლება ჭეშმარიტების აღმოჩენას ცდილობდეს, მაგრამ, ამავე დროს, ის ყოველთვის გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. სწორედ ის ფაქტი, რომ მისი განცხადებები *მართლაც* ახდენენ გავლენას, მათ ობიექტურობას წერტილს უსვამს.

აქამდე ვუშვებდით, რომ სოციოლოგი მართლაც ცდილობს ჩასწვდეს ჭეშმარიტებას და სხვა არაფერს ჭეშმარიტების გარდა. მაგრამ ისტორიცისტი მიგვითითებს, რომ ჩვენს მიერ აღწერილი სიტუაცია ჩვენი დაშვებიდან გამომდინარე სირთულეებს ნათელყოფს. საქმე ისაა, რომ იქ, სადაც მიდრეკილებები და ინტერესები ასეთ გავლენას ახდენენ მეცნიერული თეორიებისა და პროგნოზების შინაარსზე, მეტად საეჭვო ხდება მიკერძოების შეზღუდვისა და თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამრიგად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი სოციალურ მეცნიერებებში თითქმის ვერაფერს აღმოვაჩენთ ისეთს, რაც ჭეშმარიტების იმ ობიექტურ და იდეალურ ძიებას მოგვაგონებს, რომელსაც ფიზიკაში ვხვდებით.



მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ სოციალურ მეცნიერებებშიც იმდენივე ტენდენციას აღმოვაჩენთ, რამდენიც საზოგადოების ცხოვრებაშია, იმდენივე პოზიციას გადაეკვეთებით, რამდენი ინტერესიცაა. შეიძლება იმის ეჭვიც კი გაგვიჩნდეს, ხომ არ მივყავართ ამ ისტორიცისტულ არგუმენტაციას რელატივიზმის იმ უკიდურეს ფორმასთან, რომლის თანახმად ობიექტურობა და ჭეშმარიტების იდეალი საერთოდ არ გამოგვადგება სოციალურ მეცნიერებებში, სადაც გადამწყვეტი მხოლოდ წარმატებაა – პოლიტიკური წარმატება.

ამ არგუმენტაციის ილუსტრირების მიზნით, ისტორიცისტმა შეიძლება მიუთითოს, რომ ყოველთვის, როცა გარკვეული სოციალური განვითარებისათვის დამახასიათებელი რადაც გარკვეული ტენდენცია არსებობს, მოსალოდნელია, რომ აღმოვაჩენთ ისეთ სოციოლოგიურ თეორიებს, რომლებიც ამ განვითარებაზე ახდენენ გავლენას. ამრიგად, სოციალურმა მეცნიერებამ ბებიაქალის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს და ახალი სოციალური პერიოდების წარმოშობას შეუწყოს ხელი; თუმცა, კონსერვატიული წრეების ხელში ის ასევე კარგად შეძლებს მომწიფებული სოციალური ცვლილებების შეფერხებას.

ამგვარმა თვალსაზრისმა შეიძლება სხვადასხვა სოციოლოგიურ დოქტრინებსა და სკოლებს შორის არსებული განსხვავებების ანალიზისა და ახსნის შესაძლებლობა მოგვცეს, თუკი მათი განხილვისას გავითვალისწინებთ ან რაიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში გაბატონებულ მიდრეკილებებსა და ინტერესებთან მათ კავშირს (მიდგომა, რომელსაც ზოგჯერ „ისტორიზმს“ უწოდებენ და რომელიც არ უნდა აგვერიოს იმაში, რასაც მე „ისტორიციზმი“ დავარქვი) ანდა მათ კავშირს პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ, ანდა კლასობრივ ინტერესებთან (მიდგომა, რომელსაც ზოგჯერ *„ცოდნის სოციოლოგიას“* უწოდებენ).

## 7. ჰოლიზმი

ისტორიცისტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სოციალურ მეცნიერებებში ფიზიკის მეთოდების გამოყენების შეუძლებლობას კიდევ უფრო სერიოზული საფუძველი

აქვს. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციოლოგია, ისევე როგორც ყველა „ბიოლოგიური“ მეცნიერება, ე.ი. ყველა მეცნიერება, რომელსაც საქმე ცოცხალ ობიექტებთან აქვს, ატომისტურად კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „ჰოლისტურად“. საქმე ისაა, რომ სოციოლოგიის ობიექტები – სოციალური ჯგუფები – არასოდეს არ უნდა განვიხილოთ როგორც პიროვნებათა უბრალო აგრეგატები. სოციალური ჯგუფი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მისი წევრების ჯამი და ის ასევე *მეტია*, ვიდრე მის ნებისმიერ წევრებს შორის დროის ნებისმიერ მომენტში არსებული პიროვნული ურთიერთობების უბრალო ჯამი. ეს ადვილად დაინახება სამი წევრისაგან შემდგარ მარტივ ჯგუფშიც კი. A და B-ს მიერ შექმნილი ჯგუფი თავისი ხასიათით განსხვავებული იქნება ჯგუფისაგან, რომელიც იმავე წევრებისაგან შედგება, მაგრამ B და C-ს მიერაა დაარსებული. ამან შეიძლება ნათელი მოჰფინოს იმას, თუ რა იგულისხმება, როცა ამბობენ, რომ ჯგუფს თავისი საკუთარი *ისტორია* აქვს და რომ მისი სტრუქტურა დიდწილად მის ისტორიაზეა დამოკიდებული (იხილეთ, აგრეთვე, პარაგრაფი მე-3, „ხიახლე“). თავისი რამოდენიმე, ნაკლებ მნიშვნელოვანი წევრის დაკარგვის შემთხვევაში ჯგუფი ადვილად შეძლებს თავისი ხასიათის უცვლელად შენარჩუნებას. ისიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ჯგუფის *ყველა* თავდაპირველი წევრის სხვებით ჩანაცვლების შემთხვევაში ჯგუფი ძირითადად შეინარჩუნებს თავის თავდაპირველ ხასიათს. თუმცა ამ ჯგუფში ამჟამად გაერთიანებულ წევრებს შესაძლოა სავსებით განსხვავებული ჯგუფი შეექმნათ, თუკი ისინი ერთი მეორის მიყოლებით კი არ შევიდოდნენ ამ თავდაპირველ ჯგუფში, არამედ ამის ნაცვლად თვითონ დააარსებდნენ ახალს. მისი წევრების პიროვნულობამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ისტორიასა და სტრუქტურაზე. თუმცა ეს ფაქტი ხელს არ უშლის იმას, რომ ჯგუფს საკუთარი ისტორია და სტრუქტურა ჰქონდეს. ეს არც იმას უშლის ხელს, რომ ჯგუფმა სერიოზული გავლენა მოახდინოს თავისი წევრების პიროვნულობაზე.

ყველა სოციალურ ჯგუფს თავისი ტრადიციები, საკუთარი ინსტიტუტები, საკუთარი რიტუალები აქვს. ისტორიცი-



ზმი ამტკიცებს, რომ თუ გვინდა იმის გაგება და ახსნა, თუ როგორია რაიმე ჯგუფი ახლა, და თუ გვინდა მისი მომავალი განვითარების წვდომა ან იქნებ, წინასწარგანჭვრეტაც, მაშინ ამ ჯგუფის ისტორია, მისი ტრადიციები და ინსტიტუტები უნდა შევისწავლოთ.

სოციალური ჯგუფების ჰოლისტური ხასიათი, ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ასეთი ჯგუფების სრულყოფილად ახსნა, თუ მათ გავიგებთ როგორც მათი წევრების უბრალო აგრეგატებს, ნათელს ჰფენს განსხვავებას, რომელსაც ისტორიცისტი ხედავს ფიზიკის სიახლესა და სოციალური ცხოვრების სიახლეს შორის: სიახლე ფიზიკის სფეროში უბრალოდ ახალი კომბინაცია ან შეერთებაა იმ ელემენტებისა და ფაქტორების, რომლებიც თვითონ ახლები არ არიან, ხოლო სიახლე სოციალურ ცხოვრებაში რეალური სიახლეა და არ დაიყვანება მხოლოდ შეერთების სიახლეზე. ასე რომ, თუ ზოგადად სოციალურ სტრუქტურებს ვერ ავხსნით როგორც მათი ნაწილებისა ან წევრების კომბინაციებს, მაშინ, ცხადია, ამ მეთოდით *ახალი* სოციალური სტრუქტურების ახსნაც შეუძლებელია.

ისტორიცისტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ფიზიკური სტრუქტურები, მეორე მხრივ, შეიძლება აიხსნას როგორც უბრალო „წარმონაქმნი“ ან როგორც მათი ნაწილების უბრალო ჯამი მათ გეომეტრიულ კონფიგურაციასთან ერთად. მაგალითისათვის ავიღოთ მზის სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ისტორიის შესწავლა საინტერესოა და მიუხედავად იმისა, რომ ამ შესწავლამ მისი ამჟამინდელი მდგომარეობაც შეიძლება გაგვაგებინოს, ვიცით, რომ, გარკვეული აზრით, ეს მდგომარეობა დამოუკიდებელია ამ სისტემის ისტორიისაგან. სისტემის სტრუქტურა, მისი მომავალი დინამიკა და განვითარება სრულადაა დეტერმინირებული მისი წევრების ამჟამინდელი განლაგებით. თუკი მოცემულია დროის ნებისმიერ მომენტში სისტემის წევრების ურთიერთგანლაგება, მათი მასები და მოძრაობა, მაშინ ამ სისტემის ყველა მომავალი მოძრაობა სრულადაა დეტერმინირებული. აღარ გვჭირდება დამატებით იმის ცოდნა, თუ რომელი პლანეტაა უფრო ძველი ან რომელი მოხვდა ამ სისტემაში გარედან: სტრუქტურის ისტორია, თუნდაც საინტერესო, მისი ქცევის,

მისი მექანიზმისა და მისი მომავალი განვითარების გაგებაში ვერ დაგვეხმარება. ცხადია, რომ ამ მიმართებით ნებისმიერი ფიზიკური სტრუქტურა დიდად განსხვავდება ნებისმიერი სოციალური სტრუქტურისაგან. შეუძლებელია ამ უკანასკნელის გაგება ან მისი მომავლის პროგნოზირება, თუნდაც ამომწურავი ცოდნის მიღება, მისი ამჟამინდელი „აგებულების“ შესახებ, თუ მის ისტორიას ყურადღებით არ შევისწავლით.

ამგვარი მოსაზრებები მყარ საფუძველს ქმნიან იმ ვარაუდისათვის, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს ისტორიციზმსა და სოციალური სტრუქტურების ე.წ. *ბიოლოგიურ ან ორგანულ თეორიას* შორის, რომელიც სოციალურ ჯგუფებს ცოცხალი ორგანიზმების ანალოგიით განიხილავს. მართლაც, მიჩნეულია, რომ ზოგადად, ჰოლიზმი ბიოლოგიურ მოვლენებს ახასიათებს და ჰოლისტური მიდგომა განიხილება როგორც ფასდაუდებელი იმის გარკვევისას, თუ როგორ ზემოქმედებს სხვადასხვა ორგანიზმების ისტორია მათ ქცევაზე. ასეთნაირად, ისტორიციზმის ჰოლისტური არგუმენტები მოსახერხებელია სოციალურ ჯგუფებსა და ორგანიზმებს შორის მსგავსების აქცენტირებისათვის, თუმცა მათ აუცილებლობით არ მივყავართ სოციალური სტრუქტურების ბიოლოგიური თეორიის მიღებამდე. ანალოგიურად, *ჯგუფის სულისკვეთების* როგორც *ჯგუფის ტრადიციის* მატარებლის კარგად ცნობილი თეორია, თუმცა თვითონ შესაძლოა არც იყოს ისტორიცისტული არგუმენტის ნაწილი, მჭიდროდაა დაკავშირებული ჰოლისტურ თვალსაზრისთან.

## 8. ინტუიციური წვდომა

ჯერჯერობით სოციალური ცხოვრების ისეთი მახასიათებლები განვიხილეთ, როგორიცაა სიახლე, სირთულე, ორგანულობა, ჰოლიზმი და ის, თუ რა გზით ხდება მისი ისტორიის პერიოდებად დაყოფა. ეს ასპექტები, ისტორიციზმის თანახმად, ფიზიკის იმ გარკვეულ ტიპურ მეთოდებს წარმოგვიდგენენ, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებში არ გამოგვადგება. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ სოციალურ მეცნიერებებში საკითხისადმი მიდგომის უფრო ისტორიული მეთოდია აუცილებელი. ისტორიციზმის ანტინატურალისტური თვალსაზრისის შემადგენელია ის მოსაზრებაც, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ისტორია ინტუიციურად უნდა გავიგოთ. ზოგჯერ ეს მოსაზრება გარდაიქმნება მეთოდოლოგიურ დოქტრინად, რომელიც საკმაოდ ახლოსაა ისტორიციზმთან, თუმცა ყოველთვის მასთან შერწყმული არ არის.

ამ დოქტრინის თანახმად, სოციალურ მეცნიერებათა სათანადო მეთოდი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდისაგან განსხვავებით, სოციალურ ფენომენთა უშუალო წვდომას ეფუძნება. ამ დოქტრინასთან მიმართებაში, ჩვეულებრივ, შემდეგ განსხვავებებსა და კონტრასტებს აღნიშნავენ: ფიზიკა მიზეზობრივი კავშირების ახსნას ცდილობს; სოციოლოგია – მიზნისა და საზრისის წვდომას. ფიზიკა, მათემატიკური ფორმულების დახმარებით, მოვლენებს ზუსტად და რაოდენობრივი ასპექტით გვიხსნის. სოციოლოგია ისტორიული მოვლენების გაგებას თვისობრივი ხასიათის ტერმინებით, მაგალითად, მოცილე ტენდენციების და მიზნების, ან „ეროვნული ხასიათისა“ თუ „ეპოქის სულისკვეთების“ ტერმინებით ცდილობს. სწორედ ამის გამოა, რომ ფიზიკა ინდუქციური განზოგადებებით ოპერირებს, მაშინ როცა სოციოლოგიას მხოლოდ სიმპათიური წარმოსახვის დახმარებით შეუძლია ოპერირება. ასევე, სწორედ ესაა იმის საფუძველი, რომ ფიზიკა უნივერსალურად მართებული ერთგვარობების წვდომას და კონკრეტული მოვლენების, როგორც ამ ერთგვარობების კერძო შემთხვევების, ახსნას ახერხებს, მაშინ როცა სოციოლოგია უნიკალური მოვლენების და კონკრეტულ სიტუაციებში, ინტერესთა, ტენდენციათა და ბედისწერათა კონკრეტულ ბრძოლაში მათი როლის ინტუიციურ წვდომას უნდა დასჯერდეს.

მე ინტუიციური წვდომის დოქტრინის სამი განსხვავებული ვარიანტის ერთმანეთისაგან გამიჯვნას გთავაზობთ. პირველის თანახმად, სოციალური მოვლენის წვდომა შესაძლებელია, თუკი მას მის წარმომშობ ძალებთან მიმართებაში გავაანალიზებთ ანუ როცა ცნობილია მასში ჩართული ინდივიდები და ჯგუფები, მათი მიზნები, ან ინტერესები და ის ძალა, რომლის დამხობაც მათ შეუძლიათ. იგულისხმება, რომ ინდივიდების, ან ჯგუფების მოქმედებები თანხმობაშია მათ მიზნებთან – როგორც მათი რეალური, ან თუნდაც წარ-

მოსახვითი სარგებლის მიღების ხელშემწყობი საშუალება. ამ შემთხვევაში სოციოლოგიის მეთოდი გაგებულია როგორც გარკვეული მიზნებისკენ მიმართული რაციონალური ან ირაციონალური მოქმედებების წარმოსახვითი რეკონსტრუქცია.

მეორე ვარიანტი უფრო შორს მიდის. ის აღიარებს, რომ ასეთი ანალიზი აუცილებელია, განსაკუთრებით, ინდივიდების მოქმედებების ან ჯგუფური აქტივობის გაგების თვალსაზრისით. მაგრამ ამტკიცებს, რომ სოციალური ცხოვრების გასაგებად რადაც მეტია საჭირო. თუ სოციალური მოვლენის, მაგალითად, გარკვეული პოლიტიკური აქციის საზრისის გაგება გვინდა, მაშინ იმის ტელეოლოგიური ახსნა, თუ როგორ და რატომ მოხდა ის, არ იქნება საკმარისი. ამასთან ერთად საჭიროა მისი საზრისის, მისი განხორციელების მნიშვნელობის წვდომა. რა იგულისხმება „საზრისსა“ და „მნიშვნელობაში“? იმ პოზიციიდან, რომელსაც აღვწერ როგორც მეორე ვარიანტს, პასუხი ასეთი იქნებოდა: სოციალური მოვლენა მხოლოდ გარკვეულ გავლენებს კი არ ახდენს, მომავალში ის მხოლოდ სხვა მოვლენებთან კი არ მიგვიყვანს, არამედ მისი წარმოშობა თავისთავად ცვლის სხვა მოვლენათა ფართო სპექტრის სიტუაციურ ღირებულებას. მოითხოვს ამ კონკრეტულ ველში არსებული ყველა ობიექტისა და ყველა მოქმედების რეორიენტირებას და რეინტერპრეტაციას. ისეთი მოვლენის გასაგებად, როგორიცაა, მაგალითად, ახალი არმიის ჩამოყალიბება რომელიმე ქვეყანაში, აუცილებელია განზრახვების, ინტერესების და სხვ. ანალიზი. მაგრამ ამ მოვლენის საზრისის, ან მნიშვნელობის სრული მოცულობით წვდომას ვერ შევძლებთ, თუკი მისი სიტუაციური ღირებულებებიც არ გავაანალიზეთ: მაგალითად, სხვა ქვეყნის სამხედრო სიძლიერე, რომელიც მანამდე საკმარისი იყო მის დასაცავად, ახლა შეიძლება სავსებით არაადეკვატური აღმოჩნდეს. მოკლედ, მთელი *სოციალური სიტუაცია* შესაძლოა შეიცვალოს მანამ, სანამ რაიმე შემდგომი ფაქტიური ცვლილებები – ფიზიკური ან თუნდაც ფსიქოლოგიური – განხორციელდება; ამ ცვლილების შემჩნევამდე სიტუაცია შეიძლება უკვე დიდი ხნის შეცვლილი იყოს. ასე, რომ სოციალური ცხოვრების გასაგებად რეალური მიზეზებისა და შედეგების ანალიზზე შორს უნდა წავიდეთ და მოტივები,



ინტერესები და მოქმედებებით გამოწვეული რეაქციებიც უნდა გავიაზროთ: თითოეული მოვლენა უნდა გავიგოთ როგორც მოცემულ მთელში გარკვეული განსაკუთრებული როლის შემსრულებელი. მოვლენა თავის მნიშვნელობას მთელზე ზემოქმედების წყალობით იძენს და შესაბამისად, მისი მნიშვნელობა, ნაწილობრივ, ამ მთელითაა დეტერმინირებული.

ინტუიციური წვდომის დოქტრინის მესამე ვარიანტი კიდევ უფრო შორს მიმავალია, რამდენადაც მთლიანად იზიარებს ყველაფერს, რასაც პირველი და მეორე ვარიანტები ამტკიცებენ. ამ ვარიანტის თანახმად, სოციალური მოვლენის საზრისის ან მისი მნიშვნელობის გასაგებად სხვა რამეცაა საჭირო. ამგვარი ანალიზის გარდა, აუცილებელია მის საფუძვლად მდებარე ობიექტური, მოცემულ პერიოდში დომინანტური, ისტორიული მიმართულებების და ტენდენციების (როგორიცაა გარკვეული ტრადიციებისა ან ძალების გაძლიერება თუ დასუსტება) ანალიზი და იმ წვლილის გარკვევა, რომელიც ამ მოცემულმა მოვლენამ შეიტანა ისტორიულ პროცესში და რომლის წყალობითაც ვლინდება ამგვარი მიმართულებები. დრეიფუსის საქმე რომ სრულყოფილად გავიგოთ, მისი გენეზისის, შედეგებისა და სიტუაციური ღირებულების ანალიზის გარდა საჭიროა იმ ფაქტის გააზრებაც, რომ ეს საფრანგეთის რესპუბლიკის განვითარების ორი ისტორიული ტენდენციის – დემოკრატიულის და ავტორიტარულის, პროგრესულისა და რეაქციულის ბრძოლის გამოხატვა იყო.

ინტუიციური წვდომის მეთოდის ეს მესამე ვარიანტი, რომელიც აქცენტს ისტორიულ მიმართულებებსა თუ ტენდენციებზე აკეთებს, ის პოზიციაა, რომელიც, გარკვეულ ფარგლებში, ერთი ისტორიული პერიოდიდან მეორეზე *ანალოგიით დასკვნის* გამოყენებას გვთავაზობს. საქმე ისაა, რომ თუმცა ის სავსებით იზიარებს აზრს, რომ ისტორიული პერიოდები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და რომ სოციალური განვითარების სხვა პერიოდში რაიმე მოვლენის რეალური განმეორება შეუძლებელია, მაგრამ მან შეიძლება დაუშვას, რომ განსხვავებულ, ერთი მეორისაგან საკმაოდ დაშორებულ პერიოდებშიც კი შესაძლებელია ანალოგიური ტენდენციები გახდნენ დომინანტური. ითვლება, რომ

ამგვარ მსგავსებებსა თუ ანალოგიებს ძალა აქვთ, მაგალითად, ალექსანდრემდელი საბერძნეთისა და ბისმარკამდელი სამხრეთ გერმანიის მიმართ. ასეთ შემთხვევებში ინტუიციური წვდომის მეთოდი გარკვეული მოვლენების საზრისის შეფასებას უფრო ადრეულ პერიოდებში არსებულ ანალოგიურ მოვლენებთან მათი შედარების საფუძველზე გვთავაზობს, რაც ახალი განვითარების პროგნოზირებაში დაგვეხმარება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორ პერიოდს შორის არსებული გარდაუვალი განსხვავებები ყოველთვის სათანადოდაა გასათვალისწინებელი.

მაშასადამე, ვხედავთ, რომ მეთოდი, რომელიც სოციალური მოვლენის საზრისის წვდომას შეძლებს, მიზეზობრივი ახსნის საზღვრებს უნდა გასცდეს. მას ჰოლისტური ხასიათი უნდა ჰქონდეს, მისი მიზანი კი უნდა იყოს იმ როლის დადგენა, რომელსაც მოცემული მოვლენა ასრულებს რთულ სტრუქტურაში – მთელში, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ერთდროულ ნაწილებს, არამედ ქრონოლოგიური განვითარების თანმიმდევრულ სტადიებსაც. ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ ცდილობს ინტუიციური წვდომის მეთოდი ორგანიზმსა და ჯგუფს შორის ანალოგიაზე დაყრდნობას და ისეთი იდეებით ოპერირებას, როგორიცაა გონება ან ეპოქის სულისკვეთება, რომელიც სოციოლოგიური მოვლენების საზრისის დადგენაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი ყველა ისტორიული მიმართულების, თუ ტენდენციის წყარო და მაკონტროლებელია.

მაგრამ ინტუიციური წვდომის მეთოდი მხოლოდ ჰოლიზმის იდეებთან კი არაა თანხმობაში, არამედ სავსებით თავსებადია ისტორიციზმის მიერ სიახლის აქცენტირებასთან, რადგან სიახლის მიზეზობრივი, ან რაციონალური ახსნა შეუძლებელია: მას მხოლოდ ინტუიციით შეიძლება ვწვდეთ. მეტიც, ისტორიციზმის პრონატურალისტური დოქტრინების განხილვისას ვნახავთ, რომ საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობს ამ დოქტრინებსა და ინტუიციური წვდომის მეთოდის ჩვენს „მესამე ვარიანტს“ შორის, რომელიც აქცენტს ისტორიულ ტენდენციებსა თუ „მიმართულებებზე“ აკეთებს (იხილეთ, მაგალითად, პარაგრაფი მე-16).



## 9. რაოდენობრივი მეთოდები

ინტუიციური წვდომის დოქტრინასთან დაკავშირებით ისტორიცისტები, ჩვეულებრივ, შემდეგ განსხვავებებსა და კონტრასტებზე მიუთითებენ ხოლმე. ისინი აღნიშნავენ, რომ ფიზიკაში მოვლენები მკაცრად და ზუსტად, რაოდენობრივი ტერმინებისა და მათემატიკური ფორმულების დახმარებითაა ახსნილი. სოციოლოგია ისტორიული განვითარების გაგებას თვისობრივი, მაგალითად, მოცილე ტენდენციებისა და მიზნების ტერმინებით ცდილობს.

რაოდენობრივი და მათემატიკური ტერმინების გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტი სულაც არ არის სპეციფიკურად ისტორიცისტული. ამგვარ მეთოდებს ხშირად შეუვალი ანტიისტორიცისტული შეხედულებების მქონე ავტორებიც კი უარყოფენ. მაგრამ რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების საწინააღმდეგო ზოგიერთი განსაკუთრებით დამაჯერებელი არგუმენტი საუკეთესოდ წარმოაჩენს იმ თვალსაზრისს, რომელსაც ისტორიციზმი ვუწოდე და აქ სწორედ ამ არგუმენტებს განვიხილავ.

სოციოლოგიაში რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების გამოყენების საპირისპირო შეხედულების განხილვისას დაუყოვნებლივ ძლიერი კონტრარგუმენტი მოგვაგონდება: ეს პოზიცია სერიოზულ წინააღმდეგობაშია იმ ფაქტთან, რომ რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდები ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებაში რეალურად და დიდი წარმატებითაც გამოიყენება. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეიძლება უარვყოთ, რომ ისინი გამოსადეგია?

ამ შეპასუხების გასაბათილებლად, რაოდენობრივი და მათემატიკური თვალსაზრისის საპირისპირო აზრი ისტორიცისტული მიდგომისათვის სპეციფიკური ზოგიერთი არგუმენტით შეიძლება გავამყაროთ.

სავსებით ვეთანხმები თქვენს შენიშვნებს, გვეტყოდა ისტორიცისტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკურ მეთოდებსა და ფიზიკის რაოდენობრივ-მათემატიკურ მეთოდებს შორის განსხვავება მაინც უსარმაზარია. *ფიზიკის მათემატიკურად ფორმულირებული მიზე-*

*ზობრივი კავშირების* მსგავსი რამ სოციალურმა მეცნიერებამ არ იცის.

განვიხილოთ, მაგალითად, ფიზიკის ის კანონი, რომლის თანახმად (სინათლის ნებისმიერი სიგრძის ტალღისათვის) რაც უფრო მცირეა ხვრელი, რომელშიც სინათლის სხივი გადის, მით მეტია დიფრაქციის კუთხე. ამ ტიპის ნებისმიერ ფიზიკურ კანონს ასეთი ფორმა აქვს: „თუ გარკვეულ პირობებში სიდიდე A გარკვეულ ცვლილებას განიცდის, მაშინ სიდიდე B ასევე შეიცვლება რაიმე პროგნოზირებადი მიმართულებით“. სხვა სიტყვებით, ასეთი კანონი ერთი გაზომვადი რაოდენობის მეორეზე დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო ამ დამოკიდებულების ხასიათი კი ზუსტი რაოდენობრივი ტერმინებითაა მოცემული. ფიზიკამ წარმატებით შეძლო ყველა თავისი კანონის ამ ფორმით გამოხატვა. ამის მისაღწევად მას, პირველ რიგში, ყველა ფიზიკური თვისება რაოდენობრივი ტერმინებით უნდა გადმოეცა. მაგალითად, გარკვეული სახის სინათლის თვისებრივი აღწერა, ვთქვათ, მკვეთრი მომწვანო ყვითელი სინათლე, უნდა შეეცვალა რაოდენობრივი აღწერით: გარკვეული სიგრძის ტალღებისა და გარკვეული ინტენსივობის სინათლე. ფიზიკური თვისებების რაოდენობრივი აღწერის ასეთი პროცესი, ცხადია, მიზეზობრივი ფიზიკური კანონების რაოდენობრივი ფორმულირების აუცილებელი წინაპირობაა. მიზეზობრივი ფიზიკური კანონები შესაძლებლობას გვაძლევენ ავხსნათ, თუ რატომ მოხდა რადაც. მაგალითად, ხვრელის სიგანესა და დიფრაქციის კუთხეს შორის მიმართების კანონის მიღებისას, დიფრაქციის კუთხის ზრდა შეგვიძლია მიზეზობრივად ავხსნათ იმ ფაქტზე მითითებით, რომ ხვრელის ზომა შემცირდა.

ისტორიცისტი გვიმტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერებებიც უნდა შეეცადონ მოვლენების მიზეზობრივად ახსნას. მათ, მაგალითად, შეუძლიათ იმპერიალიზმის ახსნა სამრეწველო ექსპანსიაზე მითითებით სცადონ. თუმცა თუკი ამ მაგალითს განვიხილავთ, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ სოციოლოგიური კანონების რაოდენობრივი ტერმინებით გამოხატვის მცდელობა უიმედო საქმეა. რადგან თუ რაიმე ისეთ ფორმულირებას განვიხილავთ, როგორიცაა „ტერიტორიული ექსპანსიის ტენდენცია ინდუსტრიალიზაციის ინტენსიობის



შესაბამისად ძლიერდება“ (ფორმულირება, რომელიც ფაქტების გასაგები, თუმცა, ალბათ, არა ჭეშმარიტი აღწერაა), ძალიან მალე დავრწმუნდებით, რომ არ გვაქვს მეთოდი, რომლითაც ექსპანსიის ტენდენციის ანდა ინდუსტრიალიზაციის ინტენსივობის გაზომვა იქნებოდა შესაძლებელი.

თუ შევაჯამებთ რაოდენობრივ-მათემატიკური მეთოდების საწინააღმდეგო ისტორიცისტულ არგუმენტებს, სოციოლოგიის ამოცანად იმ ცვლილებების მიზეზობრივი ახსნა უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ისტორიის მსვლელობაში განიცადეს ისეთმა სოციოლგიურმა არსებებმა, როგორიცაა მაგალითად, სახელმწიფოები, ან ეკონომიკური სისტემები, ან მმართველობის ფორმები. რამდენადაც ამ არსებების თვისებების რაოდენობრივი ტერმინებით გამოხატვის რაიმე გზა ცნობილი არაა, ვერც რაიმე რაოდენობრივი კანონის ფორმულირებას შევძლებთ. მაშასადამე, სოციალური მეცნიერებების მიზეზობრივი კანონები, თუ დავუშვებთ, რომ ისინი არსებობენ, თავისი ხასიათით მკვეთრად უნდა განსხვავდებოდნენ ფიზიკის კანონებისაგან, რადგან ისინი თვისებრივი ხასიათის უფრო არიან, ვიდრე რაოდენობრივი და მათემატიკური. თუ სოციოლოგიური კანონები რაიმეს ხარისხს ადგენენ, ამას ისინი მხოლოდ მეტად ბუნდოვანი ტერმინებით ახდენენ და საუკეთესო შემთხვევაში მიახლოებითი გამოთვლის შესაძლებლობას გვაძლევენ.

როგორც ჩანს, თვისებები – როგორც ფიზიკური, ასევე არაფიზიკური – მხოლოდ ინტუიციით უნდა შეფასდეს. ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული არგუმენტები ინტუიციური წვდომის მეთოდის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტების გასამყარებლად შეიძლება გამოვიყენოთ.

## 10. ესენციალიზმი ნომინალიზმის წინააღმდეგ

სოციალური მოვლენების თვისებრივი ხასიათის აქცენტირებას თვისებათა აღმნიშვნელი ტერმინების სტატუსის პრობლემასთან – ე.წ. *უნივერსალიების პრობლემასთან* მივყავართ, რომელიც ფილოსოფიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ფუნდამენტური პრობლემაა.

ეს პრობლემა, რომლის თაობაზე შუა საუკუნეებში გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიებშია ფესვგადგმული. მას, ჩვეულებრივ, წმინდა მეტაფიზიკურ პრობლემად განიხილავენ. მაგრამ მეტაფიზიკური პრობლემების უმრავლესობის მსგავსად, შესაძლებელია მისი ისეთნაირად ფორმულირება, რომ ის მეცნიერული მეთოდის პრობლემად იქცეს. აქ მხოლოდ მეთოდოლოგიურ პრობლემას განვიხილავთ, შესავლის სახით კი მოკლედ მოვხაზავ მეტაფიზიკურ საკითხს.

ყველა მეცნიერება იყენებს ტერმინებს, რომლებსაც უნივერსალურ ტერმინებს უწოდებენ, მაგალითად, „ენერგია“, „სიჩქარე“, „ნახშირბადი“, „სითეთრე“, „ევოლუცია“, „სამართლიანობა“, „სახელმწიფო“, „კაცობრიობა“. ისინი განსხვავდებიან იმ ტერმინებისაგან, რომლებსაც ერთეულ ტერმინებს ან ინდივიდუალურ ცნებებს ვუწოდებთ, მაგალითად, „ალექსანდრე დიდი“, „ჰალეის კომეტა“, „პირველი მსოფლიო ომი“. ასეთი ტერმინები საკუთარი სახელებია, იარლიყებია, რომლებსაც შეთანხმების საფუძველზე მივაკუთვნებთ იმ ინდივიდუალურ საგნებს, რომლებსაც ეს ტერმინები აღნიშნავენ.

უნივერსალური ტერმინების ბუნება ორ ჯგუფს შორის ხანგრძლივი და ხშირად გაცხარებული დისკუსიის საგანი იყო. ერთი თვლიდა, რომ საკუთარი სახელებისაგან უნივერსალიების ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ისინი მხოლოდ ერთი ცალკეული საგნის ნაცვლად ერთეული საგნების *სიმრავლეს* ან *კლასის* წევრებს აღნიშნავენ. ამ ჯგუფის აზრით, მაგალითად, ზოგადი ტერმინი „სითეთრე“, სხვა არაფერია, თუ არა იარლიყი, რომელიც ბევრ განსხვავებულ საგანს ან სიმრავლეს მიეკუთვნება – თოვლის ფიფქებსაც, სუფრებსაც და, მაგალითად, გედებსაც. ეს *ნომინალისტების* დოქტრინაა. მას უპირისპირდება დოქტრინა, რომელსაც ტრადიციულად *„რეალიზმს“* უწოდებენ, თუმცა ეს სახელი, ცოტა არ იყოს, დამაბნეველია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „რეალისტურ“ თეორიას „იდეალისტურსაც“ უწოდებენ. აქ მე ამ ანტინატურალისტური თეორიის *„ესენციალიზმად“* გადანათვლას გთავაზობთ. ესენციალისტები უარყოფენ იმას, რომ ჩვენ ჯერ ვაჯგუფებთ ცალკეულ საგნებს და შემდეგ ვარქმევთ მათ „თეორს“. ისინი, პირიქით, თვლიან, რომ ჩვენ



თითოეულ ცალკეულ თეთრ საგანს „თეთრს“ იმ რაღაც შინაგანი თვისების, სახელდობრ, „სითეთრის“ გამო ვუწოდებთ, რომელიც მას საერთო აქვს სხვა თეთრ საგნებთან. ეს თვისება, რომელიც უნივერსალური ტერმინით აღინიშნება, განიხილება, როგორც ობიექტი, რომელიც ისევე მოითხოვს კვლევას, როგორც თვითონ ინდივიდუალური საგნები (სახელი „რეალიზმი“ წარმოიშვა იმ მტკიცების საფუძველზე, რომ ცალკეული საგნების და ცალკეული საგნების სიმრავლეებისა თუ ჯგუფების გარდა, „რეალურად“ არსებობენ უნივერსალური ობიექტები, მაგალითად, სითეთრე). ამრიგად, მიჩნეულია, რომ უნივერსალური ტერმინები უნივერსალურ ობიექტებს აღნიშნავენ, ზუსტად ისე, როგორც ერთეული ტერმინები ინდივიდუალურ საგნებს აღნიშნავენ. ამ უნივერსალურ ობიექტებს (პლატონი მათ „ფორმებს“ ან „იდეებს“ უწოდებდა), რომლებიც უნივერსალური ტერმინებით აღინიშნება, „არსსაც“ ("ესენციასაც") უწოდებდნენ.

მაგრამ ესენციალიზმი მხოლოდ უნივერსალიების (ე.ი. უნივერსალური ობიექტების) არსებობაში კი არაა დარწმუნებული, არამედ მეცნიერებისათვის მათ მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს. ის უჩვენებს, რომ ერთეული ობიექტები მრავალ შემთხვევით თვისებას ავლენენ, რომლებიც მეცნიერებისათვის საინტერესო არაა. განვიხილოთ მაგალითი სოციალური მეცნიერებებიდან: ეკონომიკა ფულითა და კრედიტითაა დაინტერესებული, თუმცა მონეტების, ბანკნოტების ან ჩეკების კონკრეტული ფორმა მას არ აღელვებს. მეცნიერებამ შემთხვევითი უნდა ჩამოიშოროს და საგანთა არსს ხასწვდეს. ყოველივეს არსი კი ყოველთვის რაღაც ზოგადი, უნივერსალურია.

ეს ბოლო შენიშვნები ამ მეტაფიზიკური პრობლემის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებენ. თუმცა ის მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის განხილვასაც ახლა ვაპირებ, მეტაფიზიკური პრობლემისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება გავიაზროთ. ჩვენ მას სხვა გზით მივუახლოვდებით – იმ გზით, რომელიც უნივერსალური და ერთეული ობიექტების არსებობისა და მათი განსხვავების საკითხის განხილვას აგვაცილებს. ჩვენ მხოლოდ მეცნიერების მიზნებსა და საშუალებებს განვიხილავთ.

ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლებსაც *მეთოდოლოგიურ ესენციალისტებს* ვუწოდებ, არისტოტელეს დაარსებულია. ის თვლიდა, რომ მეცნიერული კვლევა, თუკი მისი მიზანი საგნების ახსნაა, მათ არსს უნდა ჩასწვდეს. მეთოდოლოგიური ესენციალისტები მეცნიერული კითხვების ასეთნაირ ფორმულირებას აძლევენ უპირატესობას: „რა არის მატერია?“ ან „რა არის ძალა?“ ან „რა არის სამართლიანობა?“ და სჯერათ, რომ ყოვლისმომცველი პასუხი ასეთ კითხვებზე, რომელიც ამ ტერმინების რეალურ ან არსებით ან ნამდვილ ბუნებას გამოააშკარავებს, მეცნიერული კვლევის მთავარი ამოცანა თუ არა, მისი აუცილებელი წინაპირობა მაინც არის. *მეთოდოლოგიური ნომინალისტები*, რომლებიც ამ პოზიციას უპირისპირდებიან, თავის პრობლემებს ასეთნაირად აყალიბებენ: „როგორ იქცევა მატერიის ეს ნაწილი?“ ან „როგორ მოძრაობს ის სხვა სხეულების მოცემულობის შემთხვევაში?“. მეთოდოლოგიური ნომინალისტები თვლიან, რომ მეცნიერების საქმე მხოლოდ იმის აღწერაა, თუ როგორ იქცევიან საგნები. ეს კი, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ტერმინების შეუხდუდავი შემოტანით ან, თუკი ეს მოსახერხებელია, ძველი ტერმინების ახლებური ინტერპრეტაციით უნდა მოხდეს, ძველი ტერმინების თავდაპირველი მნიშვნელობა კი შეიძლება მშვიდად დავივიწყოთ, რადგან მეთოდოლოგიური ნომინალისტები *სიტყვებს* მხოლოდ *აღწერის მოსახერხებელ ინსტრუმენტებად* განიხილავენ.

მრავალი ადამიანი აღიარებს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეთოდოლოგიური ნომინალიზმი წარმატებული აღმოჩნდა. ფიზიკა, მაგალითად, არ იკვლევს ატომების, ან სინათლის არსს, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად იყენებს ამ ტერმინებს გარკვეული ფიზიკური დაკვირვებების აღწერის და ახსნისათვის, ასევე, იყენებს მათ როგორც გარკვეული მნიშვნელოვანი და რთული ფიზიკური სტრუქტურების სახელებს. ასევეა ბიოლოგიაში. შესაძლოა, ფილოსოფოსებმა ბიოლოგებისაგან ისეთი პრობლემების გადაჭრა მოითხოვონ, როგორიცაა „რა არის სიცოცხლე?“ და ისიც შესაძლოა, რომ დროდადრო, ზოგიერთ ბიოლოგს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების სურვილიც გაუჩნდეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცნიერული ბიოლოგია, მთლიანობაში, განსხვავებულ პრობლემებს შეისწავლის და ახსნისა და აღწერის მეთოდებს იყენებს, რომლებიც ძალიან ჰგავს ფიზიკის მეთოდებს.



ამრიგად, მოსალოდნელია, რომ სოციალურ მეცნიერებებში მეთოდოლოგიური ნატურალისტები ნომინალიზმს მიანიჭებენ უპირატესობას, ანტინატურალისტები კი ესენციალიზმს. თუმცა, რეალურად, აქ უპირატესობა ესენციალიზმს ენიჭება და თანაც რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე. ამდენად, *თუკი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდები ფუნდამენტურად ნომინალისტურია, სოციალურმა მეცნიერებებმა მეთოდოლოგიური ესენციალიზმი უნდა მიიღონ.*[1] როგორც ამტკიცებენ, სოციალური მეცნიერების საქმე ისეთი სოციოლოგიური არსებების გაგება და ახსნაა, როგორიცაა სახელმწიფო, ეკონომიკური საქმიანობა, სოციალური ჯგუფი და ა.შ. ამის გაკეთება კი მხოლოდ მათი არსის წვდომითაა შესაძლებელი. ყოველი მნიშვნელოვანი სოციოლოგიური არსება წინასწარ გულისხმობს მისი აღწერის უნივერსალურ ტერმინებს და გაუგებარი იქნებოდა ახალი ტერმინების თავისუფალი შემოტანა, როგორც ეს ასე წარმატებით განხორციელდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. სოციალური მეცნიერებების საქმე ასეთი არსებების ნათლად და სათანადოდ აღწერა, ე.ი. შემთხვევითისა და არსებითის განსხვავებაა, მაგრამ ამისათვის მათი არსის ცოდნაა აუცილებელი. ისეთი პრობლემები, როგორიცაა „რა არის სახელმწიფო?“ და „რა არის მოქალაქე?“ (რომლებიც არისტოტელემ თავისი *პოლიტიკის* ბაზისურ პრობლემებად განიხილა), ან „რა არის კრედიტი?“ ან „რა არსებითი განსხვავებაა მორწმუნესა და სექტანტს შორის (ან ეკლესიასა და სექტას შორის)?“ არა მხოლოდ აბსოლუტურად ლეგიტიმურია, არამედ ზუსტად იმ ტიპის კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემაც სოციოლოგიური მეცნიერებების საქმეა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიცისტები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მეტაფიზიკური საკითხისადმი თავისი მიმართებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებე-

[1] იხ. ჩემი *"The Open Society and Its Enemies"*, თ. 3, პარაგრაფი VI, განსაკუთრებით 30-ე შენიშვნა და თ.11, პარაგრაფი II.

ბის მეთოდოლოგიაზე თავისი შეხედულებებით, ნათელია, რომ სოციალური მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხში ისინი ესენციალიზმს მისცემენ უპირატესობას და ნომინალიზმს დაუპირისპირდებიან. ფაქტიურად, ჩემთვის ნაცნობი თითქმის ყველა ისტორიცისტი ამ პოზიციას იზიარებს. მაგრამ იმის განხილვაც ღირს, ეს მხოლოდ ისტორიციზმის ზოგადი ანტინატურალისტური ტენდენციის შედეგია, თუ არსებობენ რაიმე სპეციფიკური ისტორიცისტული არგუმენტები, რომლებიც მეთოდოლოგიური ესენციალიზმის სასარგებლოდ შეიძლება გამოვიყენოთ.

პირველ ყოვლისა, ცხადია, რომ სოციალურ მეცნიერებებში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტი ამ საკითხის რელევანტურია. სოციალური მოვლენების თვისებრივი ხასიათის აქცენტირება, ისევე როგორც (უბრალო აღწერის საპირისპიროდ) ინტუიციური წვდომის ხაზგასმა ესენციალიზმთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებულ მიმართებაზე მიგვანიშნებს.

თუმცა არსებობენ სხვა, ისტორიციზმისათვის უფრო ტიპური არგუმენტები, რომლებიც აზროვნების იმ მიმართულებას მიჰყვებიან, რომელსაც ახლა გავაცნობ ჩემს მკითხველს (სხვათა შორის, ეს, პრაქტიკულად, იგივე არგუმენტებია, რომლებმაც, არისტოტელეს თანახმად, პლატონი არსის, ესენციის პირველი თეორიის შექმნამდე მიიყვანა).

ისტორიციზმი ცვლილების მნიშვნელობის აქცენტირებას ახდენს. ყოველ ცვლილებაში, ამტკიცებს ისტორიცისტი, უნდა იყოს რაღაც, რაც იცვლება. მაშინაც კი, როცა არაფერი რჩება უცვლელი, უნდა შეგვეძლოს იმის იდენტიფიცირება, თუ რა შეიცვალა, რათა საერთოდ შესაძლებელი გახდეს საუბარი ცვლილების შესახებ. ფიზიკაში ეს შედარებით ადვილია. მექანიკაში, მაგალითად, ყველა ცვლილება მოძრაობაა, ე.ი. ფიზიკური სხეულების სივრცით-დროითი ცვლილება. მაგრამ სოციოლოგია, რომელსაც ძირითადად სოციალური ინსტიტუტები აინტერესებს, უფრო სერიოზული სიძნელეების წინაშე დგას, რადგან ამგვარი ინსტიტუტების იდენტიფიცირება, მას შემდეგ რაც მათ ცვლილება განიცადეს, არც ისე ადვილია. მარტივი დესკრიფციული აზრით, შეუძლებელია *ცვლილებამდელი* სოციალური ინსტიტუტი განვიხილოთ როგორც *ცვლილების შემდგომი* ინსტიტუტის იგივეობრივი. დესკრიფციული თვალსაზრისით, ის შეიძლება სავსებით განსხვავებული იყოს. მაგალითად, ბრიტანეთის მმართველობის თანამედროვე ინსტიტუტების ნატურალისტურმა აღწერამ ისინი შეიძლება წარმოგვიდგინოს როგორც სავსებით განსხვავებული ოთხი საუკუნის წინანდელი ინსტიტუტებისგან. და მაინც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმდენად, რამდენადაც არსებობს *მმართველობა*, ის *არსებითად* იგივეა, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად შეიცვალა. მისი ფუნქცია თანამედროვე საზოგადოებაში *არსებითად* ანალოგიურია იმ ფუნქციისა, რომელსაც ის მაშინ ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არც ერთი ნიშანი, რომლის აღწერაც შესაძლებელია, ადარ არის ისეთივე, ინსტიტუტის *არსებითი* იდენტურობა შენარჩუნებულია, რაც უფლებას გვაძლევს ერთი ინსტიტუტი მეორის სახეცვლილ ფორმად განვიხილოთ. სოციალურ მეცნიერებებში შეუძლებელია საუბარი ცვლილების ან განვითარების შესახებ, თუ არ დავუშვით უცვლელი არსი და მაშასადამე, თუ მეთოდოლოგიურ ესენციალიზმთან თანხმობაში არ ვიმოქმედეთ.

რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ზოგიერთი სოციოლოგიური ტერმინი, ისეთი როგორიცაა დეპრესია, ინფლაცია, დეფლაცია და ა.შ. თავდაპირველად წმინდა ნატურალისტურად იქნა შემოღებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ არ შეუნარჩუნებიათ ნომინალისტური ხასიათი. ვითარების შეცვლისთანავე აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები ვერ თანხმდებიან იმაზე, გარკვეული ფენომენები ნამდვილად ინფლაციაა თუ არა. ამრიგად, სიზუსტის დასაცავად, შესაძლოა ინფლაციის არსებითი ბუნების (ან არსებითი მნიშვნელობის) გამოკვლევა დაგეჭირდეს.

ასე რომ, ნებისმიერი სოციალური არსების თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ის „იმდენად, რამდენადაც საქმე მის *არსს* ეხება, შეიძლება მოცემული იყოს ნებისმიერ სხვა აღგილზე და ნებისმიერი სხვა ფორმით და მეტიც, შეიძლება შეიცვალოს მაშინ, როცა ფაქტიურად უცვლელი რჩება ან შეიძლება შეიცვალოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც ეს რეალურად ხდება ხოლმე“ (ჰუსერლი). შესაძლო ცვლილებების ზღვარის a priori დადგენა შეუძლებელია. შეუძლებელია

იმის თქმა, თუ რა სახის ცვლილებას შეიძლება გაუძლოს სოციალურმა არსებამ ისე, რომ იგივე დარჩეს. ფენომენები, რომლებიც ერთი მიმართებით არსებითად განსხვავებული არიან, მეორე მიმართებით შეიძლება არსებითად იგივეობრივი იყვნენ.

აქ გადმოცემული ისტორიცისტული არგუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ სოციალური განვითარების შიშველი აღწერა შეუძლებელია, ან უფრო ზუსტად, სოციოლოგიური აღწერა არასოდეს იქნება უბრალოდ აღწერა ნომინალისტური ა'ზრით. და თუ სოციოლოგიური აღწერა არსს, ესენციას ვერ ელევა, სოციალური განვითარების თეორია მით უმეტეს ვერ შეელევა მას. და განა შესაძლებელია იმის უარყოფა, რომ ისეთი პრობლემები, როგორიცაა გარკვეული სოციალური პერიოდის მახასიათებელი ნიშნების განსა'ზღვრა და განმარტება, ისევე როგორც მისი დაძაბულობის, შინაგანი ტენდენციებისა და მიმართულებების დადგენა და ახსნა ნომინალისტური მეთოდებით, მათი გადაჭრის ყველა მცდელობას უკუაგდებს?

შესაბამისად, მეთოდოლოგიური ესენციალი'ზმი შეიძლება დაეფუძნოს იმ ისტორიცისტულ არგუმენტს, რომელმაც, რეალურად, პლატონი მის მეტაფი'ზიკურ ესენციალი'ზმთან მიიყვანა. ეს ჰერაკლიტეს არგუმენტია, რომლის თანასწორად, ცვალებადი საგნები რაციონალურ აღწერას არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარეობს, რომ მეცნიერება ან ცოდნა წინასწარ უშვებს რაღაცას, რაც არ იცვლება და თავისი თავის იდენტური რჩება – ეს კი *არსია, ისტორია*, ე.ი. ცვლილების აღწერა და *არსი*, ე.ი. ის, რაც ცვლილებისას უცვლელი რჩება, აქ კორელატური ცნებებია. თუმცა ამ კორელაციას მეორე მხარეც აქვს: გარკვეული ა'ზრით, არსიც წინასწარ უშვებს ცვლილებას და შესაბამისად, ისტორიას. რადგან თუ საგნის ის პრინციპი, რომელიც საგნის შეცვლის შემდეგ იდენტური, ან უცვლელი რჩება, ამ საგნის არსია (ან იდეა, ან ფორმა, ან ბუნება, ან სუბსტანცია), მაშინ ცვლილებები, რომლებსაც ეს საგანი განიცდის, ამ საგნის და, მაშასადამე, მისი არსის განსხვავებულ მხარეებს, ასპექტებსა თუ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. შესაბამისად, არსი შეიძლება განვიხილოთ როგორც საგნის განუყოფელი პოტენციების ჯამი ან წყარო, ხოლო ცვლილებები (ან მოძრაობები) შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი არსის ფარული პოტენციების რეალი'ზაცია ან აქტუალი'ზაცია (ეს თეორია არისტოტელეს სახელთანაა დაკავშირებული). გამოდის, რომ რაიმე საგანი ე.ი. მისი უცვლელი არსი *მხოლოდ მისი ცვლილებების შედეგად* შეიძლება გავიგოთ. მაგალითად, იმის გასაგებად, ოქროსაგანია დამ'ზადებული რაიმე საგანი თუ არა, ჩვენ მოგვიწევს მას'ზე ფი'ზიკური ზემოქმედების მოხდენა ან მისი ქიმიურად შემოწმება, რითაც მას შევცვლით და, ამდენად, მის ზოგიერთ ფარულ პოტენციას გამოვავლენთ. ასევე, რომელიმე ადამიანის არსი, მისი პიროვნება, მხოლოდ მისი ბიოგრაფიის საფუძველ'ზე შეიძლება გავიგოთ. სოციოლოგიაში ამ პრინციპის გამოყენებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სოციალური ჯგუფის არსი ან რეალური ხასიათი მხოლოდ მის ისტორიაში ვლინდება და მხოლოდ მისი ისტორიის წყალობით ხდება გასაგები. მაგრამ თუ სოციალური ჯგუფების გაგება მხოლოდ მათი ისტორიითაა შესაძლებელი, მაშინ ის ცნებები, რომლებიც მათი აღწერისათვის გამოიყენება, ისტორიული ცნებები უნდა იყოს. და მართლაც, ძნელია სხვაგვარად გავიგოთ ისეთი სოციოლოგიური ცნებები, როგორიცაა იაპონური *სასელმწიფო*, ან იტალიელი *ერი* ანდა არიული *რასა*, თუ არა როგორც ცნებები, რომლებიც ისტორიის შესწავლის საფუძველ'ზე შემუშავდა. ეს სოციალური *კლასების* მიმართაც მართებულია: მაგალითად, *ბურჟუა'ზია* მხოლოდ მისი ისტორიით შეიძლება განისა'ზღვროს როგორც კლასი, რომელმაც ძალაუფლება ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მიიღო, განდევნა ლენდლორდები და რომელიც ებრძვის პროლეტარიატს და რომელსაც, თავის მხრივ, ებრძვის პროლეტარიატი და სხვ.

ესენციალი'ზმის მიღება იმ მოსა'ზრების საფუძველ'ზეა შესაძლებელი, რომ ის ცვალებად საგნებში იდენტურობის აღმოჩენის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგრამ ის, თავის მხრივ, სოციალურ მეცნიერებებში ისტორიული მეთოდის გამოყენების მხარდამჭერი დოქტრინის ანუ ისტორიცი'ზმის დოქტრინის გასამყარებელ რამოდენიმე ყველა'ზე დამაჯერებელ არგუმენტს გვაწვდის.

## II

## ისტორიციზმის ფუნდამენტური ანტინატურალიზმის დოქტრინები

ისტორიციზმის ფუნდამენტური ანტინატურალიზმის მიუხედავად, ის არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ფიზიკისა და სოციალური მეცნიერებების მეთოდებში რაღაც საერთო ელემენტი არსებობს. ეს შეიძლება იმ ფაქტის შედეგი იყოს, რომ ისტორიცისტები, როგორც წესი, იზიარებენ მოსაზრებას (მას მეც ვიზიარებ), რომ სოციოლოგია, ისევე როგორც ფიზიკა, მეცნიერების ის დარგია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ერთდროულად *თეორიულიც* იყოს და *ემპირიულიც*.

*თეორიულ* დისციპლინად მისი განხილვისას, მივიჩნევთ, რომ სოციოლოგიამ მოვლენების *ახსნა* და მათი *პროგნოზირება* თეორიებისა და უნივერსალური კანონების (რომელთა აღმოჩენასაც ის ცდილობს) დახმარებით უნდა მოახდინოს. სოციოლოგიის როგორც *ემპირიული* მეცნიერების აღწერისას კი ვგულისხმობთ, რომ მას ზურგს ცდა უმაგრებს, რომ მოვლენები, რომლებსაც ის გვიხსნის და რომელთა პროგნოზირებასაც ახდენს, *დაკვირვებადი* ფაქტებია და *დაკვირვება* ნებისმიერი შემოთავაზებული თეორიის მიღებისა ან უკუგდების საფუძველია. ფიზიკის წარმატების შესახებ საუბრისას მხედველობაში მისი პროგნოზების წარმატება გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ მისი პროგნოზების წარმატება იგივეა, რაც ფიზიკის კანონების ემპირიული დადასტურება. ფიზიკის წარმატებისა და სოციოლოგიის რელატიური წარმატების შედარებისას ვუშვებთ, რომ წარმატება სოციოლოგიაშიც, ძირითადად, პროგნოზების დადასტურებაში უნდა მდგომარეობდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ გარკვეული მეთოდები – პროგნოზირება კანონებზე დაყრდნობით და კანონების შემოწმება დაკვირვებაში – ფიზიკისა და სოციოლოგიისათვის საერთო უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისს მთლიანად ვეთანხმები მიუხედავად იმისა, რომ ის ისტორიციზმის ერთ-ერთ საფუძვლადმდებარე დაშვებად მიმაჩნია. მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ამ თვალსაზრისის უფრო დეტალური დამუშავება, რომელიც ქვემოთ აღწერილ მთელ რიგ შეხედულებებს წარმოშობს. ერთი შეხედვით, ეს შეხედულებები აქ ნამოყალიბებული ზოგადი კანონის უშუალო შედეგებია. თუმცა სინამდვილეში ისინი სხვა დაშვებებს, კერძოდ, ისტორიციზმის ანტინატურალისტურ დოქტრინებს, განსაკუთრებით კი *ისტორიული კანონებისა ან ტენდენციების* დოქტრინას გულისხმობენ.

### 11. შედარება ასტრონომიასთან. გრძელვადიანი პროგნოზები და ფართომასშტაბიანი პროგნოზები[1]

ნიუტონის თეორიის წარმატებამ და განსაკუთრებით, პლანეტების მდებარეობის დიდი ხნით ადრე პროგნოზირების შესაძლებლობამ თანამედროვე ისტორიცისტებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი ამტკიცებენ, რომ ამით დადგინდა გრძელვადიანი პროგნოზირების შესაძლებლობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შორეული მომავლის წინასწარგანჭვრეტის ძველი ოცნება არ არღვევს ადამიანის გონების შესაძლებლობის საზღვრებს. სოციალურმა მეცნიერებებმაც სწორედ მსგავსი სერიოზული მიზანი უნდა დაისახონ. *თუ ასტრონომიას მზის დაბნელების პროგნოზირება შეუძლია, სოციოლოგიამ რევოლუციების პროგნოზირება რატომ ვერ უნდა შეძლოს?* და მაინც, ისტორიცისტი დაჟინებით გვიმტკიცებს, რომ მართალია, ასეთი სერიოზული მიზანი უნდა დავისახოთ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალურ მეცნიერებებს ასტრონომიული პროგნოზების მსგავსი სიზუსტის მიღწევის იმედი არ უნდა ჰქონდეთ და ამას არც უნდა შეეცადონ. სოციალურ მოვლენათა ზუსტი მეცნიერული კალენდარი, რომელიც საზღვაო კალენდრის მსგავსი იქნებოდა, როგორც ვუჩვენეთ (მე-5 და მე-6 პარაგრაფებში) ლოგიკურად შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურმა მეცნიერებებმა შეიძლება მოახერხონ რევოლუციების პროგნოზირება, არც ერთი ასეთი პროგნოზი არ შეიძლება ზუს-

[1] ამ პარაგრაფის პირველი ორი აბზაცი ახლა შეეიტანე იმ გრძელი პასაჟის ნაცვლად, რომელიც 1944 წელს, ქაღალდის დეფიციტის გამო, გამოტოვებულ იქნა.

ტი იყოს; მისი დეტალებისა და ვადების რადაც უზუსტობა უნდა დავუშვათ.

დეტალებისა და სიზუსტის თვალსაზრისით სოციოლოგიური პროგნოზების ნაკლოვანების განხილვისას, მეტიც, ამ ნაკლის აქცენტირებისას, ისტორიცისტები ამტკიცებენ, რომ ამგვარი პროგნოზების დიაპაზონმა და მათმა მნიშვნელობამ შესაძლოა ამ ნაკლის კომპენსირება მოახდინოს. ნაკლოვანებები, ძირითადად, სოციალური მოვლენების სირთულის, მათი ურთიერთკავშირის და სოციოლოგიური ტერმინების თვისობრივი ხასიათის შედეგია. მაგრამ თუმცა ამის გამო სოციალური მეცნიერება ბუნდოვანი ხდება, თვისობრივი ტერმინები, ამავე დროს, მის საზრისს ამდიდრებენ და ყოვლისმომცველს ხდიან. „კულტურათა შეჯახება“, „კეთილდღეობა“, „სოლიდარობა“, „ურბანიზაცია“, „უტილიტარულობა“, სწორედ ამგვარი ტერმინების მაგალითებია. გთავაზობთ, ამ, ახლა აღწერილი ტიპის პროგნოზებს ე.ი. გრძელვადიან პროგნოზებს, რომელთა ბუნდოვანებასაც მათი მასშტაბი და მნიშვნელობა აწონასწორებს, *„ფართო დიაპაზონის პროგნოზები“* ან *„ფართომასშტაბიანი პროგნოზები“* დავარქვათ. ისტორიციზმის თანახმად, სოციოლოგიამ სწორედ ამ ტიპის პროგნოზების გაკეთება უნდა სცადოს.

უეჭველია, რომ ზოგიერთ მეცნიერებაში ამგვარი ფართომასშტაბიანი პროგნოზები – ფართო სპექტრისა და, ალბათ, რამდენადმე ბუნდოვანი პროგნოზები, შეიძლება გამართლდეს. მნიშვნელოვანი და საკმაოდ წარმატებული ფართომასშტაბიანი პროგნოზების მაგალითები ასტრონომიაში მოიპოვება. ასეთია პერიოდული კანონების საფუძველზე მზის აქტივობის (რაც კლიმატის ცვალებადობის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი) ანდა ატმოსფეროს ზედა ფენების იონიზაციის ყოველდღიური და სეზონური ცვლილებების (რაც რადიოკომუნიკაციისათვისაა მნიშვნელოვანი) პროგნოზირება. ეს პროგნოზები მზის დაბნელების პროგნოზირების მსგავსია, რადგან ისინი შედარებით შორეული მომავლის მოვლენებს ეხება, თუმცა, მისგან განსხვავებით, ისინი ხშირად მხოლოდ სტატისტიკურია და დეტალების, ვადებისა და სხვა ნიშნების თვალსაზრისით, ყოველთვის ნაკლები სიზუსტით ხასიათდება. ცხადია, რომ ფართომასშტაბიანი პროგნოზები თავისთავად, შეიძლება არც იყოს გამოუსადეგარი და თუ სოციალურ მეცნიერებებს საერთოდ შეუძლიათ გრძელვადიანი პროგნოზების მოცემა, მაშინ სავსებით ნათელია, რომ ეს მხოლოდ ისეთი პროგნოზები შეიძლება იყოს, რომლებიც აღვწერეთ როგორც ფართომასშტაბიანი. მეორე მხრივ, ისტორიციზმის ანტინატურალისტური დოქტრინების ამ ექსპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ სოციალურ მეცნიერებებში *მოკლევადიან პროგნოზებს* უფრო დიდი ნაკლი ახასიათებს. სიზუსტის ნაკლებობამ ისინი საგრძნობლად უნდა დაზარალოს, რადგან თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, რამდენადაც ისინი ხანმოკლე პერიოდებთანაა დაკავშირებული, მხოლოდ დეტალებს, სოციალური ცხოვრების არაარსებით ნიშნებს შეიძლება ეხებოდეს. მაგრამ დეტალების ისეთი პროგნოზირება, რომელიც სწორედ დეტალებში უშვებს უზუსტობას, სავსებით უსარგებლოა. ამრიგად, თუკი საერთოდ დაინტერესებული ვართ სოციალური პროგნოზირებით, მაშინ, ისტორიციზმის თანახმად, ფართომასშტაბიანი პროგნოზი (რომელიც, ამავე დროს, გრძელვადიანი(ცაა), არა მხოლოდ ყველაზე მიმზიდველი, არამედ ერთადერთიცაა, რომელიც ამგვარ მცდელობას იმსახურებს.

## 12. დაკვირვების საფუძველი

ნებისმიერი მეცნიერებისათვის დაკვირვების არაექსპერიმენტული საფუძველი ყოველთვის „ისტორიულია“, ამ ტერმინის გარკვეული მნიშვნელობით. ეს ასეა ასტრონომიის დაკვირვების საფუძვლის მიმართაც კი. ფაქტები, რომლებსაც ასტრონომია ეფუძნება, ობსერვატორიის ჩანაწერებშია თავმოყრილი. ეს ჩანაწერები კი გვამცნობენ, რომ, მაგალითად, ამა და ამ რიცხვში (საათზე, წამზე) ამა და ამ ბატონმა პლანეტა მერკურის ესა და ეს მდებარეობა დააფიქსირა. მოკლედ, ეს ჩანაწერები „მოვლენათა დროში თანმიმდევრობის რეესტრს“ ანუ დაკვირვებათა ქრონიკას გვაწვდიან.

სოციოლოგიის დაკვირვების საფუძველიც, ასევე, მხოლოდ მოვლენათა, სახელდობრ, პოლიტიკურ ან სოციალურ ხდომილებათა ქრონიკის ფორმით შეიძლება მოგვეცეს. პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი

ხდომილებების ამ ქრონიკას, ტრადიციულად, „ისტორიას“ უწოდებენ. ისტორია, ამ ვიწრო მნიშვნელობით, სოციოლოგიის საფუძველია.

ამ ვიწრო აზრით, ისტორიის როგორც სოციალური მეცნიერების ემპირიული საფუძვლის მნიშვნელობის უარყოფა სასაცილო იქნებოდა. მაგრამ ისტორიციზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი პრეტენზია, რომელიც ექსპერიმენტული მეთოდის გამოსადეგობის უარყოფასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, იმაში მდგომარეობს, რომ ისტორია – როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური – სოციოლოგიის *ერთადერთი* ემპირიული წყაროა. მაშასადამე, ისტორიცისტი სოციოლოგიას უყურებს როგორც თეორიულ და ემპირიულ მეცნიერებას, რომლის ემპირიულ საფუძველს მხოლოდ ისტორიის ფაქტების ქრონიკა ქმნის და რომლის მიზანიც პროგნოზების, უპირატესად, ფართომასშტაბიანი პროგნოზების მოცემაა. ცხადია, რომ *ეს პროგნოზებიც ასევე ისტორიული ხასიათის უნდა იყოს,* რადგან ცდაში შემოწმება, დადასტურება, ან დარღვევა მომავალ ისტორიას უნდა დავუტოვოთ. ამრიგად, ისტორიციზმის თვალთახედვით, სოციოლოგიის ამოცანა ფართომასშტაბიანი ისტორიული პროგნოზების გაკეთება და მათი შემოწმებაა. მოკლედ, ისტორიცისტი ამტკიცებს, რომ *სოციოლოგია თეორიული ისტორიაა.*

## 13. სოციალური დინამიკა

ანალოგია სოციალურ მეცნიერებასა და ასტრონომიას შორის შეიძლება კიდევ უფრო გავაღრმაოთ. ასტრონომიის ნაწილი – ზეციური მექანიკა, რომელსაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ისტორიცისტები, ემყარება დინამიკას, ძალებით დეტერმინირებული მოძრაობის თეორიას. ისტორიცისტები ხშირად დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სოციოლოგიაც ასევე უნდა დაეფუძნოს სოციალურ დინამიკას, სოციალური (ან ისტორიული) ძალებით დეტერმინირებული სოციალური მოძრაობის თეორიას.

ფიზიკოსმა იცის, რომ სტატიკა მხოლოდ და მხოლოდ დინამიკისგან აბსტრაქციაა. ეს, ასე ვთქვათ, არის თეორია, რომელიც გვიხსნის, თუ როგორ და რატომაა, რომ



გარკვეულ პირობებში არაფერი ხდება, ე.ი. გვიხსნის იმას, თუ რატომ არ გვაქვს ცვლილება და ამას ურთიერთმოქმედი ძალების თანასწორობაზე მითითებით აკეთებს. დინამიკა, თავის მხრივ, ზოგად შემთხვევას ე.ი. თანასწორ ან უთანასწორო ძალებს სწავლობს და ის შეიძლება აღვწეროთ როგორც თეორია, რომელიც გვიხსნის, თუ როგორ და რატომ ხდება რაღაც. ამრიგად, მხოლოდ დინამიკას შეუძლია მექანიკის ნამდვილი, უნივერსალურად მართებული კანონები მოგვცეს: ბუნება ხომ პროცესია; ის მოძრაობს, იცვლება, ვითარდება, თუმცა ზოგჯერ იმდენად ნელა, რომ რაღაც განვითარება შეიძლება ძნელად დაკვირვებადი იყოს.

დინამიკის ამგვარი გაგებისა და სოციოლოგიის ისტორიცისტული გაგების ანალოგიურობა უეჭველია და შემდგომ კომენტარს არ საჭიროებს. მაგრამ ისტორიცისტს შეუძლია განაცხადოს, რომ ანალოგია უფრო ღრმაა. მან შეიძლება განაცხადოს, რომ მაგალითად, სოციოლოგია, როგორც ის ისტორიციზმშია გაგებული, დინამიკის მონათესავეა, რადგან ის თავისი არსით მიზეზობრივი თეორიაა, ხოლო მიზეზობრივი ახსნა, ზოგადად, იმის ახსნაა, თუ როგორ და რატომ ხდება გარკვეული მოვლენები. არსებითად, ასეთ ახსნაში ყოველთვის უნდა იყოს რაღაც ისტორიული ელემენტი. თუ ფეხმოტეხილ ადამიანს ვკითხავთ, როგორ და რატომ დაემართა ეს, მოსალოდნელია, რომ მან ამ უბედური შემთხვევის ისტორია გვიამბოს. მაგრამ თეორიული აზროვნების დონეზეც კი, და განსაკუთრებით პროგნოზირების შესაძლებლობის დამშვები თეორიების დონეზე, მოვლენის მიზეზების ისტორიული ანალიზი აუცილებელია. ისტორიცისტი განაცხადებს, რომ ისტორიული მიზეზობრივი ანალიზის აუცილებლობის ტიპური ნიმუში ომის წარმოშობის ან მისი არსებითი მიზეზების პრობლემაა.

ფიზიკაში ასეთი ანალიზი მიიღწევა ურთიერთმოქმედი ძალების დადგენით, ე.ი. დინამიკით. ისტორიცისტი ამტკიცებს, რომ სოციოლოგიაც ასე უნდა მოიქცეს. მან უნდა გააანალიზოს სოციალური ცვლილებების გამომწვევი და კაცობრიობის ისტორიის შემოქმედი ძალები. დინამიკა გვაგებინებს, თუ როგორ ქმნიან ურთიერთმოქმედი ძალები ახალ ძალებს და პირიქით, ძალების მათ შემადგენელ კომპონენ-

ტებად დაშლით შესაძლებელი ხდება განსახილველ მოვლენათა უფრო ფუნდამენტურ მიზეზებამდე მიღწევა. ისტორიცისტი მოითხოვს, რომ ასეთნაირადვე მოხდეს ისტორიული ძალების, როგორც სულიერის, ასევე მატერიალურის, მაგალითად, რელიგიური ან ეთიკური იდეების ანდა ეკონომიკური ინტერესების, ფუნდამენტური მნიშვნელობის აღიარება. ამ მოცილე ტენდენციებისა და ძალების ჯაგნარის გაკაფვა, მათი ანალიზი და მათ ფესვებამდე, სოციალური ცვლილებების მამოძრავებელ უნივერსალურ ძალებამდე და კანონებამდე მიღწევა, ისტორიცისტის აზრით, სოციოლოგიის ამოცანაა. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი განვავითაროთ თეორიული მეცნიერება, რომელიც ფართომასშტაბიანი პროგნოზების საფუძვლად გამოგვადგება, ხოლო ამ პროგნოზების დადასტურება კი სოციალური მეცნიერების წარმატების მაუწყებელი იქნება.

## 14. ისტორიული კანონები

ისტორიცისტისათვის, როგორც ვნახეთ, სოციოლოგია თეორიული მეცნიერებაა. მისი მეცნიერული პროგნოზები კანონებს უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო რამდენადაც ეს ისტორიული პროგნოზებია, სოციალური ცვლილების პროგნოზებია, ისინი ისტორიულ კანონებს უნდა ეფუძნებოდეს.

მაგრამ ამავე დროს ისტორიცისტები მიიჩნევენ, რომ განზოგადების მეთოდი სოციალურ მეცნიერებაში არ გამოგვადგება და რომ არ შეიძლება იმის დაშვება, თითქოს სოციალური ცხოვრების ერთგვარობები ყველგან და ყოველთვის ერთნაირად მართებულია, რადგან ისინი ჩვეულებრივ მხოლოდ რაიმე კონკრეტული კულტურული ან ისტორიული პერიოდის მიმართ გამოიყენება ხოლმე. ამდენად, სოციალურ კანონებს, თუკი რაიმე რეალური სოციალური კანონები არსებობს, ერთგვარობების საფუძველზე მიღებული ჩვეულებრივი განზოგადებებისაგან რამდენადმე განსხვავებული სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. რეალური სოციალური კანონები „ზოგადად“ მართებული უნდა იყოს. მაგრამ ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ისინი კაცობრიობის მთელი ისტორიის მიმართ გამოიყენება, მოიცავს მის ყველა პერიოდს და



არა მხოლოდ ზოგიერთს. მაგრამ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი სოციალური ერთგვარობები, რომლებსაც ძალა ცალკეული პერიოდის შემდეგაც ექნება. ამდენად, საზოგადოების ერთადერთი უნივერსალურად მართებული კანონები *თანმიმდევრული პერიოდების დამაკავშირებელი* კანონები უნდა იყოს. ისინი უნდა იყოს *ისტორიული განვითარების კანონები*, რომლებიც ერთი პერიოდიდან მეორეზე გადასვლას განაპირობებენ. სწორედ ამას გულისხმობენ ისტორიცისტები, როცა ამბობენ, რომ სოციოლოგიის რეალური კანონები მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული კანონებია.

## 15. ისტორიული წინასწარმეტყველება სოციალური ინჟინერიის წინააღმდეგ

როგორც მივუთითეთ, ეს ისტორიული კანონები (თუკი მათი აღმოჩენა შესაძლებელია) უშორესი მომავლის მოვლენების პროგნოზირების შესაძლებლობას მოგვცემდა, თუმცა კი დეტალური სიზუსტის დაუცველად. ამრიგად, დოქტრინა, რომლის თანახმად რეალური სოციოლოგიური კანონები ისტორიული კანონებია (დოქტრინა, რომელიც ძირითადად სოციალური ერთგვარობების შეზღუდული მართებულობის საფუძველზე წარმოიშვა) უბრუნდება „ფართომასშტაბიანი პროგნოზების“ იდეას ისე, რომ ასტრონომიის მიბაძვას არც კი ცდილობს. თანაც ამ იდეას უფრო აკონკრეტებს, რადგან უჩვენებს, რომ ასეთ პროგნოზებს წინასწარმეტყველური ხასიათი აქვს.

ასეთნაირად, ისტორიცისტისათვის სოციოლოგია მომავლის – არა იმდენად ინდივიდის, რამდენადაც ჯგუფებისა და კაცთა მოდგმის მომავლის – წინასწარმეტყველების ძველთაძველი პრობლემის გადაჭრის მცდელობად გარდაიქმნება. ეს მოსალოდნელ მოვლენათა, მომწიფებულ განვითარებათა მეცნიერებაა. თუკი მეცნიერულად ღირებული პოლიტიკური განჭვრეტით ჩვენი შეიარაღების მცდელობა წარმატებული აღმოჩნდებოდა, მაშინ სოციოლოგია ფასდაუდებელი გახდებოდა პოლიტიკოსებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისი გამჭრიახობაც აწმყოს მოთხოვნების საზღვრებს სცილდება, იმ პოლიტიკოსებისათვის, რომლებსაც ისტორიული ბედის-

წერის განცდა აქვთ. მართალია, ზოგიერთი ისტორიცისტი კაცობრიობის პილიგრიმობის მხოლოდ უახლოესი შემდგომი ეტაპების, თანაც მეტად ფრთხილ ტერმინებში, პროგნოზირებითაც კმაყოფილდება. მაგრამ ყველა მათგანი ერთ იდეას იზიარებს – სოციოლოგიური კვლევა პოლიტიკური მომავლის გამოაშკარავებაში უნდა დაგვეხმაროს და ამით ის შეძლებს შორსმჭვრეტელური პრაქტიკული პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტად იქცეს.

მეცნიერების პრაგმატული ღირებულების თვალსაზრისით მეცნიერული პროგნოზების მნიშვნელობა სავსებით ცხადია. თუმცა ყოველთვის არ არის გაცნობიერებული, რომ შესაძლებელია მეცნიერებაში ორი განსხვავებული სახის პროგნოზი და, შესაბამისად, პრაქტიკულობის ორი განსხვავებული ტიპი დავადგინოთ. ჩვენ შეგვიძლია (a) ტაიფუნის მოახლოების პროგნოზირება, რასაც უდიდესი პრაქტიკული ღირებულება ექნება, რადგან ადამიანები დროულად შეძლებენ თავშესაფრის პოვნას; მაგრამ ჩვენ ასევე შეგვიძლია იმის პროგნოზირება, რომ (b) თუ რაიმე საფარმა ტაიფუნს უნდა გაუძლოს, მაშინ ის გარკვეული წესის დაცვით უნდა იყოს აგებული, მაგალითად, ჩრდილოეთით მას რკინაბეტონის ბიჯგები უნდა ჰქონდეს.

პროგნოზის ეს ორი სახე, ცხადია, ძალიან განსხვავებულია, თუმცა ორივე მნიშვნელოვანია და საუკუნოვანი ოცნებების ახდენას ემსახურება. პირველ შემთხვევაში ვიგებთ რაღაცა მოვლენის შესახებ, რომლის აცილებაც არ შეგვიძლია. ასეთ პროგნოზებს „წინასწარმეტყველებას“ დავარქმევ. მისი პრაქტიკული ღირებულება იმით განისაზღვრება, რომ ჩვენ გაფრთხილებული ვართ ამ პროგნოზირებული მოვლენის თაობაზე, ასე რომ შეგვიძლია ან გავერიდოთ მას, ანდა მომზადებული შევხვდეთ (შესაძლებელია, ამაში მეორე სახის პროგნოზი დაგვეხმაროს).

ასეთ პროგნოზებს უპირისპირდება მეორე სახის პროგნოზები, რომლებიც შეიძლება აღვწეროთ როგორც *ტექნოლოგიური*, რადგან ამ სახის პროგნოზები *ინჟინერიის* საფუძველს ქმნიან. ისინი, ასე ვთქვათ, კონსტრუქტიულია და იმ საფეხურებზე მიგვანიშნებენ, რომლებიც გამოვლინდება *თუკი* რაღაც გარკვეული შედეგების მიღება გვინდა. ფიზიკის უდიდესი ნაწილი (თითქმის მთლიანადაც კი, ასტრონომიასა და მეტეოროლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ) ისეთ პროგნოზებს გვაწვდის, რომლებიც, თუ მათ პრაქტიკულ თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება აღვწეროთ როგორც ტექნოლოგიური. განსხვავება პროგნოზირების ამ ორ სახეს შორის დაახლოებით ემთხვევა იმ განსხვავებას, რომელიც რომელიმე მოცემულ მეცნიერებაში დაგეგმილი ექსპერიმენტის როლის მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობასა და უბრალოდ საგულდაგულო დაკვირვებას შორის არსებობს. ტიპური ექსპერიმენტული მეცნიერებები ტექნოლოგიურ პროგნოზებს ქმნიან, მაშინ როცა ის მეცნიერებები, რომლებიც ძირითადად არაექსპერიმენტულ დაკვირვებებს ეყრდნობიან, წინასწარმეტყველებებს გვაწვდიან.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მიმანდეს, რომ ყველა მეცნიერება ან თუნდაც ყველა მეცნიერული პროგნოზი ფუნდამენტურად პრაქტიკულია, რომ ისინი აუცილებლად ან წინასწარმეტყველურია ან ტექნოლოგიური და სხვა რამ შეუძლებელია. მე მხოლოდ პროგნოზირების ამ ორი სახისა და მათი შესაბამისი მეცნიერებების განსხვავებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ტერმინების „წინასწარმეტყველური“ და „ტექნოლოგიური“ არჩევით მათ იმ თვისებაზე მინდა მივანიშნო, რომელსაც ისინი მათი პრაგმატული თვალსაზრისით განხილვისას ავლენენ. მაგრამ ამ ტერმინოლოგიის გამოყენება არც იმას ნიშნავს, რომ პრაგმატული თვალსაზრისი აუცილებლად უპირატესია ნებისმიერ სხვა თვალსაზრისთან შედარებით და არც იმას, რომ მეცნიერული ინტერესი მხოლოდ პრაგმატულად მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველებებითა და ტექნოლოგიური ხასიათის პროგნოზებით იზღუდება. თუ განვიხილავთ, მაგალითად, ასტრონომიას, მაშინ იმის აღიარება მოგვიწევს, რომ მისი აღმოსენები უმთავრესად თეორიული მნიშვნელობისაა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც პრაგმატული თვალსაზრისითაა მოკლებული ღირებულებას. მაგრამ როგორც „წინასწარმეტყველებები“, ყველა მათგანი მეტეოროლოგიური წინასწარმეტყველებების მსგავსია, ხოლო უკანასკნელთა ღირებულება პრაქტიკული მოქმედებებისათვის სავსებით ცხადია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება მეცნიერებების წინასწარმეტყველურ და ინჟინერულ ხასიათს შორის არ შეესატყვისება განსხვავებას ფართომასშტაბიან და მცირემასშტაბიან პროგნოზებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ინჟინერული პროგნოზების უმეტესობა მცირემასშტაბიანია, არსებობენ ფართომასშტაბიანი ტექნოლოგიური პროგნოზებიც, ასეთია, მაგალითად, ძრავის ექსპლოატაციის ვადის პროგნოზირება. ამასთანავე, ასტრონომიული წინასწარმეტყველება შეიძლება იყოს როგორც მცირე, ასევე ფართომასშტაბიანი, მეტეოროლოგიური წინასწარმეტყველებების უმრავლესობა კი მცირემასშტაბიანია.

შემდგომში ვნახავთ, რომ განსხვავება ამ პრაქტიკულ მიზანს – წინასწარმეტყველებასა და ინჟინერიას შორის და შესაბამისი განსხვავება შესატყვისი მეცნიერული თეორიების სტრუქტურაში ჩვენი მეთოდოლოგიური ანალიზის ერთერთი მთავარი პუნქტია. ამჯერად კი მხოლოდ იმის ხაზგასმა მსურს, რომ ისტორიცისტები, სრულ თანხმობაში იმ საკუთარ რწმენასთან, რომ სოციოლოგიური ექსპერიმენტი უსარგებლო და შეუძლებელია, იცავენ ისტორიულ წინასწარმეტყველებას – სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური განვითარების წინასწარმეტყველებას და უპირისპირდებიან სოციალურ ინჟინერიას, როგორც სოციალური მეცნიერებების პრაქტიკულ მიზანს. ზოგიერთი ისტორიცისტის აზრით, სოციალური ინჟინერიის, ინსტიტუტების დაგეგმვისა და შექმნის იდეა, რომლის მიზანიცაა, ვოქვათ, დაპატიმრება ან კონტროლი ანდა მომწიფებული სოციალური ცვლილებების დაჩქარება, მისაღებია. სხვებისათვის კი ეს თითქმის უიმედო ანდა ისეთი წამოწყებაა, რომელიც არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური დაგეგმვა, ისევე როგორც ნებისმიერი სოციალური აქტივობა, ისტორიული ძალების უმაღლეს გამგებლობას უნდა ემორჩილებოდეს.

## 16. ისტორიული განვითარების თეორია

ამ მოსაზრებებმა იმ არგუმენტაციის შუაგულში შეგვიყვანა, რომლისთვისაც „ისტორიციზმის“ დარქმევას გთავაზობთ. ეს არგუმენტები ამ იარლიყის არჩევანს ამართლებენ.



სოციალური მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა ისტორია: ეს თეზისია. თუმცა არატრადიციულად გაგებული ისტორია როგორც ისტორიული ფაქტების უბრალო ქრონიკა. ისტორიის ის სახე, რომელთანაც ისტორიცისტს სოციოლოგიის იდენტიფიცირება სურს, მხოლოდ უკან, წარსულისაკენ კი არ იხედება, არამედ წინაც, მომავლისაკენ. ის მოქმედი ძალებისა და, პირველ ყოვლისა, სოციალური განვითარების კანონების მეცნიერებაა. შესაბამისად, შესაძლებელია მისი როგორც ისტორიული თეორიის ან როგორც თეორიული ისტორიის აღწერა, რადგან ერთადერთი საყოველთაოდ მართებული კანონები იდენტიფიცირებულია როგორც ისტორიული კანონები. ისინი პროცესის, ცვლილების, განვითარების კანონები უნდა იყოს და არა მოჩვენებითი მოტივებისა თუ ერთგვარობების ფსევდოკანონები. ისტორიცისტები თვლიან, რომ სოციოლოგებმა უნდა სცადონ ზოგადი წარმოდგენის შემუშავება იმ *ყოვლისმომცველი ტენდენციების* შესახებ, რომელთა შესაბამისადაც იცვლება სოციალური სტრუქტურები. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ჰიპოთეზები სოციალური განვითარების საფუძვლადმდებარე ზოგადი ტენდენციების შესახებ, რათა ამ კანონებიდან წინასწარმეტყველებების დედუცირებით ადამიანებმა მომწიფებულ ცვლილებებთან ადაპტირება შეძლონ.

სოციოლოგიის ისტორიცისტული გაგება შეიძლება კიდევ უფრო ნათელი გავხადოთ, თუ ორი სახის პროგნოზებს შორის ჩემს მიერ დადგენილ განსხვავებასა და მეცნიერების ორ კლასს შორის შესაბამის განსხვავებას გავითვალისწინებთ. ისტორიციზმის მეთოდოლოგიის საპირისპიროდ შეგვიძლია მივიღოთ მეთოდოლოგია, რომლის მიზანი *ტექნოლოგიური სოციალური მეცნიერებაა*. ასეთი მეთოდოლოგია მიგვიყვანდა სოციალური ცხოვრების ზოგადი კანონების კვლევასთან ყველა იმ ფაქტის აღმოჩენის მიზნით, რომლებიც ფასდაუდებელი საფუძველია მათთვის, ვინც სოციალური ინსტიტუტების რეფორმირებისათვის იღვწის. უეჭველია, რომ ასეთი ფაქტები არსებობს. ჩვენ, მაგალითად, ვიცნობთ მრავალ უტოპიურ სისტემას, რომლებიც მხოლოდ იმის გამოა არარეალიზებადი, რომ მათში ასეთი ფაქტები სათანადოდ გააზრებული არ არის. ის ტექნოლოგიური მეთოდოლოგია,

რომელსაც ახლა განვიხილავთ, სწორედ ასეთი არარეალისტური კონსტრუქციების არიდებისათვის საჭირო საშუალებების მოძიებას დაისახავდა მიზნად. ის ანტიისტორიცისტული იქნებოდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ანტიისტორიული. ისტორიული გამოცდილება მისთვის ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო იქნებოდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სოციალური განვითარების კანონების აღმოჩენა ეცადა, ის ან სოციალური ინსტიტუტების აგების შემზღუდავი მრავალნაირი კანონის ანდა სხვა ერთგვარობების ძებნას შეუდგებოდა (თუმცა, როგორც ისტორიცისტები აცხადებენ, ასეთი ერთგვარობები არ არსებობს).

უკვე განხილული ტიპის კონტრარგუმენტების გამოყენებასთან ერთად, ისტორიცისტი ამგვარი სოციალური ტექნოლოგიის შესაძლებლობასა და უტილიტარულობას სხვა მხრივაც დააყენებდა ეჭვქვეშ. მოდით, დავუშვათ, გვეტყოდა ის, რომ სოციალურმა ინჟინერმა შეიმუშავა ახალი სოციალური სტრუქტურის გეგმა ისეთი სოციოლოგიის დახმარებით, როგორიც თქვენ წარმოგვიდგინეთ. ვგულისხმობთ, რომ ეს გეგმა პრაქტიკულიცაა და რეალისტურიც იმ აზრით, რომ სოციალური ცხოვრების ცნობილ ფაქტებსა და კანონებთან კონფლიქტს არ წარმოშობს. იმასაც ვუშვებთ, რომ ეს გეგმა ამჟამინდელი საზოგადოების ახალ სტრუქტურად ტრანსფორმირების ასევე განხორციელებადი შემდგომი გეგმითაცაა გაძლიერებული. ამ შემთხვევაშიც კი ისტორიცისტულ არგუმენტებს შეუძლია იმის ჩვენება, რომ ასეთი გეგმა მეტნაკლებად სერიოზულ განხილვასაც კი არ იმსახურებს. ის მაინც არარეალისტურ და უტოპიურ ოცნებად დარჩება სწორედ იმის გამო, რომ ის ისტორიული განვითარების კანონებს არ ითვალისწინებს. სოციალურ რევოლუციებს რაციონალური გეგმები კი არ ახდენენ, არამედ სოციალური ძალები, მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტები. ძველთაძველი წარმოდგენა ძლევამოსილი მეფე-ფილოსოფოსის შესახებ, რომელიც რაიმე კარგად გააზრებული გეგმის განხორციელებას შეძლებდა, მიწათმფლობელური არისტოკრატიის სასარგებლოდ შეთხზული ზღაპარი იყო. ამ ზღაპრის დემოკრატიული ეკვივალენტი ის ცრურწმენაა, რომ რაციონალური არგუმენტების გამოყენებით შესაძლებელია კეთილი ნების



ადამიანთა საკმაო რაოდენობა დავარწმუნოთ, რომ დაგეგმილი მოქმედება განახორციელონ. ისტორია გვიჩვენებს, რომ სოციალური რეალობა სავსებით განსხვავებულია. თეორიული კონსტრუქციები, რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს, არასოდეს არ ახდენს სოციალური განვითარების მიმართულების ფორმირებას, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარ სქემებს, მრავალ სხვა ნაკლებად რაციონალურ (ან სავსებით ირაციონალურ) ფაქტორთან ერთად, გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რაიმე ასეთი რაციონალური გეგმა ძალაუფლების მქონე ჯგუფების ინტერესებს თანხვდება, ის ვერასოდეს ვერ განხორციელდება ისე, როგორც ჩაფიქრებული იყო, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბრძოლა მისი რეალიზაციისათვის ამ პერიოდში ისტორიული პროცესის მთავარ ფაქტორად შეიძლება იქცეს. რეალური შედეგი რაციონალური კონსტრუქციისაგან ყოველთვის ძალიან განსხვავებული აღმოჩნდება. ის ყოველთვის მოცილე ძალების ხანმოკლე განლაგების ტოლქმედი იქნება. მეტიც, რაციონალური დაგეგმვის შედეგი ვერანაირ პირობებში ვერ გახდება სტაბილური სტრუქტურა, რადგან ძალთა ბალანსი აუცილებლად შეიცვლება. სოციალური ინჟინერია მთლიანად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ამაყობს თავისი რეალიზმითა და მეცნიერული ხასიათით, უტოპიურ ოცნებად დასარჩენადაა განწირული.

აქამდე, იტყოდა ისტორიცისტი, არგუმენტაცია რაიმე თეორიულ სოციალურ მეცნიერებაზე დაფუძნებული სოციალური ინჟინერიის პრაქტიკული შესაძლებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული და არა თვით ასეთი მეცნიერების იდეის წინააღმდეგ. თუმცა ის ადვილად შეიძლება ისე განვავრცოთ, რომ ტექნოლოგიური ტიპის ნებისმიერი თეორიული სოციალური მეცნიერების შეუძლებლობა დავამტკიცოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ პრაქტიკული ინჟინერული წამოწყებები, უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური ფაქტებისა და კანონების გამო, წარუმატებლობისათვისაა განწირული. მაგრამ ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ასეთ წამოწყებას არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს, არამედ იმასაც რომ ის თეორიულად უსაფუძვლოა, რადგან არ ითვალისწინებს ნამდვილად ყველაზე მნიშვნელოვან სოციოლოგიურ კანონებს

– განვითარების კანონებს. ამ კანონებისათვის ყურადღება
იმ „მეცნიერებასაც“ კი არ მიუქცევია, რომელსაც ეს წამოწ-
ყება ვითომდა ეფუძნება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში
ის არასოდეს არ შექმნიდა ასეთი არარეალისტური კონს-
ტრუქციების საფუძველს. ნებისმიერი სოციალური მეცნიე-
რება, რომელიც რაციონალური სოციალური კონსტრუქცი-
ების შეუძლებლობას არ გვასწავლის, სრულ სიბრმავეს
იჩენს სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტების
მიმართ და ყურადღების მიღმა სწორედ ის სოციალური კა-
ნონები რჩება, რომლებიც მართლაც მართებულია და მარ-
თლაც მნიშვნელოვანი. სოციალური მეცნიერებები, რომლებიც
სოციალური ინჟინერიისათვის წინაპირობების შექმნას ცდი-
ლობენ, ვერ შეძლებენ სოციალური ფაქტების ჭეშმარიტი
აღწერა მოგვაწოდონ. ისინი თვითონვე არიან შეუძლებელნი.

ისტორიცისტი განაცხადებს, რომ ამ ამომწურავი კრი-
ტიკის გარდა, ტექნოლოგიური სოციოლოგიების უკუგდების
სხვა საფუძველიც არსებობს. ერთ-ერთი, მაგალითად, ისაა,
რომ ისინი უყურადღებოდ ტოვებენ სოციალური განვითა-
რების ისეთ ასპექტს, როგორიცაა სიახლის წარმოშობა. ამ-
რი, რომ შესაძლებელია რაციონალურად, მეცნიერულ საფ-
ფუძველზე ავაგოთ ახალი სოციალური სტრუქტურა, იმას
გულისხმობს, რომ შესაძლებელია მომზადებული გეგმის შე-
სატყვისად, მეტ-ნაკლები სიზუსტით, ახალი სოციალური პე-
რიოდის არსებობას მივცეთ დასაბამი. თუმცა თუ გეგმა
ისეთი მეცნიერების საფუძველზე იქნება შემუშავებული, რო-
მელიც სოციალურ ფაქტებს ითვალისწინებს, მაშინ ის არ-
სებითად ახალ თვისებებს კი არ მოგვცემს, არამედ მხო-
ლოდ არსებულის ახლებურ განლაგებას (იხილეთ, პარაგრა-
ფი მე-3). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ახალი პერიოდი თავისი
საკუთარი შინაგანი სიახლით იქნება გამორჩეული – ამ არ-
გუმენტმა ნებისმიერი დეტალური დაგეგმვა ამაოდ, ხოლო
ნებისმიერი მეცნიერება, რომლის საფუძველზეცაა ის შემუ-
შავებული, არაჭეშმარიტად უნდა აქციოს.

ეს ისტორიცისტული მოსაზრებები შეიძლება ყველა
სოციალურ მეცნიერებაზე, მათ შორის ეკონომიკაზეც გავავრ-
ცელოთ. შესაბამისად, ეკონომიკა სოციალურ რეფორმასთან
დაკავშირებით რამდენადმე ღირებულ ინფორმაციას ვერ მი-



გვაწვდის. მხოლოდ ფსევდოეკონომიკა შეიძლება ცდილობ-
დეს რაციონალური ეკონომიკური დაგეგმვის საფუძვლის შექ-
მნას. ნამდვილად მეცნიერული ეკონომიკა მხოლოდ განსხ-
ვავებული ისტორიული პერიოდების ეკონომიკური განვითა-
რების მამოძრავებელი ძალების აღმოჩენაში შეიძლება და-
გვეხმაროს. მან შეიძლება მომავალი პერიოდების კონტურე-
ბის განჭვრეტაშიც შეგვიწყოს ხელი, მაგრამ ის ვერ შეძ-
ლებს რაიმე ახალი პერიოდის რადაც დეტალური გეგმის
შექმნასა და მის რეალიზებაში დაგვეხმაროს. ის, რაც სხვა
სოციალური მეცნიერებების მიმართაა ძალაში, ეკონომიკის
მიმართაც ძალაში უნდა იყოს. მისი საბოლოო მიზანი მხო-
ლოდ „ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელი ეკონომი-
კური კანონის აღმოჩენაა“ (მარქსი).

## 17. ინტერპრეტაცია სოციალური ცვლილების დაგეგმვის წინააღმდეგ

სოციალური განვითარების ისტორიცისტული გაგება არც
ფატალიზმს გულისხმობს და არც პასიურობისაკენ გვიბიძ-
გებს – ის ხომ სწორედ ამას უპირისპირდება. ისტორიცის-
ტების უმრავლესობა „აქტივიზმისკენ“ აშკარა მიდრეკილე-
ბას ამჟღავნებს (იხილეთ პარაგრაფი 1). ისტორიციზმი ნათ-
ლად ხედავს, რომ ჩვენი სურვილები და აზრები, ჩვენი ოც-
ნებები და ჩვენი სჯა, ჩვენი შიშები და ჩვენი ცოდნა, ჩვენი
ინტერესები და ჩვენი ენერგია საზოგადოების განვითარება-
ში მონაწილე ძალებია. ის არ გვასწავლის, რომ რაიმეს
შეცვლა შეუძლებელია. ის მხოლოდ იმის პროგნოზირებას
ახდენს, რომ ჩვენი ოცნებები და ჩვენი გონების მიერ აგე-
ბული კონსტრუქციები ვერასოდეს ვერ განხორციელდება
*გეგმის შესაბამისად*. ეფექტური მხოლოდ ისეთი გეგმები აღ-
მოჩნდება, რომლებიც ისტორიის ძირითად ნაკადს თანხვ-
დება. ახლა შეგვიძლია ზუსტად გავიგოთ, თუ რა სახის აქ-
ტივობა მიაჩნიათ ისტორიცისტებს გონივრულად. გონივრუ-
ლი მხოლოდ ისეთი აქტივობაა, რომელიც თანხვდება და
ხელს უწყობს მომწიფებულ ცვლილებებს. სოციალური ბებია-
ქალობა ჩვენთვის მისაწვდომი ერთადერთი სავსებით გონივ-

რული აქტივობაა, ეს ერთადერთი აქტივობაა, რომელიც მეცნიერულ წინასწარგანჭვრეტაზე შეიძლება დავაფუძნოთ.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მეცნიერულ თეორიას როგორც ასეთს არ შეუძლია წაგვაქეზოს აქტივობისაკენ (მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ხელი აგვაღებინოს ზოგიერთ აქტივობაზე როგორც არარეალურზე), არაპირდაპირ მას შეუძლია შეაგულიანოს ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მათ რადაც უნდა გააკეთონ. ისტორიციზმში ამ სახის შეგულიანება ნამდვილად არის მოცემული. ის ადამიანის გონებას გარკვეული როლის შესრულებასაც კი ანდობს, რადგან მხოლოდ მეცნიერულ აზროვნებას, ისტორიცისტულ სოციალურ მეცნიერებას შეუძლია გვიჩვენოს ის მიმართულება, რომლითაც ნებისმიერი გონივრული აქტივობა უნდა წარიმართოს, თუკი ის მომწიფებული ცვლილებების მიმართულებას უნდა დაემთხვეს.

ამრიგად, ისტორიული წინასწარმეტყველება და ისტორიის ინტერპრეტაცია ნებისმიერი გააზრებული და რეალისტური სოციალური მოქმედების საფუძველი უნდა გახდეს. შესაბამისად, ისტორიის ინტერპრეტაცია ისტორიცისტული მოძღვრების მთავარ საქმედ უნდა იქცეს და ეს, მართლაც, ასეა. ისტორიცისტის ყველა აზრი და ყველა აქტივობა წარსულის ინტერპრეტაციაზეა მიმართული, მიზანი კი მომავლის პროგნოზირებაა.

შეუძლია კი ისტორიციზმს იმ ადამიანების დაიმედება ან გამხნევება, ვისაც უკეთესი სამყაროს ხილვა სურს? ასეთი იმედის მოცემა მხოლოდ ისეთ ისტორიცისტს შეუძლია, რომელიც სოციალური განვითარების ოპტიმისტურ თვალსაზრისს იზიარებს და თვლის, რომ ეს განვითარება არსებითად „კარგი“ ან „რაციონალურია“ იმ აზრით, რომ ის ვითარების არსებითად უკეთესი, უფრო რაციონალური მდგომარეობისაკენ მიდის. მაგრამ ეს თვალსაზრისი სოციალური და პოლიტიკური სასწაულის რწმენის ტოლფასია, რადგან *ის უარყოფს, რომ ადამიანის გონებას უფრო გონივრული სამყაროს შექმნის ძალა აქვს.* მართლაც, ზოგიერთი გავლენიანი ისტორიცისტი ოპტიმისტურად წინასწარმეტყველებდა თავისუფლების სამეფოს მოსვლას, სადაც საზოგადოებრივი ვითარების რაციონალური დაგეგმვა იქნებოდა შესაძლებელი. ისინი



გვასწავლიან, რომ გადასვლა აუცილებლობის სამეფოდან, რომელშიც ამჟამად იტანჯება კაცობრიობა, თავისუფლებისა და გონების სამეფოში გონების დახმარებით კი არ მოხდება, არამედ – სასწაულებრივად – მხოლოდ მკაცრი აუცილებლობით, ისტორიული განვითარების ბრმა და ულმობელი კანონების წყალობით, რომლებსაც, როგორც ისინი გვარწმუნებენ, უნდა დავემორჩილოთ.

მათ, ვისაც სოციალურ ცხოვრებაში გონების გავლენის გაზრდა სურთ, ისტორიციზმმა მხოლოდ ისტორიის შესწავლა და ინტერპრეტაცია შეიძლება ურჩიოს, რათა ამით მათ ისტორიის განვითარების კანონები აღმოაჩინონ. თუ ასეთი ინტერპრეტაცია ნათელყოფს, რომ ცვლილებები, რომლებიც მათ სურვილს პასუხობს, მომწიფებულია, მაშინ ეს სურვილი გონივრულია, რადგან ის თანხმობაშია მეცნიერულ პროგნოზთან. თუკი აღმოჩნდება, რომ მომწიფებული განვითარება სხვა მიმართულებისაა, მაშინ სამყაროს უფრო გონივრულად მოწყობის სურვილი სავსებით არაგონივრული აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში ისტორიცისტებისათვის ის მხოლოდ უტოპიური ოცნებაა. აქტივიზმი მხოლოდ იმდენად შეიძლება გამართლდეს, რამდენადაც ის თანხმობაშია მომწიფებულ ცვლილებებთან და მათ განხორციელებას უწყობს ხელს.

უკვე ვუჩვენე, რომ ნატურალისტური მეთოდი ისე, როგორც ის ისტორიციზმშია გაგებული, გარკვეულ სოციოლოგიურ თეორიას გულისხმობს – თეორიას, რომლის თანახმად საზოგადოება საგრძნობლად არც ვითარდება და არც იცვლება. ახლა კი ვნახეთ, რომ ისტორიცისტული მეთოდიც საოცრად მსგავს სოციოლოგიურ თეორიას გულისხმობს – თეორიას, რომლის თანახმად საზოგადოება აუცილებლად იცვლება, ოღონდ გარდაუვალი აუცილებლობით წინასწარდადგენილი საფეხურების გავლით, რაღაც წინასწარგანსაზღვრული მიმართულებით, რომლის შეცვლაც შეუძლებელია.

„მაშინაც კი, როცა საზოგადოება აღმოაჩენს მისი საკუთარი მოძრაობის მადეტერმინირებელ ბუნებრივ კანონს, მას არც საკუთარი ევოლუციის ბუნებრივი ფაზების გამოტოვება შეუძლია და არც კალმის ერთი მოსმით მათი აშორება სამყაროდან. მაგრამ მას ერთი რამის ფაკეთება მაინც

შეუძლია: მას შეუძლია სამშობიარო ტკივილების შემოკლება და შემცირება“. ეს ფორმულირება, რომელიც მარქსს მეუთვნის[1], შესანიშნავად წარმოგვიდგენს ისტორიცისტულ პოზიციას. თუმცა ის არც პასიურობას გვასწავლის და არც რეალურ ფატალიზმს. ისტორიციზმი მომწიფებული ცვლილებების შეცვლის ნებისმიერი მცდელობის ამაოებას გვასწავლის: ეს ფატალიზმის სპეციფიკური სახესხვაობაა, ეს არის, ასე ვთქვათ, ფატალიზმი ისტორიის ტენდენციებთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, „აქტივისტური“ შეგონება, რომ „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად *განმარტავდნენ* სამყაროს, საქმე *მისი შეცვლაა*“[2], ცვლილების აქცენტირების გამო, ალბათ, ისტორიცისტების დიდ თანაგრძნობას დაიმსახურებს (იმის წყალობით, რომ „სამყარო“ აქ ადამიანთა განვითარებად საზოგადოებას ნიშნავს). მაგრამ ის ეწინააღმდეგება ისტორიციზმის უმნიშვნელოვანეს დოქტრინებს, რადგან, როგორც ახლა ვხედავთ, შესაძლებელია ვთქვათ: „ისტორიცისტს მხოლოდ სოციალური განვითარების *ინტერპრეტაცია* და სხვადასხვა ასპექტით მისთვის ხელის შეწყობა ძალუძს; თუმცა მისი თვალსაზრისით, *არავის შეუძლია შეცვალოს ის*“.

## 18. ანალიზის შედეგები

შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ ეს ბოლო ფორმულირებები არ ემთხვევა ჩემს მიზანს, რომელიც დასაწყისში დავისახე – მაქსიმალურად მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმომეცა ისტორიცისტული პოზიცია, სანამ მის კრიტიკას შევუდგებოდი. ეს ფორმულირებები იმის დემონსტრირების მცდელობაა, რომ ზოგიერთი ისტორიცისტის მიდრეკილებას ოპტიმიზმისა ან აქტივიზმისაკენ თვით ისტორიცისტული ანალიზის შედეგები ნათელყოფენ. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამით ისტორიციზმს არათანმიმდევრულობაში ვდებთ ბრალს. შეიძლება ისიც გვისაყვედურონ, რომ გადმოცემისას კრიტიკისა და ირონიის შეპარება უსამართლობაა.

თუმცა არა მგონია, რომ ეს საყვედური სამართლიანია. ჩემს შენიშვნებს ნასაფრებული ადამიანის კრიტიკად მხოლოდ ის მიიღებს, ვინც, პირველ ყოვლისა, ოპტიმისტი და აქტივისტია და მხოლოდ ამის შემდეგ ისტორიცისტი (ასეთები მრავლად აღმოჩნდებიან: ამ ადამიანებისათვის ისტორიციზმი ძირითადად მათი ოპტიმისტური ან აქტივისტური მიდრეკილებების გამო აღმოჩნდა მიმზიდველი). მან კი, ვინც პირველ რიგში ისტორიცისტია, ჩემი შენიშვნები ისტორიცისტული დოქტრინების კრიტიკად კი არ უნდა მიიღოს, არამედ მხოლოდ ოპტიმიზმთან ან აქტივიზმთან მისი დაკავშირების მცდელობების კრიტიკად.

რა თქმა უნდა, აქტივიზმის ყველა ფორმა არ მიმანია ისტორიციზმთან შეუთავსებადად, არამედ მხოლოდ მისი ზოგიერთი განსაკუთრებით ექსტრავაგანტური ფორმა. ჭეშმარიტი ისტორიცისტი შეგვეკამათებოდა, რომ ნატურალისტურ მეთოდთან შედარებით ისტორიციზმი ცვლილების, პროცესის, მოძრაობის აქცენტირების გამო მართლაც გვიბიძგებს აქტივობისაკენ. თუმცა ის ბრმად ვერ წაახალისებს აქტივობის ყველა სახეს, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით გონივრულს. მრავალი შესაძლო აქტივობა არარეალისტურია და მეცნიერებას მათი წარუმატებლობის წინასწარგანჭვრეტა შეუძლია. ის გვეტყოდა, რომ სწორედ ამის გამო ის და სხვა ისტორიცისტები ხდუდავენ იმ აქტივობის არეალს, რომელიც სასარგებლოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული და სწორედ ამის გამო ამ შეზღუდვების აქცენტირება აუცილებელია ნებისმიერი წმინდა ისტორიცისტული ანალიზისათვის. მან შეიძლება ისიც განაცხადოს, რომ მარქსის ეს ორი ციტატა (წინა პარაგრაფში მოყვანილი) ერთი მეორეს კი არ გამორიცხავს, არამედ ერთი მეორეს ავსებს. რომ თუმცა მეორე (და უფრო ძველი) თავისთავად აღებული შეიძლება ოდნავ ზედმეტად „აქტივისტურად“ მოგვეჩვენოს, პირველი მას სათანადო საზღვრებს უდგენს და რომ თუკი მეორე ზერადიკალურ აქტივისტებს მიიზიდავს და მათ ისტორიციზმის მიღებისაკენ უბიძგებს, პირველმა მათ ნებისმი-

---

[1] *„კაპიტალის“* წინასიტყვაობა.

[2] ეს თეზისიც მარქსს ეკუთვნის (*თეზისები ფოიერბახის შესახებ*; იხ. ზემოთ პარაგრაფი 1, ბოლო.

ერი აქტივობის სათანადო საზღვრები უნდა უჩვენოს, თუნდაც ამით მათი სიმპათიაც გაანელოს.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ვფიქრობ, რომ ისტორიციზმის ჩემეული გადმოცემა უსამართლო სულაც არაა, ის მხოლოდ აქტივიზმთან დაკავშირებულ საკითხებს ნათელყოფს. ასევე, არა მგონია, რომ ჩემი მეორე შენიშვნა, რომელიც წინა პარაგრაფში გავაკეთე იმის თაობაზე, რომ ისტორიცისტული ოპტიმიზმი მხოლოდ რწმენას უნდა ემყარებოდეს (რადგან გონების როლი უფრო გონივრული სამყაროს წარმოშობის პროცესში უარყოფილია), შეიძლება შეფასდეს როგორც ისტორიციზმის არაკეთილგანწყობილი კრიტიკა. არაკეთილგანწყობილად ის მხოლოდ მას მოეჩვენება, ვინც უპირატესად ოპტიმისტი ან აქტივისტია. თანმიმდევრული ისტორიცისტი კი ამ ანალიზში მხოლოდ ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ჩვეული ფორმების, ისევე როგორც რაციონალიზმის რომანტიკული და უტოპიური ხასიათის წინააღმდეგ მიმართულ სასარგებლო გაფრთხილებას დაინახავს. ის დაიჯერებს, რომ ნამდვილად მეცნიერული ისტორიციზმი ასეთი ელემენტებისაგან თავისუფალი უნდა იყოს, რომ ჩვენ უბრალოდ უნდა დავემორჩილოთ განვითარების არსებულ კანონებს, ზუსტად ისევე, როგორც მიზიდულობის კანონს ვემორჩილებით.

ისტორიცისტი უფრო შორსაც შეიძლება წავიდეს. მან შეიძლება დაამატოს, რომ ყველაზე გონივრული ისეთი პოზიციის დაკავებაა, როცა *ჩვენს ღირებულებათა სისტემას ისეთნაირად მოვაწესრიგებთ, რომ ის მომწიფებულ ცვლილებებთან იყოს თანხმობაში.* თუ ეს გაკეთდება, მივიღებთ ოპტიმიზმის ისეთ ფორმას, რომლის გამართლებაც შეიძლება, რადგან მაშინ ნებისმიერი ცვლილება, თუკი მას ღირებულებათა ამ სისტემით შევაფასებთ, იქნება ცვლილება უკეთესობისაკენ.

ამგვარ შეხედულებებს მართლაც იზიარებს ზოგიერთი ისტორიცისტი და ისინი საკმაოდ კოჰერენტულ (და მეტად პოპულარულ) ისტორიცისტულ მორალურ თეორიადაც კია ჩამოყალიბებული: მორალურად კარგი მორალურად პროგრესულია, ე.ი. მორალურად კარგია ის, რაც თავის დროს უსწრებს იმ აზრით, რომ თანხმობაშია ქცევის ისეთ სტანდარტებთან, რომლებიც მხოლოდ მომავალ პერიოდში იქნება მიღებული.



ეს ისტორიცისტული მორალური თეორია, რომელიც შეიძლება აღვწეროთ როგორც „მორალური მოდერნიზმი“ ან „მორალური ფუტურიზმი“ (მისი ანალოგი ესთეტიკური მოდერნიზმი ან ფუტურიზმია) კარგად ესადაგება ისტორიციზმის ანტიკონსერვატიულ მიდგომას. ის შეიძლება, ასევე, განვიხილოთ როგორც პასუხი ღირებულებებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კითხვაზე (იხილეთ, პარაგრაფი მე-6, „ობიექტურობა და შეფასება“). პირველ ყოვლისა კი, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც იმის ნიშანი, რომ ისტორიციზმი, რომელიც ამ გამოკვლევაში მხოლოდ იმდენადაა სერიოზული განხილვის საგანი, რამდენადაც ის მეთოდის შესახებ მოძღვრებაა, შეიძლება განვითარდეს და სრულფასოვან ფილოსოფიურ სისტემად ჩამოყალიბდეს. ან, სხვანაირი ფორმულირებით, შეუძლებელი არ უნდა იყოს, რომ ისტორიცისტული მეთოდი წარმოიშვა როგორც სამყაროს ზოგადფილოსოფიური ინტერპრეტაციის ნაწილი. უეჭველია, რომ ისტორიის, მაგრამ არა ლოგიკის თვალსაზრისით, მეთოდოლოგიები, ჩვეულებრივ, ფილოსოფიური შეხედულებების თანმხლები პროდუქტია. ამ ისტორიცისტული ფილოსოფიების განხილვას სხვა შრომაში ვაპირებ[3]. აქ კი მხოლოდ ისტორიციზმის ზემოთ წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ თეორიებს გავაკრიტიკებ.

[3] ამის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა *The Open Society and Its Enemies* (ლონდონი, 1945; შესწორებული გამოცემები: პრინსტონი, 1950, ლონდონი 1952, 1957; მეოთხე გამოცემა ლონდონი, 1961). აქ განსაკუთრებით აღვნიშნავ ამ წიგნის 22-ე თავს „ისტორიციზმის მორალური თეორია“.

III

# ანტინატურალისტური დოქტრინების კრიტიკა

## 19. ამ კრიტიკის პრაქტიკული მიზნები

აქ არ შეეუდგები იმის გარკვევას, თუ რა არის მეცნიერული კვლევის ჭეშმარიტი მოტივი: ცოდნის წყურვილი ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წმინდა თეორიული, ან „მოცლილის“ ცნობისმოყვარეობა, თუ მეცნიერება უნდა გავიგოთ როგორც სიცოცხლისათვის ბრძოლის პროცესში წარმოშობილი პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტი. უნდა ვადიაროთ, რომ „წმინდა“, ან „ფუნდამენტური“ კვლევის უფლებათა დამცველები ეოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებენ თავიანთ ბრძოლაში იმ ვიწრო და, სამწუხაროდ, კვლავაც მოდური თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის თანახმად მეცნიერული კვლევა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუკი ის საიმედო ინვესტიციაა აღმოჩნდება[1]. თუმცა იმ, ცოტა არ იყოს, რადიკალურმა თვალსაზრისმაც (მას პირადად მეც ვიზიარებ), რომ მეცნიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ადამიანის მიერ ოდესმე წამოწყებული ერთ-ერთი უდიდესი გონითი ავანტურა, შესაძლებელია აღიაროს პრაქტიკული პრობლემებისა და პრაქტიკული შემოწმების მნიშვნელობა როგორც გამოყენებითი, ასევე წმინდა მეცნიერების პროგრესისათვის: პრაქტიკა ხომ – როგორც დეზი და როგორც აღვირი – მეცნიერული ახროვნებისათვის ფასდაუდებელია. პრაგმატიზმის გაზიარების გარეშეც შესაძლებელია სათანადოდ შეეაფასოთ კანტის ეს ფრაზა: „ცნობისმოყვარეობის ეოველი კაპრიზის შესრულება

[1] ეს ძველი პრობლემაა. ზოგჯერ პლატონიც კი უტევდა „წმინდა“ კვლევას. ამ თვალსაზრისის დამცველების შესახებ იხ. T.H.Huxley, *Science and Culture* (1882), გვ.19 და შმდ. და M.Polanyi, *Economica*, N.Y., ტ.VIII (1941), გვ.428 და შმდ. (მასში ნამოთვლილი წიგნების გარდა, ასევე იხ. Veblen, *The Place of Science in Modern Civilisation*, გვ.7 და შმდ.).



და კვლევის წყურვილისათვის ეოველგვარი შეზღუდვის – ჩვენი ნიჭის საზღვრების გარდა – მოხსნა, გონების იმ სწრაფვაზე მიუთითებს, რომელიც სულაც არ არის უთავსი *განსწავლულობასთან*. თუმცა ჩვენს წინაშე წამოჭრილ პრობლემებს შორის იმ პრობლემების ამორჩევა, რომელთა გადაჭრაც კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანია, მხოლოდ *სიბრძნეს* შეუძლია“[2].

ბიოლოგიურ და, იქნებ, უფრო მეტად, სოციალურ მეცნიერებებში პრაქტიკის მნიშვნელობა უეჭველია. ბიოლოგიური მეცნიერების რეფორმირება პასტერის მიერ უაღრესად პრაქტიკული, ნაწილობრივ სამრეწველო და ნაწილობრივ აგრარული პრობლემების ფონზე მოხდა. ამჟამად სოციალური კვლევის პრაქტიკული აუცილებლობა კიბოს კვლევის აუცილებლობასაც კი აჭარბებს. როგორც პროფესორი ჰაიეკი ამბობს „ეკონომიკური ანალიზი არასოდეს ეოფილა სოციალური ფენომენების *მიზეზებით* ცალკეული ინტელექტუალური დაინტერესების პროდუქტი, ის ეოველთვის უღრმესი უკმაყოფილების გამომწვევი სამყაროს რეკონსტრუირების მწვავე აუცილებლობის შედეგია“[3]. ზოგიერთი სოციალური მეცნიერება, ეკონომიკის გამოკლებით, რომელსაც ჯერ არ მიუღია ეს თვალსაზრისი, თავისი შედეგების ხიმწირით საკუთარი სპეკულაციების პრაქტიკული შემოწმების აუცილებლობას გვიდასტურებს.

მეცნიერული კვლევის მეთოდების, განსაკუთრებით კი *განზოგადებისა და თეორიული სოციალური მეცნიერების მეთოდებისადმი* მიძღვნილი გამოკვლევებიც პრაქტიკული პრობლემების სტიმულირების საჭიროებას ცხადეოფენ. ამ შრომაში სწორედ სოციალურ მეცნიერებათა მეთოდები გვაინტერესებს. ყველაზე ნაეოფიერი დებატები მეთოდის თაობაზე ეოველთვის მკვლევარის წინაშე მდგარი პრაქტიკული პრობლემებითაა სტიმულირებული; ხოლო მეთოდთან დაკავშირებულ ყველა იმ დებატს, რომელიც ასეთნაირად სტიმულირებული არ არის, ამათ გამჭრიახობის ის ატმოსფერო ახლავს

[2] Kant, *Dreams of a Ghost Seer*, ნაწ. II, თ.III (Werke, რედ. E.Cassirer, ტ.II, გვ.385).

[3] იხილეთ *Economica*, ტ.XIII (1933), გვ.122.

თან, რომელმაც პრაქტიკოსი მკვლევარის თვალში სახელი გაუტეხა მეთოდოლოგიას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს რატესად პრაქტიკული ხასიათის მეთოდოლოგიური დებატები არა მხოლოდ სასარგებლო, არამედ აუცილებელიცაა. მეთოდის, ისევე როგორც თვით მეცნიერების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში სწავლა მხოლოდ ცდისა და შეცდომის საფუძველზეა შესაძლებელი, ხოლო კრიტიკა სხვების მხრიდან საკუთარი შეცდომების აღმოსაჩენად გვჭირდება. ეს კრიტიკა კი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ახალი მეთოდების შემოტანა ფუნდამენტური და რევოლუციური ხასიათის ცვლილებების ტოლფასი შეიძლება აღმოჩნდეს. ყოველივე ამის ილუსტრირება ისეთი მაგალითებითაა შესაძლებელი, როგორიცაა ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების, ან ღირებულების თეორიაში „სუბიექტური“, ან „ფსიქოლოგიური“ მეთოდების დანერგვა. უახლესი მაგალითი კი ამ თეორიის მეთოდების სტატისტიკურ მეთოდებთან კომბინირებაა („მოთხოვნის ანალიზი“). ეს ბოლო რევოლუცია მეთოდის სფეროში, ნაწილობრივ, საკმაოდ გაჭიანურებული და უაღრესად კრიტიკული დებატების შედეგი იყო. ეს ფაქტი ნამდვილად წაახალისებს მეთოდის შესწავლის მომხრეებს.

ისტორიციზმის მრავალი მიმდევარი იცავს პრაქტიკულ მიდგომას სოციალური მეცნიერებებისა და მათი მეთოდის კვლევაში. მათ იმედი აქვთ, რომ ისტორიცისტული მეთოდების დახმარებით მოახერხებენ სოციალური მეცნიერებების გადაქცევას სერიოზულ იარაღად პოლიტიკოსების ხელში. სწორედ სოციალური მეცნიერებების პრაქტიკული დანიშნულების აღიარება ქმნის ისტორიცისტებისა და მათი ოპონენტების კამათის რაღაც საერთო საფუძველს. მეც მზად ვარ, ამ საერთო ნიადაგზე ჩემი ადგილი მოვნახო და გავაკრიტიკო ისტორიციზმი როგორც *ბერწი მეთოდი*, რომელსაც შეპირებული შედეგების მოტანა არ ძალუძს.

## 20. ტექნოლოგიური მიდგომა სოციოლოგიისადმი

მართალია, ამ გამოკვლევის თემაა ისტორიციზმი, ჩემთვის მიუღებელი მეთოდის თეორია და არა ის მეთოდები, რომლებმაც, ჩემი აზრით, წარმატებას მიაღწიეს და რომელთა შემდგომი და უფრო გააზრებული განვითარებაც სასურველად მიმაჩნია, კარგი იქნება, თუ ჯერ მოკლედ განვიხილავ ამ წარმატებულ მეთოდებს, მკითხველს ჩემს საკუთარ მიკერძოებას გავუმხელ და იმ თვალსაზრისებს წარმოვახენ, რომლებსაც ჩემი კრიტიკის საფუძვლად ვიყენებ. უფრო მოსახერხებელი რომ იყოს, ამ მეთოდებს *„თანდათანობით ტექნოლოგიებს“* დავარქმევ.

ტერმინმა „სოციალური ტექნოლოგია“ (და მით უფრო „სოციალური ინჟინერია“[1], რომელსაც მომდევნო პარაგრაფში შემოვიტან) შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს და დააფრთხოს ქველა, ვისაც ის კოლექტივისტი მგეგმავების ან იქნებ, ტექნოკრატების „სოციალურ პროექტებს“ გაახსენებს. სწორედ ამ საფრთხის გაცნობიერების გამო დავამატე სიტყვა „თანდათანობითი“, რათა არასასურველი ასოციაციებიც მომეშორებინა და ჩემი ის რწმენაც გამომეხატა, რომ „თანდათანობითი მეწვრილმანეობის“ (როგორც ზოგჯერ უწოდებენ ხოლმე ამას) და კრიტიკული ანალიზის კავშირი პრაქტიკული შედეგებისაკენ მიმავალი ძირითადი გზაა როგორც სოციალურ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. სოციალური სრულყოფის პროექტების კრიტიკამ, ან უფრო ზუსტად, იმის გარკვევის მცდელობამ, შეუძლია თუ არა რაიმე ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ქმედებას მოსალოდნელი ან სასურველი შედეგი მოიტანოს, დიდად შეუწყო ხელი სოციალური მეცნიერებების განვითარებას[2]. სოციალურ მეცნიერებებში ტექნოლოგიური მიდგომისა ან „თანდათანობით სოციალურ ტექნოლოგიაზე“ საუბრისას სწორედ ამ მიდგომას ვგულისხმობ, რომელსაც მართლაც შეიძლება კლასიკური ვუწოდოთ.

სოციალური მეცნიერების სფეროში ტექნოლოგიური პრობლემები „კერძო“ ან „სახოგადოებრივი ხასიათის“ შეიძლება იყოს. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების ან საბოლოო პროდუქტზე სამუშაო პირობების გაუმჯობესების ზე-

---

[1] ამ ტერმინის დასაცავად იხილეთ შენიშვნა 1, პარაგრაფი 21.

[2] შდრ. F.A. von Hayek, *Economica*, ტ.XIII (1933), გვ.123. „...ეკონომიკა, ძირითადად, განვითარდა როგორც ერთი მეორის მომდევნო უტოპიური პროექტების ანალიზისა და უკუგდების პროდუქტი...“.

მოქმედების შესწავლა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია კვლევები, რომლებშიც შესწავლილია საპატიმროების რეფორმის, ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის, სასამართლოს მეშვეობით ფასების სტაბილიზაციის შედეგები ანდა იმპორტზე ახალი საბაჟო გადასახადების დაწესების გავლენა შემოსავლების გათანაბრებაზე. ასეთივეა რამოდენიმე, დღევანდელობისათვის განსაკუთრებით მწვავე პრაქტიკული საკითხიც, მაგალითად, წარმოების აღმავლობისა და დაღმავლობის კონტროლის შესაძლებლობა ან ის, თუ რამდენად თავსებადია ცენტრალიზებული „დაგეგმვა", წარმოების სახელმწიფოებრივი მართვის აზრით, ადმინისტრირების ეფექტურ დემოკრატიულ კონტროლთან ანდა ის, თუ რამდენად შესაძლებელია დემოკრატიის ექსპორტირება ახლო აღმოსავლეთში.

პრაქტიკული ტექნოლოგიური მიდგომის აქცენტირება არ ნიშნავს, რომ პრაქტიკული პრობლემების ანალიზისას წარმოშობილი ნებისმიერი თეორიული პრობლემა უნდა გამოირიცხოს. პირიქით, ჩემი ერთ-ერთი ძირითადი მოსაზრების თანახმად, ტექნოლოგიური მიდგომის ნაყოფიერების დასტურება მის მიერ წმინდა თეორიული ხასიათის მნიშვნელოვანი პრობლემების წამოჭრაა. მაგრამ პრობლემების შერჩევის ამ ფუნდამენტურ საქმეში დახმარების გარდა, ტექნოლოგიური მიდგომა ჩვენს სპეკულაციურ მიდრეკილებებს (რომლებმაც, განსაკუთრებით საკუთრივ სოციოლოგიაში, შეიძლება მეტაფიზიკის სფეროში შეგვიტყუოს) დისციპლინის დაცვას აჩვევს, რადგან გვაიძულებს, რომ ჩვენი თეორიები გარკვეულ სტანდარტებს, მაგალითად, სიცხადისა და პრაქტიკული შემოწმებადობის სტანდარტებს დაგუქვემდებაროთ. ტექნოლოგიური მიდგომის ჩემეულ გაგებას გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ სოციოლოგია (და შესაძლოა, ზოგადად ყველა სოციალური მეცნიერება) „თავის ნიუტონს ან დარვინს"[3] კი

[3] იხილეთ M.Ginsberg კრებულში *"Human Affairs"* (რედ. R.B.Cattell და სხვები), გვ. 180. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკური ეკონომიკის წარმატება იმას მოწმობს, რომ ერთმა სოციალურმა მეცნიერებამ მაინც გაუძლო ნიუტონისეულ რევოლუციას.



არ უნდა ეძებდეს, არამედ სწორედ რომ თავის გალილეოს ანდა პასტერს.

ამას და ჩემს წინა გამონათქვამებს სოციალური და საბუნებისმეტყველო მეთოდების ანალოგიის შესახებ შეიძლება იმდენივე მოწინააღმდეგე გამოუნდეს, რამდენიც ისეთი ტერმინების არჩევას, როგორიცაა „სოციალური ტექნოლოგია" და „სოციალური ინჟინერია" (მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი დაზუსტებისა, რომელიც გამოვხატე სიტყვით „თანდათანობითი"). ასე რომ, უმჯობესი იქნებოდა მეთქვა, რომ სათანადოდ ვაფასებ დოგმატურ მეთოდოლოგიურ ნატურალიზმსა, ან „სციენტიზმთან" (თუ პროფესორ ჰაიეკის ტერმინს გამოვიყენებთ) ბრძოლის მნიშვნელობას. და მაინც არ მესმის, თუ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ანალოგია, თუკი ის შედეგს მოგვიტანს, თუნდაც ვაცნობიერებდეთ, რომ გარკვეულ წრეებში ის უკიდურესად მცდარად გამოიყენეს და დაამახინჯეს. გარდა ამისა, დოგმატური ნატურალისტების წინააღმდეგ ძნელია იმ არგუმენტზე უფრო ძლიერი არგუმენტის მოძებნა, რომელიც უჩვენებს, რომ ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც ისინი ებრძვიან, არსებითად იგივე მეთოდია, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოიყენება.

*Prima facie* არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რასაც ჩვენ ტექნოლოგიურ მიდგომას ვუწოდებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ეს მიდგომა სოციალური წესრიგის მიმართ „აქტივისტური" პოზიციის მიღებას გულისხმობს (იხილეთ პარაგრაფი 1) და რომ შესაბამისად, მას შეუძლია უარყოფითად განგვაწყოს ანტიინტერვენციული ანუ „პასიური" თვალსაზრისის მიმართ, იმ თვალსაზრისის მიმართ, რომლის თანახმად არსებული სოციალური ან ეკონომიკური ვითარებით უმაყოფილება მათი მუშაობის მექანიზმებისა და იმის გაუგებრობის ბრალია, თუ რატომ გააუარესებს ვითარებას აქტიური ინტერვენცია. აქ უნდა ვადიარო, რომ „პასიური" თვალსაზრისის მიმართ სიმპათია მართლაც არ გამახნია და იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ *საყოველთაო* ანტიინტერვენციონიზმის პოლიტიკა, წმინდა ლოგიკურ საფუძველზეც კი, არადამაჯერებელია, რადგან მისი მომხრეები, ინტერვენციის თავიდან აცილების მიზნით, იძულებული არიან პოლი-

ტიკურ ინტერვენციას დაუჭირონ მხარი. თუმცა, ასეა თუ ისე, ტექნოლოგიური მიდგომა როგორც ასეთი ამ მიმართებით ნეიტრალურია (და ის მართლაც ასეთი უნდა იყოს) და არავითარ შემთხვევაში არ არის უთავსი ანტიინტერვენციონიზმთან. პირიქით, ვფიქრობ, რომ ანტიინტერვენციონიზმი ტექნოლოგიურ მიდგომას გულისხმობს, რადგან მტკიცება, რომ ინტერვენციონიზმი ვითარებას აუარესებს, იმის თქმას ნიშნავს, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ქმედებებს გარკვეული შედეგები, კერძოდ, სასურველი შედეგები, არ მოჰყვება. ნებისმიერი ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე უტოპიური ამოცანა *იმის ჩვენებაა, თუ რისი მიღწევაა შეუძლებელი.*

ეს პუნქტი უფრო დეტალურ განხილვას იმსახურებს. როგორც სხვაგან[4] ვუჩვენე, ნებისმიერი ბუნებრივი კანონი შეიძლება გამოვხატოთ დებულებით, რომ *ასეთი და ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს,* ანუ რადაც წინადადებებით, რომლებსაც ანდაზის ფორმა აქვს: „საცრით წყალს ვერ მოიტან". მაგალითად, ენერგიის შენახვის კანონი ასე შეიძლება გამოითქვას: „შეუძლებელია მუდმივი ძრავის შექმნა", ენტროპიის კანონი კი ასე: „შეუძლებელია ისეთი მანქანის აგება, რომლის ეფექტურობაც ასი პროცენტია". სწორედ ბუნებრივი კანონების ასეთნაირი ფორმულირება ნათელყოფს მათ ტექნოლოგიურ მნიშვნელობას და, ამდენად, შესაძლებელია მას ბუნებრივი კანონის *„ტექნოლოგიური ფორმა"* ვუწოდოთ. თუ ახლა ანტიინტერვენციონიზმს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინვე დავინახავთ, რომ შესაძლებელია მისი გამოთქმა ასეთი ფორმის წინადადებებით: „შეუძლებელია ასეთი და ასეთი შედეგების მიღწევა" ან ასე „შეუძლებელია ასეთი და ასეთი მიზნების მიღწევა ასეთი და ასეთი თანმხლები შედეგების გარეშე". მაგრამ ეს იმას გვიჩვენებს, რომ ანტიინტერვენციონიზმს შეიძლება ტიპური *ტექნოლოგიური დოქტრინა* ვუწოდოთ.

რა თქმა უნდა, სოციალური მეცნიერებების სამყაროში ის ერთადერთი არაა. პირიქით, ჩვენი ანალიზის მნიშვნელობას ის განაპირობებს, რომ ყურადღება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის არსებულ მართლაც ფუნდამენტურ მსგავსებაზე მახვილდება. მხედველობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კანონებისა თუ ჰიპოთეზების ანალოგიური სოციოლოგიური კანონებისა თუ ჰიპოთეზების არსებობა მაქვს. იმის გამო, რომ ამგვარი (ე.წ. „ისტორიული კანონებისაგან" განსხვავებული) კანონებისა თუ ჰიპოთეზების არსებობაში ხშირად ეჭვი შეაქვთ,[5] რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან: „შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაწესება და ამავე დროს ცხოვრების დონის ამაღლება"; „ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეუძლებელია მომხმარებელთა ლობისტური ჯგუფების ორგანიზება ისეთივე წარმატებით, როგორც მწარმოებელთა ლობისტური ჯგუფებისა"; „შეუძლებელია, რომ საზოგადოებაში, სადაც ცენტრალიზებული დაგეგმვა არსებობს, ფასთა სისტემამ კონკურენტუნარიანი ფასების მთავარი ფუნქციები შეასრულოს"; „შეუძლებელია სრული დასაქმება ინფლაციის გარეშე". მაგალითების სხვა რიგი ძალისმიერი პოლიტიკის სფეროდან შეიძლება მოვიტანოთ: „პოლიტიკური რეფორმის ჩატარება რადაც, დასახული მიზნების თვალსაზრისით, არასასურველი შედეგების გამოწვევის გარეშე, შეუძლებელია" (მაშასადამე, ისინიც უნდა გავითვალისწინოთ); „პოლიტიკური რეფორმის ჩატარება, რეფორმის მასშტაბის პროპორციულად ოპოზიციის გაძლიერების გარეშე, შეუძლებელია" (ეს, შეიძლება ითქვას, ტექნოლოგიური შედეგია იმისა, რომ „ყოველთვის არსებობენ *status quo*-ს მომხრე ძალები); „შეუძლებელია რევოლუციის მოხდენა რეაქციის წარმოშობის გარეშე". ამ მაგალითებს შეიძლება კიდევ ორი დავუმატოთ, რომლებსაც, შესაბამისად, „პლატონის რევოლუციების კანონს" (მისი *„სახელმწიფოს"* მერვე წიგნიდან) და „ლორდ ექტონის კორუფციის კანონს" ვუწოდებ: „შეუძლებელია წარმატებული რევოლუცია, თუ მმართველი კლასი არ არის დასუსტებული შინაგანი უთანხმოებით ან მარცხით ომში"; „შეუ-

[4] იხილეთ ჩემი *Logic of Scientific Discovery* (1959), § 15 (Negated existential propositions). ეს თეორია შეიძლება შევადაროთ J.S Mill. *Logic,* წიგნი V, თ. V, § 2.

[5] იხილეთ, მაგალითად, M.R.Cohen, *Reason and Nature*, გვ. 356 და შმდ. ამ ტექსტში მოტანილი მაგალითები თითქოს არღვევენ ამ კონკრეტულ ანტინატურალისტურ თვალსაზრისს.

ლებელია ერთ ადამიანს მიეცეს ძალაუფლება სხვა ადამიანებზე ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ცთუნების გარეშე – ცთუნებისა, რომელიც მკვეთრად იზრდება მის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის შესაბამისად და რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ გაუძლებენ“[6]. ამ ჰიპოთეზე

[6] ამ „კორუფციის კანონის“ მსგავს ფორმულირებას განიხილავს C.J.Friedrich თავის მეტად საინტერესო და ნაწილობრივ ტექნოლოგიურ ნაშრომში *Constitutional Government and Politics* (1937). ამ კანონის თაობაზე ის ამბობს, რომ „ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება ერთად ვერ დაიკვეხნის თუნდაც ერთი „ჰიპოთეზით“, რომელსაც ასეთივე მნიშვნელობა ექნებოდა კაცობრიობისათვის“ (გვ.7). მე მის მნიშვნელობაში არ შემაქვს ეჭვი, მაგრამ ვფიქრობ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ასეთივე მნიშვნელობის მქონე უთვალავ კანონს ადმოვაჩენთ, თუკი მათ ბანალურ და არა უფრო აბსტრაქტულ კანონებს შორის მოვძებნით (გაიხსენეთ ისეთი კანონები, როგორიცაა ის, რომ ადამიანი ვერ იცოცხლებს საკვების გარეშე ან ის, რომ ხერხემლიანთა კლასში ორივე სქესის არსებები შედის). პროფესორი ფრიდრიხი იცავს ანტინატურალისტურ თეზისს, რომ „სოციალური მეცნიერებები ვერაფერს მოიგებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით“ (ციტ. ნაშრომი, გვ.4). მეორე მხრივ, ის ცდილობს პოლიტიკის საკუთარი თეორია მთელ რიგ ჰიპოთეზებზე დააფუძნოს, რომელთა შესახებაც წარმოდგენას შემდეგი პასაჟები შეგვიქმნიან (ციტ. ნაშრომი. გვ.14 და შმდ.): „როგორც ნებართვა, ასევე იძულება ცოცხალი ძალაა, რომელიც ძალაუფლების გენერირებას ახდენს“ ორივე ერთად ისინი განაპირობებენ „პოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობას“ და რამდენადაც „ეს დაძაბულობა განპირობებულია ან ნებართვის, ან იძულების, ანდა ორივეს აბსოლუტური რაოდენობით, ის, ალბათ, ყველაზე უკეთ ამ ორი ძალით – ნებართვა და იძულება – შედგენილ პარალელოგრამში გავლებული დიაგონალით გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში მისი რიცხვითი მნიშვნელობა ტოლი იქნება კვადრატული ფესვისა ნებართვისა და იძულების რიცხვითი მნიშვნელობების კვადრატების ჯამიდან“. მეტისმეტად ბუნდოვანი „ძალების“ „პარალელოგრამის“ (არ არის ახსნილი, თუ რატომ უნდა იყოს ის მართკუთხედი) გასაზომად პითაგორას თეორიის გამოყენების ეს მცდელობა, ნემი აზრით, ანტინატურალიზმის მაგალითი კი არაა, არამედ სწორედ იმ ტიპის ნატურალიზმისა თუ „სციენტიზმისა“, რომლითაც, ვადიარებ, „სოციალური მეცნიერებები ვერაფერს მოიგებენ“. უნდა ითქვას, რომ ტექნოლოგიბის, რომელთა ფორმულირებაც გაცილებით უკეთ შეიძლებოდა, სასარგებლო ხელმისაწვდომი ფაქტების შესახებ აქ არაფერია ნათქვამი. ეს ჰიპოთეზები მხოლოდ იმ ტიპის დებულებათა მაგალითებია, რომელთა განხილვა და დასაბუთება შეიძლება თანდათანობითმა ტექნოლოგიამ სცადოს.



## 21. თანდათანობითობა უტოპიური ინჟინერიის წინააღმდეგ

ტერმინ „ინჟინერიის“[1] თანმხლები მიუღებელი ასოცია ციების მიუხედავად, თანდათანობითი ტექნოლოგიის შედეგების პრაქტიკული აღწერისას გამოვიყენებ ტერმინს „თანდათანობითი სოციალური ინჟინერია“. ეს ტერმინი სასარგებლოა, რადგან არსებობს როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი სოციალური აქტივობის მომცველი ისეთი ტერმინის საჭიროება, რომელიც რაიმე მიზნის ან ამოცანის განხორციელებისათვის შეგნებულად გამოიყენებს მთელ ხელმისაწვდომ ტექნოლოგიურ ცოდნას[2]. თანდათანობითი, სოციალური ინჟინერია, ისევე, როგორც ფიზიკური ინჟინერია *მიზნებს* განიხილავს ტექნოლოგიის სფეროს გარეთ არსებულად (ტექნოლოგიას მიზნების შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, თავსებადია თუ არა ისინი ერთმანეთთან ანდა რეალიზებადია თუ არა ისინი). ამ მხრივ ის განსხვავდება ისტორიციზმისაგან, რომელიც ადამიანთა აქტივობის მიზნებს ისტორიულ კანონებზე დამოკიდებულად და, ამდენად, თავის სფეროში მოცემულად განიხილავს.

ური ფორმით ამ „ჰიპოთეზების“ გამოხატვა თითქმის შეუძლებელია, მაშინ როცა, მაგალითად, „კორუფციის კანონი“, რომლის მნიშვნელობასაც ფრიდრიხი სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს, შესაძლებელია, ასე გამოიხატოს.

ამ „სციენტისტური“ თვალსაზრისის ისტორიული საფუძვლის შესახებ, რომლის თანახმად პოლიტიკური თეორიის პრობლემების გაგება მხოლოდ „ძალთა პარალელოგრამის“ ტერმინებითაა შესაძლებელი, იხილეთ ჩემი წიგნი *The Open Society and Its Enemies* (შესწორებული გამოცემა) თ. მე-7, შენიშვნა მე-2.

[1] ტერმინის „სოციალური ინჟინერია“ („თანდათანობითის“ მნიშვნელობით) გამოყენების წინააღმდეგ პროფესორმა ჰაიეკმა მიუთითა,

ფიზიკური ინჟინერიის მთავარი ამოცანა მანქანების პროექტირება, რეკონსტრუირება და მომსახურებაა. ზუსტად ასევე, თანდათანობითი სოციალური ინჟინერიის მიზანიც სოციალური ინსტიტუტების პროექტირება და უკვე არსებულების რეკონსტრუირება და მართვაა. იმისათვის, რათა როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციები მოვიცვათ, ტერმინს „სოციალური ინსტიტუტი“ მეტად ფართო მნიშვნელობით ვიყენებ. ამდენად, მას გამოვიყენებ როგორც ბიზნესის აღწერისათვის – პატარა მაღაზია იქნება ეს თუ სადაზღვევო კომპანია, ასევე სკოლის, „საგანმანათლებლო სისტემის“, პოლიციის, ეკლესიის ან სასამართლოს აღწერისათვის. თანდათანობითი ტექნოლოგი ან ინჟინერი აცნობიერებს, რომ *სოციალური ინსტიტუტების მხოლოდ ნაწილია საგანგებოდ პროექტირებული, ხოლო უდიდესი უმრავლესობა კი უბრალოდ „წარმოიშვა“ როგორც ადამიანთა მოქმედებების არაპროექტირებული შედეგი*[3]. თუმცა მიუხედავად იმისა, თუ

---

რომ ტიპური საინჟინრო საქმიანობა გულისხმობს მთელი რელევანტური ცოდნის ცენტრალიზებას ერთ თავში, მაშინ როცა ყველა ნამდვილად სოციალური პრობლემისათვის ტიპური ისაა, რომ საჭირო ცოდნის ასეთნაირი ცენტრალიზება შეუძლებელია. (ის. Hayek, *Collectivisti Economic Planning*, 1935, გვ.210). ვადიარებ, რომ ეს ფაქტი არსებითი მნიშვნელობისაა. მისი ფორმულირება ტექნოლოგიური ჰიპოთეზით შეიძლება: „შეუძლებელია რომელიმე ერთ მგეგმავ მმართველში მოხდეს იმ ცოდნის ცენტრალიზება, რომელიც რელევანტურია ისეთი მიზნებისათვის, როგორებიცაა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ან ინდივიდუალური ოსტატობისა და კვალიფიკაციის გამოყენება“ (მსგავსი ჰიპოთეზა შეიძლება გამოვიყენოთ ანალოგიურ ამოცანებთან დაკავშირებული ინიციატივის ცენტრალიზების შეუძლებლობის მიმართაც). ტერმინის „სოციალური ინჟინერია“ გამოყენება ახლა იმაზე მითითებით შეგვიძლია დავიცვათ, რომ ინჟინერმა უნდა გამოიყენოს ცოდნა, რომელიც მოცემულია იმ ჰიპოთეზებში, რომლებიც მას როგორც მისი საკუთარი ინიციატივის, ასევე მისი საკუთარი ცოდნის საზღვრებს უსვენებენ. იხ., აგრეთვე შენიშვნა 4, გვ.106, ქვემოთ.

[2] ცოდნის საზღვრებთან დაკავშირებული ცოდნის ჩათვლით, თუკი ასეთი რამ მისაწვდომია, როგორც ეს წინა შენიშვნაში ავხსენი.

[3] ეს ორი თვალსაზრისი, რომელთა თანახმად სოციალური ინსტიტუტები ან „პროექტირებულია“, ანდა ისინი უბრალოდ „წარმოი-



რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ მნიშვნელოვანმა ფაქტმა, ის, როგორც ტექნოლოგი ან ინჟინერი, ამ ინსტიტუტებს „ფუნქციონალური“ ან „ინსტრუმენტული“ თვალსაზრისით განიხილავს. ის მათ გაიაზრებს როგორც საშუალებებს რაღაც მიზნებისათვის ან ისეთ წარმონაქმნებად, რომლებიც შეიძლება გარკვეული მიზნების მიღწევის საშუალებად გარდავქმნათ; ის მათ განიხილავს როგორც მექანიზმს და როგორც ორგანიზმს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მას მხედველობიდან გამორჩება ფუნდამენტური განსხვავება ინსტიტუტებსა და ფიზიკურ ინსტრუმენტებს შორის. პირიქით, ტექნოლოგმა მსგავსებებიც უნდა შეისწავლოს და განსხვავებებიც და შედეგები ჰიპოთეზების ფორმით წარმოგვიდგინოს. და მართლაც, ინსტიტუტებთან დაკავშირებული ჰიპოთეზების ჩამოყალიბება ტექნოლოგიური ფორმით, როგორც ამას შემდეგი მაგალითი ცხადყოფს, რთული არაა: „შეუძლებელია საიმედო ინსტიტუტების ანუ ისეთი ინსტიტუტების აგება, რომელთა ფუნქციონირება არ იქნება დიდწილად დამოკიდებული პიროვნებებზე: ინსტიტუტებს, საუკეთესო შემთხვევაში, პიროვნული ელემენტის არასაიმედოობის შემცირება შეუძლიათ, თუკი ხელს სწო-

---

შობა“ – სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსებისა და მათი კრიტიკოსების, მაგალითად, ჰიუმის შეხედულებებს შეესაბამება. თუმცა ჰიუმს უარი არ უთქვამს სოციალური ინსტიტუტების „ფუნქციონალურ“ ან „ინსტრუმენტალურ“ გაგებაზე, რადგან ის აცხადებს, რომ ადამიანები მათ გარეშე ვერაფერს შეძლებენ. ეს პოზიცია შეიძლება გარდაიქმნას არაპროექტირებული ინსტიტუტების (მაგალითად, ენის) ინსტრუმენტული ხასიათის დარვინისეულ ახსნად: მათ არსებობის არავითარი შანსი არ აქვთ, თუკი რაიმე სანად: მათ არსებობის არავითარი შანსი არ აქვთ, თუკი რაიმე სასარგებლო ფუნქციას არ ასრულებენ. ამ თვალსაზრისის თანახმად, არაპროექტირებული სოციალური ინსტიტუტები შეიძლება გაინდეს როგორც *რაციონალური ქმედებების არაგანზრახული შედეგები*: ზუსტად ისე, როგორც ადამიანებმა შეიძლება ყოველგვარი განზრახვის გარეშე გზა გაიკვანონ მხოლოდ იმიტომ, რომ არსებული ბილიკის გამოყენება მოსახერხებელია (როგორც ეს დეკარტმა შენიშნა). თუმცა ხედმეტია იმის აქცენტირება, რომ ტექნოლოგიური მიდგომა არ არის დამოკიდებული „წარმოშობის“ რა-იმე პრობლემაზე.

რედ იმ მიზნების განხორციელებისათვის მოღვაწე ადამიანებს შეუწყობენ, რომელთა მისაღწევადაც შეიქმნა ეს ინსტიტუტები, რადგან წარმატება ამ ადამიანების პირად ინიციატივასა და ცოდნაზეა დამოკიდებული (ინსტიტუტები ცხელ სიმაგრეებს გვაგონებს. ისინი კარგად დაპროექტებული და პერსონალით სათანადოდ დაკომპლექტებული უნდა იყოს)[4].

თანდათანობითი ინჟინრისათვის ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლებელია საზოგადოებასთან „როგორც მთელთან" დაკავშირებულ რაღაც იდეალებს, ვთქვათ საყოველთაო კეთილდღეობას, ელოლიავება, საზოგადოების როგორც მთელის გარდაქმნის მეთოდი მისთვის მიუღებელია. რა მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ის მათ მიღწევას უმნიშვნელო შესწორებებითა და რეორგანიზაციით ცდილობს, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს. თანდათანობითი ინჟინრის მიზნები განსხვავებული ტიპის შეიძლება იყოს: მაგალითად, გარკვეული ინდივიდების თუ ჯგუფების მიერ სიმდიდრის, ან ძალაუფლების დაგროვება; ან სიმდიდრისა და ძალაუფლების განაწილება, ანდა ინდივიდებისა და ჯგუფების გარკვეული „უფლებების" დაცვა და ა.შ. ამრიგად, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ სოციალურ ინჟინერიას უკიდურესად განსხვავებული – როგორც ტოტალიტარული, ასევე ლიბერალური – ტენდენციები შეიძლება ახასიათებდეს (თანდათანობითი რეფორმის შორსმიმავალი ლიბერალური პროგრამების მაგალითებს გვაწვდის უ. ლიპმანი თავში „The Agenda of Liberalism"[5]). სოკრატესი არ იყოს, თანდათანობითმა ინჟინერმაც იცის, თუ რა ცოტა რამ იცის. მან იცის, რომ მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ. ამდენად, ის გზას ნაბიჯ-ნაბიჯ გაიკვლევს, გამუდმებით დაადგენს ნებისმიერი რეფორმის ისეთ არასასურველ შედეგებს, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია. ის თავს აარიდებს ისეთი სირთულისა და მასშტაბის რეფორმების გატარებას, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მიზეზებისა და შედეგების ერთი მეორისაგან გამიჯვნასა და იმის გააზრებას, თუ რას აკეთებს ის რეალურად.

ასეთი „თანდათანობითი მეწვრილმანეობა" უთავსია არა ერთი „აქტივისტის" პოლიტიკურ ტემპერამენტთან. მათ პროგრამას, რომელიც აღვწერეთ როგორც „სოციალური ინჟინერიის" პროგრამა, შესაძლებელია „ჰოლისტური" ანდა „უტოპიური ინჟინერია" ვუწოდოთ.

ჰოლისტური ან უტოპიური სოციალური ინჟინერია, თანდათანობითი სოციალური ინჟინერიისაგან განსხვავებით, არასოდეს არ არის „კერძო" ხასიათის, ის ყოველთვის „საზოგადოებრივია". მისი მიზანია გარდაქმნას საზოგადოება გარკვეული გეგმისა თუ პროექტის შესაბამისად, მისი მიზანია – „ძირითადი პოზიციების ხელში ჩაგდება"[5] და „სახელმწიფო ძალაუფლების გავრცელება მანამ ..., სანამ სახელმწიფო

---

[4] ეს მაგალითი, რომელიც ამტკიცებს, რომ ინსტიტუციონალური „მექანიზმების" ეფექტურობა შეზღუდულია და რომ ინსტიტუტების ფუნქციონირება შესაფერისი პერსონალით დაკომპლექტებაზეა დამოკიდებული, შეიძლება თერმოდინამიკის პრინციპებს შევადაროთ. კერძოდ კი ენერგიის შენახვის კანონს (იმ ფორმით, რომლითაც ის მუდმივი ძრავის შექმნის შესაძლებლობას გამორიცხავს). როგორც ასეთი, ის შეიძლება ენერგიის ფიზიკურ ცნებასა და ზოგიერთ სოციოლოგიურ ცნებას, მაგალითად, ძალაუფლებას შორის ანალოგიის დადგენის კიდევ ერთ „მეცნიერულ" მცდელობას შევადაროთ. იხილეთ, მაგალითად, Bertrand Russell, *Power*, (1938), გვ. 10 და შმდ., სადაც ამ ტიპის მეცნიერული მცდელობაა მოცემული. ვფიქრობ, შეუძლებელია ტექნოლოგიური ფორმით გადმოვცეთ რასელის მთავარი აზრი, კერძოდ კი ის, რომ „ძალაუფლების სხვადასხვა ფორმები", ისეთები, როგორიცაა სიმდიდრე, პროპაგანდისტული ძალაუფლება, შიშველი ძალაუფლება შეიძლება ზოგჯერ ერთი მეორედ გარდაიქმნას.



[5] W.Lippmann, *The Good Society* (1937), თ. XI, გვ. 203 და შმდ. იხილეთ, აგრეთვე, W.H.Hutt, *Plan for Reconstruction* (1943).

[5] ამ გამოთქმას ხშირად იყენებს კ.მანჰაიმი თავის *Man and Society in an Age of Reconstaction;* იხილეთ ამ წიგნის სამიებელი და, მაგალითად, გვ. 269, გვ.295, გვ.320, გვ.381. ამ წიგნში ჰოლისტური და ისტორიცისტული პროგრამა უაღრესად დეტალურადაა გადმოცემული და, ამდენად, აქ ის კრიტიკის მიზნით გამოვიყენე.

თითქმის საზოგადოების იდენტური არ გახდება“[6], მეტიც, მისი მიზანი ამ „ძირითადი პოზიციებიდან“ იმ ისტორიული ძალების გაკონტროლებაა, რომლებიც განვითარებადი საზოგადოების მომავალს ქმნიან. ეს ხორციელდება ან ამ განვითარების შეჩერებით, ანდა მისი მიმართულების წინასწარ-განჭვრეტისა და მასთან საზოგადოების ადაპტაციის გზით.

შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, არსებობს კი ფუნდამენტური განსხვავება აქ აღწერილ თანდათანობით და ჰოლისტურ მიდგომებს შორის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თანდათანობითი მიდგომისათვის არანაირი ზღვარი არ დაგვიდგენია. ამ მიდგომის აქ მოცემული გაგების შემთხვევაში, მასში, მაგალითად, კონსტიტუციური რეფორმაც მოხვდება. არც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავ, რომ ერთმა ზოგადმა ტენდენციამ, მაგალითად, შემოსავლების კიდევ უფრო მეტად გათანაბრების ტენდენციამ, შეიძლება თანდათანობითი რეფორმების მთელ სერიას მისცეს ბიძგი. ასეთნაირად, თანდათანობითმა მეთოდებმა შესაძლებელია ცვლილებები გამოიწვიოს იმ სფეროში, რომელსაც, ჩვეულებრივ, „საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას“ უწოდებენ. შეიძლება გვკითხონ, არსებობს კი რაიმე განსხვავება თანდათანობითი მიდ-[7]გომის ამ უფრო ამბიციურ ტიპებსა და ჰოლისტურ ან უტოპიურ მიდგომას შორის? ეს კითხვა შესაძლებელია მით უფრო საფუძვლიანი გახდეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რაიმე შემოთავაზებული რეფორმის შესაძლო შედეგების შეფასების მცდელობისას, თანდათანობითმა ტექნოლოგმა ამა თუ იმ ღონისძიების „მთელ“ საზოგადოებაზე შესაძლო გავლენის შესაფასებლად ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს

ამ კითხვაზე პასუხისას ორ მეთოდს შორის ზუსტი სადემარკაციო ხაზის გავლებას კი არ შეეცდები, არამედ წინა პლანზე იმ სავსებით განსხვავებულ თვალსაზრისს წამოვწევ, რომლის საფუძველზეც განიხილავენ საზოგადოების რეფორმირების ამოცანას როგორც ჰოლისტი, ასევე თანდა-

[6] იხილეთ Mannheim, იქვე, გვ. 337. ეს პასაჟი უფრო სრულად 23-ე პარაგრაფშია ციტირებული და გაკრიტიკებულიცაა (იხილეთ შენიშვნა მე-2)



თანობითი ტექნოლოგი. ჰოლისტები უარყოფენ თანდათანობით მიდგომას როგორც ზედმეტად ზომიერს. თუმცა ეს უარყოფა მათ პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობაში არ არის. პრაქტიკაში ისინი ყოველთვის იყენებენ, მართალია, ცოტა არ იყოს გაუაზრებლად და მოუქნელად, თუმც კი პრეტენზიულად და მკაცრად იმას, რაც, არსებითად, თანდათანობითი მეთოდია, მაგრამ ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი სიფრთხილისა და თვითკრიტიკულობის გარეშე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ პრაქტიკაში ჰოლისტური მეთოდის გამოყენება შეუძლებელია. რაც უფრო გრანდიოზული ჰოლისტური ცვლილებების გატარებაა დაგეგმილი, მით უფრო მნიშვნელოვანია ამ ცვლილებების შემთხვევითი და უმეტესწილად მოულოდნელი შედეგები, რომლებიც ჰოლისტ ინჟინერს აიძულებენ თანდათანობითი *იმპროვიზაციის* ხერხს მიმართოს, რომელიც, ფაქტიურად, ცენტრალიზებული ან კოლექტიური დაგეგმვისათვის უფრაა დამახასიათებელი, ვიდრე შედარებით ზომიერი და ფრთხილი თანდათანობითი სარეფორმისათვის. თანაც ეს ხერხი უტოპისტ ინჟინერს გამუდმებით აიძულებს ისეთი რამ გააკეთოს, რის გაკეთებასაც ის არ აპირებდა, ეს კი ნიშნავს, რომ ამ ხერხს *დაუფუძნებელი დაგეგმვის* ავადსახსენებელ ფენომენთან მივყავართ. ამრიგად, უტოპიური და თანდათანობითი ინჟინერიის განსხვავება, რეალურად, არა იმდენად საზღვრებისა და მასშტაბის განსხვავებად წარმოგვიდგება, რამდენადაც წინდახედულობასა და გარდაუვალ მოულოდნელობებთან შეხვედრისათვის მზადყოფნასთან დაკავშირებულ განსხვავებად. ასევე, იმის თქმაც შეიძლება, რომ პრაქტიკაში ეს ორი *მეთოდი* სხვა მიმართებით განსხვავდება და არა თავისი საზღვრებითა და მასშტაბით – ისინი განსხვავდებიან იმით, თუ რა არის მოსალოდნელი რაციონალური სოციალური რეფორმის სათანადო მეთოდებს ამ ორი *დოქტრინის* შედარებისას. მიმაჩნია, რომ ამ ორი დოქტრინიდან ერთი ჭეშმარიტია, ხოლო მეორე მცდარი და რომ მან საკმაოდ მძიმე, თუმც კი აცილებად შეცდომებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ამ ორი მეთოდიდან, ჩემი აზრით, ერთი შესაძლებელია, მეორე კი, უბრალოდ, არც კი არსებობს: ის შეუძლებელია.

მაშასადამე, უტოპიურ ან ჰოლისტურ მიდგომასა და თანდათანობით მიდგომას შორის არსებული ერთ-ერთი განსხვავება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მაშინ როცა თანდათანობით ინჟინერს შეუძლია რეფორმის საზღვრების თაობაზე ყოველგვარი ილუზიის გარეშე შეეჭიდოს თავის პრობლემას, ჰოლისტს ამის გაკეთება არ შეუძლია, რადგან მას წინასწარ აქვს გადაწყვეტილი, რომ სრული რეკონსტრუქცია შესაძლებელი და აუცილებელია. ამ ფაქტს შორსმიმავალი შედეგები აქვს. ეს ფაქტი უტოპისტს უარყოფითად განაწყობს იმ გარკვეული სოციოლოგიური ჰიპოთეზების მიმართ, რომლებიც საზღვრებს უდგენენ ინსტიტუციონალურ კონტროლს: მაგალითად, ამ პარაგრაფში მოყვანილი ჰიპოთეზის მიმართ, რომელიც პიროვნული ელემენტის, „ადამიანური ფაქტორის“ გამო არსებულ არამდგრადობას ეხება. ამგვარი ჰიპოთეზების *a priori* უკუგდებით უტოპიური მიდგომა უხეშად არღვევს მეცნიერული მეთოდის პრინციპებს. მეორე მხრივ, ადამიანური ფაქტორის არამდგრადობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უნდა აიძულონ უტოპისტი, მიუხედავად მისი სურვილისა, ადამიანური ფაქტორის ინსტიტუციონალური საშუალებებით გაკონტროლება და თავისი პროგრამის ისეთნაირად გაფართოება სცადოს, რომ ამ პროგრამამ მოიცვას არა მხოლოდ საზოგადოების ტრანსფორმაცია გეგმის შესატყვისად, არამედ ადამიანის ტრანსფორმაციაც[8]: „მაშასადამე, პოლიტიკური პრობლემა *ადამიანთა იმპულსების ისეთნაირად ორგანიზებაა,* რომ მათ ენერგია სწორ სტრატეგიულ ამოცანაზე მიმართონ და განვითარების მთელი პროცესი სასურველი გზით წარმართონ“. ნათელია, რომ საუკეთესო განზრახვების მქონე უტოპისტს მხედველობიდან რჩება, რომ ამ პროგრამის დაწყებამდეც კი მასში დაშვებულია წარუმატებლობა, რადგან მოთხოვნა, რომ უნდა ავაშენოთ ახალი საზოგადოება, რომელში ცხოვრება ერთნაირად კომფორტული იქნება როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის, ამ პროგრამაში ჩანაცვლებულია ამ ქალებისა და მამაკაცების

[8] “The problem of Transforming Man” („ადამიანის ტრანსფორმირების პრობლემა“) კ.მანჰაიმის წიგნის *Man and Society* ერთ-ერთი თავის სათაურია. ციტატა მოყვანილია ამ თავიდან, გვ.199 და შმდ.



ისეთნაირად შეცვლის მოთხოვნით, რომ ისინი ამ პროგრამით დასახულ ახალ საზოგადოებას მოერგონ. ის ადამიანები კი, რომლებსაც ამ ახალ საზოგადოებაში ცხოვრება არ მოსწონთ, ამით მხოლოდ იმას აღიარებენ, რომ მასში ცხოვრებისათვის ისინი ჯერ არ არიან მზად, რომ მათი „ადამიანური იმპულსები“ შემდგომ „ორგანიზებას“ საჭიროებს. მაგრამ ნებისმიერი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ „მეცნიერული“ მეთოდი იქნა გამოყენებული, თუკი მისი შემოწმების შესაძლებლობა არ არის, ცამტვერდება. ჰოლისტური მიდგომა უთავსია ჭეშმარიტად მეცნიერულ პოზიციასთან.

უტოპიური ინჟინერია ამ გამოკვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ წარმოადგენს, მაგრამ არსებობს ორი მოსაზრება, რომელთა გამოც მას მომდევნო სამ პარაგრაფში ისტორიციზმის პარალელურად განვიხილავ. პირველი ისაა, რომ კოლექტივისტური (ან ცენტრალიზებული) დაგეგმვის სახელით მეტად მოდური დოქტრინაა მოცემული, რომლისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს „თანდათანობითი ტექნოლოგია“ და „თანდათანობითი ინჟინერია“. მეორე კი ისაა, რომ უტოპიზმი მხოლოდ თანდათანობითი მიდგომისადმი მტრული განწყობით კი არ ჰგავს ისტორიციზმს, არამედ ხშირად ერწყმის კიდეც ისტორიცისტულ იდეოლოგიას.

## 22. ეშმაკისეული ალიანსი უტოპიზმთან

მილი ნათლად აცნობიერებდა, რომ ორი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლებსაც „თანდათანობითი მიდგომა“ და „ისტორიციზმი“ ეუწოდე, ერთმანეთს უპირისპირდება. „არსებობს სოციოლოგიური კვლევის ორი ტიპი“, წერდა ის[1]. „პირველი ტიპის კვლევისას, მაგალითად, ასეთი კითხვა დაისმის ... არსებულ საზოგადოებრივ პირობებში, რა შედეგებს მოიტანს ... საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება? ... მაგრამ მეორე ტიპის კვლევაც არსებობს ... მასში ... პრობლემა ის კი არაა, თუ რა შედეგებს გამოიღებს რაიმე მოცემული ლი მიზანი გარკვეული საზოგადოებრივი პირობების არსე-

[1] იხილეთ J.S.Mill, *Logic*, წიგნი VI, თავი X, პარაგრაფი I.

ბობისას, არამედ ის, თუ რა არის ის მიზნები, რომლებიც წარმოშობენ ... ზოგადად საზოგადოებრივ მდგომარეობებს". თუ გავითვალისწინებთ, რომ მილის „საზოგადოებრივი მდგომარეობები" ზუსტად შეესაბამება იმას, რასაც ჩვენ „ისტორიული პერიოდები" ვუწოდეთ, ცხადია, რომ „სოციოლოგიური კვლევის ორ ტიპს" შორის მის მიერ დადგენილი განსხვავება შეესაბამება იმ განსხვავებას, რომელიც ჩვენ დავადგინეთ თანდათანობითი ტექნოლოგიის მიდგომასა და ისტორიციზმის მიდგომას შორის. ეს გაცილებით ცხადი გახდება, თუ უფრო ყურადღებით დავუკვირდებით „სოციოლოგიური კვლევის მეორე ტიპის" მილისეულ აღწერას, რომელსაც (კონტის გავლენით) ის პირველზე უპირატესად აცხადებს და რომელსაც აღწერს როგორც ისეთ კვლევას, რომელიც, მისი ტერმინოლოგიით, „ისტორიულ მეთოდს" იყენებს.

როგორც ადრე ვუჩვენეთ (პარაგრაფები 1, მე-17 და მე-18) ისტორიციზმი არ უპირისპირდება „აქტივიზმს". ისტორიცისტული სოციოლოგია შეიძლება გავიგოთ როგორც ტექნოლოგიის ის ტიპი, რომელიც შეიძლება ახალი ისტორიული პერიოდის „მშობიარობის ტკივილების შემოკლებასა და შემცირებაში" დაგვეხმაროს (როგორც ამას მარქსი აღნიშნავდა). და მართლაც, ისტორიული მეთოდის მილისეულ აღწერაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ეს აზრი, რომელიც თავისი ფორმულირებით საოცრად ჰგავს მარქსის ფორმულირებას[2]: „სოციალური პროგრესის ... კანონები სწორედ იმ მეთოდით უნდა მოიძებნოს, რომელსაც ახლა ვახასიათებთ. მისი დახმარებით ამიერიდან წარმატებას მხოლოდ ადამიანთა მოდგმის შორეული მომავლის განჭვრეტაში კი არ მივაღწევთ, არამედ ბუნებრივი პროგრესის დაჩქარებასაც შევძლებთ იმ ზომით, რა ზომითაც ეს სასარგებლო იქნება ...[3]. ასეთი პრაქ-

[2] *Logic*, წიგნი X, პარაგრაფი მე-8. მარქსის პარალელური პასაჟი (რომელიც ზემოთ, მე-17 პარაგრაფშია ციტირებული) აღებულია მისი წინასიტყვაობიდან *კაპიტალის* პირველი გამოცემისათვის.

[3] ეს შენიშვნა გვიჩვენებს, რომ მილის უტილიტარიზმმა მას ხელი შეუშალა „სასარგებლოს" როგორც „პროგრესულის" სინონიმის დეფინიციაში, ანუ მიუხედავად მისი პროგრესივიზმისა, მან არ გაიზიარა ისტორიცისტული მორალის თეორია (შდრ. პარაგრაფი მე-



ტიკული ინსტიტუტები, რომლებიც სპეკულაციური სოციოლოგიის უმაღლეს განშტოებას ეფუძნება, პოლიტიკის ხელოვნების ქვედანაზე კეთილშობილურ და სასარგებლო ნაწილს შექმნიან".

როგორც ამ პასაჟიდან ჩანს, განსხვავებას ჩემს მიდგომასა და ისტორიცისტის მიდგომას შორის იმდენად ის ფაქტი კი არ წარმოშობს, რომ ჩემი მიდგომა ტექნოლოგიაა, არამედ ის, რომ ის თანდათანობითი ტექნოლოგიაა. იმდენად, რამდენადაც ისტორიციზმი ტექნოლოგიურია, მისი მიდგომა თანდათანობითი კი არა, არამედ „ჰოლისტურია".

მილის მიდგომის ჰოლისტურობა ცხადია, როცა ის გვიხსნის, თუ რას გულისხმობს „საზოგადოების მდგომარეობაში" (ან ისტორიულ პერიოდში): „ის, რასაც საზოგადოების მდგომარეობას უწოდებენ," წერს იგი, „... ყველა მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტისა ან მოვლენის ერთდროული მდგომარეობაა". ასეთი ფაქტების მაგალითები, *inter alia*, ასეთია: „მრეწველობის, სიმდიდრის და მისი განაწილების მდგომარეობა": საზოგადოების „დაყოფა კლასებად და ამ კლასების ურთიერთმიმართება; საერთო რწმენები, რომლებიც მათ მიღებული აქვთ ...; მათი სახელმწიფო სისტემა და უფრო მნიშვნელოვანი კანონები და ზნე-ჩვეულებები". შეჯამებისას, მილი ასე ახასიათებს საზოგადოების მდგომარეობებს: „საზოგადოების მდგომარეობები ... ფიზიკური სხეულის განსხვავებული ასაკის მსგავსია; ისინი ერთი ან რამოდენიმე ორგანოსა თუ ფუნქციის პირობები კი არაა, არამედ *მთელი ორგანიზმისა*"[4].

ყველაზე რადიკალურად სწორედ ეს ჰოლიზმი განასხვავებს ისტორიციზმს ნებისმიერი თანდათანობითი ტექნოლოგიისაგან და სწორედ ის ხდის შესაძლებელს მის ალიანსს გარკვეული ტიპის ჰოლისტურ ან უტოპიურ სოციალურ ინჟინერიასთან.

12) იმ ფორმით, როგორითაც ის ნამოაქალიბეს სპენსერმა და ენგელსმა (ახლა კი კ. ჰ. უოდინგტონმა. იხილეთ C.H.Waddington, *Science and Ethics*).

[4] Mill, იქვე, პარაგრაფი მე-2 (კურსივი ნემია).

ეს მართლაც რომ ცოტა უცნაური ალიანსია, რადგან, როგორც ვნახეთ (პარაგრაფი მე-15), არსებობს საგსებით აშკარა კონფლიქტი ისტორიცისტის მიდგომასა და სოციალური ინჟინრის ან ტექნოლოგის მიდგომას შორის, იმ პირობით, თუკი სოციალურ ინჟინერიას გავიგებთ როგორც სოციალური ინსტიტუტების კონსტრუირებას გეგმის შესაბამისად. ისტორიციზმის თვალსაზრისით, ისტორიცისტული მიდგომა ზუსტად ისევე რადიკალურად უპირისპირდება ნებისმიერი სახის სოციალურ ინჟინერიას, როგორც მეტეოროლოგის მიდგომა იმ ჯადოქრის მიდგომას, რომელსაც წვიმა მოჰყავს. შესაბამისად, სოციალურ ინჟინერიას (თანდათანობით მიდგომასაც კი) ისტორიცისტები ებრძვიან როგორც უტოპიურს[5]. მიუხედავად ამისა, ვხედავთ, რომ ძალიან ხშირად ისტორიციზმი ჰოლისტური ან უტოპიური სოციალური ინჟინერიისათვის ტიპურ იდეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, „ახალი წესრიგის გეგმის“ ან „ცენტრალიზებული დაგეგმვის“ იდეებთან.

ამ ალიანსის ორი ტიპური წარმომადგენელია პლატონი და მარქსი. პესიმისტ პლატონს სწამდა, რომ ყველა ცვლილება ან თითქმის ყველა ცვლილება დეგრადაციაა. ასეთი იყო ისტორიული განვითარების მისი კანონი. შესაბამისად, მისი უტოპიური გეგმის მიზანი ყველა ცვლილების შეჩერებაა[6] და ამ გეგმას დღეს „სტატიკურს“ ვუწოდებთ. მარქსი, მეორე მხრივ, ოპტიმისტი იყო და შესაძლებელია (სპენსერის მსგავსად) ისტორიცისტული მორალური თეორიის მომხრეც. შესაბამისად, მისი უტოპიური გეგმა განვითარებადი ან „დინამიკური“ საზოგადოების გეგმა იყო და არა უძრავი საზოგადოებისა. მან ისეთი განვითარება იწინასწარმეტყველა და აქტიურად ცდილობდა მისთვის ხელი შეეწყო, რომელიც პოლიტიკური ან ეკონომიკური იძულებისაგან თავისუფალი იდეალური უტოპიით დაგვირგვინდებოდა: სახელმწიფო თავის თავს ამოწურავს, თითოეული ადამიანი საკუთარი შესაძ-

[5] იხილეთ პარაგრაფები მე-15-დან მე-17-ის ჩათვლით; ასევე, განსაკუთრებით, Engels, *Socialism, Utopian and Scientific.*

[6] ეს საკითხი ამომწურავად განვიხილე ჩემს წიგნში *The Open Society and Its Enemies.*



ლებლობის შესაბამისად თავისუფლად თანამშრომლობს და მისი ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია.

ისტორიციზმისა და უტოპიზმის ალიანსის ყველაზე დამაჯერებელი ელემენტი, უეჭველია, ორივესათვის დამახასიათებელი ჰოლისტური მიდგომაა. ისტორიციზმი დაინტერესებულია განვითარებით, მაგრამ არა სოციალური ცხოვრების ცალკეული ასპექტების, არამედ „საზოგადოების როგორც მთელის“ განვითარებით. უტოპიური ინჟინერიაც, ასევე, ჰოლისტურია. ორივეს მხედველობიდან რჩება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც მომდევნო პარაგრაფში დავადგენთ – კერძოდ, ის ფაქტი, რომ ასეთნაირად გაგებული „მთელი“ ვერასოდეს გახდება მეცნიერული კვლევის ობიექტი. ორივე მხარე უკმაყოფილოა „თანდათანობითი მეწვრილმანეობით“ და „უშედეგო ფუსფუსით“. მათ უფრო რადიკალური მეთოდების მიღება სურთ. ორივე მათგანზე – როგორც ისტორიცისტზე, ასევე უტოპისტზე, როგორც ჩანს, შთაბეჭდილებას ცვალებადი სოციალური გარემოს გამოცდილება (გამოცდილება, რომელიც ხშირად გვაშინებს და რომელსაც ზოგჯერ აღწერენ როგორც „სოციალურ ნგრევას“) ახდენს და ხშირად სულის სიღრმემდეც კი აძრწუნებს. შესაბამისად, ორივე მათგანი ამ ცვლილების რაციონალიზებას ცდილობს: ერთი სოციალური განვითარების კურსის წინასწარმეტყველების დახმარებით, მეორე ამ ცვლილების მკაცრი და ყოველმხრივი გაკონტროლების ან მისი მთლიანად შეჩერების მოთხოვნით. კონტროლი სრული უნდა იყოს, რადგან სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რომელიც ასე არ გაკონტროლდება, შესაძლებელია წინასწარგანუჭვრეტელი შედეგების დადგომის ხელშემწყობი სახიფათო ძალები იმალებოდეს.

ისტორიცისტსა და უტოპისტს ის რწმენაც აკავშირებს, რომ მათი მიზნები ან ამოცანები არჩევანისა თუ ხნოვანების გადაწყვეტილების შედეგი კი არაა, არამედ იმის რწმენისა, რომ კვლევის თავიანთ სფეროში მათ ამ მიზნებისა და ამოცანების მეცნიერულად აღმოჩენის შესაძლებლობა აქვთ (ამ მიმართებით ისინი ისევე განსხვავდებიან თანდათანობითი ტექნოლოგისა ან ინჟინრისაგან, როგორც ინჟინერ-ფიზიკოსისაგან). როგორც ისტორიცისტს, ასევე უტოპისტსაც სწამს, რომ, მაგალითად, საზოგადოების ისტორიული ტენ-

დენციების დადგენის ან „მათი დროის მოთხოვნების“ დიაგ-
ნოსტიკის საფუძველზე, შეუძლიათ „საზოგადოების“ ჭეშმარი-
ტი მიზნები ან ამოცანები აღმოაჩინონ. ამდენად, მათ აქვთ
რაღაც ტიპის ისტორიცისტული მორალური თეორიის მიღე-
ბის მზაობა (იხილეთ პარაგრაფი მე-18). სულაც არაა შემთ-
ხვევითი, რომ უტოპიური „დაგეგმვის“ დამცველი ავტორების
უმრავლესობა გვიმტკიცებს, რომ ისტორიის განვითარების
მიმართულების გამო დაგეგმვა, უბრალოდ, გარდაუვალია და
რომ, მიუხედავად იმისა, გვსურს ეს თუ არა, მაინც უნდა
დავგეგმოთ[7].

ასეთივე ისტორიცისტული სულისკვეთებით ეს ავტო-
რები თავიანთ ოპონენტებს მენტალურ ჩამორჩენილობას სა-
ყვედურობენ და სწამთ, რომ მათი მთავარი საქმე „აზროვნე-
ბის ძველი ჩვევების მოშლა და ცვალებადი სამყაროს წვდომის
ახალი გასაღებების მოძიებაა[8]. ისინი ამტკიცებენ, რომ სო-
ციალური განვითარების ტენდენციებზე „შეუძლებელია ეფექ-
ტური ზემოქმედება ან თუნდაც მათი მიმართულების შეცვ-
ლა“, თუკი თანდათანობით მიდგომასა ან „უშედეგო ფუს-
ფუსის“ სულისკვეთებაზე“ არ ავიღებთ ხელს. თუმცა საეჭ-
ვოა, არის კი ეს ახალი „აზროვნება დაგეგმვის დონის თან-
ბაზე“[9] ისე ახალი, როგორც მას მიიჩნევენ, რადგან ჰოლიზ-

[7] მაგალითისათვის იხილეთ K.Mannheim, *Man and Society*, გვ. 6 (და
მრავალი სხვა ადგილიც), სადაც ვკითხულობთ, რომ „დაგეგმვასა
და არდაგეგმვას შორის არჩევანი აღარ არსებობს", არსებობს მხო-
ლოდ არჩევანი „კარგ და ცუდ დაგეგმვას შორის“. ან იხილეთ
F.Zweig, *The Planning of Free Societies* (1942), გვ. 30, სადაც პასუხად
კითხვაზე, თუ რომელია უმჯობესი დაგეგმილი საზოგადოება თუ
დაუგეგმავი, ნათქვამია, რომ ეს კითხვა არ დგას, რადგან ჩვენ-
ვის ის ამჟამინდელი ისტორიული განვითარების მიმართულებამ
გადაწყვიტა.

[8] K.Mannheim, ციტ. თხზ., გვ. 33. მომდევნო ციტატაც აქედანაა, გვ.
7.

[9] კონტის მსგავსად, კ.მანჰაიმიც აზროვნების განვითარების სამ
„დონეს“ განასხვავებს: (1) ცდა და შეცდომა ან შემთხვევითი აღ-
მოჩენა, (2) გამოგონება, (3) დაგეგმვა (იქვე, გვ. 150 და შმდ.).
ჩემთვის იმდენად მიუღებელია მისი დოქტრინა, რომ, სხვა „დონე-
ებთან“ შედარებით, ცდისა და შეცდომის მეთოდი (1) მეცნიერების



მი, როგორც ჩანს, პლატონიდან მოყოლებული, ანტიკური
აზროვნების გამოკვეთილი მახასიათებელია. მე, პირადად,
მჯერა, რომ საკმაოდ კარგად შეიძლება დავასაბუთოთ ის
მოსაზრება, რომ აზროვნების ჰოლისტური ტიპი („საზოგა-
დოების“ თაობაზე იქნება ეს თუ „ბუნების“), აზრის განვი-
თარების მაღალ დონეს ან გვიანდელ საფეხურს კი არ წარ-
მოადგენს, არამედ წინარემეცნიერული საფეხურისათვის არის
დამახასიათებელი.

## 23. ჰოლიზმის კრიტიკა

საკუთარი მიკერძოებულობის გამომჟღავნების და რო-
გორც ჩემი კრიტიკის საფუძვლადმდებარე თვალსაზრისის,
ასევე, ერთი მხრივ, თანდათანობით მიდგომასა და, მეორე
მხრივ, ისტორიციზმსა და უტოპიზმს შორის არსებული და-
პირისპირების აღნიშვნის შემდეგ შევუდგები ჩემს მთავარ
ამოცანას: ისტორიცისტული დოქტრინების განხილვას. დავიწ-
ყებ იმით, რომ მოკლედ გავაკრიტიკებ ჰოლიზმს, რადგან ის
ახლა წარმოგვიდგა როგორც ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი
იმ თეორიისა, რომელსაც უნდა შევებრძოლოთ.

უახლეს ჰოლისტურ ლიტერატურაში სიტყვა „მთლია-
ნობის“ („ჰოლიზმის“) გამოყენება სერიოზული ორაზროვნე-
ბით ხასიათდება. ის აღნიშნავს (a) საგნის ყველა თვისებისა
თუ ასპექტის ერთობლიობას და განსაკუთრებით მისი შე-
მადგენელი ნაწილების ურთიერთდამაკავშირებელ ყველა მი-
მართებას და (b) ანალიზის საგნის გარკვეულ სპეციფიკურ
თვისებებს ან ასპექტებს, კერძოდ, კი ისეთებს, რომლებიც
მას ორგანიზებული სტრუქტურის და არა „უბრალოდ გრო-

მეთოდთან ყველაზე მიახლოებულად მიმაჩნია. სოციალური მეცნი-
ერებისადმი ჰოლისტური მიდგომის წინარემეცნიერულად მიჩნევის
კიდევ ერთი საფუძველი ისაა, რომ მასში პერფექციონიზმის ელე-
მენტია მოცემული. თუკი გავაცნობიერებთ, რომ ამქვეყნიური სა-
მოთხის შექმნა შეუძლებელია და რომ მხოლოდ ვითარების *მკირეო-
დენი* გაუმჯობესებაა შესაძლებელი, მაშინ იმასაც გავაცნობიე-
რებთ, რომ მისი გაუმჯობესება მხოლოდ *თანდათანობით* შეიძლე-
ბა.

ვის“ სახეს აძლევენ. „მთლიანობები“ (b) მნიშვნელობით მეცნიერული კვლევის, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიის ე.წ. „გეშტალტური“ სკოლის შესწავლის ობიექტი გახდა. და მართლაც არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ შარი ვთქვათ ისეთი ასპექტების შესწავლაზე, როგორიცაა სტრუქტურული კანონზომიერებები (მაგალითად, სიმეტრია), რომელთა აღმოჩენა შესაძლებელია ისეთ საგნებში, როგორიცაა ორგანიზმები, ელექტრული ველი ან მანქანები. ამგვარი სტრუქტურის მქონე საგნების შესახებ შეიძლება ვთქვათ, როგორც ამას *გეშტალტთეორია* აკეთებს, რომ ისინი მეტია, ვიდრე აგრეგატები, – „მეტია, ვიდრე მათი ნაწილების უბრალო ჯამი“.

*გეშტალტთეორიის* მიერ მოწოდებული ნებისმიერი მაგალითი შეიძლება გამოვიყენოთ იმის საჩვენებლად, რომ მთლიანობები (b) მნიშვნელობით ძალიან განსხვავდება მთლიანობებისაგან (a) მნიშვნელობით. თუ *გეშტალტის* თეორიის მომხრეთა მსგავსად, მელოდიას განვიხილავთ როგორც რაღაცას, რაც მეტია ცალკეული მუსიკალური ბგერების უბრალო ნაკრებსა ან მიმდევრობაზე, მაშინ ბგერათა ამ მიმდევრობის ასპექტებიდან ერთ-ერთს ვირჩევთ გასაანალიზებლად. ეს ისეთი ასპექტია, რომელიც შესაძლებელია ცალსახად განვასხვაოთ სხვა ასპექტებისაგან, მაგალითად, ამ ბგერათა შორის პირველის აბსოლუტური სიმაღლის ან მათი საშუალო აბსოლუტური სიძლიერისაგან. არსებობს სხვა, მელოდიის ასპექტებზე უფრო აბსტრაქტული, *გეშტალტური* ასპექტებიც, მაგალითად, მელოდიის რიტმი. რიტმის განხილვისას ხომ უგულებელვყოფთ მელოდიისათვის მნიშვნელოვან ტონის რელატიურ სიმაღლესაც კი. ამგვარი შერჩევითობის გამო, *გეშტალტის* და მასთან ერთად (b) მნიშვნელობით ნებისმიერი მთლიანობის კვლევა სავსებით განსხვავდება ერთიანობის ანუ (a) მნიშვნელობით მთლიანობის კვლევისაგან.

ამდენად, ის ფაქტი, რომ შესაძლებელია მეცნიერულად შევისწავლოთ მთლიანობები (b) მნიშვნელობით, არ უნდა გამოვიყენოთ იმ სავსებით განსხვავებული პრეტენზიის გასამართლებლად, რომ შესაძლებელია ასევე შევისწავლოთ მთლიანობები (a) მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი პრეტენზია უნდა უკუვაგდოთ. თუ რაიმე საგნის შესწავლა გვსურს,



იძულებული ვართ მისი გარკვეული ასპექტები ავირჩიოთ. საამყაროს ან ბუნების მთელი მონაკვეთის დაკვირვება, ან აღწერა შეუძლებელია. რეალურად, ასეთნაირად უმცირესი მთელი მონაკვეთის აღწერაც კი შეუძლებელია, რადგან ყველა აღწერა აუცილებლობით შერჩევითია[1]. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ მთლიანობები (a) მნიშვნელობით ვერასოდეს გახდება რაიმე აქტივობის – მეცნიერული იქნება ეს თუ სხვა სახის – ობიექტი. თუ ავიღებთ რაიმე ორგანიზმს და მას სხვა ადგილზე გადავიტანთ, მაშინ მას ფიზიკურ სხეულად განვიხილავთ და მის მრავალ სხვა ასპექტს უგულებელვყოფთ. თუ მას მოვკლავთ, მაშინ მის რაღაც თვისებებს გავანადგურებთ, თუმცა ყველა მათგანს ვერასოდეს მოვსპობთ. ფაქტიურად, ალბათ, შეუძლებელია საგნის ყველა თვისებისა და მისი ნაწილების ყველა ურთიერთმიმართების ერთობლიობის მოსპობა მაშინაც კი, თუ ამ საგანს დავამსხვრევთ ან დავწვავთ.

თუმცა ის ფაქტი, რომ მთლიანობებს როგორც ერთობლიობებს ვერ ვაქცევთ მეცნიერული კვლევის ან ნებისმიერი სხვა აქტივობის, მაგალითად, კონტროლისა ან რეკონსტრუქციის ობიექტად, როგორც ჩანს, ჰოლისტების ყურადღების მიღმა რჩება, მათ შორის ისეთი ავტორების ყურადღების მიღმაც, რომლებიც აღიარებენ, რომ მეცნიერება, რო-

[1] ჰ. გომპერცი *Weltanschauungslehre*-ში II/I (1908), გვ. 63, მიუთითებს, რომ სამყაროს რაიმე მონაკვეთი, მაგალითად, ისეთი როგორიცაა ნერვიულად მოფრთხიალე ბედურა, შეიძლება აღვწეროთ შემდეგი, სავსებით განსხვავებული წინადადებებით, რომელთაგან თითოეული მის განსხვავებულ ასპექტს შეესაბამება: „ეს ნიტი დაფრინავს!“, „აი, ბედურა!“, „აი, ცხოველი!“, „აქ რაღაც მოძრაობს“, „აქ ხდება ენერგიის გარდაქმნა“, „ეს არ არის მუდმივი მოძრაობის შემთხვევა“, „ეს საბრალო შეშინებულია!“. ცხადია, რომ შეუძლებელია მეცნიერების საქმე ასეთი სიის დასრულება იყოს, რადგან ეს სია აუცილებლობითაა უსასრულო. – ფ. ა. ფონ ჰაიეკის მიერ ჰოლიზმის კრიტიკა თავის *Ethic*-ში, ტ. LIV (1943), შენიშვნა 5, ძალიან ჰგავს აქ, ამ ტექსტში წარმოდგენილ კრიტიკას.

გორც წესი, შერჩევითია[2]. მათ ეჭვი არ შეაქვთ სოციალური მთლიანობების (ერთობლიობების მნიშვნელობით) მეცნიერული წვდომის შესაძლებლობაში, რადგან ისინი *გეშტალტური* ფსიქოლოგიის პრეცედენტს ეყრდნობიან. მათ სწამთ, რომ განსხვავება *გეშტალტურ* მიდგომასა და სოციალური მთლიანობების (a) მნიშვნელობით (რომელიც „რაიმე ეპოქის ყველა სოციალური და ისტორიული მოვლენის სტრუქტურას“ მოიცავს) კვლევას შორის მხოლოდ იმ ფაქტში მდგომარეობს, რომ *გეშტალტის* წვდომა პირდაპირი ინტუიციური აღქმითაა შესაძლებელი, მაშინ როცა სოციალური მთლიანობები „მეტისმეტად რთულია იმისათვის, რომ მათ თვალის ერთი შევლებით ვწვდეთ“ და ამდენად, „მათი წვდომა შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივი ა'ხროვნების შემდეგ, როცა ყველა ელემენტს მიექცევა ყურადღება, მოხდება მათი შედარება და ურთიერთდაკავშირება“[3]. მოკლედ, ჰოლისტებს არ ესმით, რომ *გეშტალტის* აღქმას უბრალოდ, არაფერი აქვს საერთო მთლიანობებთან (a) მნიშვნელობით, რომ ცოდნა საერთოდ, მიუხედავად იმისა, ინტუიციურია ის თუ დისკურსიული, აბსტრაქტულ ასპექტებს ეხება და რომ ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ „თვით სოციალური რეალობის კონკრეტული სტრუქტურის წვდომას“[4]. იმის გამო, რომ ეს საკითხი მხედველობიდან გამორჩათ, ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სპეციალისტის მიერ „წვრილმანი დეტალების“ კვლევა უნდა შეივსოს „ინტეგრაციული“ ან „სინთეზური“ მეთოდით, რომლის მიზანი „მთლიანი პროცესის“ რეკონსტრუირებაა. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ

[2] კ. მანჰაიმი შერჩევით, ან აბსტრაქტულ მეცნიერებას აღწერს როგორც „საფეხურს, რომელიც უნდა გაიაროს ყველა მეცნიერებამ, რომელიც სიზუსტისაკენ ილტვის“ (ციტ. თხზ., გვ. 167).

[3] მომდევნო სამ ციტატას შეადარეთ K. Mannheim, ციტ. თხზ., გვ. 184, აგრეთვე იხილეთ შენიშვნა, გვ. 170 და გვ. 230.

[4] იქვე, გვ. 230. დოქტრინა, რომლის თანახმად „თვით რეალობის“ რაღაც კონკრეტული ცოდნის მოპოვება შესაძლებელია, ცნობილია როგორც შემადგენელი ნაწილი იმისა, რაც ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება აღვწეროთ როგორც *მისტიციზმი*, და ასეთივეა „მთლიანობების“ ხმაურიანი მოთხოვნაც.



„სოციოლოგია არსებითი საკითხის იგნორირებას განაგრძობს მანამ, სანამ სპეციალისტები უარს ამბობენ თავიანთი პრობლემების როგორც მთელის განხილვაზე“[5]. თუმცა ეს ჰოლისტური მეთოდი მხოლოდ პროგრამად დასარჩენადაა განწირული. მთლიანი, კონკრეტული სოციალური სიტუაციის მეცნიერული აღწერის არც ერთი მაგალითი არ არის ცნობილი. ეს შეუძლებელია, რადგან თითოეულ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ადვილი იქნება მითითება იმ უგულებელყოფილ ასპექტებზე, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი შეიძლება აღმოჩნდეს.

თუმცა ამ შეუძლებელი მეთოდის დახმარებით ჰოლისტები მხოლოდ მთელი საზოგადოების შესწავლას კი არ გეგმავენ, არამედ ჩვენი საზოგადოების „როგორც მთელის“ გაკონტროლებასა და რეკონსტრუირებასაც. ისინი წინასწარმეტყველებენ, რომ „სახელმწიფოს ძალა აუცილებლობით გაიზრდება მანამ, სანამ სახელმწიფო საზოგადოების იდენტური არ გახდება“[6]. ამ ნაწყვეტში გამოხატული ინტუიცია საკმაოდ ცხადია. ეს ტოტალიტარული ინტუიციაა[7]. და მაინც, ამ ინტუიციის გადმოცემის გარდა, რას გულისხმობს ეს წინასწარმეტყველება? ტერმინი „საზოგადოება“, რა თქმა უნდა, მოიცავს ყველა სოციალურ ურთიერთმიმართებას, ყველა პიროვნულ ურთიერთობას: როგორც დედისას საკუთარი შვილის მიმართ, ასევე ბავშვის უფლებათა დამცველისას ორივეს მიმართ. მრავალი მიზეზის გამო ყველა ან „თითო-

[5] იხილეთ ციტირებული თხზულება, მაგალითად, გვ. 26 და 32. ჰოლიზმის ეს კრიტიკა არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის თანამშრომლობის მოთხოვნას ვეწინააღმდეგები. ამასთან დაპირისპირება წარმოუდგენელია, განსაკუთრებით როცა რაიმე ისეთი, გარკვეული განსხვავებული ასპექტის მქონე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, რომლის წინ წაწევაც მხოლოდ ასეთი თანამშრომლობითაა შესაძლებელი. მაგრამ ეს შემთხვევა სავსებით განსხვავდება სისტემური სინთეზის ან რადაც ამგვარი მეთოდით კონკრეტული მთლიანობების წვდომის გზგმისაგან.

[6] იხილეთ ციტ. თხზ., გვ. 337 და შენიშვნა 7, გვ. 81 (ამ წიგნში).

[7] ციტირებული ფორმულა თითქმის იდენტურია C. Schmitt-ის ფორმულისა.

ქმის“ ყველა ამ მიმართების გაკონტროლება სავსებით შეუძ-
ლებელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალური მი-
მართებების ყოველი ახალი კონტროლის პარალელურად უამ-
რავ ახალ სოციალურ მიმართებას ვქმნით, რომლებიც ასევე
უნდა გაკონტროლდეს. მოკლედ, ეს შეუძლებლობა ლოგიკურ
რი შეუძლებლობაა[8] (ამ მცდელობას უსასრულო რეგრე-
სამდე მივყავართ. ასეთივე მდგომარეობაა მთელი საზოგა-
დოების *კვლევის* მცდელობის შემთხვევაშიც – ამ კვლევამ
თვით ეს კვლევაც უნდა მოიცვას). თუმცა აშკარაა, რომ
უტოპისტები ზუსტად შეუძლებლის შეძლებას ცდილობენ.
ისინი ხომ იმასაც გვიმტკიცებენ, რომ, სხვა რამესთან ერ-
თად, შესაძლებელი იქნება „პიროვნული ურთიერთობების
უფრო რეალისტური ფორმირებაც“[9] (რა თქმა უნდა, არავის
ეეჭვება, რომ განსხვავებით მთლიანობებისაგან (a) მნიშვნე-
ლობით, მთლიანობების (b) მნიშვნელობით ფორმირება, კონ-
ტროლირება ან თუნდაც შექმნა შესაძლებელია, მაგალი-
თად, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ მელოდია, მაგრამ ამას
არაფერი აქვს საერთო ტოტალური კონტროლის უტოპიურ
ოცნებებთან).

უტოპიზმის თაობაზე საკმარისი ითქვა. ისტორიციზ-
მიც ასეთსავე უიმედო მდგომარეობაშია. ისტორიცისტი ჰო-
ლისტები ხშირად, თუმც კი არაპირდაპირ ამტკიცებენ, რომ
ისტორიული მეთოდი ადეკვატურია მთლიანობების როგორც
ერთობლიობების შესწავლისათვის[10]. მაგრამ ეს დაშვება გა-

[8] ჰოლისტებს, შეიძლება, იმის იმედი აქვთ, რომ ამ სიძნელიდან
გამოსავალი ლოგიკის მართებულობის უარყოფაა, რადგან, მათი
აზრით, ლოგიკა დიალექტიკითაა დაბინძურებული. ამ გზის გა-
დაკეტვა ვცადე "What is Dialectics?"-ში, *Mind*, ტ. 49 N.S. გვ. 403 და
შმდ.

[9] იხილეთ K.Mannheim, ციტირებული თხზულება, გვ. 202. შეიძლება
ითქვას, რომ ამუამად ფსიქოლოგიური ჰოლიზმი მეტად მოდური
განათლების სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებს შორის.

[10] დოქტრინას, რომლის თანახმად, ისტორიას საქმე აქვს „კონ-
კრეტულ ინდივიდუალურ მთლიანობებთან“, რომლებიც შეიძლება
იყოს პიროვნებები, მოვლენები ანდა ეპოქები განსაკუთრებულ



შგებრობას ეფუძნება. ის ორი რწმენის კომბინირების შე-
დეგია: ერთია ის სწორი რწმენა, რომ, თეორიული მეცნიე-
რებებისაგან განსხვავებით, ისტორიას კონკრეტული ინდივი-
დუალური მოვლენები და ცალკეული პიროვნებები უფრო
აინტერესებს, ვიდრე აბსტრაქტული ზოგადი კანონები, ხო-
ლო მეორე კი ის მცდარი რწმენა, რომლის თანახმად ის-
ტორიისათვის საინტერესო „კონკრეტული“ ინდივიდუალობე-
ბი შესაძლებელია გავაიგივოთ „კონკრეტულ“ მთლიანობებ-
თან (a) მნიშვნელობით. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან
ისტორიას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის კვლევას,
საქმე შეიძლება მხოლოდ მისი კვლევის ობიექტის შერჩეულ
ასპექტებთან ჰქონდეს. მცდარია ის აზრი, რომ შეიძლება
არსებობდეს ჰოლისტური ისტორია, „საზოგადოების მდგო-
მარეობების ისტორია“, რომელიც „სოციალური ორგანიზმის
მთლიანობას“ ანდა „ეპოქის ყველა სოციალურ და ისტორი-
ულ მოვლენას“ წარმოგვიდგენდა. ეს აზრი *კაცობრიობის*
*ისტორიის* როგორც განვითარების ფართო და ყოვლისმომ-
ცველი ნაკადის ინტუიციური გაგებიდან მომდინარეობს. მაგ-
რამ ასეთი ისტორიის დაწერა შეუძლებელია. ნებისმიერი
წერილობითი ისტორია ამ „ტოტალური“ განვითარების რო-
მელიმე ვიწრო ასპექტის ისტორიაა და თანაც ამ შერჩეული
კონკრეტული არასრული ასპექტის მეტად არასრული ისტორია.

უტოპიზმისა და ისტორიციზმის ჰოლისტური ტენდენ-
ციები ასეთ ტიპურ დებულებაშია თავმოყრილი: „არასოდეს
ყოფილა საჭირო ბუნების სისტემის ისე სრულად გადმო-
ცემა და მართვა, როგორც დღეს, როცა იძულებული ვართ
ეს ჩვენი საზოგადოების მიმართ გავაკეთოთ და, *მაშასადამე*,
ჩვენ არც ბუნების ინდივიდუალური სამყაროების ისტორი-
ასა და სტრუქტურებში შეღწევა დაგვჭირვებია. კაცობრიობა
... მთელი თავისი სოციალური ცხოვრების რეგულირებისა-
კენ ისწრაფის, თუმცა მას არასოდეს უცდია თავის თავზე
მეორე ბუნების შექმნა აეღო“[11]. ეს დებულება იმ მცდარი
რწმენის ილუსტრაციაა, რომ თუ ჩვენ, როგორც ჰოლისტებს,

პროპაგანდას Troeltsch-ი უწევდა. მანჰაიმი კი ყოველთვის ჭეშმარი-
ტად მიიჩნევდა მას.

[11] K.Mannheim, ციტ. თხზ., გვ. 175 და შმდ. (კურსივი ჩემია).

„ბუნების მთელი სისტემის სრულად“ განხილვა გვსურს, მაშინ ამაში ისტორიული მეთოდი დაგვეხმარება. მაგრამ ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგალითად, გეოლოგია, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ, სულაც არ სწვდებიან თავიანთი კვლევის საგნის „მთელ სისტემას“. ეს დებულება იმ არასწორ თვალსაზრისსაც გამოხატავს, რომ შესაძლებელია მთლიანობების (a) მნიშვნელობით „დადგენა“, „წარმართვა“, „რეგულირება“ ანდა „შექმნა“. ის, რომ „არასოდეს დაგვჭირვებია ბუნების მთელი სისტემის დადგენა და წარმართვა“, მართლაც, სწორია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია „მთლიანობაში“ ფიზიკური ხელსაწყოს თუნდაც ერთი ცალკეული ნაწილის დადგენა და წარმართვა. ასეთი რამ განუხორციელებელია. ეს უტოპიური ოცნებები ან, იქნებ, შეცდომებია. იმის თქმა, რომ დღეს *იძულებული* ვართ გავაკეთოთ ის, რაც ლოგიკურად არის შეუძლებელი, კერძოდ კი დავადგინოთ და წარვმართოთ საზოგადოების მთელი სისტემა და მთლიანად ვარეგულიროთ საზოგადოებრივი ცხოვრება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დაშინების მცდელობაა იმ „ისტორიული ძალებით“ და „მომწიფებული ცვლილებებით“, რომლებიც უტოპიურ დაგეგმვას გარდაუვალს ხდიან.

სხვათა შორის, ეს ციტირებული დებულება საინტერესოა, როგორც იმ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის აღიარება, რომ ჰოლისტური ინჟინერიის ან მისი შესაბამისი „მეცნიერების“ ფიზიკური ანალოგია არ არსებობს. ამდენად, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის ანალოგიის ძიება, აქ, ამ საკითხის გარკვევაში, მართლაც გეხმარება.

ასეთია ჰოლიზმის ან იმ საფუძვლის ლოგიკური სტატუსი, რომელზეც, როგორც მოგვიწოდებენ, ახალი სამყარო უნდა ავაშენოთ.

ერთი კრიტიკული შენიშვნა უნდა გამოვთქვა მთლიანობების მიმართ (b) მნიშვნელობით, რომლებსაც მეცნიერული სტატუსი მივანიჭე. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ჩემს სიტყვაზე უარს არ ვამბობ, ვალდებული ვარ აღვნიშნო, რომ იშვიათად თუ აცნობიერებენ ხოლმე იმ დებულების ტრივიალურობასა და ბუნდოვანებას, რომ მთელი მეტია მისი ნაწილების ჯამზე. თეფშზე მოთავსებული სამი ვაშლიც



კი მეტია, ვიდრე „უბრალო ჯამი“, იმდენად, რამდენადაც მათ შორის უნდა არსებობდეს გარკვეული მიმართებები (ყველაზე დიდი ვაშლი შეიძლება დანარჩენ ორს შორის იყოს ან არ იყოს და ა.შ.): მიმართებები, რომლებიც არ გამომდინარეობს სამი ვაშლის არსებობის ფაქტიდან და რომელთა მეცნიერული შესწავლა შესაძლებელია. ასევე, ფართოდ რეკლამირებული დაპირისპირება „ატომისტურ“ და „*გეშტალტურ*“ მიდგომებს შორის სავსებით უსაფუძვლოა, ყველა შემთხვევაში, ატომურ ფიზიკასთან მიმართებით: ატომური ფიზიკა უბრალოდ კი არ „აჯამებს“ თავის ელემენტარულ ნაწილაკებს, არამედ ნაწილაკთა სისტემებს იკვლევს იმ თვალსაზრისით, რომელიც ცალსახადაა დაკავშირებული მთლიანობებთან (b) მნიშვნელობით[12].

ის, რისი დამტკიცებაც *გეშტალტის* თეორიის მომხრეებს მართლაც სურთ, საგანთა ორი ტიპის არსებობაა: ესენია „ბროვები“, რომლებშიც ვერანაირ წესრიგს ვერ აღმოვაჩენთ და „მთლიანობები“, რომლებშიც წესრიგის, სიმეტრიის, კანონზომიერების, სისტემის ანდა სტრუქტურული გეგმის აღმოჩენაა შესაძლებელი. ამდენად, ასეთი წინადადება „ორგანიზმები მთლიანობები არიან“ დაიყვანება ისეთ ტრივიალობაზე, რომ ორგანიზმებში რაღაც წესრიგის აღმოჩენაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ე.წ. „ბროვას“, როგორც წესი, *გეშტალტური* ასპექტიც აქვს, ზუსტად ისევე, როგორც ელექტრულ ველს, რომელსაც ხშირად იმოწმებენ ხოლმე (განიხილეთ ის კანონზომიერება, რომლითაც იზრდება წნევა ქვების გროვაში). ამრიგად, ეს განსხვავება მხოლოდ ტრივიალური კი არაა, არამედ მეტად ბუნდოვანიც და ის არა განსაზღვრული.

---

[12] იხილეთ, მაგალითად, პაულის გამორიცხვის პრინციპი. ისეთმა იდეებმა, როგორიცაა კონკურენცია ან შრომის დანაწილება, სოციოლოგისათვის საკმაოდ ნათელი უნდა გახადოს ის, რომ „ატომისტური“ ან „ინდივიდუალისტური“ მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ გვიშლის ხელს იმის გაცნობიერებაში, რომ თითოეული ინდივიდი ყველა სხვასთან ურთიერთქმედებს (ფსიქოლოგიაში განსხვავებული ვითარებაა, რადგან აქ ატომიზმი, მისი გამოყენების მრავალი მცდელობის მიუხედავად, როგორც ჩანს, არ გამოდგება).

სხვავებული ტიპის საგნების, არამედ მხოლოდ ერთი და იგივე საგნების განსხვავებული ასპექტების მიმართ გამოდგება.

## 24.სოციალური ექსპერიმენტების ჰოლისტური თეორია

ჰოლისტური აზროვნება განსაკუთრებით მაგნე იმ გაჟლენის გამოა, რომელსაც ის სოციალური ექსპერიმენტების ისტორიცისტულ თეორიაზე ახდენს (ეს დეტალურად განვიხილე ზემოთ, პარაგრაფი 2). თანდათანობითი ტექნოლოგი, მართალია, დაეთანხმება ისტორიცისტს იმაში, რომ ფართომასშტაბიანი ან ჰოლისტური სოციალური ექსპერიმენტები, თუკი ისინი საერთოდ შესაძლებელია, მეცნიერული მიზნებისათვის უაღრესად მოუხერხებელია, ის კატეგორიულად უკუაგდებს იმ, ისტორიცისტისა და უტოპისტისათვის საერთო, დაშვებას, რომ, თუკი სოციალური ექსპერიმენტები რეალისტური უნდა იყოს, მაშინ ისინი მთელი საზოგადოების ხელახალი მოდელირების უტოპიურ მცდელობებს უნდა დაემსგავსოს.

ჩვენი კრიტიკა, უმჯობესია, უტოპიური პროგრამის საპირისპირო ერთი, მეტად ნათელი მოსაზრების განხილვით დავიწყოთ. კერძოდ კი, იმ მოსაზრების ანალიზით, რომ ჩვენ არ ვფლობთ ასეთი წამოწყებისათვის საჭირო ექსპერიმენტულ ცოდნას. ფიზიკოსი ინჟინრის პროექტები ექსპერიმენტულ ტექნოლოგიას ეფუძნება. მისი საქმიანობის საფუძვლადმდებარე ყველა პრინციპი პრაქტიკული გამოცდილებითაა შემოწმებული. სოციალური ინჟინრის ჰოლისტური პროექტები კი რაიმე მსგავს პრაქტიკულ გამოცდილებას არ ეფუძნება. ასე რომ, ფიზიკურ ინჟინერიასა და ჰოლისტურ სოციალურ ინჟინერიას შორის ვითომდა არსებულ ანალოგიას საფუძველი ეცლება. ჰოლისტური დაგეგმვა სამართლიანადაა აღწერილი როგორც „უტოპიური“, რადგან მისი გეგმების მეცნიერული საფუძველი, უბრალოდ, არ არსებობს.

სავარაუდოა, რომ ასეთი კრიტიკის მოსმენისას უტოპისტი ინჟინერი პრაქტიკული გამოცდილებისა და ექსპერიმენტული ტექნოლოგიის საჭიროებას აღიარებს. თუმცა ის განაცხადებს, რომ ამ საჭიროების შესახებ ვერასოდეს გა-



ვიგებთ, თუკი თავს შევიკავებთ სოციალური ექსპერიმენტების ჩატარების ანდა ჰოლისტური ინჟინერიისაგან, რაც, მისი აზრით, ერთი და იგივეა. უტოპისტი ინჟინერი შეგვეკამათება, რომ საჭიროა დავიწყოთ და გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ცოდნა, მიუხედავად იმისა, დიდია ის თუ პატარა. თუ დღეს საფრენი აპარატების პროექტირების რაღაც ცოდნა გაგვაჩნია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაც დამწყებმა, რომელსაც ეს ცოდნა არ ჰქონდა, საფრენი საშუალების დაპროექტება და მისი გამოცდა გაბედა. ასეთნაირად, უტოპისტმა შეიძლება ისიც კი განაცხადოს, რომ ჰოლისტური მეთოდი, რომელსაც ის იცავს, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების მიმართ გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდი. საქმე ისაა, რომ ის, ისტორიცისტის მსგავსად, ამტკიცებს, რომ მცირემასშტაბიანი ექსპერიმენტები, ისეთი როგორიცაა ერთ ქარხანაში ან ერთ სოფელში ან თუნდაც ერთ რეგიონში ჩატარებული სოციალისტური ექსპერიმენტი, სულაც არ იძლევა საბოლოო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი იზოლირებული „რობინზონ კრუზოს ექსპერიმენტები“ ვერაფერს გვეტყვიან თანამედროვე სოციალური ცხოვრების შესახებ „დიდ საზოგადოებაში“. ისინი „უტოპიერის“ მეტსახელსაც კი იმსახურებენ – „უტოპიერისა“ იმ (მარქსისტული) მნიშვნელობით, რომლითაც ეს ტერმინი ისტორიული ტენდენციების უგულებელყოფას გულისხმობს (ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ უგულებელყოფილია სოციალური ცხოვრების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების ტენდენცია).

როგორც ვხედავთ, უტოპიზმი და ისტორიციზმი იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომ *სოციალურ ექსპერიმენტს (თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს) დირებულება მხოლოდ მაშინ ექნება, თუკი ის ჰოლისტური მასშტაბით განხორციელდება.* ეს ფართოდ გავრცელებული ცრურწმენა გულისხმობს, რომ ჩვენ იშვიათად თუ გვაქვს სოციალურ სფეროში „დაგეგმილი ექსპერიმენტის“ ჩატარების შესაძლებლობა და რომ ამ სფეროში აქამდე ჩატარებული „შემთხვევითი ექსპე-

რიმენტების“ შედეგების შესაჯამებლად *ისტორიას*[1] უნდა მიეგ-
მართოთ.

ამ თვალსაზრისის მიმართ ორი შეპასუხება მაქვს: (a) მას მხედველობიდან რჩება ის *თანდათანობითი ექსპერიმენ-ტები*, რომლებიც არსებითია მთელი სოციალური ცოდნის, როგორც წინარემეცნიერულის, ასევე მეცნიერულისათვის; (b) *ჰოლისტური ექსპერიმენტები* ჩვენს ექსპერიმენტულ ცოდნას ბევრს ვერაფერს შემატებს და მათ „ექსპერიმენტები“ მხოლოდ იმ აზრით შეიძლება ვუწოდოთ, რომლითაც ეს ტერმინი სინონიმია *იმ რაიმე მოქმედებისა, რომლის შედეგი გაურკვეველია*, მაგრამ არა იმ აზრით, რომლითაც ამ ტერმინს იყენებენ *მიღებული შედეგების მოსალოდნელ შედეგებთან შედარების საფუძველზე ცოდნის შეძენის საშუალების* აღსანიშნავად.

(a)-ს თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ექსპერიმენტის ჰოლისტური გაგება არ გვიხსნის იმ ფაქტს, რომ სოციალური ცხოვრების შესახებ საკმაოდ დიდ ექსპერიმენტულ ცოდნას ვფლობთ. გამოცდილ და გამოუცდელ ბიზნესმენს, ორგანიზატორს, პოლიტიკოსსა თუ გენერალს შორის განსხვავება არსებობს. ეს მათი სოციალური გამოცდილების განსხვავებაა. და თანაც გამოცდილებისა, რომელიც მხოლოდ დაკვირვებით ან დაკვირვების შედეგებზე რეფლექსიით კი არ შეიძინეს, არამედ რაღაც პრაქტიკული მიზნის მისაღწევად საჭირო ძალისხმევით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით მიღებული ცოდნა, ჩვეულებრივ, წინარემეცნიერულია და, შესაბამისად, შემთხვევითი დაკვირვებით მიღებულ ცოდნას უფრო წააგავს, ვიდრე საგულდაგულოდ დაგეგმილი მეცნიერული ექსპერიმენტით მიღებულ ცოდნას. მაგრამ ეს არ გვაძლევს რაიმე საფუძველს იმის უარსაყოფად, რომ ამგვარი ცოდნა ექსპერიმენტს უფრო ეფუძნება.

[1] ასევე თვლიდა მილიც, რომელიც სოციალური ექსპერიმენტების შესახებ ამბობდა, რომ „რომელიმე მათგანის ჩატარების რეალური ძალა არასოდეს გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ბუნების შემოთავაზებულ ექსპერიმენტებს, ... ისტორიაში ფიქსირებული ფენომენების თანმიმდევრობას დავაკვირდეთ ...“. (იხილეთ, *Logic*, წიგნი VI, თ. VII, §2).



ვიდრე უბრალო დაკვირვებას. ვაჭარი, რომელიც ახალ მაღაზიას ხსნის, სოციალურ ექსპერიმენტს ატარებს. თეატრალურ სალაროს რიგში ჩამდგარი ადამიანიც ექსპერიმენტულ ტექნოლოგიურ ცოდნას იძენს, რომელსაც შემდგომში, ბილეთის დაჯავშნისას, გამოიყენებს, რაც ისევ და ისევ სოციალური ექსპერიმენტია. და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ პრაქტიკულმა ექსპერიმენტებმა ასწავლა ბაზარში მოვაჭრეებსაც და მყიდველებსაც, რომ მიწოდების გაზრდისას ფასები ყოველთვის მცირდება, ხოლო მოთხოვნის ზრდის ქველა შემთხვევაში ფასებიც იზრდება.

უფრო ფართომასშტაბიანი თანდათანობითი ექსპერიმენტების მაგალითებია მონოპოლისტის გადაწყვეტილება შეცვალოს თავისი პროდუქციის ფასი; კერძო, ან სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის მიერ ჯანმრთელობის, ან დასაქმების დაზღვევის ახალი ტიპის შემოღება; ახალი ბრუნვის გადასახადის დაწესება, ან სასაქონლო-სამრეწველო ციკლების საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება. ქველა ამ ექსპერიმენტის ჩატარებისას მხედველობაში პრაქტიკული მიზნები უფრო აქვთ, ვიდრე მეცნიერული. მეტიც, ზოგიერთი დიდი ფირმა ექსპერიმენტებს საკუთარი შეგნებულად, ბაზრის უკეთ გაცნობის (რათა შემდგომში საკუთარი მოგება გაზარდოს) და არა მოგების დაუყოვნებლად გაზრდის მიზნით ატარებს[2]. ეს ვითარება ძალიან ჰგავს ფიზიკურ ინჟინერიას და წინარემეცნიერულ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც პირველად შეეძინეთ ისეთი ცოდნა, როგორიც საჭიროა მაგალითად, გემების ასაგებად, ან ნავიგაციისათ-

[2] Sidney and Beatrice Webb, *Methods of Social Study* (1932), გვ. 221 და შმდ. აქ სოციალური ექსპერიმენტების ასეთივე მაგალითებია მოყვანილი. მართალია ეს ავტორები ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ ექსპერიმენტების ორ ტიპს, რომლებსაც მე „თანდათანობითი“ და „ჰოლისტური“ ვუწოდე. მაგრამ ექსპერიმენტული მეთოდის მათი კრიტიკა (იხ. გვ. 226, „შედეგების ურთიერთადრეკა“) განსაკუთრებით დამაჯერებელია როგორც ჰოლისტური ექსპერიმენტების (რომლებიც, როგორც ჩანს, მათ აღტაცებას იწვევს) კრიტიკა. გარდა ამისა, მათი კრიტიკა შერწყმულია „ცვალებადობის არგუმენტთან“ ("variability argument"), რომელიც მე არამართებულად მიმაჩნია. იხილეთ პარაგრაფი 25-ე ქვემოთ.

ვის. ამ მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას და მათ სამი-
ლოო ჩანაცვლებას უფრო მეცნიერული ტექნოლოგიით, ანუ
კრიტიკულ აზროვნებასა და ექსპერიმენტზე დაფუძნებული
ამავე მიმართულების უფრო სისტემური მიდგომით, ხელს,
თითქოს, არაფერი უშლის.

ამ თანდათანობითი თვალსაზრისის თანახმად, წინა-
რემეცნიერულ და მეცნიერულ ექსპერიმენტულ მიდგომებს
შორის რაიმე მკაფიოდ გამოკვეთილი მიჯნა არ არსებობს.
თუმცა მეცნიერული, ანუ კრიტიკული მეთოდების სულ უფ-
რო გააზრებულ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.
ორივე მიდგომა, არსებითად, შეიძლება აღვწეროთ როგორც
ცდისა და შეცდომის მეთოდის გამოყენება. ჩვენ ვცდით,
რაც იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ კი არ აღვნუსხავთ და-
კვირვების მონაცემებს, არამედ აქტიურად ვცდილობთ რამო-
დენიმე მეტ-ნაკლებად პრაქტიკული და კონკრეტული პრობ-
ლემა გადავჭრათ. პროგრესს კი მხოლოდ და მხოლოდ იმ
შემთხვევაში მივაღწევთ, თუკი მზად ვიქნებით *საკუთარ შე-
ცდომებზე ვისწავლოთ:* ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და
მათი დოგმატური დაცვის ნაცვლად კრიტიკულად გამოვიყე-
ნოთ ისინი. ეს ანალიზი ტრივიალურად ჟღერს, მაგრამ დარ-
წმუნებული ვარ, რომ ის ყველა ემპირიული მეცნიერების
მეთოდს აღწერს. ეს მეთოდი მით უფრო მეტად იძენს მეცნი-
ერულ ხასიათს, რაც უფრო თავისუფლად და გააზრებულად
ვართ მზად იმისათვის, რომ ვცადოთ და რაც უფრო კრიტი-
კულად მოვძებნით შეცდომებს, რომლებსაც ყოველთვის ვუ-
შვებთ. ეს ფორმულა მხოლოდ ექსპერიმენტის მეთოდს კი
არ მოიცავს, არამედ თეორიასა და ექსპერიმენტს შორის მი-
მართებასაც. ყველა თეორია ცდაა, ისინი საცდელი ჰიპო-
თეზებია, რომლებსაც ვამოწმებთ იმის გასაგებად იმუშავ-
ბენ ისინი თუ არა. ნებისმიერი ექსპერიმენტული დადასტუ-
რება კი უბრალოდ კრიტიკული სულისკვეთებით ჩატარებუ-
ლი შემოწმების შედეგია, როცა ვცდილობთ აღმოვაჩინოთ
თუ სად ცდება ჩვენი თეორიები[3].

[3] აქ მონიშნული მიმართულებით თანამედროვე ფიზიკის მეთოდო-
ბის უფრო სრული ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ჩემს *Logic of
Scientific Discovery*, იხილეთ აგრეთვე "What is Dialectics?", *Mind*, ტ. 49.



თანდათანობითი ტექნოლოგიისა, ან ინჟინრისათვის ეს
მოსაზრებები იმას ნიშნავს, რომ თუკი მას საზოგადოების
კვლევასა და პოლიტიკაში მეცნიერული მეთოდების შეტანა
სურს, უმთავრესი ამოცანა კრიტიკული მიმართების მიღება
და იმის გაცნობიერებაა, რომ მხოლოდ ცდა კი არ არის
აუცილებელი, არამედ შეცდომაც. თანაც, მან მხოლოდ შეც-
დომების მოლოდინი კი არ უნდა ისწავლოს, არამედ მათი
გააზრებულად მოძიებაც. ჩვენ ყველას გვახასიათებს არამე-
ცნიერული სისუსტე – გვგონია, რომ ყოველთვის მართლები
ვართ და ეს სისუსტე. როგორც ჩანს, განსაკუთრებით პრო-
ფესიონალ და დილეტანტ პოლიტიკოსებს შორისაა გავრცე-
ლებული. თუმცა პოლიტიკაში მეცნიერულ მეთოდს მიმსგავ-
სებული მეთოდის გამოყენების ერთადერთი შესაძლებლობა
იმ დაშვების მიღებაა, რომ არ არსებობს ისეთი პოლიტიკუ-
რი ნაბიჯი, რომელსაც არც ნაკლი ახასიათებს და არც
არასასურველი შედეგები მოჰყვება. ამ შეცდომების მოძიება,
მათი პოვნა, საჯაროდ აღიარება, ანალიზი და ამ შეცდო-
მებზე სწავლა – აი, რა უნდა გააკეთოს მეცნიერ-პოლიტი-
კოსმა, ისევე როგორც პოლიტიკოს-მეცნიერმა. მეცნიერული
მეთოდი პოლიტიკაში გულისხმობს, რომ საკუთარ შეუმცდა-
რობაში ჩვენი თავის დარწმუნების, შეცდომების იგნორირე-
ბის, მათი მიჩქმალვისა და მათ გამო სხვების დადანაშაუ-
ლების უდიდესი ხელოვნება უნდა შეიცვალოს შეცდომებზე
პასუხისმგებლობის აღების, შეცდომებზე სწავლის და ამ
ცოდნის ისეთნაირად გამოყენების უფრო დიდი ხელოვნე-
ბით, რომ მომავალში ამგვარი შეცდომების თავიდან აცილე-
ბა შევძლოთ.

ახლა მივუბრუნდეთ (b) პუნქტს და გავაკრიტიკოთ ის
მოსაზრება, რომლის თანახმად შესაძლებელია ვისწავლოთ
ჰოლისტური ექსპერიმენტების საფუძველზე ან უფრო ზუს-
ტად, იმ ღონისძიებების საფუძველზე, რომელთა ჩატარების
მასშტაბიც ჰოლისტურ ოცნებას უახლოვდება (რადგან, რო-
გორც წინა პარაგრაფში ვუჩვენე, ჰოლისტური ექსპერიმენ-

გვ. 403 და შდ. აგრეთვე, მაგალითად, იხილეთ Tinbergen, *Statistical
Testing of Business Cycle Theories*, ტ. II, გვ. 21: „მოდელის აგება ...
ცდისა და შეცდომის მეთოდის შედეგია“ და ა.შ.

ტები რადიკალური აზრით, *თითქოს* ისინი „მთელი საზო-
გადოების“ ხელახალ მოდელირებას ახდენენ, ლოგიკურად
შეუძლებელია). ჩვენი ძირითადი აზრი მეტად მარტივია: კრი-
ტიკული მიმართება საკუთარი შეცდომების მიმართ საკმაოდ
ძნელია, მაგრამ თითქმის შეუძლებელია კრიტიკული მიმარ-
თების მკაცრად დაცვა ჩვენი იმ მოქმედებების მიმართ, რომ-
ლებიც მრავალი ადამიანის სიცოცხლეს ეხება. სხვაგვარად
რომ ვთქვათ, ძალიან დიდ შეცდომებზე სწავლა ძალიან ძნე-
ლია.

ამას ორმაგი, როგორც ტექნიკური, ასევე მორალური,
საფუძველი აქვს. იმის გამო, რომ ერთ ჯერზე ძალიან ბევრ-
რამ კეთდება, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი
კონკრეტული ღონისძიება იწვევს ამა თუ იმ შედეგს ან, უფ-
რო ზუსტად, თუკი ჩვენ რაიმე კონკრეტულ შედეგს რაიმე
კონკრეტულ ღონისძიებას ვუკავშირებთ, მაშინ ეს მხოლოდ
რაიმე, წინასწარ შეძენილი თეორიული ცოდნის საფუძველ-
ზეა შესაძლებელი და არა მოცემული ჰოლისტური ექსპერი-
მენტისა. ეს ექსპერიმენტი კონკრეტული შედეგების კონკრე-
ტულ ღონისძიებებთან დაკავშირებაში ვერ დაგვეხმარება.
ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ისაა, რომ „მთე-
ლი შედეგი“ ამ ექსპერიმენტს დავუკავშიროთ და, რაც არ
უნდა იგულისხმებოდეს ამაში, ეს მართლაც ძნელი შესაფა-
სებელია. უდიდესი ძალისხმევაც კი, რომელმაც ამ შედეგე-
ბის საქმეში კარგად ნახედული, დამოუკიდებელი და კრი-
ტიკული გადმოცემა უნდა უზრუნველყოს, წარუმატებელი
იქნება. თუმცა ამგვარი ძალისხმევის განხორციელების შან-
სი თითქმის არ არსებობს. პირიქით, უფრო სავარაუდოა,
რომ ჰოლისტური გეგმის და მისი შედეგების თავისუფალ
განხილვას არ დაუშვებენ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საკ-
მაოდ ფართომასშტაბიანი დაგეგმვის ნებისმიერი მცდელობა
ისეთი წამოწყებაა, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, მნიშ-
ნელოვანი უხერხულობა უნდა შეუქმნას მრავალ ადამიანს
და თანაც, დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავ-
ლობაში. მაშასადამე, ყოველთვის იარსებებს ამ გეგმისადმი
დაპირისპირების და მისით უკმაყოფილების ტენდენცია. უტო-
პისტი ინჟინერი იძულებული გახდება წაუერეოს ამ უკმაყო-
ფილების უდიდეს ნაწილს, თუკი სურს, რომ საერთოდ რა-



ამჟამ მიაღწიოს. ფაქტიურად, არაგონივრული პროტესტის ნა-
ხშობა მისი საქმიანობის ნაწილად იქცევა. თუმცა მასთან
ერთად, მას ყოველთვის მოუწევს გონივრული კრიტიკის ნა-
ხშობაც. ის უბრალო ფაქტი კი, რომ უკმაყოფილების გამო-
ხატვა უნდა აილაგმოს, კმაყოფილების ყველაზე მგზნებარე
გამოხატვასაც კი უკარგავს მნიშვნელობას. ამდენად, ძნელი
იქნება ფაქტების დადგენა ე.ი. ცალკეულ მოქალაქეზე ამ
გეგმის გავლენის დადგენა, ამ ფაქტების გარეშე კი მეცნიე-
რული კრიტიკა შეუძლებელია.

თუმცა მეცნიერულ მეთოდებთან ჰოლისტური დაგეგმ-
ვის დაკავშირების სიძნელე გაცილებით უფრო ფუნდამენტუ-
რია, ვიდრე ეს აქამდე ვუსვენეთ. ჰოლისტი დამგეგმავის ეუ-
რადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ძალაუფლების ცენ-
ტრალიზება ადვილია, მაგრამ შეუძლებელია მთელი იმ ცო-
დნის ცენტრალიზება, რომელიც მრავალ ინდივიდუალურ
გონებაშია გადანაწილებული და რომლის ცენტრალიზებაც
აუცილებელი იქნებოდა ცენტრალიზებული ძალაუფლების
ბრძნული ფლობისათვის[4]. მაგრამ ამ ფაქტს შორსმიმავალი
შედეგები აქვს. რადგან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა
არის მოცემული ამდენი ინდივიდის გონებაში, ჰოლისტი ინ-
ჟინერი იძულებულია საკუთარი პრობლემა ინდივიდუალური
განსხვავებების ელიმინირებით გაამარტივოს: განათლებისა
და პროპაგანდის დახმარებით მან ინტერესებისა და რწმენე-
ბის გაკონტროლება და მათი სტერეოტიპირება უნდა შეძ-
ლოს[5]. მაგრამ ადამიანთა გონებაზე ძალაუფლების გავრ-

---

[4] დაკვირვება, რომ შეუძლებელია დაგეგმვისათვის აუცილებელი ცოდნის „კონცენტრირება რომელიმე ერთ ცალკეულ გონებაში“ ჰაიეკს ეკუთვნის; იხილეთ *Collectivist Economic Planning*, გვ. 210 (იხილეთ, აგრეთვე, პარაგრაფი 21, შენიშვნა 1, ზემოთ).

[5] სპინოზას პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი მიმენტი სხვა ადამიანების აზრების გაგების და მათ გაკონტროლების შეუძლებლობაა. „ტირანიას“ ის განსაზღვრავს როგორც შეუძლებლის მიღწევის მცდელობას და ძალაუფლების გამოყენებას იქ, სადაც ეს შეუძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ სპინოზა სულაც არ იყო ლიბერალი. მას არ სწამდა, რომ შესაძლებელია ძალაუფლების ინსტიტუციონალური კონტროლი, თუმცა ფიქრობდა, რომ მონარქს თავისი ძალაუფლების გამოყენების უფლება ამ ძალაუფ-

ცელების ამ მცდელობამ უნდა მოგვისპოს შეკანასკნელი შეხ-
საძლებლობა იმის გაგებისა, თუ რეალურად რას ფიქრობენ
ადამიანები, რადგან ცხადია, რომ ასეთი მცდელობა უთავ-
სია აზრის, განსაკუთრებით, კრიტიკული აზრის თავისუფალ
გამოხატვასთან და საბოლოოდ მან უნდა მოსპოს ცოდნა,
და რაც უფრო გაიზრდება ძალაუფლება, მით მეტი იქნება
ცოდნის დანაკარგი (შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პოლიტიკუ-
რი ძალაუფლება და სოციალური ცოდნა „დამატებითია“ ამ
ტერმინის ბორისეული მნიშვნელობით. თანაც ეს შეიძლება
ამ მოუხელთებელი, თუმც კი მოდური ტერმინის ერთადერ-
თი ნათელი მაგალითი აღმოჩნდეს[6]).

ყველა ეს შენიშვნა მეცნიერული მეთოდის პრობლე-
მასთანაა დაკავშირებული. მათში ფარულად მოცემულია ის
სერიოზული დაშვება, რომ ლამის დიქტატორის ძალაუფლე-
ბასთან მიახლოებული უფლებამოსილებით აღჭურვილი დამ-
გეგმავი უტოპისტი ინჟინრის ძირეულ კეთილმოსურნეობა-
ში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ლუთერისა და მისი ეპოქის
განხილვას ტონე ასეთი სიტყვებით აჯამებს: „რქოსანი ცხე-
ნებისა და სალამანდრების არსებობისადმი სკეპტიკურად
განწყობილმა მაკიაველისა და ჰენრი VIII-ის ეპოქამ საკვები
თავისი მიამიტობისათვის ისეთი მონსტრის თაყვანისცემაში

---

ლების რეალურ ზღვრამდე აქვს. მაგრამ იმას, რასაც სპინოზა
„ტირანიას“ უწოდებდა და გონებასთან უთავსად აცხადებდა, ჰო-
ლისტი დამგეგმავები სავსებით გულუბრყვილოდ განიხილავენ რო-
გორც „მეცნიერულ“ პრობლემას, როგორც „ადამიანების გარდაქმ-
ნის პრობლემას“.

[6] ნილს ბორი „დამატებითს“ უწოდებს ორ მიდგომას, თუკი ისინი
(a) დამატებითია ჩვეულებრივი აზრით და (b) თუ ისინი ურთიერთ-
გამომრიცხავია იმ აზრით, რომ რაც უფრო მეტად ვიყენებთ ერთს,
მით ნაკლებად შეგვიძლია მეორის გამოყენება. მიუხედავად იმისა,
რომ ტექსტში ძირითადად *სოციალურ* ცოდნაზე ვსაუბრობ, შეიძ-
ლება განვაცხადო, რომ პოლიტიკური ძალაუფლების აკუმულირე-
ბა (და კონცენტრირება) მეცნიერული ცოდნის პროგრესისათვის
„დამატებითია“ საზოგადოდ, რადგან მეცნიერების პროგრესი აზ-
რის თავისუფალ კონკურენციაზე, შესაბამისად, აზრის თავისუფ-
ლებასა და, ამდენად, საბოლოოდ, პოლიტიკურ თავისუფლებაზე
დამოკიდებული.



ი პოვა, როგორიცაა ღვთის მოშიში უფლისწული“[7]. ჩავანაცვ-
ლოთ „რქოსანი ცხენები და სალამანდრები“ სიტყვებით
„ღვთის მოშიში უფლისწული“, ჩავანაცვლოთ ორი სახელი
მათი ყველაზე აშკარა თანამედროვე თანამოაზრით, ხოლო
ფრაზა „ღვთის მოშიში უფლისწული“ ფრაზით „კეთილმო-
სურნე დამგეგმავი ხელისუფლება“ და ჩვენი საკუთარი ეპო-
ქის მიამიტობის აღწერას მივიღებთ. აქ ამ მიამიტობას არ
დავუპირისპირდები. თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ, უფ-
ლებამოსილი დამგეგმავების უსაზღვრო და უცვლელი კეთი-
ლმოსურნეობის დაშვებისას, ჩვენი ანალიზი ნათელეოფს,
რომ ისინი იმის დადგენასაც კი ვერ შეძლებენ, შეესაბამება
თუ არა მათი ღონისძიებების შედეგები მათ კეთილ განზრა-
ხვებს.

არ მჯერა, რომ თანდათანობითი მეთოდის რაიმე სა-
ფუძვლიანი კრიტიკა შეიძლება შემოგვთავაზონ. კონკრეტუ-
ლად თუ ვიტყვით, ეს მეთოდი საზოგადოების უდიდესი და
განსაკუთრებით მწვავე მანკიერებათა აღმოსაჩენად და მათ
წინააღმდეგ ბრძოლისათვის უფრო გამოდგება, ვიდრე რა-
ღაც უმაღლესი სიკეთის ძიებისა და მისი განხორციელები-
სათვის (რისი გაკეთებაც ჰოლისტებს სურთ). თუმცა კონ-
კრეტული დარღვევების, უსამართლობის ან ექსპლოატაციის
კონკრეტული ფორმებისა და ისეთი აცილებადი უბედურე-
ბის, როგორიცაა სიღატაკე ან უმუშევრობა, წინააღმდეგ სი-
სტემატური ბრძოლა ძალიან განსხვავდება საზოგადოების
შორეული იდეალური პროექტის განხორციელების მცდელო-
ბისაგან. წარმატებისა თუ მარცხის შეფასება უფრო ადვი-
ლია და არ არსებობს რაიმე არსებითი მიზეზი, რომლის
გამოც ამ მეთოდმა შეიძლება ძალაუფლების აკუმულირება-
სა და კრიტიკის ჩახშობამდე მიგვიყვანოს. ასევე, კონკრეტუ-
ლი დარღვევებისა და კონკრეტული საფრთხის წინააღმდეგ
ასეთი ბრძოლა უფრო მოიპოვებს უმრავლესობის მხარდაჭე-
რას, ვიდრე ბრძოლა უტოპიის, იდეალის დამკვიდრებისათ-
ვის, რისი იმედიც დამგეგმავებს, შეიძლება, აქვთ. ამან შე-
იძლება ნათელი მოჰფინოს იმ ფაქტს, რომ დემოკრატიულ
ქვეყნებში, რომლებიც აგრესიისაგან თავდაცვისათვის ემზა-

---

[7] R.H.Tawney, *Religion and The Rise of Capitalism*, თ.II, §ii-ის ბოლო.

დებიან, აუცილებელი შორსმიმავალი ღონისძიებები (რომ-
ლებმაც, შესაძლებელია, ჰოლისტური დაგეგმვის ხასიათიც
კი შეიძინონ) მნიშვნელოვან მხარდაჭერას *საზოგადოებრივი*
*კრიტიკის ხახშობის გარეშე* მოიპოვებენ, მაშინ როცა იმ
ქვეყნებში, რომლებიც თავდასხმისათვის ემზადება ან აგრე-
სიულ ომს აწარმოებს, საზოგადოებრივი კრიტიკა, როგორც
წესი, უნდა ჩაიხშოს, რათა, აგრესიის თავდაცვად წარმოდ-
გენით, საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვონ.

ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ უტოპისტის განცხა-
დებას, რომ მისი მეთოდი ჭეშმარიტი ექსპერიმენტული მე-
თოდია, რომელიც სოციოლოგიის სფეროში გამოიყენება.
ვფიქრობ, ჩვენმა კრიტიკამ ამ პრეტენზიისაგან ადარაფერი
დატოვა. ამის კიდევ ერთი ილუსტრაცია ფიზიკურ და ჰო-
ლისტურ ინჟინერიას შორის ანალოგიაა. შეიძლება ითქვას,
რომ შესაძლებელია პროექტების შექმნის გზით ფიზიკური
მექანიზმების წარმატებით დაგეგმვა და ამავე დროს, მათი
მწარმოებელი მთელი ქარხნის დაგეგმვაც და ა.შ. მაგრამ ეს
ყველაფერი მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ მანამდე
მრავალი თანდათანობითი ექსპერიმენტი ჩატარდა. თითოეუ-
ლი მექანიზმი უამრავი უმნიშვნელო გაუმჯობესების შედე-
გია. თითოეული მოდელის „სრულყოფა“ ცდისა და შეცდო-
მის მეთოდით, უამრავი მცირე შესწორებით უნდა მოხდეს.
იგივე უნდა ითქვას მათი მწარმოებელი ქარხნის დაგეგმვის
მიმართაც. აშკარად ჰოლისტური გეგმა მხოლოდ იმიტომ შე-
იძლება წარმატებით განხორციელდეს, რომ უკვე დაშვებუ-
ლია ყველა სახის უმნიშვნელო შეცდომა. სხვა შემთხვევაში,
არსებობს სერიოზული საფუძველი იმის მოლოდინისა, რომ
ასეთი გეგმა დიდ შეცდომებამდე მიგვიყვანს.

ამრიგად, ფიზიკურ და სოციალურ ინჟინერიას შო-
რის ანალოგია, თუკი მას უფრო საფუძვლიანად განვიხი-
ლავთ, ჰოლისტის საწინააღმდეგოდ და თანდათანობითი სო-
ციალური ინჟინრის სასარგებლოდ მეტყველებს. გამოთქმა
„სოციალური ინჟინერია“, რომელიც ამ ანალოგიაზე მიგვა-
ნიშნებს, უტოპისტებმა ყოველგვარი უფლების გარეშე მი-
თვისეს.

ამით უტოპიზმის კრიტიკას დავასრულებ და შეტევას
მისი მოკავშირის, ისტორიციზმის წინააღმდეგ წარვმართავ-



დარწმუნებული ვარ, რომ საფუძვლიანად ვუპასუხე ისტორი-
ცისტულ თვალსაზრისს სოციალური ექსპერიმენტების თაო-
ბაზე. იმ არგუმენტის გარდა, რომ სოციალური ექსპერიმენ-
ტები უსარგებლოა, რადგან მათი გამეორება ზუსტად ისეთ-
სავე პირობებში შეუძლებელია. ახლა სწორედ ამ არგუმენტს
განვიხილავ.

## 25. ექსპერიმენტის პირობების ცვალებადობა

ისტორიცისტი ამტკიცებს, რომ სოციალურ მეცნიერე-
ბებში ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენება შეუძლებელია,
რადგან სოციალურ სფეროში ჩვენ ჩვენი ნება-სურვილით
ვერ გავიმეორებთ ზუსტად მსგავს ექსპერიმენტულ პირო-
ბებს. ეს ისტორიცისტული პოზიციის დედაარსთან გვაახ-
ლოებს. ვაღიარებ, რომ ამ მტკიცებაში რადაც შეიძლება
არის: უეჭველია, რომ ფიზიკისა და სოციოლოგიის მეთო-
დებს შორის რაღაც სხვაობა არსებობს. მიუხედავად ამისა,
ვაცხადებ, რომ ისტორიცისტული მტკიცება ფიზიკის ექსპე-
რიმენტული მეთოდების აშკარად არასწორ გაგებას ეფუძნება.

მოდით, ჯერ ეს მეთოდები განვიხილოთ. ყველა ექს-
პერიმენტატორმა ფიზიკოსმა იცის, რომ ერთი შეხედვით,
თითქოს ზუსტად მსგავს პირობებში მეტად განსხვავებული
რამ შეიძლება მოხდეს. ორი მავთული, ერთი შეხედვით,
შეიძლება ზუსტად ერთნაირი ჩანდეს, მაგრამ, თუ რაიმე
ელექტრომოწყობილობაში ერთს მეორით შევცვლით, მიღე-
ბული განსხვავება შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩ-
ნდეს. უფრო ახლო შემოწმებისას (ვთქვათ, მიკროსკოპით),
შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ისინი არც ისე ერთნაირი იყო,
როგორც თავიდან მოგვეჩვენა. თუმცა ხშირად მართლაც
ძნელია ორი ექსპერიმენტის პირობებში ის განსხვავება ვი-
პოვოთ, რომელიც განსხვავებულ შედეგებს განაპირობებს.
ალბათ, ხანგრძლივი, როგორც ექსპერიმენტული, ასევე თეო-
რიული კვლევა დაგჭირდება იმის დასადგენად, თუ რა სა-
ხის მსგავსებაა რელევანტური და მსგავსების რა ხარისხია
საკმარისი. ამ კვლევის ჩატარება, ალბათ, მანამდეა საჭირო,
სანამ ჩვენი ექსპერიმენტებისათვის მსგავსი პირობების უზ-
რუნველყოფის შესაძლებლობა გაჩნდება და მანამდეც კი,

სანამ გავიგებთ, თუ რას ნიშნავს „მსგავსი პირობები“ ამ შემთხვევაში. და მაინც, *ექსპერიმენტულ მეთოდს გამეფდმეტ-ბით იყენებენ.*

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კითხვა, თუ რა უნდა აღვწეროთ, როგორც „მსგავსი პირობები“ დამოკიდებულია ექსპერიმენტის ტიპზე და მას პასუხი მხოლოდ ექსპერიმენტის ჩატარებით შეიძლება გაეცეს. შეუძლებელია *a priori* გადავწყვიტოთ, იქნება თუ არა რელევანტური ექსპერიმენტის გამეორების მიზნისათვის ესა თუ ის დაკვირვებადი განსხვავება ან მსგავსება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შთამბეჭდავია ისინი. ასე რომ, დაე ექსპერიმენტულმა მეთოდმა თვითონ იზრუნოს თავის თავზე. ზუსტად ანალოგიური მოსაზრებები გამოდგება ხელისშემშლელი ზემოქმედებისაგან ექსპერიმენტების ხელოვნური *იზოლირების* პრობლემის მიმართაც, რომელიც აქტიურად განიხილება. ნათელია, რომ ყველა ზემოქმედებისაგან რაიმე მოწყობილობის იზოლირება შეუძლებელია. მაგალითად, შეუძლებელია *a priori* იმის ცოდნა, მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო პლანეტების განლაგების ან მთვარის ზემოქმედება ფიზიკურ ექსპერიმენტზე. მხოლოდ ექსპერიმენტების შედეგების ან, თავის მხრივ ექსპერიმენტულად შემოწმებული თეორიების საფუძველზე შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა სახის ხელოვნური იზოლაციაა საჭირო, თუკი ასეთი რამ არსებობს.

ამ მოსაზრებების ფონზე ისტორიცისტული არგუმენტი, რომ სოციალური პირობების ცვალებადობა და, განსაკუთრებით, ისტორიული განვითარებით გამოწვეული ცვლილებები აუცილებლად აფერხებს სოციალურ ექსპერიმენტებს, ძალას კარგავს. იმ თვალსაჩინო განსხვავებებმა, რომლებითაც ისტორიცისტი ასე შეშფოთებულია, ანუ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში დომინანტურ პირობებს შორის განსხვავებებმა სოციალური მეცნიერებებისათვის სპეციფიკური რაიმე სიძნელეები არ უნდა შექმნას. შეიძლება აღინიშნოს, რომ თუკი უეცრად გადავინაცვლებთ სხვა ისტორიულ პერიოდში, ალბათ, აღმოვაჩენთ, რომ მრავალი ის სოციალური მოლოდინი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში განხორციელებული თანდათანობითი ექსპერიმენტების საფუძველზე ჩამოგვიყალიბდა, გაგვიცრუვდება. სხვა სიტყვებით,



ექსპერიმენტებმა შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოგვცეს. მაგრამ ეს ისეთი *ექსპერიმენტები* იქნება, რომლებმაც სოციალური პირობების ცვლილების აღმოჩენა შეგვაძლებინა, ექსპერიმენტები, რომლებიც გვასწავლის, რომ, *ისტორიულ პერიოდთან* ერთად, გარკვეული სოციალური პირობები იცვლება, ზუსტად ისევე როგორც ექსპერიმენტებმა ასწავლა ფიზიკოსს, რომ *გეოგრაფიული ადგილმდებარეობის* შესატყვისად, წყლის დუღილის ტემპერატურა შეიძლება შეიცვალოს[1]. სხვა სიტყვებით, ისტორიულ პერიოდებს შორის განსხვავების დოქტრინა სულაც არ გვიჩვენებს სოციალური ექსპერიმენტების შეუძლებლობას და მხოლოდ იმ დაშვებას გამოხატავს, რომ თუ, სხვა პერიოდში გადანაცვლებისას, თანდათანობითი ექსპერიმენტების ჩატარებას განვაგრძობთ, შედეგები გაგვაოცებს ან იმედს გაგვიცრუებს. ფაქტიურად, თუკი რაიმე ვიცით განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებში განსხვავებული მიდგომების შესახებ, ეს ცოდნა მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში ჩატარებული ექსპერიმენტებითაა შეძენილი. სხვადასხვა ჩანაწერების ინტერპრეტირებისას ისტორიკოსები სიძნელეებს აწყდებიან ან ისეთ ფაქტებს აღმოაჩენენ, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთმა წინამორბედმა ისტორიკოსმა ამა თუ იმ ისტორიული მასალის მცდარი ინტერპრეტაცია მოგვცა. ისტორიული ინტერპრეტირების ეს სიძნელეები ერთადერთი მოწმობაა იმისა, თუ რა სახის ისტორიულ ცვლილებას გულისხმობს ისტორიცისტი, თუმცა ეს სიძნელეებიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი აზრობრივი ექსპერიმენტების მოსალოდნელ და რეალურ შედეგებს შორის განსხვავება. სწორედ გაოცებამ და იმედგაცრუებამ, ცდისა და შეცდომის მეთოდის დახმარებით, გააუმჯობესა უჩვეულო სოციალური პირობების ინტერპრეტი-

---

[1] ორივე შემთხვევაში – როგორც ისტორიული პერიოდების, ასევე გეოგრაფიული მდებარეობის შემთხვევაში, ექსპერიმენტულად შემოწმებული თეორიების გამოყენებით შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ნებისმიერი მითითება დროით ან სივრცით მდებარეობაზე შესაძლებელია ჩავანაცვლოთ გარკვეული დომინანტური რელევანტური პირობების, მაგალითად განათლების დონის ან სიმაღლის, რაღაც *ზოგადი* აღწერით.

რების ჩვენი უნარი. ხოლო ის, რასაც ისტორიული ინტერ-
პრეტაციის შემთხვევაში ჩვენ აზრობრივი ექსპერიმენტებით
ვაღწევთ, ანთროპოლოგებმა პრაქტიკული საველე სამუშაო-
ებით შეძლეს. ის თანამედროვე მკვლევარები, რომლებმაც
წარმატებით გაართვეს თავი საკუთარი მოლოდინების შეწ-
ყობას იმ პირობებთან, რომლებიც, იქნებ, არანაკლებ შორე-
ულია, ვიდრე ქვის ხანის პირობები, თავიანთ წარმატებას
თანდათანობით ექსპერიმენტულ მეთოდს უმადლიან.

ზოგიერთ ისტორიცისტს ასეთი წარმატებული შეწყო-
ბის შესაძლებლობა აეჭვებს და ისინი სოციალური ექსპერი-
მენტების ამაოების საკუთარ დოქტრინას იმ არგუმენტითაც
კი იცავენ, რომ შორეულ ისტორიულ პერიოდში გადანა-
ცვლებისას ჩვენი სოციალური ექსპერიმენტების უდიდესი
ნაწილი იმედგაცრუებას გამოიწვევს. ისინი ამტკიცებენ, რომ
ჩვენ ვერ შევძლებთ შევუწყოთ ჩვენი აზროვნების და გან-
საკუთრებით კი, სოციალური მოვლენების ანალიზის ჩვეულ-
ბი ამ გამაოგნებელ პირობებს. ასეთი შიშები ისტორიცის-
ტული ისტერიის – სოციალური ცვლილების მნიშვნელობის
აკვიატებული აზრის – ნაწილად მეჩვენება. მაგრამ უნდა აღვ-
ნიშნო, რომ ამ შიშების *a priori* გაფანტვა ძნელი იქნება.
ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალ გარემოსთან შე-
გუების უნარი სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული აქვს
და არავითარი საფუძველი არ გვაქვს იმის ასახსნელად, თუ
რატომაა მოსალოდნელი, რომ ისტორიცისტი (რომელიც ასეთ
კაპიტულანტურ შეხედულებას იზიარებს) წარმატებით შეძ-
ლებს თავისი გონების ადაპტირებას სოციალური გარემოს
ცვლილებებთან. ასევე, ბევრი რამ ახალი გარემოს ხასიათ-
ზე იქნება დამოკიდებული. ვერ გამოვრიცხავთ იმის შესაძ-
ლებლობას, რომ სოციოლოგს შეჭამენ მანამ, სანამ ის.
ცდის და შეცდომის მეთოდის გამოყენებით, კანიბალურ
ზნე-ჩვეულებებთან შეგუებას შეძლებს, ისევე როგორც ვერც
იმ შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ, რომელიმე „გეგმი-
ურ“ საზოგადოებაში თავის კვლევას სოციოლოგი საკონცენ-
ტრაციო ბანაკში დაასრულებს. თუმცა ანალოგიურ შენიშ-
ვნებს ძალა ფიზიკის სფეროს მიმართაც აქვს. სამყაროში
უამრავი ისეთი ადგილია, სადაც იმგვარი ფიზიკური პირო-
ბები დომინირებს, რომლებიც ფიზიკოსს გადარჩენის ან



ცდისა და შეცდომის მეთოდით მათთან შეგუების მცირე
შანსს თუ უტოვებს.

შევაჯამოთ ნათქვამი. როგორც ჩანს, არ არსებობს
რაიმე საფუძველი იმ საალბათო ისტორიცისტული მტკიცე-
ბისათვის, რომ, ისტორიული პირობების ცვალებადობის გა-
მო, საზოგადოების პრობლემების მიმართ ექსპერიმენტულ
მეთოდს ვერ გამოვიყენებთ, ან იმის მტკიცებისათვის, რომ
ამ პუნქტში საზოგადოების კვლევა არსებითად განსხვავდე-
ბა ბუნების კვლევისაგან. სულ სხვა საქმეა, თუ ვაღიარებთ,
რომ სოციალური პრობლემების მკვლევარისათვის ხშირად
ძალიან ძნელია საკუთარი ნებით აირჩიოს და შეცვალოს
თავისი ექსპერიმენტული პირობები. ფიზიკოსი უკეთეს მდგო-
მარეობაშია, თუმცა ზოგჯერ ისიც ასეთივე პრობლემების
წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. ასე, მაგალითად, ცვალებად
გრავიტაციულ ველებში ან ექსტრემალური ტემპერატურის
პირობებში ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა ძა-
ლიან შეზღუდულია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ
მრავალი შესაძლებლობა, რომელიც დღეს ფიზიკოსისათვის
ღიაა, არც თუ დიდი ხნის წინ განუხორციელებელი იყო არა
ფიზიკური, არამედ სოციალური სიძნელეების გამო, ე.ი. იმის
გამო, რომ კვლევისათვის საჭირო ფულის გასაღებად მზად
არ ვიყავით. თუმცა ფაქტია, რომ ახლა ძალიან ბევრი ფი-
ზიკური გამოკვლევის ჩატარება ისეთ ექსპერიმენტულ პირო-
ბებშია შესაძლებელი, რომ საოცნებო თითქმის აღარაფერი
რჩება, მაშინ როცა სოციოლოგი სავსებით განსხვავებულ
მდგომარეობაშია. მრავალი, მეტად სასურველი, ექსპერიმენ-
ტი კიდევ დიდხანს ოცნებად იმ ფაქტის გამო დარჩება, რომ
ისინი არა უტოპიური, არამედ თანდათანობითი ხასიათისაა.
პრაქტიკაში სოციოლოგი იძულებულია მეტისმეტად ხშირად
დაეყრდნოს მენტალურ ექსპერიმენტებს და პოლიტიკური
ღონისძიებების ანალიზს, რომლებიც ისეთ პირობებში და
ისეთნაირადაა გატარებული, რომ მეცნიერული თვალსაზრი-
სით უნაკლო სულაც არაა.

## 26. შეზღუდულია თუ არა განზოგადებები პერიოდებით?

ის ფაქტი, რომ სოციალური ექსპერიმენტების პრობლემა სოციოლოგიური კანონების, თეორიების, ჰიპოთეზებისა, ან „განზოგადებების“ მეტ-ნაკლებად დეტალურ განხილვამდე გავაანალიზე, არ ნიშნავს იმას, რომ დაკვირვებები და ექსპერიმენტები, რადაც მოსაზრებით, ლოგიკურად თეორიებზე უპირატესად მიმაჩნია. პირიქით, მჯერა, რომ თეორიები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაკვირვებები და ექსპერიმენტები იმ აზრით, რომ ეს უკანასკნელნი მხოლოდ თეორიულ პრობლემებთან მიმართებით არიან მნიშვნელოვანი. ასევე, რადაც კითხვა მანამ უნდა გვქონდეს, სანამ, დაკვირვებისა ან ექსპერიმენტის დახმარებით, მასზე პასუხის მიღების იმედი გვექნება, ან თუ ცდისა და შეცდომის მეთოდის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ცდა წინ უნდა უსწრებდეს შეცდომას და, როგორც ვნახეთ (24-ე პარაგრაფში), თეორია ან ჰიპოთეზა, რომელიც ყოველთვის საცდელია, ცდის ნაწილია, მაშინ როცა დაკვირვება და ექსპერიმენტი იმის ჩვენებით, თუ სად ცდება ჩვენი თეორიები, მათ გამოხშირვაში გვეხმარება. მაშასადამე, მე არ ვენდობი „განზოგადების მეთოდს“ ანუ იმ თვალსაზრისს, რომ მეცნიერება დაკვირვებებით იწყებს და მათ საფუძველზე, განზოგადებისა ან ინდუქციის რადაც პროცესის დახმარებით, ქმნის თეორიებს. მე იმის უფრო მწამს, რომ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ფუნქცია შედარებით მოკრძალებულია: ისინი გვეხმარება ჩვენი თეორიების შემოწმებასა და იმ თეორიების ელიმინირებაში, რომლებიც ამ შემოწმებას ვერ უძლებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოხშირვის ეს პროცესი მხოლოდ თეორიულ სპეკულაციას კი არ ამოწმებს, არამედ ხელახალი ცდის და ხშირად, ახალი დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების დახმარებით, ხელახალი შეცდომისა და ხელახალი უკუგდების სტიმულსაც გვაძლევს.

ამ პარაგრაფში იმ ისტორიცისტულ მოსაზრებას (იხ. პარაგრაფი 1) გავაკრიტიკებ, რომლის თანახმად, სოციალურ მეცნიერებებში ნებისმიერი, ან, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი განზოგადებების მართებულობა შეზღუდულია იმ



კონკრეტული ისტორიული პერიოდით, რომელშიც რელევანტური დაკვირვებები განხორციელდა. ამ მოსაზრების კრიტიკისას, ჯერ-ჯერობით არ განვიხილავ ე.წ. „განზოგადების მეთოდის“ მართებულობას, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ის მართებული არ არის, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ისტორიცისტული თვალსაზრისი ამ მეთოდის არამართებულობის ჩვენების გარეშეც შეიძლება უკუგაგდოთ. შესაბამისად, ამ მეთოდის და ზოგადად თეორიასა და ექსპერიმენტს შორის მიმართების თაობაზე ჩემი მოსაზრებების განხილვა შეიძლება გადავდოთ. ამას მივუბრუნდები 28-ე პარაგრაფში.

ამ ისტორიცისტული მოსაზრების კრიტიკას იმის აღიარებით დავიწყებ, რომ რაიმე მოცემულ ისტორიულ პერიოდში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას აქვს მზაობა გაიზიაროს მცდარი რწმენა, რომ ის კანონზომიერებები, რომლებსაც ისინი თავიანთ გარშემო აკვირდებიან, სოციალური ცხოვრების უნივერსალური კანონებია და ძალა ყველა საზოგადოების მიმართ აქვთ. მართლაც, იმას, რომ ასეთ რწმენებს ვიზიარებთ, ზოგჯერ მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ ხოლმე, როცა უცხო ქვეყანაში ჩასულები აღმოვაჩენთ, რომ კვებასთან, მისალმებასთან და სხვ. დაკავშირებული ჩვენი ჩვეულებები სულაც არ არის ისეთი მისაღები, როგორც ეს გულუბრყვილოდ გვეგონა. სავსებით ცხადია დასკვნა, რომ მრავალი სხვა განზოგადებაც, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებულად ვიზიარებთ მას თუ არა, შეიძლება ამავე ტიპის აღმოჩნდეს, თუმცა შესაძლებელია, მათ არ გამოიწვიონ ეჭვი, რადგან სხვა ისტორიულ პერიოდში მოგზაურობა შეუძლებელია (ეს დასკვნა გამოიტანა, მაგალითად, ჰესიოდემ[1]). სხვა სიტყვებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში, შესაძლებელია, მრავალი ისეთი კანონზომიერება არსებობს, რომელიც მხოლოდ ჩვენი კონკრეტული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი და რომ ჩვენ ამ შეზღუდვის იგნორირების მზაობა გვახასიათებს. ასე რომ (განსაკუთრებით სწრაფი სოციალური ცვლილებების დროს),

[1] იგივე დასკვნა ე.წ. *„ღიაობის სოციოლოგიის“* საფუძველიცაა, რომელსაც აქ, გვ. 180 და შმდ. და ჩემი *Open Society*-ის 23-ე თავში ვაკრიტიკებ.

შესაძლებელია, ჩვენდა სავალალოდ, შევიტყოთ, რომ იმ ქანონებს ვეყრდნობოდით, რომლებმაც უკვე დაკარგეს თავისი მართებულობა[2].

ისტორიცისტის მოსაზრებები ამაზე შორს რომ არ მიდიოდეს, მისთვის მხოლოდ მეტად ტრივიალური საკითხის ზედმეტად დეტალური დამუშავება შეგვეძლო დაგვებრალებინა. მაგრამ, საუბედუროდ, ის უფრო მეტს ამტკიცებს. ის დაუინებით აცხადებს, რომ ეს სიტუაცია ისეთ სიძნელეებს წარმოშობს, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არ გვხვდება, უფრო კონკრეტულად კი ის ამტკიცებს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სოციალურ მეცნიერებებში არასოდეს არ უნდა დავუშვათ, რომ ნამდვილად უნივერსალური კანონი აღმოვაჩინეთ, რადგან ვერასოდეს გავიგებთ იყო თუ არა ის ძალაში წარსულში (რადგან ჩვენი ჩანაწერები შეიძლება არასრულია) ანდა იქნება თუ არა ის ყოველთვის ძალაში მომავალში.

ამგვარი პრეტენზიებისაგან განსხვავებით, მე არ მიმაჩნია, რომ აღწერილი სიტუაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, სოციალური მეცნიერებებისათვის არის სპეციფიკური ან რომ რაღაც განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნის. პირიქით, ცხადია, რომ რაიმე ცვლილებამ ჩვენს ფიზიკურ გარემოში შეიძლება ისეთი გამოცდილება წარმოშვას, რომელიც საკმაოდ ანალოგიური იქნება ჩვენს სოციალურ ან ისტორიულ გარემოში მომხდარი ცვლილებით გამოწვეული გამოცდილებ-

[2] K.Mannheim, *Man and Society*, გვ. 178. ის საუბრობს „დილეტანტზე, რომელიც გონივრულად აკვირდება სოციალურ სამყაროს“ და იმაზე, რომ „სტატიკურ პერიოდებში მას, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეუძლია განასხვაოს ზოგადი აბსტრაქტული სოციალური ქანონი და კონკრეტული პრინციპები, რომლებიც მხოლოდ რაიმე კონკრეტულ ეპოქაშია გავრცელებული, რადგან პერიოდებში, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებით ხასიათდება, ამ ორ ტიპს შორის განსხვავება დამკვირვებლისათვის ცხადი არ არის“. მანჰაიმი ამ კონკრეტულ პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ რაიმე კონკრეტულ ეპოქაშია გავრცელებული *"principia media"*-ს უწოდებს. იხ. შენიშვნა 4, ქვემოთ, ხოლო იმ ვითარების დახასიათება, რომელიც იქმნება „ეპოქაში, რომელშიც სტრუქტურა ძირფესვიანად იცვლება“, იხ. Mannheim, ციტ. თხს., გვ. 179 და შმდ.



ბისა. განა არსებობს დღე-ღამის მონაცვლეობაზე უფრო ცხადი და საყოველთაოდ ცნობილი ქანონზომიერება? და ისიც კი ირღვევა, როცა პოლარულ წრეს გადავკვეთთ. ფიზიკური და სოციალური გამოცდილების შედარება, ალბათ, ცოტა არ იყოს ძნელია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეთი დარღვევა ისეთივე გამაოგნებელი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ნებისმიერი სხვა, რომელიც სოციალურ სამყაროში შეიძლება მოხდეს. ავიღოთ სხვა მაგალითი. ისტორიული ან სოციალური გარემო კრეტაზე 1900 წელს და სამი ათასი წლის წინ საეჭვოა, რომ უფრო განსხვავებული იყოს, ვიდრე კრეტისა და გრენლანდიის გეოგრაფიული ან ფიზიკური გარემოა. უეცარი მოუმზადებელი გადასვლა ერთი ფიზიკური გარემოდან მეორეში, ვფიქრობ, უფრო გამოიწვევდა ფატალურ შედეგებს, ვიდრე შესატყვისი ცვლილება სოციალურ გარემოში.

ჩემთვის ცხადია, რომ ისტორიცისტი გადაჭარბებით აფასებს ამ, ცოტა არ იყოს, *ზედმეტად თვალსაჩინო* განსხვავებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს შორის და ცხადია ისიც, რომ ის სათანადოდ ვერ აფასებს მეცნიერული სიმარჯვის შესაძლებლობებს. მართალია, კეპლერის მიერ აღმოჩენილი ქანონები მხოლოდ პლანეტათა სისტემების მიმართაა მართებული, მაგრამ მათი მართებულობა არ იზღუდება მხოლოდ მზის სისტემით, რომელშიც კეპლერი ცხოვრობდა და რომელსაც ის აკვირდებოდა[3]. ინერციის ქანონის მნიშვნელობის გასაგებად ნიუტონს არ დასჭირვებია

[3] მილმა კეპლერის ქანონები იმის მაგალითად აირჩია, რასაც ის, ბეკონის კვალდაკვალ, *"axiomata media"*-ს უწოდებდა, რადგან ისინი მოძრაობის ზოგადი ქანონები კი არაა, არამედ მხოლოდ პლანეტების მოძრაობის (მიახლოებითი) ქანონებია. იხ. *Logic*, წიგნი VI, თ. V, §5. სოციალური მეცნიერებისათვის ანალოგიური *"axiomata media"* იქნება არა ისტორიულად მოცემული რაიმე პერიოდის უფრო შემთხვევითი ქანონები, არამედ ქანონები, რომლებსაც ძალა *რაიმე გარკვეული ტიპის* ყველა „სოციალური სისტემის“ მიმართ აქვთ. ისტორიულად მოცემული პერიოდის შემთხვევითი ქანონზომიერებები შეიძლება შევადაროთ არა კეპლერის ქანონებს, არამედ, მაგალითად, ჩვენი კონკრეტული მზის სისტემის პლანეტების განლაგების ქანონზომიერებებს.

სამყაროს სხვა ნაწილებში გადანაცვლება, სადაც ის გრავიტაციისა და სხვა ძალების ზემოქმედებისაგან თავისუფალი მოძრავი სხეულების დაკვირვებას შეძლებდა. მეორე მხრივ ეს კანონი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემაში არც ერთი სხეული მასთან თანხმობაში არ მოძრაობს, მზის სისტემის ფარგლებში თავის მნიშვნელობას არ კარგავს. ასეთნაირადვე, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, თუ რატომ ვერ უნდა შევძლოთ ისეთი სოციოლოგიური თეორიების შექმნა, რომლებიც ყველა სოციალური პერიოდისათვის იქნება მნიშვნელოვანი. თვალსაჩინო განსხვავებები ამ პერიოდებს შორის სულაც არ არის იმის ნიშანი, რომ ასეთი კანონების აღმოჩენა შეუძლებელია, ისევე როგორც თვალსაჩინო განსხვავებები გრენლანდიასა და კრეტას შორის სულაც არ ამტკიცებს იმას, რომ არ არსებობს ისეთი ფიზიკური კანონები, რომლებსაც ძალა ორივე რეგიონის მიმართ აქვს. პირიქით, განსხვავებები პერიოდებს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, შედარებით ზედაპირული ხასიათისა ჩანს (მაგალითად, განსხვავებული ზნე-ჩვეულებები, მისალმება, რიტუალი და სხვ.) და მეტ-ნაკლებად იგივეს თქმა შეიძლება იმ კანონზომიერებების მიმართ, რომლებიც რაიმე კონკრეტული ისტორიული პერიოდის ან რომელიმე კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული (და რომლებსაც ზოგიერთი სოციოლოგი ახლა *principia media*-ს უწოდებს)[4].

[4] ციტირებული თხზულების 177-ე გვერდზე მანჰაიმი გამოთქმას *"principia media"* მიღზე მითითებით იყენებს (რომელიც საუბრობს *axiomata media*-ს შესახებ. იხ. წინა შენიშვნა) იმის აღსანიშნავად, რასაც მე ვუწოდე „იმ კონკრეტული ისტორიული პერიოდით შეზღუდული განზოგადებები, რომელშიც რელევანტური დაკვირვება განხორციელდა". იხ. მაგალითად, მისი პასაჟი (ციტ. თხზ., გვ. 178, შდრ. ნემს 2-ე შენიშვნას, გვ. 99, ზემოთ): „დილეტანტი, რომელიც სოციალურ სამყაროს გონივრულად აკვირდება, მოვლენების, ძირითადად, იმის წყალობით სწვდება, რომ არაცნობიერად იყენებს ამგვარ *"principia media"*-ს", რომლებიც ... მხოლოდ რაიმე კონკრეტულ ეპოქაში გავრცელებული „კონკრეტული პრინციპებია" (მანჰაიმი ციტირებულ თხზულებაში თავის *"principia media"*-ს განსაზ-



ამაზე ისტორიცისტმა შეიძლება გვიპასუხოს, რომ განსხვავებები სოციალურ გარემოში უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე განსხვავებები ფიზიკურ გარემოში, რადგან თუ საზოგადოება იცვლება, იცვლება ადამიანიც ეს კი ყველა კანონზომიერების ცვლილებას გულისხმობს, რადგან ყველა სოციალური კანონზომიერება ადამიანის – საზოგადოების ატომის – ბუნებაზეა დამოკიდებული. ნეგენი პასუხი ასეთია: ფიზიკური ატომებიც იცვლება თავის გარემოსთან ერთად (მაგალითად, ელექტრო-მაგნიტური ველების ზემოქმედებით და სხვ.), მაგრამ არა ფიზიკის კანონების საწინააღმდეგოდ, არამედ ამ კანონებთან თანხმობით. გარდა ამისა, ადამიანის ბუნების ე.წ. ცვლილებები გაურკვეველი და მეტად ძნელი შესაფასებელია.

ახლა დავუბრუნდეთ ისტორიცისტის იმ მტკიცებას, რომლის თანახმად დაშვება, რომ ნამდვილად უნივერსალური კანონი აღმოვაჩინეთ, სოციალურ მეცნიერებებში მიუღებელია, რადგან შეუძლებელია დავწაუნდეთ იმაში, რომ ის მართებული იქნება იმ პერიოდების სახლვრებს მიღმაც, რო-

ღვრავს იმაზე მითითებით, რომ „საბოლოოდ ისინი კონკრეტულ გარემოში ნასმული უნივერსალური ძალებია, რადგან ისინი იქმნება მოცემულ ადგილსა და მოცემულ დროს მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების ინტეგრაციის, გარეშეებისა იმ „კონკრეტული კომბინირების შედეგად, რომელიც შეიძლება ალარ განმეორდეს"). მანჰაიმი იმი ამტკიცებს, რომ ის არ ეთერებს „ისტორიციზმის, ეგალიტარ ნელობისა და მარქსიზმის" შეცდომას, რომლებიც შეეცადნენ „გაეთვალისწინებინათ უნივერსალური ფაქტორები" (ციტ. თხზ., გვ. 177 და შმდ.). შესაბამისად, ასეთი ვითარება გვაქვს: ის დაბეჯითებით იცავს კონკრეტული ან ინდივიდუალური ისტორიული პერიოდებით შეზღუდული განზოგადებების მნიშვნელობას, ამავე დროს უშვებს, რომ „აბსტრაირების მეთოდის" გამოყენებით ამ განზოგადებებიდან უნდა გადავიდეთ „იმ ზოგად პრინციპებზე, რომლებიც მათშია მოცემული" (ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ, მე არ მიმანნია, რომ უფრო ზოგადი თეორიების მიღება შესაძლებელია აბსტრაირებით ზნე-ჩვეულებების, საქართველოს ბის და სხვ. კანონზომიერებებისაგან, რომლებიც, მანჰაიმის მიერ 179-ე და შემდგ. გვერდებზე მოყვანილი მაგალითების მიხედვით, მის *principia media*-ს ქმნიან).

მლებშიც, დაკვირვების თანახმად, ამ კანონს ძალა აქვს. ამას შეიძლება დავეთანხმოთ, თუმცა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მოსაზრება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც ეხება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ცხადია, რომ ვერასოდეს ვიქნებით სავსებით დარწმუნებული იმაში, ნამდვილად საყოველთაოდ მართებულია ჩვენი კანონები, თუ მათ ძალა მხოლოდ რაიმე გარკვეულ პერიოდში (იქნებ მხოლოდ იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც სამყარო ფართოვდება) ან მხოლოდ რომელიმე გარკვეულ რეგიონში (ვთქვათ, შედარებით სუსტი გრავიტაციული ველების რეგიონში) აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ უნივერსალურ მართებულობაში დარწმუნება შეუძლებელია, ბუნების კანონების ფორმულირებას არ ვუმატებთ იმ პირობას, რომ ისინი დადგენილია მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რომელშიც, დაკვირვების თანახმად, მათ ძალა აქვთ ან ვთქვათ, მხოლოდ „მოცემული კოსმოლოგიური პერიოდისათვის“. თუკი ასეთი პირობების დამატება მოგვიხდება, ეს სანაქებო მეცნიერული სიფრთხილის ნიშანი კი არ იქნება, არამედ იმისა, რომ მეცნიერული პროცედურა არ გვესმის[5]. საქმე ისაა, რომ მეცნიერული მეთოდის მნიშვნელოვანი პოსტულატი მართებულობის შეუზღუდავი სფეროს მქონე კანონების ძიებაა[6]. თუ

[5] არაერთხელ შეუთავაზებიათ, რომ სოციოლოგიაში ფიზიკის მაგალითის ამაო მიბაძვის მცდელობისა და უნივერსალური სოციოლოგიური კანონების ძიების ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა, თუ ფიზიკა მიბაძავდა ისტორიცისტული სოციოლოგიის მაგალითს ე.ი. გამოიყენებდა კანონებს, რომლებიც ისტორიული პერიოდებითაა ზღვარდებული. ამ ტიპის აზროვნებისაკენ მიდრეკილება განსაკუთრებით იმ ისტორიცისტებს შორის შეინიშნება, რომლებიც ფიზიკისა და სოციოლოგიის ერთიანობის ხაზგასმას ცდილობენ. იხილეთ, Neurath, *Erkenntnis*, ტ. VI, გვ. 399.

[6] ეს იგივე პოსტულატია, რომელიც ფიზიკაში, მაგალითად, მოითხოვს, რომ უნდა *ავხსნათ* შორეულ ნისლოვანებებში შემჩნეული მეწამული გადაადგილებები, რადგან ამ პოსტულატის გარეშე დაშვება, რომ ატომური სიხშირის კანონები იცვლება სამყაროს სხვადასხვა რეგიონებისა ან დროის მიხედვით, საკმარისი იქნებოდა. და ეს ის პოსტულატია, რომელიც ფარდობითობის თეორიას აიძულებს ერთგვაროვნად ახსნას მოძრაობის კ



კი ისეთი კანონების მიღება მოგვიწევს, რომლებიც თვითონ იცვლებიან, მაშინ ვერასოდეს შევძლებთ ცვლილება კანონების საფუძველზე ავხსნათ. ეს იმის აღიარება იქნება, რომ ცვლილება, უბრალოდ, სასწაულებრივი ხასიათისაა. და ეს კი მეცნიერული პროგრესის დასასრული გახდება, რადგან მოულოდნელი დაკვირვებების შემთხვევაში ჩვენი თეორიების შემოწმება აღარ იქნება საჭირო: *ad hoc* ჰიპოთეზა, რომ კანონები შეიცვალა, ყველაფერს „აგვიხსნის“.

ეს არგუმენტები სოციალური მეცნიერებების მიმართ ისევე მართებულია, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ.

ამით ვამთავრებ ისტორიციზმის ანტინატურალისტურ დოქტრინებს შორის ყველაზე ფუნდამენტურის კრიტიკას. ზოგიერთი, ნაკლებ ფუნდამენტური თეორიის განხილვამდე ჯერ ერთ-ერთ პრონატურალისტურ დოქტრინას გავაანალიზებ, კერძოდ, კი იმას, რომლის თანახმად ისტორიული განვითარების კანონები უნდა ვეძიოთ.

ნონები, მაგალითად, სიჩქარის მატების კანონი და სხვ., როგორც მაღალი, ასევე დაბალი სიჩქარისათვის (ან ძლიერი და სუსტი გრავიტაციული ველებისათვის) და არ დაკმაყოფილდეს ad hoc (სპეციალური) დაშვებებით სიჩქარის (ან გრავიტაციის) განსხვავებული სფეროებისათვის. „ბუნების კანონების ინვარიანტულობის“ ეს პოსტულატი და „ბუნების ერთგვარობის“ პოსტულატთან მისი დაპირისპირება განხილულია ჩემს *Logic of Scientific Discovery*, 79-ე პარაგრაფში.

IV

# პრონატურალისტური დოქტრინების კრიტიკა

## 27. არსებობს თუ არა ევოლუციის კანონი? კანონები და ტენდენციები

იმ ისტორიცისტულ დოქტრინებს, რომლებსაც *პრონატურალისტური* ვუწოდე, ბევრი რამ აქვთ საერთო ანტინატურალისტურ ისტორიცისტულ დოქტრინებთან. ისინი, მაგალითად, ჰოლისტური აზროვნების გავლენას განიცდიან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების მცდარი გაგების საფუძველზე წარმოიქმნენ. იმდენად, რამდენადაც ისინი ამ მეთოდების გადაღების მცდარი მიმართულებით წარმართული ძალისხმევის შედეგია, ეს დოქტრინები შეიძლება აღვწეროთ როგორც „სციენტისტური“ (პროფესორ ჰაიეკის მიერ დადგენილი მნიშვნელობით[1]). ისტორიციზმისათვის ეს დოქტრინები ზუსტად ისევეა დამახასიათებელი, როგორც ანტინატურალისტური დოქტრინები და, შესაძლოა, ისინი უფრო მნიშვნელოვანიც კია. კერძოდ, რწმენა, რომ სოციალური მეცნიერებების ამოცანა, უმთავრესად, *საზოგადოების ევოლუციის კანონის* აღმოჩენაა საზოგადოების მომავლის პროგნოზირებისათვის (ეს შეხედულება ზემოთ, 14-17-ე პარაგრაფებშია განხილული) შეიძლება აღვწეროთ როგორც ცენტრალური ისტორიცისტული დოქტრინა. საქმე ისაა, რომ ამ თვალსაზრისმა, რომლის თანახმად საზოგადოება მთელი რიგი პერიოდების გავლით ვითარდება, წარმოშვა, ერთი მხრივ, დაპირისპირება ცვალებად სოციალურ და უცვლელ ფიზიკურ სამყაროებს შორის და, ამდენად, ანტინატურალიზმიც

[1] იხილეთ F.A. von Hayek, "Scientism and the Study of Society", *Economica*, N.S. ტ. IX, განსაკუთრებით, გვ.269. პროფესორი ჰაიეკი ტერმინს „სციენტიზმი“ იყენებს როგორც სახელს „მეცნიერების მეთოდისა და ენის მონური იმიტაციისათვის“. აქ ეს ტერმინი გამოყენებულია იმის აღსანიშნავად, *რასაც ზოგიერთი ადამიანი მცდარად მიიჩნევს* მეცნიერების მეთოდად და ენად.



მეორე მხრივ, ისევ ამ თვალსაზრისმა წარმოშვა „თანამიმდევრობის ბუნებრივი კანონების“ პრონატურალისტური და სციენტისტური რწმენა, რომელიც, კონტისა და მილის ეპოქაში, ამტკიცებდა, რომ ის ასტრონომიის გრძელვადიან პროგნოზებს, ხოლო მოგვიანებით კი დარვინიზმს ეყრდნობოდა. მართლაც, ისტორიციზმის მოდურობა ახლო წარსულში შეიძლება განვიხილოთ როგორც, უბრალოდ, ევოლუციონიზმის, იმ ფილოსოფიის მოდურობის ნაწილი, რომელიც თავის გავლენას დიდწილად უმადლის, ცოტა არ იყოს, სენსაციურ დაპირისპირებას დედამიწაზე ცხოველთა და მცენარეთა სხვადასხვა სახეობების ისტორიასთან დაკავშირებულ ბრწყინვალე მეცნიერულ ჰიპოთეზასა და უფრო ძველ მეტაფიზიკურ თეორიას შორის, რომელიც, სხვათა შორის, დამკვიდრებული რელიგიური რწმენის ნაწილი აღმოჩნდა[2].

ის, რასაც ჩვენ ევოლუციურ ჰიპოთეზას ვუწოდებთ, უამრავი ბიოლოგიური და პალეონტოლოგიური დაკვირვების, მაგალითად, სხვადასხვა გვარებს შორის გარკვეული მსგავსებების ახსნაა მონათესავე ფორმების საერთო წარმოშობის დაშვების საფუძველზე[3]. ეს ჰიპოთეზა არ არის უნი-

[2] მე ვეთანხმები პროფესორ რეივენს, რომელმაც თავის *Science, Religion and the Future* (1943) ამ კონფლიქტს უწოდა „ქარიშხალი ვიქტორიანული ეპოქის ჩაის ფინჯანში“. თუმცა ამ შენიშვნის ძალას თითქოს ცოტა ასუსტებს ის ყურადღება, რომელსაც ის ამ ფინჯნიდან ამომავალ ორთქლს – ბერგსონის, უაითჰედის, სმატსის და სხვათა მიერ შექმნილ ევოლუციური ფილოსოფიის დიად სისტემებს უთმობს.

[3] რადგან, ცოტა არ იყოს შეშინებული ვარ ისტორიცისტების ტენდენციით, ობსკურანტიზმი დასწამონ ყველას, ვინც არ იზიარებს მათ ემოციურ აღტაცებას ევოლუციით, როგორც „ტრადიციული აზროვნების გაბედული და რევოლუციური გამოწვევით“, უმჯობესი იქნება თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე დარვინიზმი რელეგანტური ფაქტების ყველაზე წარმატებულ ახსნად მიმაჩნია. ევოლუციონისტების ემოციური პოზიციის კარგი ილუსტრაციაა ს. ჰ. უოდინგტონის მტკიცება (*Science and Ethics*, 1942, გვ.17), რომ „უნდა ჩავთვალოთ, რომ ევოლუციური მიმართულება კარგია, უბრალოდ იმიტომ, რომ ის კარგია“. ეს მტკიცება იმ ფაქტის ილუსტრაციაა, რომ პროფესორ ბერნალის მამხილებელი კომენტარი დარვინისეუ-

ვერსალური კანონი, თუმცა ბუნების გარკვეული უნივერსალური კანონები, ისეთები როგორიცაა მემკვიდრეობითობის, სეგრეგაციისა და მუტაციის კანონები ასეთსავე ახსნას მოვემზადებარება. ამ ჰიპოთეზას კონკრეტული (ერთეულოვანი ან განსაკუთრებული) ისტორიული დებულების ხასიათი უფრო აქვს (მას ისეთივე სტატუსი აქვს, როგორც ისტორიულ დებულებას „ჩარლზ დარვინსა და ფრენსის გალტონს საერთო ბაბუა ჰყავდათ“). ის ფაქტი, რომ ეს ევოლუციური ჰიპოთეზა ბუნების უნივერსალური კანონი კი არაა[4], არამედ კონკრეტული (უფრო ზუსტად კი ერთეულოვანი) ისტორიული დებულება რიგი სახმელეთო მცენარისა და ცხოველის წარმოშობის შესახებ, ოდნავ ბუნდოვანდება იმ ფაქტის გამო, რომ ტერმინი „ჰიპოთეზა“ ძალიან ხშირად ბუნების უნივერსალური კანონების სტატუსის დახასიათებისათვის გამოიყენება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ტერმინს საკმაოდ ხშირად სხვა მნიშვნელობითაც ვიყენებთ. მაგალითად, უძველია, სწორი იქნება, თუკი წინასწარ სამედიცინო დიაგნოზს აღვწერთ როგორც ჰიპოთეზას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჰიპოთეზა ერთეულოვანი და ისტორიული ხასიათის უფროა, ვიდრე უნივერსალური კანონისა. სხვა სიტყვებით, იმ ფაქტმა, რომ ბუნების ყველა კანონი ჰიპოთეზაა, ჩვენი ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ფაქტი, რომ ყველა ჰიპოთეზა არ არის კანონი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისტორიული ჰიპოთეზები, როგორც წესი, არიან არა უნივერსალური, არამედ ერთეულოვანი დებულებები ერ-

ლი პოლემიკის თაობაზე (იქვე, გვ.115) ჯერ ისევ მართებულია: „საქმე ის კი არაა ... რომ მეცნიერება იძულებული იყო ებრძოლა გარეშე მტრის – ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ ის, რომ ეკლესია ... თვით მეცნიერებში არსებობდა“.

[4] ისეთი დებულებაც კი, როგორიცაა „ყველა ხერხემლიანს ერთი წყვილი საერთო წინაპარი ჰყავს“, მიუხედავად სიტყვისა „ყველა“, არ არის ბუნების უნივერსალური კანონი, რადგან მას დედამიწაზე მცხოვრები ხერხემლიანების მიმართ აქვს ძალა და არა ნებისმიერ ადგილსა და დროს არსებული ყველა, ხერხემლიანთა კლასისათვის დამახასიათებელი აგებულების მქონე, ორგანიზმის მიმართ. იხილეთ ჩემი *Logic of Scientific Discovery*, პარაგრაფი 14 და შმდ.



თი ინდივიდუალური მოვლენის ან მთელი რიგი ამგვარი მოვლენების შესახებ.

მაგრამ შეიძლება კი არსებობდეს ევოლუციის *კანონი?* შეიძლება კი არსებობდეს რაიმე მეცნიერული კანონი იმ მნიშვნელობით, რომელსაც გულისხმობდა ტ. ჰ. ჰაქსლი, როცა წერდა „... მართლაც გულგრილი უნდა იყოს ის ფილოსოფოსი, რომელსაც... ეეჭვება, რომ, ადრე თუ გვიან, მეცნიერება... ორგანული ფორმების ევოლუციის კანონს – მიზეზებისა და შედეგების იმ დიადი ჯაჭვის უცვლელი წესრიგის ევოლუციის კანონს მოიპოვებს, რომელშიც ჩართულია ყველა ორგანული ფორმა – უძველესიც და თანამედროვეც“[5].

მჯერა, რომ ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ და რომ ევოლუციაში „უცვლელი წესრიგის“ კანონის ძიება ვერც ბიოლოგიაში და ვერც სოციოლოგიაში, ალბათ, მეცნიერული მეთოდის სფეროში ვერ მოხვდება. ჩემი

[5] იხილეთ T.H.Huxley, *Lay Sermons* (1880), გვ. 214. ევოლუციის კანონის ჰაქსლისეული რწმენა მართლაც გასაოცარია, თუ გავითვალისწინებთ მის უაღრესად კრიტიკულ დამოკიდებულებას (გარდა-უვალი) პროგრესის იდეისადმი. ეს, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ ის არა მხოლოდ მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან ბუნებრივ ევოლუციასა და პროგრესს, არამედ თვლიდა (ვფიქრობ, რომ სწორადაც), რომ ეს ორი მოვლენა თითქმის არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ჯულიან ჰაქსლის საინტერესო ანალიზი იმისა, რასაც ის „ევოლუციურ პროგრესს“ (*Evolution*, 1942, გვ. 559) უწოდებს, ჩემი აზრით, ამას არაფერს მატებს, თუმცა ჩანს, რომ ამ ანალიზის მიზანი ევოლუციასა და პროგრესს შორის კავშირის დადგენაა, რადგან ის ადიარებს, რომ ევოლუცია, მართალია, ზოგჯერ „პროგრესულია“, მაგრამ უფრო ხშირად არ არის ასეთი (ამის და „პროგრესის“ ჰაქსლისეული განსაზღვრების შესახებ, იხილეთ შენიშვნა 5, 28-ე პარაგრაფი, ქვემოთ). მეორე მხრივ კი, ის ფაქტი, რომ ყველა „პროგრესული“ განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც ევოლუციური, მხოლოდ და მხოლოდ ტრივიალობაა (ის, რომ დომინანტური ტიპების თანამიმდევრობა პროგრესულია იმ მნიშვნელობით, რომელსაც ის გულისხმობს, შესაძლებელია, უბრალოდ, იმას ნიშნავდეს, რომ ჩვენ, ჩვეულებრივ, ტერმინს „დომინანტური ტიპები“ ყველა იმ წარმატებული ტიპის მიმართ ვიყენებთ, რომლებიც „პროგრესულია“).

მოსაზრებები ძალიან მარტივია: დედამიწაზე სიცოცხლის ან ადამიანთა საზოგადოების ევოლუცია უნიკალური ისტორიული პროცესია. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ასეთი პროცესი ყველა სახის მიზეზობრივ კანონთან, მაგალითად, მექანიკის, ქიმიის, მემკვიდრეობითობის და სეგრეგაციის, ბუნებრივი შერჩევის და სხვ. კანონებთან თანხმობაში მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, მისი აღწერა კანონი კი არა, არამედ მხოლოდ ერთი ერთეულოვანი ისტორიული დებულებაა. უნივერსალური კანონები, როგორც ჰაქსლი თვლის, რადაც შეცდელი წესრიგის ე.ი. რაიმე მოცემული სახის ყველა პროცესის თაობაზე გამოთქმული მტკიცებებია და თუმცა არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისა, თუ რატომ არ შეიძლება ერთი ცალკეული შემთხვევის დაკვირვებამ უნივერსალური კანონის ფორმულირების სტიმული მოგვცეს და არც იმისა, რომ, თუკი ბედი გაგვიღიმებს, რატომ არ შეიძლება ჭეშმარიტებასაც კი ვწვდეთ, ცხადია, რომ ასე ან სხვაგვარად ფორმულირებული ნებისმიერი კანონი მანამ, სანამ მეცნიერება მას სერიოზულად მიიღებს, ახალი შემთხვევებით უნდა *შემოწმდეს*. მაგრამ თუკი მუდმივად ერთი უნიკალური პროცესის დაკვირვებით უნდა შემოვიფარგლოთ, მაშინ არც უნივერსალური ჰიპოთეზის შემოწმების იმედი უნდა გვქონდეს და არც მეცნიერებისათვის მისადები ბუნებრივი კანონის აღმოჩენისა. ერთი უნიკალური პროცესის დაკვირვება ვერც მისი მომავალი განვითარების წინასწარგანჭვრეტაში დაგვეხმარება. *ერთი*, განვითარების პროცესში მყოფი მუსლუხოს უღრმესი ყურადღებით დაკვირვებაც კი ვერ დაგვეხმარება ჰეპელად მისი ტრანსფორმირების პროგნოზირებაში. ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მიმართ, და აქ სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი, ჩვენი არგუმენტი ა. ფიშერმა ასეთნაირად ჩამოაყალიბა: „ადამიანებმა ... ისტორიაში აღმოაჩინეს სიუჟეტი, რიტმი, წინასწარდადგენილი ნიმუში ... მე მხოლოდ ერთი მეორის მომდევნო გაუთვალისწინებელი შემთხვევების შემჩნევა შემიძლია ..., *მხოლოდ ერთი დიადი ფაქტისა, რომელთან მიმართებაშიც, რამდენადაც ის უნიკალურია, შეუძლებელია რაიმე განზოგადება არსებობდეს* ...“[6].



როგორ შეიძლება დავუპირისპირდეთ ამ შეპასუხებას? არსებობს ორი ძირითადი პოზიცია, რომელიც ევოლუციის კანონის მომხრეებმა შეიძლება დაიკავონ. მათ შეუძლიათ (a) უარყონ ჩვენი მტკიცება, რომ ევოლუციური პროცესი უნიკალურია ან (b) დაამტკიცონ, რომ ევოლუციის პროცესში, უნიკალურიც რომ იყოს ის, შესაძლებელია გავარჩიოთ გეზი, ტენდენცია ან მიმართულება და შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რაიმე ჰიპოთეზა, რომელიც ამ ტენდენციას დაადგენს, ხოლო ამ ჰიპოთეზის შემოწმება მომავალი გამოცდილებითაა შესაძლებელი. ეს ორი (a) და (b) პოზიცია ურთიერთგამომრიცხავი არ არის.

(a) პოზიცია დიადი ანტიკურობის იდეას უბრუნდება. იდეას, რომ დაბადების, ბავშვობის, ახალგაზრდობის, მოწიფულობის, სიბერისა და სიკვდილის სასიცოცხლო ციკლი მხოლოდ ცალკეული ინდივიდუალური ცხოველების და მცენარეებისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ საზოგადოებების, რასების და, შესაძლოა, „მთელი სამყაროსთვისაც“. პლატონმა ეს უძველესი დოქტრინა ბერძნული ქალაქსახელმწიფოების და სპარსეთის იმპერიის რდვევისა და დაცემის ინტერპრეტაციისათვის გამოიყენა[7]. თითქმის ანალოგიურად გამოიყენეს ის მაკიაველიმ, ვიკომ, შპენგლერმა და, არცთუ დიდი ხნის წინ, პროფესორმა ტოინბიმ თავის ბრწყინვალე შრომაში *A Study of History*. ამ დოქტრინის თანახმად, ისტორია განმეორებადია და, მაგალითად, ციკლი-

---

[6] იხილეთ H.A.L.Fisher, *History of Europe*, ტ.I, გვ. vii (კურსივი ნემია). იხილეთ აგრეთვე F.A.von Hayek, ციტ. თხს., *Economica*, ტ. X, გვ. 58, სადაც ის აკრიტიკებს მცდელობას „იპოვონ კანონები იქ, სადაც მოვლენის ბუნებიდან გამომდინარე, მათი პოვნა შეუძლებელია: უნიკალური და განსაკუთრებული ისტორიული ფენომენების მიმდევრობაში“.

[7] პლატონმა *დიადი წლის* ციკლი *პოლიტიკოსში* აღწერა. ის უშვებს, რომ ჩვენ გადაგვარების პერიოდში ვცხოვრობთ და ამ დოქტრინას *სახელმწიფოში* ბერძნული ქალაქების, ხოლო *კანონებში* სპარსეთის იმპერიის ევოლუციის მიმართ იყენებს.

ზაციათა სასიცოცხლო ციკლების კანონები შესაძლებელია ისეთნაირადვე შევისწავლოთ, როგორც რომელიმე კონკრეტული ცხოველის სახეობის სასიცოცხლო ციკლებს ვსწავლობთ[8]. ამ დოქტრინის შედეგია ის, რომ ევოლუციური ან ისტორიული პროცესის უნიკალობაზე დაფუძნებული ჩვენი შეპასუხება ძალას კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა ამ დოქტრინის შემქმნელების მიზანი. ახლა არც იმის უარყოფას ვაპირებ (დარწმუნებული ვარ, ამას არც პროფესორი ფიშერი აპირებდა ზემომოყვანილ ციტატაში), რომ ზოგჯერ ისტორია შეიძლება, გარკვეული ასპექტებით, განმეორდეს და არც იმისა, რომ პარალელი გარკვეული ტიპის ისტორიულ მოვლენებს შორის, მაგალითად, ტირანიების აღზევება ანტიკურ საბერძნეთში და თანამედროვე ეპოქაში, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს პოლიტიკური ძალაუფლების სოციოლოგიის მკვლევარისათვის[9]. მაგრამ ცხადია, განმეორების ქველა ეს შემთხვევა არსებითად განსხვავებულ პირობებს გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შემდგომ განვითარებაზე. მაშასადამე, არ არსებობს რაიმე სერიოზული საფუძველი იმ მოლოდინისათვის, რომ ისტორიული განვითარების რადაც აშკარა განმეორება თავისი პროტოტიპის პარალელურად *განაგრძობს* სვლას. თუმცა, თუკი განმეორებადი სასიცოცხლო ციკლების კანონის გვწამს, ხოლო ეს რწმენა ან ანალოგიური სპეკულაციებითაა შეძენილი, ან პლატონისაგანაა მემკვიდრეობით მიღებული, მაშინ აუცილებლად თითქოს ქველგან აღმოვაჩენთ მის ისტორიულ დადასტურებას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთია იმ მრავალ მეტაფიზიკურ თეორიას შორის, რომელებიც თითქოს დასტურდება ფაქტებით, თუმცა ამ ფაქტების უფრო ყურადღებით განხილვისას, აღმოჩნდება, რომ ისინი იმ თეორიების პოზიციებიდანაა შერჩეული, რომლებიც მათი დახმარებით უნდა შემოწმდეს[10].

---

[8] პროფესორი ტოინბი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მისი მეთოდით *ემპირიულად* უნდა გამოვიკვლიოთ ბიოლოგიური სახეობა „ცივილიზაციის“ 21-ზე მეტი ნიმუშის სასიცოცხლო ციკლი. თუმცა, ამ მეთოდის მიღების მიუხედავად, მასაც კი არ უსნდება ფიშერის არგუმენტთან (რომელიც ზემოთაა ციტირებული) დაპირისპირების რაიმე სურვილი. ყოველ შემთხვევაში, ამ არგუმენტების კომენტარებში ასეთი სურვილის კვალიც კი ვერ აღმოვაჩინე. ის იმით კმაყოფილდება, რომ ამ არგუმენტს თავიდან იშორებს როგორც „შემთხვევის ყოვლადძლიერების თანამედროვე დასავლური რწმენის“ გამოხატვას. იხილეთ *A Study of History*, ტ. V, გვ. 414. არა მგონია, რომ ეს დახასიათება სამართლიანი იყოს ფიშერთან მიმართებაში, რომლის ციტატა ასე გრძელდება: „... პროგრესის ფაქტი ნათლად და მკაფიოდაა აღბეჭდილი ისტორიის ფურცლებზე. მაგრამ პროგრესი არ არის ბუნების კანონი. ის, რაც ერთმა თაობამ მოიპოვა, მომდევნომ შეიძლება დაკარგოს“.

[9] ბიოლოგიაში ასეთივე მდგომარეობაა იმდენად, რამდენადაც ევოლუციათა სიმრავლე (მაგალითად, განსხვავებული გვარების) შეიძლება *განზოგადებების* საფუძვლად გამოვიყენოთ. მაგრამ ევოლუციების ამ შედარებამ შეიძლება მხოლოდ ევოლუციური პროცესების *ტიპების* აღწერამდე მიგვიყვანოს. ასეთივე მდგომარეობაა სოციალურ ისტორიაში. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოვლენათა გარკვეული ტიპები ხან აქ და ხანაც იქ, მეორდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი შედარებებიდან ვერც ქველა ევოლუციური



პროცესის მიმდინარეობის კანონს (როგორიცაა ევოლუციური ციკლების კანონი) და ვერც ზოგადად ევოლუციის მიმდინარეობის კანონს ვერ მივიღებთ (იხილეთ შენიშვნა 5, პარაგრაფი 28-ე. ქვეკანონს ვერ მივიღებთ (იხილეთ შენიშვნა 5, პარაგრაფი 28-ე. ქვემოთ).

[10] თითქმის ქველა თეორიაზე შეიძლება ითქვას, რომ ის მრავალ ფაქტთანაა თანხმობაში. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ თეორია დადასტურებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი ვერ აღმოვაჩენთ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მას დაარღვევს, და არა მაშინ, თუკი მის გამამყარებელ ფაქტებს მოვიძებთ. იხილეთ პარაგრაფი 29-ე. ქვემოთ და ჩემი *Logic of Scientific Discovery*, განსაკუთრებით თ. X. იქ გაკრიტიკებული პროცედურის მაგალითი, ჩემი აზრით, პროფესორ ტოინბის მიერ, მისი ტერმინოლოგიით, „ცივილიზაციის სახეობის“ სასიცოცხლო ციკლების თითქოს ემპირიული კვლევაა (იხილეთ ამ პარაგრაფის შენიშვნა 8, ზემოთ). ის, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აქცევს იმ ფაქტს, რომ ცივილიზაციებად მხოლოდ ისეთ არსებების კლასიფიცირებას ახდენს, რომლებიც თანხმობაშია სასიცოცხლო ციკლების მის *a priori* რწმენასთან. მაგალითად, პროფესორი ტოინბი ერთმანეთს უპირისპირებს (ციტ. თხზ. ტ.I, გვ. 147-149) თავის „ცივილიზაციებს“ და „პრიმიტიულ საზოგადოებებს“, რითაც ცდილობს გაამყაროს საკუთარი დოქტრინა, რომლის თანახმად ეს ორი რამ არ შეიძლება ერთსა და იმავე „სახეობას“ მიეკუთვნებოდეს, თუმცა ისინი შეიძ-

მივუბრუნდეთ (b) პოზიციას, იმ რწმენას, რომ შესაძლებელია ევოლუციური მოძრაობის ტენდენციის ან მიმართულების გარჩევა და მისი ექსტრაპოლირება. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ამ რწმენამ გაელენა მოახდინა და გაამყარა ზოგიერთი ციკლური პიპოთეზა, რომელიც (a) პოზიციას მიეკუთვნება. პროფესორი ტოინბი, მაგალითად, (a) პოზიციის მხარდასაჭერად (b) პოზიციისათვის დამახასიათებელ ასეთ შეხედულებას გამოთქვამს: „ცივილიზაციები საზოგადოების სტატიკური მდგომარეობები კი არაა, არამედ ევოლუციური ტიპის დინამიკური მოძრაობები. მათ არა თუ უმოძრაოდ ყოფნა არ შეუძლიათ, არამედ, მოძრაობის საკუთარი კანონის დარღვევის გარეშე ვერც შეუმოძრაობას შეხლებენ... "[11]. აქ თითქმის ყველა ელემენტია, რომელსაც ხვეულებრივ, (b) პოზიციის დებულებებში აღმოვაჩენთ: სოციალური *დინამიკის* (სოციალური *სტატიკის* საპირისპიროდ) საზოგადოების ევოლუციური *მოძრაობების* (სოციალური *ძალების* ზეგავლენით) და ამ მოძრაობების *მიმართულებების* (ასევე *კურსების* და *სისქარგების*) იდეა, რომლებიც, როგორც ამბობენ, *მოძრაობის კანონების* დარღვევის გარეშე მიმართულებას *ვერ შეიცვლიან*. კურსივით გამოყოფილი ყველა ტერმინი სოციოლოგიაში ფიზიკიდანაა შეჭრილი და

ლება ერთსა და იმავე „ბეარს" მიეკუთვნებოდეს. მაგრამ ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი საფუძველი ცივილიზაციათა ბუნების *a priori* ინტუიციაა. ეს შეიძლება ვნახოთ მის არგუმენტში, რომ ეს ორი ფენომენი ისევე ცხადად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სპილო კურდღლისაგან. ეს ინტუიციური არგუმენტია, რომლის სისუსტე ნათელი ხდება, თუ სენ-ბერნარისა და პეკინესის მაგალითს განვიხილავთ. მაგრამ მოლიანობაში ეს კითხვა (მუკუთვნება თუ არა ეს ორი ფენომენი ერთსა და იმავე სახეობას) მიუღებელია, რადგან ის სოციოლოგიურ მეთოდს ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც კოლექტივები უნდა განვიხილოთ ისე, თითქოს ისინი ფიზიკური ან ბიოლოგიური სხეულებია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდს ხშირად აკრიტიკებენ (იხილეთ, მაგალითად, F.A.von Hayek. *Economica*. ტ. X, გვ. 41 და შმდ), ამ კრიტიკის ადეკვატური პასუხი ჯერ არ მოსულა.

[11] Toynbee. ციტ. თხზ., ტ. I, გვ. 176.



მათმა მიღებამ მთელი რიგ გამაოგნებლად ჭულგარულ, თუმცა ფიზიკისა და ასტრონომიის მაგალითების სოციოლოგიაზეს ჩვეული არასწორი გამოყენებისათვის დამახასიათებელ გაუგებრობებთან მიგვიყვანა. აღსანიშნავია, რომ ისტორიული სემინარების გარეთ ამ გაუგებრობებს დიდი ხანი არ მოუტანია. ეკონომიკაში, მაგალითად, ტერმინ „*დინამიკის*" გამოყენება (შდრ. ამჟამად მიღებულ ტერმინს „მაკროდინამიკა") მისაღებია, რაც მათაც უნდა აღიარონ, ვისაც ეს ტერმინი არ მოსწონს. მაგრამ ეს გამოყენებაც სტატიკასა და დინამიკას შორის ფიზიკისათვის დამახასიათებელი განსხვავების სოციოლოგიაში *გამოყენების* კონტისეული მცდელობიდან მომდინარეობს. ხოლო ის, რომ ეს მცდელობა სერიოზულ გაუგებრობას ეფუძნება, უეჭველია. *საქმე ისაა, რომ საზოგადოების ის სახე, რომელსაც სოციოლოგია „სტატიკურს" უწოდებს, ზუსტი ანალოგია ამ ფიზიკური სისტემებისა, რომლებსაც ფიზიკოსი „დინამიკურს"* დაარქმევდა (მათი „სტაციონარულობის" მიუხედავად). ამის ტიპური მაგალითი მზის სისტემაა. იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც ამაში ფიზიკოსი დებს, ის დინამიკური სისტემის პროტოტიპია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ის არ იზრდება ან არ ვითარდება, რამდენადაც არ აელენს რაიმე სტრუქტურულ ცვლილებას (გარდა ისეთი ცვლილებებისა, რომლებიც არ შედის ციური დინამიკის სფეროში და რომელთა უგულებელყოფაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია), ის, უეჭველია, იმ სოციალურ სისტემებს შეესაბამება, რომლებსაც სოციოლოგი „სტატიკურს" უწოდებს. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია ისტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, იმდენად რამდენადაც ასტრონომიის გრძელვადიანი პროგნოზების წარმატება მთლიანად დამოკიდებულია მზის სისტემის ამ განმეორებად, და სოციოლოგთა აზრით, სტატიკურ სახეობათან – იმ ფაქტთან, რომ აქ ისტორიული განვითარების ნებისმიერი ხიბლის უგულებელყოფაა შესაძლებელი. მაშასადამე, ნაშდვილად მცდარია ვარაუდი, რომ სტაციონარული სისტემის ეს დინამიკური გრძელვადიანი პროგნოზები არასტაციონარული სოციალური სისტემების შეფასებისა და ისტორიული წინასწარმეტყველებების შესაძლებლობას აძლევს.

საზოგადოების მიმართ ზემოჩამოთვლილი ფიზიკური ტერმინების გამოყენებაც სავსეა ამის მსგავსი გაუგებრობებით. ხშირად ასეთ გამოყენებას არანაირი ზიანი არ მოაქვს. არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა, თუ, მაგალითად, ცვლილებებს საზოგადოების სტრუქტურაში, წარმოების მეთოდებში და სხვ. აღვწერთ როგორც *მოძრაობებს*. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მხოლოდ მეტაფორას, და თანაც ძალიან მატყუარა მეტაფორას ვიყენებთ. საქმე ისაა, რომ ფიზიკაში სხეულის ან სხეულთა სისტემის მოძრაობის შესახებ საუბრისას იმის თქმას კი არ ვცდილობთ, რომ სხეული ან სისტემა რაიმე შინაგან ან სტრუქტურულ ცვლილებას განიცდის, არამედ მხოლოდ იმის, რომ ის იცვლის მდებარეობას რაღაც (შემთხვევით შერჩეული) კოორდინატების სისტემის მიმართ. ამის საპირისპიროდ „საზოგადოების მოძრაობა“ სოციოლოგისათვის რაიმე სტრუქტურულ ან შინაგან ცვლილებას ნიშნავს. შესაბამისად, ის უშვებს, რომ საზოგადოების მოძრაობა უნდა აიხსნას *ძალების* მეშვეობით, მაშინ როცა ფიზიკოსი უშვებს, რომ უნდა აიხსნას მხოლოდ მოძრაობის *ცვლილებები* და არა მოძრაობა როგორც ასეთი[12]. სოციალური მოძრაობის *სიჩქარის*, მისი *გეზის*, *კურსის* ან *მიმართულების* იდეები ასევე უვნებელია მანამ, სანამ ისინი რაიმე ინტუიციური შთაბეჭდილების გადმოსაცემად გამოიყენება, მაგრამ თუ მათ გამოყენებას მეცნიერულობის პრეტენზიის ელფერი მიეცემა, ისინი, უბრალოდ, მეცნიერულ, ან უფრო ზუსტად, ჰოლისტურ ჟარგონად იქცევიან. რა თქმა უნდა, რაიმე გაზომვადი სოციალური ფაქტორის ნებისმიერი სახის ცვლილება, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა, შეიძლება გრაფიკულად წარმოვადგინოთ როგორც გზა, ზუსტად ისევე, როგორც მოძრავი სხეულის კვალი. მაგრამ, ცხადია, რომ იმას, რასაც ადამიანები საზოგადოების მოძრაობაში გულისხმობენ, ასეთი დიაგრამა არ გვიჩვენებს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტაციონარულ მოსახლეობას შეიძლება რადიკალური სოციალური გადატრიალების გადატანა მოუწიოს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეთი დიაგრამების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ზოგად მრავალგანზომილებიან გამოსახულებაში გავაერთიანოთ. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ასეთი კომბინირებული დიაგრამა საზოგადოების მოძრაობის გზას წარმოგვიდგენს. ის იმაზე მეტს ვერაფერს გვეტყვის, რასაც ყველა ცალკეული დიაგრამა ერთად გვეტყოდა. ის „მთელი საზოგადოების“ რაიმე მოძრაობას კი არ წარმოგვიდგენს, არამედ მხოლოდ შერჩეული ასპექტების ცვლილებებს. საზოგადოების მოძრაობის იდეა თავისთავად, ანუ იდეა, რომ ფიზიკური სხეულის მსგავსად, საზოგადოებას *როგორც მთელს* შეუძლია იმოძრაოს რაღაც მოცემულ გზაზე და რაღაც მოცემული მიმართულებით, უბრალოდ, ჰოლისტური აბდაუბდაა[13].

უფრო კონკრეტულად კი იმის იმედი, რომ ერთ დღეს „საზოგადოების მოძრაობის კანონებს“ ადმოვაჩენთ ზუსტად ისევე, როგორც ნიუტონმა ფიზიკური სხეულების

---

[12] ეს ასე ინერციის კანონის გამოა. პითაგორას თეორემის დახმარებით პოლიტიკური „ძალების“ გამოთვლის „ტიპური“ მცდელობის მაგალითი იხილეთ პარაგრაფ 20-ში, შენიშვნა 6, ზემოთ.



[13] „მოძრაობის“, „ძალის“, „მიმართულების“ და სხვ. შესახებ საუბრით გამოწვეული აბდაუბდა შეიძლება შევაფასოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ჰენრი ადამსი სერიოზულად იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ისტორიის კურსის დადგენას, თუ მის გზაზე ორი წერტილის მდებარეობას დააფიქსირებდა: ერთი წერტილი მეცამეტე საუკუნეში იყო განთავსებული, მეორე კი მის საკუთარ ეპოქაში. ამ პროექტის თაობაზე ის თვითონ წერდა: „ამ ორი წერტილის დახმარებით ... ის იმედოვნებდა, რომ წარსულისა და მომავლისაკენ მიმავალი ხაზების უსასრულოდ გაგრძელებას შეძლებდა ... “, რადგან, მისი მტკიცებით, „ნებისმიერი სკოლის მოსწავლე გაიგებს, რომ ადამიანი, როგორც ძალა, რაიმე ფიქსირებული წერტილიდან მოძრაობის მეშვეობით უნდა გაიზომოს“ (*The Education of Henry Adams*, 1918, გვ. 434 და შმდ.). როგორც უფრო ახალი მაგალითი, შემიძლია უოდინგტონის შენიშვნა მოვიყვანო (Waddington, *Science and Ethics*, გვ. 17 და შმდ.), რომ „სოციალური სისტემა“ არის „რაღაც, რისი არსებობაც აუცილებლობით გულისხმობს მოძრაობას ევოლუციის გზაზე ...“ და რომ (გვ. 18 და შმდ.) „ეთიკაში მეცნიერების წვლილის ბუნება ... სამყაროს როგორც მთელის ევოლუციური პროცესის ბუნების, ხასიათისა და მიმართულების გამომჟღავნებაა...“.

მოძრაობის კანონები აღმოაჩინა, სხვა არაფერია, თუ არა ამ გაუგებრობების შედეგი. რამდენადაც არ არსებობს საზოგადოების მოძრაობა ფიზიკური სხეულების მოძრაობის მსგავსი ან ანალოგიური მნიშვნელობით, არც ასეთი კანონები შეიძლება არსებობდეს.

თუმცა გვეტყვიან, რომ სოციალურ ცვლილებებში მიმართულების ან ტენდენციების არსებობაში ეჭვის შეტანა თითქმის შეუძლებელია: ნებისმიერ სტატისტიკოსს ამგვარი ტენდენციების გამოთვლა შეუძლია. ნუთუ ამ ტენდენციების ნიუტონის ინერციის კანონთან შედარება შეუძლებელია? პასუხი ასეთია: ტენდენციები არსებობს ან, უფრო ზუსტად, ტენდენციების დაშვება, ზოგჯერ, სასარგებლო სტატისტიკური ხერხია. *მაგრამ ტენდენციები არ არის კანონები.* დებულება, რომელიც რაიმე ტენდენციის არსებობას ამტკიცებს, ეგზისტენციურია და არა უნივერსალური (უნივერსალური კანონი, მეორე მხრივ, არ ამტკიცებს არსებობას, პირიქით, როგორც 20-ე პარაგრაფის ბოლოს ვუჩვენეთ, ის რაიმეს შეუძლებლობას ამტკიცებს[14]). დებულება, რომელიც რადაც მოცემულ დროსა და ადგილზე რაიმე ტენდენციის არსებობას ამტკიცებს, უნივერსალური კანონი კი არ იქნება, არამედ ერთეულოვანი ისტორიული დებულება. ამ ლოგიკური ვითარების პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია. მართალია, ჩვენ შეგვიძლია მეცნიერული პროგნოზები კანონების საფუძველზე გავაკეთოთ, მაგრამ მხოლოდ ტენდენციების საფუძველზე მათი გაკეთება შეუძლებელია (როგორც ეს ყველა ფრთხილმა სტატისტიკოსმა იცის). ტენდენცია (მაგალითად ისევ მოსახლეობის ზრდა ავიღოთ), რომელიც უცვლელი იყო ასი ან თუნდაც ათასი წლის განმავლობაში, შეიძლება ერთ დეკადაში ან იქნებ, უფრო სწრაფადაც კი, შეიცვალოს.

[14] იხილეთ ჩემი *Logic of Scientific Discovery*, პარაგრაფი 15, სადაც მოყვანილია არგუმენტები, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ეგზისტენციური დებულებები *მეტაფიზიკურად* (არამეცნიერულის მნიშვნელობით). იხილეთ, აგრეთვე, შენიშვნა 7, 28-ე პარაგრაფი, ქვემოთ.



მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ *კანონები და ტენდენციები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება*[15]. თითქმის უეჭველია, რომ ტენდენციებისა და კანონების აღრევის ჩვევამ, ტენდენციების (მაგალითად, ტექნიკური პროგრესის) ინტუიციურ დაკვირვებასთან ერთად, შთაბერა სულელი ევოლუციონიზმისა და ისტორიციზმის ცენტრალურ დოქტრინებს: ბიოლოგიური ევოლუციის მკაცრი კანონებისა და საზოგადოების მოძრაობის შეუქცევადი კანონის დოქტრინებს. ამავე აღრევამ და ინტუიციებმა შთაბერა სული თანამიმდევრობის კანონების კონტისეულ დოქტრინასაც, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან გავლენიანია.

უნდა ითქვას, რომ კონტისა და მილის დროიდან ცნობილ განსხვავებას სავარაუდოდ სტატიკის შესატყვის *თანაარსებობის კანონებს* და სავარაუდოდ დინამიკის შესატყვის *თანამიმდევრობის კანონებს* შორის, შეიძლება გონივრული ინტერპრეტაცია მიეცეს ანუ გავიგოთ ის როგორც განსხვავება, ერთი მხრივ, იმ კანონებს, რომლებიც *დროის* ცნებას არ მოიცავენ და, მეორე მხრივ, იმ კანონებს შორის, რომელთა ფორმულირებაშიც *დრო* შედის (მაგალითად, სიჩქარეებთან დაკავშირებული კანონები)[16]. ეს არ არის ზუსტად ის, რასაც კონტი და მისი მიმდევრები გულისხმობდნენ. თანამიმდევრობის კანონების შესახებ საუბრისას კონტს მხედველ-

[15] თუმცა შესაძლებელია კანონმა დაამტკიცოს, რომ კონკრეტულ ვითარებაში (საწყის პირობებში) კონკრეტული ტენდენციები აღმოჩნდება; მეტიც, ტენდენციის ასეთნაირად ახსნის შემდეგ, შესაძლებელია ამ ტენდენციის შესატყვისი კანონის ფორმულირება; იხილეთ, აგრეთვე შენიშვნა 8, პარაგრაფი 28-ე, ქვემოთ.

[16] იქნებ ღირდეს იმის აღნიშვნა, რომ თანაფარდობის ეკონომიკა უეჭველად *დინამიკურია* (ამ ტერმინის კონტისეულ მნიშვნელობასთან დაპირისპირებული „ბონივრული“ აზრით), მიუხედავად იმისა, რომ მის განტოლებაში დრო არ გვხვდება. საქმე ისაა, რომ ეს თეორია არ ამტკიცებს, რომ ეოველ დარღვევას (დარღვევები კი გამუდმებით „მოძრაობა“ მოჰყვება. ფიზიკაში სტატიკა წონასწორობის თეორიაა და არა წონასწორობისაკენ მოძრაობისა. სტატიკური სისტემა *არ მოძრაობს.*

ლობაში ის კანონები ჰქონდა, რომლებიც მოვლენათა „დინამიკური“ სერიის თანამიმდევრობას დაადგენენ იმ რიგით, რომლითაც ისინი დაკვირვებაში გვეძლევა. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თანამიმდევრობის „დინამიკური“ კანონები, როგორც ისინი კონტს ესმოდა, არ არსებობს. ისინი ნამდვილად არ არსებობს დინამიკაში (მე *ვგულისხმობ* დინამიკას). საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში მათთან ყველაზე ახლოს, რაც, ალბათ, კონტს ჰქონდა მხედველობაში, ბუნებრივი პერიოდულობებია, ისეთები როგორიცაა წელიწადის დროები, მთვარის ფაზები, მზის დაბნელების განმეორება ან იქნებ, ქანქარის მოძრაობები. მაგრამ ეს პერიოდულობები, რომლებსაც ფიზიკაში აღწერენ როგორც დინამიკურს (თუმც კი სტაციონარულს), ამ ტერმინების კონტისეული მნიშვნელობით „სტატიკური“ იქნებოდა და არა „დინამიკური“ და, ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელია მათ კანონები ვუწოდოთ (რამდენადაც ისინი მზის სისტემაში დომინანტურ პირობებზეა დამოკიდებული. იხილეთ შემდეგი პარაგრაფი). მე მათ „თანამიმდევრობის კვაზი-კანონებს“ ვუწოდებ.

არსებითი საკითხი ასეთია: მართალია, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ფენომენთა ნებისმიერი აქტუალური თანამიმდევრობა ბუნების კანონების თანახმად ხორციელდება, მნიშვნელოვანი იმის გაცნობიერებაა, რომ პრაქტიკულად, ვთქვათ, *სამი ან მეტი მიზეზობრივად დაკავშირებული კონკრეტული მოვლენის მიმდევრობა ბუნების რაიმე კონკრეტული კანონის შესაბამისად არ ხორციელდება.* თუ ქარი ხეს არხევს და ნიუტონის ვაშლი მიწაზე ეცემა, არავინ უარყოფს, რომ ეს მოვლენები მიზეზობრივი კანონის ტერმინებით შეიძლება აღვწეროთ. მაგრამ არ არსებობს რაიმე, მიზიდულობის კანონის მსგავსი კონკრეტული კანონი და არც კანონთა რაიმე კონკრეტული განსაზღვრული სიმრავლე, რომელიც მიზეზობრივად დაკავშირებული მოვლენების აქტუალურ ან კონკრეტულ თანამიმდევრობას აღწერდა: მიზიდულობის კანონის გარდა, გასათვალისწინებელი გვექნებოდა ქარის ზემოქმედების ამხსნელი კანონები, ტოტების მკვეთრი მოძრაობები, ვაშლის ყუნწის დაძაბულობა, ვაშლის დაშეშილობა დარტყმისას, ის, რაც დაუეჭვლობით გამოწვეულ ქიმიურ პროცესებს მოჰყვება და სხვ. ის აზრი, რომ მოვლენათა ნებისმიერი კონკრეტული მიმდევრობა ან თანამიმდევრობა (ქანქარის მოძრაობის, ან მზის სისტემის მსგავსი მაგალითების გარდა) შეიძლება აღვწეროთ ან ავხსნათ რაიმე ერთი კანონით, ან კანონთა რაიმე ერთი განსაზღვრული სიმრავლით, უბრალოდ, მცდარია. არც თანამიმდევრობის კანონები არსებობს და არც ევოლუციის კანონები.



და მაინც, კონტი და მილი თანამიმდევრობის ისტორიულ კანონებს განიხილავდნენ როგორც კანონებს, რომლებიც ადგენენ ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობას იმ რიგით, რომლითაც ისინი რეალურად ხდება. ეს შეიძლება ნათელი გახდეს იმ მეთოდის მილისეული დახასიათებიდან, რომელიც „ისტორიის ზოგადი ფაქტების კვლევისა და ანალიზის გზით ...პროგრესის კანონის აღმოჩენის მცდელობაა ... კანონისა, რომელმაც, რაკი ერთხელ დავადგენთ მას, ... მომავალი მოვლენების პროგნოზირება უნდა შეგვაძლებინოს, *ზუსტად ისე, როგორც ალგებრაში უსასრულო რიგის რამოდენიმე წევრის საფუძველზე შეგვიძლია მათ ფორმირებაში კანონზომიერების პრინციპი აღმოვაჩინოთ და მოვახდინოთ ამ რიგის დანარჩენი ნაწილის პროგნოზირება წევრების ნებისმიერი რიცხისათვის*“[17]. თვითონ მილი კრიტიკულია ამ მეთოდის მიმართ, მაგრამ მისი კრიტიკულობა (იხილეთ 28-ე პარაგრაფის დასაწყისი) სავსებით უშვებს მათემატიკური მიმდევრობის ანალოგიური თანამიმდევრობის კანონების აღმოჩენის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ეეჭვება, იქნება თუ არა „თანამიმდევრობის ის რიგი ..., რომელსაც ისტორია გვთავაზობს“ საკმარისად „მკაცრად ეროვანი“, რათა მათემატიკურ მიმდევრობასთან მისი შედარება შესაძლებელი გახდეს[18].

---

[17] Mill, *Logic*, წიგნი VI, თ. X, პარაგრაფი მე-3. ზოგადად, მილის „პროგრესული შედეგების“ თეორიის თაობაზე იხილეთ, აგრეთვე, წიგნი III, თ. XV, პარაგრაფი მე-2.

[18] მილი, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აქცევს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ უმარტივესი არითმეტიკული და გეომეტრიული მიმდევრობებია ისეთი, რომ „რამოდენიმე წევრი“ საკმარისია მათი „პრინციპის“ აღმოსაჩენად. ადვილია უფრო რთული მათემატიკური მიმ-

ახლა შევე ვნახეთ, რომ არ არსებობს ისეთი კანონები, რომლებიც მოვლენათა ასეთი „დინამიკური“ რიგის თანამიმდევრობას დაადგენს[19]. მეორე მხრივ, შეიძლება არსებობდეს ასეთი „დინამიკური“ ხასიათის ტენდენციები, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „თანამიმდევრობის კანონებზე“ საუბრისას მილი ასეთ ტენდენციებს გულისხმობდა. ამ ვარაუდს თვით მილი გვიმყარებს, როცა თავის პროგრესის ისტორიულ კანონს აღწერს როგორც *ტენდენციას*. ამ „კანონის“ განხილვისას ის გამოთქვამს „რწმენას ... რომ ზოგადი *ტენდენცია* არსებობს და რომ ის მომავალშიც, იშვიათი და დროებითი გამონაკლისების გარდა, იქნება გაუმჯობესების *ტენდენცია: უფრო ბედნიერი და უკეთესი მდგომარეობისაკენ მიმავალი ტენდენცია*. ეს ... არის... მეცნიერების თეორემა“ (სახელდობრ სოციალური მეცნიერების თეორემა). ის, რომ მილი სერიოზულად განიხილავდა იმას, „ორბიტაზე“ ტრიალებენ „ადამიანთა საზოგადოების მოვლენები“ თუ პროგრესულად „ტრაექტორიით“[20] მოძრაობენ, კანონებისა და ტენდენციების ამ ფუნდამენტურ აღრევასთან და იმ ჰოლისტურ იდეასთანაა დაკავშირებული, რომ საზოგადოებას შეუძლია მოძრაობა „როგორც მთელს“, ვთქვათ, როგორც რაიმე პლანეტას.

არასწორ ინტერპრეტაციას თავი რომ ავარიდო, მინდა ცალსახად ვთქვა, რომ მწამს, რომ კონტმაც და მილმაც

---

დევრობების აგება, რომელთა ათასობით წევრიც კი არ იქნება საკმარისი მათი აგების კანონის აღმოსაჩენად, *მაშინაც კი, თუკი ცნობილია, რომ ასეთი კანონი არსებობს.*

[19] ასეთი კანონები ყველაზე დეტალურად განხილულია 28-ე პარაგრაფში, განსაკუთრებით, იხილეთ შენიშვნა 8-ე.

[20] იხილეთ, Mill, იქვე. მილი სიტყვა „პროგრესის“ ორ მნიშვნელობას განასხვავებს. უფრო ფართო მნიშვნელობით, ის უპირისპირდება ციკლურ ცვლილებას, მაგრამ არ მოიცავს გაუმჯობესებას („პროგრესულ ცვლილებას“ ამ მნიშვნელობით ის უფრო სრულად განიხილავს ციტ. თხზ., წიგნი III, თ. XV). უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ის გულისხმობს გაუმჯობესებას. მილი გვასწავლის, რომ პროგრესის მდგრადობა უფრო ფართო მნიშვნელობით *მეთოდის* საქმეა (ეს აზრი ჩემთვის გაუბებარია) და უფრო ვიწრო მნიშვნელობით – სოციოლოგიის თეორემაა.



ფილოსოფიაშიც და მეცნიერების მეთოდოლოგიაშიც: ამჟამად მხედველობაში მაქვს კონკრეტულად კონტის მიერ კანონებისა და მეცნიერული პროგნოზირების აქცენტირება, მის მიერ მიზეზობრიობის ესენციალური თეორიის კრიტიკა და მეცნიერული მეთოდის ერთიანობის მისი და მილის დოქტრინა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ თანამიმდევრობის ისტორიული კანონების მათი დოქტრინა არასწორად გამოყენებული მეტაფორების ერთობლიობაზე უკეთესი არ არის[21].

## 28. რედუქციის მეთოდი. მიზეზობრივი ახსნა. პროგნოზი და წინასწარმეტყველება

თანამიმდევრობის ისტორიული კანონების დოქტრინების კრიტიკა, ერთი მნიშვნელოვანი მიმართებით, ჯერ კიდევ

---

[21] მრავალ ისტორიცისტულ და ევოლუციონისტურ თხზულებაში ხშირად შეუძლებელია აღმოვაჩინოთ, თუ სად მთავრდება მეტაფორა და სად იწყება სერიოზული თეორია (იხილეთ, მაგალითად, შენიშვნები მე-10, მე-12, მე-13 ამ პარაგრაფში). და არც ის შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთ, რომ ზოგიერთი ისტორიცისტი მეტაფორასა და თეორიას შორის განსხვავებას უარყოფს. განვიხილოთ, მაგალითად, ფსიქოანალიტიკოს დოქტორ კერინ სტივენის შემდეგი ციტატა: „მე ვუშვებ, რომ ის თანამედროვე ახსნა, რომლის შემოთავაზებაც მცადეს, შეიძლება ჯერ ისევ მხოლოდ მეტაფორაა... არა მგონია, რომ ეს სამარცხვინოა ... რადგან ყველა მეცნიერული ჰიპოთეზა, რეალურად, მეტაფორას ეფუძნება. სხვა რა არის სინათლის ტალღური თეორია ...?“ (შდრ. Waddington, *Science and Ethics*, გვ. 80, იხილეთ, აგრეთვე გვ. 76, მიზიდულობის შესახებ). მეცნიერების თეორიები ჯერ ისევ ესენციალისტური რომ იყოს ე.ი. ისინი ასეთი კითხვის დასმის მეთოდი რომ იყოს „რა არის ეს?“, ხოლო სინათლის ტალღური თეორია კი ესენციალისტური დებულება, რომლის თანახმად სინათლე *არის* ტალღური მოძრაობა, მაშინ ეს შენიშვნა გამართლებული იქნებოდა. მაგრამ, მოცემულ ვითარებაში, ფსიქოანალიზსა და სინათლის ტალღურ თეორიას შორის არსებული ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ მაშინ როცა პირველი ჯერ ისევ დიდწილად ესენციალისტური და მეტაფორულია, მეორე ასეთი არ არის.

არასრულია. მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ „მიმართულებები“ ან „ტენდენციები“, რომლებსაც ისტორიცისტები ისტორიად წოდებულ მოვლენათა თანამიმდევრობაში გამოარჩევენ, კანონები კი არაა, არამედ, საუკეთესო შემთხვევაში, ტენდენციებია. ისიც ვცადე მეჩვენებინა, რომ კანონისაგან განსხვავებით, საზოგადოდ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტენდენციები მეცნიერული პროგნოზირების საფუძვლად.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი კრიტიკის საწინააღმდეგო შეპასუხებას ამ მიმართებით ისტორიცისტებს შორის აუცილებლად მხოლოდ მილი და კონტი შემოგვთავაზებდნენ. მილს იქნებ ედიარებინა, რომ კანონები და ტენდენციები, გარკვეული ზომით, აღრეულია. მაგრამ ის, ალბათ, შეგვახსენებდა, რომ მან თვითონ გააკრიტიკა ისინი, ვინც „ისტორიული თანამიმდევრობის ერთგვაროვნს“ ბუნების ნამდვილ კანონად მიიჩნევდა, რომ მან თავი დაიზღვია და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამგვარი ერთგვაროვნება „მხოლოდ ემპირიული კანონი“[1] შეიძლება იყოს (ეს ტერმინი, რადაც ზომით, არასწორია) და რომ ის არასანდო იქნება მანამ, სანამ „ისტორიულ მოწმობასთან *a priori* დედუქციური თანხვედრის“ მეშვეობით არ იქნება დაყვანილი ბუნების ჭეშმარიტი კანონის სტატუსამდე. მილს იმის შეხსენებაც შეეძლო, რომ მან თვითონვე დაადგინა „იმპერატიული წესი, რომლის თანახმად სოციალურ მეცნიერებებში არ უნდა შევიტანოთ რაიმე განზოგადება მანამ, სანამ ამისათვის საკმარისი

[1] ეს და მომდევნო ციტატა აღებულია Mill, *Logic*, წიგნი VI, თ. X, პარაგრაფი მე-3. ტერმინი „ემპირული კანონი“ (რომელსაც მილი ზოგადობების დაბალი ხარისხის მქონე კანონის სახელად იყენებს) ძალიან წარუმატებლად მიმაჩნია, რადგან *ყველა* მეცნიერული კანონი ემპირიულია: ყველა მათგანი ემპირიული მოწმობის საფუძველზეა მიღებული ან უკუგდებული (მილის „ემპირიული კანონების“ შესახებ იხილეთ, აგრეთვე, ციტ. თხზ., წიგნი III, თ. VI და წიგნი VI, თ. V, პარაგრაფი 1). მილისეული განსხვავება გაიზიარა კ. მენგერმა რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა „ზუსტი კანონები“ და „ემპირიული კანონები“. იხილეთ C.Menger, *The Collected Works*, ტ. II, გვ. 38 და შმდ., და გვ. 259 და შმდ.



საფუძველი არ მოიძებნება“[2], ანუ სანამ არ მოხდება მისი დედუცირება ბუნების რაიმე ჭეშმარიტი კანონებიდან, რომელთა დადგენაც დამოუკიდებლად შეიძლება (კანონები, რომლებიც მილს ჰქონდა მხედველობაში, „ადამიანის ბუნების“ ე.ი. ფსიქოლოგიის კანონებია). ისტორიული ან სხვა განზოგადებების უფრო მაღალი ზოგადობის მქონე კანონთა სიმრავლეზე რედუცირების ამ პროცედურას მილმა „ინვერსიული დედუქციის მეთოდი“ დაარქვა და ის ერთადერთ სწორ ისტორიულ და სოციოლოგიურ მეთოდად მიიჩნია.

მზად ვარ ვაღიარო, რომ ამ შეპასუხებას გარკვეული ძალა აქვს. რადგან თუკი კანონთა სიმრავლეზე ტენდენციის დაყვანას შევძლებთ, მაშინ, კანონის მსგავსად, ამ ტენდენციის გამოყენება პროგნოზების საფუძვლად გამართლებული იქნება. ასეთ რედუქციას, ან ინვერსიულ დედუქციას კანონებსა და ტენდენციებს შორის არსებული უფსკრულის ამოვსება შეეძლო. ამ შეპასუხების ძალას ის ფაქტიც გვიჩვენებს, რომ „ინვერსიული დედუქციის“ მილის მეთოდი იმ პროცედურის სწორი (თუმც კი ფრაგმენტული) აღწერაა, რომელიც მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებში კი არ გამოიყენება, არამედ ყველა მეცნიერებაში და გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ამას თვით მილი ვარაუდობდა.

ამ აღიარებების მიუხედავად, მჯერა, რომ ჩემი კრიტიკა სწორია და რომ კანონებისა და ტენდენციების ფუნდამენტური ისტორიცისტული აღრევის გამართლება შეუძლებელია. მაგრამ ამის სანვენებლად რედუქციის, ან ინვერსიული დედუქციის მეთოდის საფუძლიანი ანალიზია საჭირო.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი განვითარების ნებისმიერ მომენტში მეცნიერება პრობლემებს უპირისპირდება. შეუძლებელია მეცნიერება დაკვირვებებით, ან „მონაცემთა შეგროვებით“ დაიწყოს, როგორც ეს მეთოდის ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია. მონაცემთა შეგროვებამდე უნდა გაჩნდეს დაინტერესება *გარკვეული სახის მონაცემებით*. *პრობლემა* ყოველთვის პირველია. თავის მხრივ, ეს პრობლემა პრაქტიკულმა საჭიროებამ, ან რაიმე მეცნიერულმა თუ წინარეკულმა საჭიროებამ,

[2] იხილეთ Mill, ციტ. თხზ., წიგნი VI, თ. X, პარაგრაფი 4. იხილეთ, აგრეთვე, Comte, *Cours de philosophie positive*, IV, გვ. 335.

მეცნიერულმა რწმენამ შეიძლება წარმოშვას, რომელიც, ამა თუ იმ მოსაზრების გამო, გადახედვას საჭიროებს.

მეცნიერულ პრობლემას, როგორც წესი, *ახსნის* საჭიროება წარმოშობს. მილს თუ მივყვებით, ორი ძირითადი შემთხვევა უნდა განვასხვაოთ: ინდივიდუალური, ან ერთეული სპეციფიკური მოვლენის ახსნა და რაიმე კანონზომიერების, ან კანონის ახსნა. მილი ამას ასე გადმოგვცემს: „ინდივიდუალური ფაქტი ახსნილია, თუ მის მიზეზზე მივუთითებთ ე.ი დავადგენთ კანონს, ან კანონებს ... რომელთა მოქმედების შემთხვევაცაა ეს ფაქტი. ასე, მაგალითად, ხანძრის ახსნა შეიძლება, როცა დავამტკიცებთ, რომ ის განხდა ცეცხლსაშიში საგნების გროვაზე ნაპერწკლის მოხვედრის შედეგად. და ასეთნაირადვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონი ახსნილია, როცა მივუთითებთ სხვა კანონსა, ან კანონებზე, რომელთა შემთხვევაცაა ასახსნელი კანონი და რომელთაგანაც მისი დედუცირება შეიძლება“[3]. რაიმე კანონის ახსნის შემთხვევა „ინვერსიული დედუქციის“ მაგალითია და შესაბამისად, ეს, ამ კონტექსტში, ჩვენთვის საინტერესოა.

ახსნის, ან უფრო ზუსტად, მიზეზობრივი ახსნის მიღისეული ახსნა, ძირითადად, სავსებით მისაღებია. მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, ის არ არის საკმარისად ზუსტი და სიზუსტის ეს ნაკლებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში. ამიტომ პრობლემას ხელახლა დავსვამ და ვუჩვენებ, თუ სად არის სხვაობა მილისა და ჩემს თვალსაზრისებს შორის.

მე ვფიქრობ, რომ რაიმე კონკრეტული *სპეციფიკური მოვლენის* მიზეზობრივი ახსნა ნიშნავს ამ მოვლენის ამსსნელი დებულების დედუცირებას ორი სახის წანამძღვრიდან: რაღაც *უნივერსალური კანონებიდან* და რაიმე ერთეულოვანი, ან სპეციფიკური დებულებებიდან, რომლებსაც შეგვიძლია *სპეციფიკური საწყისი პირობები ვუწოდოთ.* მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაიმე თოკის გაწყვეტა მიზეზობრივად ავხსენით, თუ აღმოვაჩენთ, რომ ეს თოკი მხოლოდ ერთი გირვანქა წონის ტვირთს უძლებს და რომ მასზე ორი გირვანქა წონის ტვირთი ჩამოკიდეს. თუ ამ მიზეზობრივ ახსნას გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მასში ორი განსხვავებული შემადგენელია ჩართული. (1) ბუნების უნივერსალური კანონის მსგავსი რაღაც ჰიპოთეზა. ამ შემთხვევაში, ვთქვათ, ასეთი: „მოცემული s სტრუქტურის (რომელიც დეტერმინირებულია მასალით, სისქით და სხვ.) თითოეული თოკისათვის არსებობს მისთვის დამახასიათებელი ისეთი წონა w, რომ თოკი გაწყდება, თუ მასზე w-ზე მეტი წონის ტვირთს დავკიდებთ“ და „$s_1$ სტრუქტურის მქონე ყველა თოკისათვის დამახასიათებელი წონა w უდრის ერთ გირვანქას“. (2) ზოგიერთი ერთეულოვანი დებულება – საწყისი პირობები, რომლებიც მოცემულ კონკრეტულ მოვლენასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ორი დებულებაა შესაძლებელი: „ეს არის s სტრუქტურის მქონე თოკი“ და „ამ თოკზე ჩამოკიდებული ტვირთის წონა ორ გირვანქას უდრიდა“. ამრიგად, გვაქვს ორი განსხვავებული შემადგენელი, ორი განსხვავებული ტიპის დებულება, რომლებიც ერთად სრულ მიზეზობრივ ახსნას გვაძლევს: (1) *ბუნების კანონების მსგავსი უნივერსალური ტენდენციები* და (2) *მოცემულ სპეციფიკურ შემთხვევასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები, რომლებსაც „საწყის პირობებს“ ვუწოდებთ.* მაშასადამე, უნივერსალური კანონებიდან (1) შეგვიძლია საწყისი პირობების (2) დახმარებით გამოვეკვანოთ შემდეგი სპეციალური დებულება (3): „ეს თოკი გაწყდება“. ამ დასკვნას (3) შეგვიძლია სპეციალური *პროგნოზი* ვუწოდოთ. საწყისი პირობები (ან, უფრო ზუსტად, მათი საშუალებით აღწერილი სიტუაცია), ჩვეულებრივ, განსახილველი მოვლენის *მიზეზად* არის მიჩნეული, ხოლო პროგნოზი (უფრო ზუსტად, ამ პროგნოზით აღწერილი მოვლენა) კი შედეგად. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ ორი გირვანქა წონის ტვირთის ჩამოკიდება თოკზე, რომელიც მხოლოდ ერთ გირვანქას უძლებს, მიზეზი იყო, ხოლო თოკის გაწყვეტა კი შედეგი[4].

---

[3] Mill, ციტ. თხზ., წიგნი III, თ. XII, პარაგრაფი I. მისი ტერმინოლოგიით, „ემპირიული კანონების“ „დერივაციის“ ან „ინვერსიული დედუქციის“ შესახებ იხილეთ, აგრეთვე, იქვე, თ. XVI, პარაგრაფი მე-2.



[4] ეს აბზაცი, რომელშიც კონკრეტული მოვლენის მიზეზობრივი ახსნის ანალიზია მოცემული, თითქმის უცვლელი ციტატია ჩემი

ასეთი მიზეზობრივი ახსნა მეცნიერულად მისაღები, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი უნივერსალური კანონები კარგადაა შემოწმებული და გამყარებული და თუ-კი, ასევე, გვაქვს მიზეზის ე.ი. საწყისი პირობების სასარგებლო რაიმე დამოუკიდებელი მოწმობა.

კანონზმიერებების ან კანონების მიზეზობრივი ახსნის ანალიზის დაწყებამდე უნდა ითქვას, რომ ერთეული მოვლენების ახსნის ანალიზმა რამოდენიმე საკითხი გამოკვეთა. ერთია ის, რომ მიზეზისა და შედეგის შესახებ საუბარი აბსოლუტური აზრით შეუძლებელია და რომ რაიმე მოვლენა მეორე მოვლენის – მისი შედეგის – მიზეზი რაიმე უნივერსალურ კანონთან მიმართებაშია. თუმცა ეს უნივერსალური კანონები ძალიან ხშირად იმდენად ტრივიალურია (როგორც ეს ჩვენს მაგალითშია), რომ ჩვენ მათ, როგორც წესი, გაზრებულად კი არ ვიყენებთ, არამედ მიგვაჩნია, რომ ეს ასეც უნდა იყოს. მეორე საკითხი კი ისაა, რომ თეორიის გამოყენება რაიმე სპეციფიკური მოვლენის *პროგნოზირებისათვის* ამ მოვლენის ახსნისათვის მოცემული თეორიის გამოყენების კიდევ ერთი ასპექტია. ხოლო რამდენადაც თეორიის შემოწმებისას პროგნოზირებული მოვლენების და დაკვირვე-

---

წიგნიდან *Logic of Scientific Discovery*, პარაგრაფი მე-12. ამჟამად, ვამჯობინებდი „*მიზეზის*“ განსაზღვრება ტარსკის სემანტიკის (რომელსაც წიგნის დაწერის პერიოდში არ ვიცნობდი) საფუძველზე, ასეთნაირად მომეცა: რაიმე (ერთეულ) მოვლენა A-ს რადაც (კონკრეტული) მოვლენა B-ს მიზეზს ვუწოდებთ მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ *ჭეშმარიტი* უნივერსალური დებულებების (ბუნების კანონების) რაიმე სიმრავლიდან გამომდინარეობს მატერიალური იმპლიკაცია, რომლის იმპლიკანსი აღნიშნავს A-ს და რომლის იმპლიკატი აღნიშნავს B-ს. ასეთნაირადვე შესაძლებელია „მეცნიერულად მიღებული მიზეზის“ ცნების განსაზღვრაც. აღნიშვნის ცნების შესახებ იხილეთ Carnap, *Introduction to Semantics* (1942). ჩანს, რომ ზემომოყვანილი განსაზღვრების გაუმჯობესება შეიძლება, თუ გამოვიყენებთ იმას, რასაც კარნაპი „აბსოლუტურ ცნებებს“ უწოდებს. მიზეზის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიული შენიშვნის შესახებ იხილეთ ჩემი წიგნი *The Open Society and Its Enemies*, შენიშვნა მე-7, თ. 25.



ბაში აქტუალურად მოცემული მოვლენების შედარებას ვახდენთ, ჩვენი ანალიზი იმასაც გვისვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი თეორიების *შემოწმება*. ჩვენს ინტერესსა დამოკიდებული ის, თუ რა მიზნით გამოვიყენებთ თეორიას: რაიმეს ასახსნელად, პროგნოზირებისათვის თუ შესამოწმებლად. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ დებულებას მივიჩნევთ მოცემულად ან არაპრობლემატურად და რომელი დებულებები საჭიროებენ, ჩვენი აზრით, შემდგომ კრიტიკასა და შემოწმებას (იხილეთ პარაგრაფი 29).

რაიმე უნივერსალური კანონით აღწერილი *კანონზომიერების* მიზეზობრივი ახსნა ცოტა განსხვავდება ერთეული მოვლენის ახსნისაგან. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ანალოგიური შემთხვევაა და რომ კანონი, რომელსაც ვეძებთ შეიძლება გამოვიყვანოთ (1) რამოდენიმე უფრო ზოგადი კანონიდან და (2) გარკვეული სპეციალური პირობებიდან, რომლებიც საწყისი პირობების შესატყვისია. მაგრამ *არ არის* ერთეული და მიმართება გარკვეული *ტიპის* სიტუაციასთან აქვს. თუმცა აქ, ამ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, რადგან სპეციალური პირობები (2) ექსპლიციტურად უნდა იყოს მოცემული იმ კანონის ფორმულირებაში, რომლის ახსნაც გვსურს, რადგან სხვაგვარად ეს კანონი, უბრალოდ, წინააღმდეგობაში მოვა (1)-თან (მაგალითად, თუ ნიუტონის თეორიის დახმარებით იმ კანონის ახსნა გვინდა, რომლის თანახმად ყველა პლანეტა ელიფსებზე მოძრაობს, მაშინ, პირველ რიგში, ამ კანონის ფორმულირებაში ექსპლიციტურად უნდა ჩაიდოს ის პირობები, რომლებიც მისი მართებულობის მტკიცების შესაძლებლობას მოგვცემს, დავუშვათ, ასეთი ფორმით: *თუ* რადაც რაოდენობის პლანეტები, რომლებიც იმდენადაა დაშორებული ერთმანეთისაგან, რომ მათი ურთიერთმიზიდულობა ძალიან მცირეა, მოძრაობს გაცილებით უფრო მძიმე მზის გარშემო, *მაშინ* თითოეული მათგანი მოძრაობს ელიფსზე, რომლის ერთ-ერთ ცენტრში მზეა). სხვა სიტყვებით, იმ უნივერსალური კანონის ფორმულირებამ, რომლის ახსნასაც ვცდილობთ, მისი მართებულობის ყველა პირობას უნდა მოუყაროს თავი, რადგან სხვაგვარად მისი უნივერსალურად (ან, როგორც მილი ამბობს, უპირობოდ) დამტკიცება შეუძლებელია. შესაბამისად,

კანონზომიერების მიზეზობრივი ახსნა გულისხმობს რადაც კანონის (რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის პირობა, რომელთა არსებობისას დასამტკიცებელ კანონზომიერებას ძალა აქვს) დედუცირებას დამოუკიდებლად შემოწმებული და დადასტურებული უფრო ზოგადი კანონების სიმრავლიდან.

ახლა, თუ მიზეზობრივი ახსნის ჩვენსა და მილის აღწერებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ იმდენად, რამდენადაც, კანონზომიერების მიზეზობრივი ახსნისას, საქმე ეხება კანონების რედუცირებას უფრო ზოგად კანონებზე, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის. მაგრამ *ერთეული მოვლენების* მიზეზობრივ ახსნაში, რომელსაც მილი გვთავაზობს, არ არის მკაფიო განსხვავება (1) უნივერსალურ კანონებსა და (2) სპეციალურ საწყის პირობებს შორის. ეს დიდწილად იმის შედეგია, რომ ტერმინს „მიზეზი“ მილი საკმარისად ცალსახად არ იყენებს და ამ ტერმინით ხან ერთეულ შემთხვევებს აღნიშნავს და ხანაც უნივერსალურ კანონებს. ახლა ვუჩვენებთ, თუ რა გავლენას ახდენს ეს გარემოება ტენდენციების ახსნასა, ან რედუცირებაზე.

უეჭველია, რომ ტენდენციების რედუცირება ან ახსნა ლოგიკურად შესაძლებელია. დავუშვათ, მაგალითად, აღმოვაჩინეთ, რომ ყველა პლანეტა პროგრესულად უახლოვდება მზეს. მაშინ მზის სისტემა იქნება დინამიკური სისტემა კონტისეული მნიშვნელობით: მას განსაზღვრული ტენდენციით ნიშანდებული განვითარება, ან ისტორია ექნება. ამ ტენდენციას ადვილად აგვიხსნის ნიუტონის ფიზიკა იმ დაშვებით (რომლისთვისაც შესაძლებელია დამოუკიდებელი მოწმობა აღმოვაჩინოთ), რომ პლანეტათაშორისი სივრცე ავსებულია რაიმე რეზისტენტული მატერიით, მაგალითად, გარკვეული გაზით. ეს დაშვება იქნება ახალი სპეციფიკური საწყისი პირობა, რომელიც უნდა დაემატოს რაიმე მოცემულ დროს პლანეტების მდებარეობისა და მათი კინეტიკური ენერგიის განმსაზღვრელ ჩვეულებრივ საწყის პირობებს. მანამ, სანამ ეს ახალი საწყისი პირობა არსებობს, სისტემატური ცვლილება ან ტენდენცია გვექნება. ახლა, თუკი დამატებით დავუშვებთ, რომ ეს ცვლილება მნიშვნელოვანია, მაშინ მან ძალიან მკაფიო სისტემატური გავლენა უნდა მოახდინოს დედამიწაზე არსებული განსხვავებული სახეობების ბიოლოგიასა და ისტორიაზე კაცთა მოდგმის ისტორიის ჩათვლით. ეს გვიჩვენებს, თუ, პრინციპში, როგორაა შესაძლებელი გარკვეული ევოლუციური და ისტორიული ტენდენციების ახსნა. მათ შორის „ზოგადი ტენდენციების“ ე. ი. ისეთი ტენდენციების ახსნაც, რომლებიც შენარჩუნებულია განსახილველი განვითარების მთელი მსვლელობისას. ცხადია, რომ ეს ტენდენციები წინა პარაგრაფში ნახსენები თანამიმდევრობის კვაზი-კანონების (სეზონური პერიოდულობები და სხვ.) ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ ეს ტენდენციები „დინამიკური“ იქნება. შესაბამისად, ისინი უფრო მეტად შეესაბამება კონტისა და მილის თანამიმდევრობის ევოლუციური ან ისტორიული კანონების ბუნდოვან იდეას, ვიდრე „სტატიკური“ კვაზი-კანონები. ახლა, თუ რელევანტური საწყისი პირობების მდგრადობის დაშვების საფუძველი გვაქვს, მაშინ, ცხადია, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს ტენდენციები, ან „დინამიკური კვაზი-კანონები“ მდგრადი იქნება, ასე რომ შესაძლებელია ისინი, კანონების მსგავსად, პროგნოზირების საფუძვლად გამოვიყენოთ.

თითქმის უეჭველია, რომ *ახსნილი ტენდენციები* (შეიძლება ასე ვუწოდოთ მათ) ან ტენდენციები, რომლებიც ახსნის ზღვარზეა, თანამედროვე ევოლუციურ თეორიაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას შეძლებს. გარკვეული ბიოლოგიური ფორმების, მაგალითად, ნიუარებისა და მარტორქების ევოლუციასთან დაკავშირებულ ტენდენციებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ჩანს, რომ გარემო პირობების სულ უფრო ფართო საზღვრებში მზარდი რაოდენობისა და მზარდი მრავალფეროვნების ბიოლოგიური ფორმების გავრცელების *ზოგადი* ტენდენცია შესაძლებელია აიხსნას ბიოლოგიური კანონების ტერმინებით (საწყის პრიობებთან ერთად, რომლებშიც ორგანიზმების სახმელეთო გარემოსთან დაკავშირებული გარკვეული დაშვებებია მოცემული და რომლებიც, კანონებთან ერთად, მაგალითად, „ბუნებრივ შერ-

ჩვენად“ წოდებული მნიშვნელოვანი მექანიზმის მოქმედებასაც გულისხმობს)[5].

ეს ყველაფერი თითქოს ჩვენს საწინააღმდეგოდ და მილისა და ისტორიციზმის სასარგებლოდ მეტყველებს. მაგრამ ეს ასე არ არის. ახსნილი ტენდენციები ნამდვილად არსებობს, მაგრამ მათი მდგრადობა დამოკიდებულია განსაკუთრებული სპეციფიკური საწყისი პირობების (რომლებიც, თავის მხრივ, ზოგჯერ შეიძლება ტენდენციები იყოს) მდგრადობაზე.

მილი და მისი კოლეგა ისტორიცისტები *საწყის პირობებზე ტენდენციების დამოკიდებულებას ყურადღებას არ აქცევენ.* ისინი ოპერირებენ ტენდენციებით ისე, თითქოს ისინი, კანონების მსგავსად, უპირობო იყოს. კანონებისა და ტენდენციების აღრევა[6] განაპირობებს უპირობო (და, მაშასადამე, ზოგადი) ტენდენციების ან შეიძლება ითქვას, „აბსოლუტური ტენდენციების“[7] რწმენას, მაგალითად, პროგრესის ზოგადი ისტორიული ტენდენციის, „უკეთესი და უფრო ბედნიერი მდგომარეობის ტენდენციის“ რწმენას. და თუკი ტენდენციების კანონებზე „რედუქციას“ საერთოდ მიიჩნევენ განხილვის ღირსად, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს ტენდენციები შეიძლება უშუალოდ მხოლოდ უნივერსალური, მაგალითად, ფსიქოლოგიის (ან, იქნებ, დიალექტიკური მატერიალიზმის და სხვ.) კანონებიდან გამოვიყვანოთ.

ეს, შეიძლება ითქვას, ისტორიციზმის ცენტრალური შეცდომაა. *მისი „განვითარების კანონები“ აბსოლუტური ტენდენციები აღმოჩნდა,* ტენდენციები, რომლებიც, ისევე როგორც კანონები, არ არის დამოკიდებული საწყის პირობებ-

---

[5] ევოლუციური ტენდენციების განხილვა იხილეთ J.Huxley, *Evolution* (1940), თ. IX. ჰაქსლის ევოლუციური პროგრესის თეორიის (ციტ. თხზ., თ. X) თაობაზე, ჩემი აზრით, აზრიანად მხოლოდ შემდეგი რამ შეიძლება დასაბუთდეს: ფორმათა და სხვ. მრავალფეროვნების ზრდის ზოგადი ტენდენცია შესაძლებელს ხდის იმ დებულებას, რომ „პროგრესი“ (ამ ცნების ჰაქსლისეული განსაზღვრება ქვემოთ არის განხილული) ხან არის, ხანაც არა; რომ ზოგიერთი ფორმის ევოლუცია ზოგიერთ შემთხვევაში პროგრესულია, უმრავლესობისა კი ასეთი არ არის და არ არსებობს რაიმე ზოგადი საფუძველი მომავალში უფრო პროგრესული ფორმების წარმოშობის მოლოდინისათვის (შდრ. ჰაქსლის დებულება, მაგ., ციტ. თხზ., გვ. 571, რომ თუ კაცთა მოდგმა აღიგვება პირისაგან მიწისა, შემდგომი პროგრესის ალბათობა უმნიშვნელო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მისი არგუმენტები ჩემთვის დამაჯერებელი არ არის, მათში არის ერთი აზრი, რომელსაც უნდა დავეთანხმო. კერძოდ კი ის, რომ ბიოლოგიური პროგრესი, ასე ვთქვათ, შემთხვევითი რამაა). რაც შეეხება ევოლუციური პროგრესის როგორც *ყოვლისმომცველი ბიოლოგიური ეფექტურობის,* ე.ი. გარემოს დამოუკიდებლობის და მასზე მზარდი კონტროლის ჰაქსლისეულ *განსაზღვრებას,* ვფიქრობ, მან მართლაც ადეკვატურად გამოხატა ყველა იმ ადამიანის აზრი, რომლებიც ამ ტერმინს იყენებდნენ. მეტიც, ვალიარებ, რომ განმსაზღვრელი ტერმინები ანთროპოცენტრული არ არის: ისინი არ შეიცავენ შეფასებას. და მაინც, ეფექტურობის ან კონტროლის გაძლიერებისათვის „პროგრესის“ დარქმევა, ჩემი აზრით, შეფასებას გამოხატავს: ის იმ რწმენას გამოხატავს, რომ ეფექტურობა ან კონტროლი კარგია და სიცოცხლის გავრცელება და მის მიერ მკვდარი მატერიის შემდგომი დამორჩილება სასურველია. მაგრამ სავსებით განსხვავებული ღირებულებების გაზიარება ნამდვილად *შესაძლებელია.* ამდენად, არა მგონია, რომ ჰაქსლის პრეტენზია, თითქოს მან ევოლუციური პროგრესის ანთროპომორფიზმისა და ღირებულებითი მსჯელობებისაგან თავისუფალი „ობიექტური განსაზღვრება“ მოგვცა, გასაგებია (იხილეთ ციტ. თხზ., გვ. 559, ასევე გვ. 565, სადაც ჯ.ბ.ს.ჰოლდეინის (J.B.S.Haldane) შეხედულების საპირისპიროდ, მტკიცდება, რომ პროგრესის იდეა ანთროპოცენტრულია).



[6] იმაში, რომ მილთან მიმართებით, სწორედ ეს აღრევაა ძირითადად პასუხისმგებელი იმ რწმენისა, რომ არსებობს ის, რასაც მე „აბსოლუტურ ტენდენციებს“ ვუწოდებ, შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ გააანალიზებთ მის *Logic*, წიგნი III, თ. XVI.

[7] აბსოლუტური ტენდენციების რწმენის როგორც არამეცნიერულის ან მეტაფიზიკურის აღწერისთვის რამოდენიმე ლოგიკური არგუმენტი არსებობს (შდრ. შენიშვნა 14, პარაგრაფი 27-ე, ზემოთ). ასეთი ტენდენციის ფორმულირება შესაძლებელია არასპეციფიკური ან განზოგადებული ესენციალური დებულებით („არსებობს ასეთი და ასეთი ტენდენცია“), რომელსაც ვერ შევამოწმებთ, რადგან დაკვირვებაში მოცემული ვერც ერთი გადახრა ამ ტენდენციიდან ვერ დაარღვევს ამ დებულებას, რადგან შესაძლებელია ყოველთვის გვქონდეს იმის იმედი, რომ „საბოლოო“ გადახრა საპირისპირო მიმართულებით, ვითარებას გამოასწორებს.

ზე და რომლებსაც, რადაც მოცემული მიმართულებით, გარ-
დაუვლად მივყავართ მომავლისაკენ. ისინი, პირობადებული
მეცნიერული *პროგნოზებისაგან* განსხვავებით, უპირობო *წი-
ნასწარმეტყველებების* საფუძველია.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას მათზე, ვინც ხედავს,
რომ ტენდენციები პირობებზეა დამოკიდებული და ვინც ამ
პირობების აღმოჩენას და მათ ექსპლიციტურად ფორმული-
რებას ცდილობს? ჩემი პასუხი ასეთია: მათთან არაფერი
მაქვს სადავო. პირიქით, უეჭველია, რომ ტენდენციები არსე-
ბობს. მაშასადამე, მათი საუკეთესოდ ახსნის ე.ი. მათი
მდგრადობის პირობების რაც შეიძლება ზუსტად დადგენის
რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ (იხილეთ 31-ე პარა-
გრაფში)[8].

---

[8] თუ შევძლებთ რაიმე განსაკუთრებული ტენდენცია t-ს სრული ან
საკმარისი ერთეული c პირობების დადგენას, მაშინ შევძლებთ
უნივერსალური კანონის ფორმულირებას: „ყოველთვის როცა c ტი-
პის პირობები არსებობს, იარსებებს t ტიპის ტენდენცია“. ასეთი
კანონის იდეა ლოგიკური თვალსაზრისით შეპასუხებას არ იწვევს,
მაგრამ ის ძალიან განსხვავდება თანამიმდევრობის კანონის იმ
იდეისაგან, რომელიც კონტსა და მილს ჰქონდათ მსედველობაში
და რომელიც, აბსოლუტური ტენდენციის ან მათემ ტიკური მწკრი-
ვის კანონის მსგავსად, მოვლენათა ზოგად მიმდინარეობას ახასი-
ათებს. გარდა ამისა, როგორ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ჩვენი
პირობები საკმარისია? ან, რაც იგივეა, როგორ არის შესაძლებ-
ელი ზემოთ ნაჩვენები ფორმის მქონე კანონის *შემოწმება*? (არ უნ-
და დავივიწყოთ, რომ აქ 27-ე პარაგრაფის (b) პოზიციას განვი-
ხილავთ, რომელშიც მოცემულია პრეტენზია, რომ ტენდენციები
*შეიძლება შემოწმდეს*). ასეთი კანონის შემოწმებისას ძალ-ღონე არ
უნდა დავიშუროთ იმ პირობების დასადგენად, რომლებშიც მას
ძალა არ აქვს. ამ მიზნით უნდა ვუჩვენოთ, რომ c ტიპის პირობები
არ არის საკმარისი და რომ მათი არსებობის დროსაც კი t-ს
მსგავსი ტენდენცია ყოველთვის არ გვხვდება. მსგავსი მეთოდი (ის
32-ე პარაგრაფშია აღწერილი) მისაღები იქნებოდა. მაგრამ ის არ
გამოდგება ისტორიცისტის აბსოლუტური ტენდენციების მიმართ,
რადგან ისინი სოციალური ცხოვრების აუცილებელი და ყველგან
მეოფი თანმხლები გარემოებებია და სოციალურ პირობებში ვერა-
ნაირი ჩარევა მათ ელიმინირებას ვერ შეძლებს (აქ კვლავ შეგვი-
ძლია შევნიშნოთ არასპეციფიკური, მაგალითად, ზოგადი ტენდენ-



საქმე ისაა, რომ ეს პირობები ადვილად შეიძლება
გამოგვრჩეს მხედველობიდან. მაგალითად, არსებობს „წარ-
მოების საშუალებების აკუმულირების“ (როგორც ამას მარ-
ქსი უწოდებდა) ტენდენცია. მაგრამ ის მდგრადი ვერ იქნება,
თუ მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად მცირდება, ასეთი
შემცირება კი, თავის მხრივ, შეიძლება დამოკიდებული იყოს
არაეკონომიკურ პირობებზე, მაგალითად, შემთხვევით გამო-
გონებებზე ან, იქნებ, ინდუსტრიული გარემოს პირდაპირ ფი-
ზიოლოგიურ (შესაძლოა ბიოქიმიურ) გავლენაზე. მართლაც,
უამრავი შესაძლო პირობა არსებობს და რაიმე ტენდენციის
ჭეშმარიტი პირობების ძიებისას ყველა ამ შესაძლებლობის
განხილვა რომ შევძლოთ, იძულებული ვიქნებით გამუდმე-
ბით იმ პირობების წარმოდგენას ვცდილობდეთ, რომელთა
არსებობისას ეს განსახილველი ტენდენცია გაქრება. მაგრამ
ისტორიცისტს სწორედ ამის გაკეთება არ შეუძლია. მას მტკი-
ცედ სწამს თავისი საყვარელი ტენდენცია, ხოლო პირობები,
რომლებშიც ის გაქრება, მისთვის წარმოუდგენელია. ისტო-
რიციზმის სიდატაკე, შეიძლება ითქვას, წარმოსახვის სიდა-
ტაკეა. ისტორიცისტი გამუდმებით კიცხავს მათ, ვისაც თა-
ვის პატარა სამყაროში რაიმე ცვლილების წარმოდგენა არ
შეუძლია. თუმცა ნათელია, რომ ისტორიცისტს თვითონ აქვს
მწირი წარმოსახვა, რადგან მას ცვლილებების პირობების
რაიმე ცვლილების წარმოდგენა არ შეუძლია.

## 29. მეთოდის ერთიანობა

წინა პარაგრაფში აღვნიშნე, რომ მასში გაანალიზებუ-
ლი დედუქციური მეთოდები გაცილებით უფრო ფართოდ გა-
მოიყენება და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს, მაგალი-
თად, მილს წარმოედგინა. ახლა ამ ვარაუდს უფრო დეტა-
ლურად განვიხილავ, რათა ნათელი მოვფინო ნატურალიზ-
მისა და ანტინატურალიზმის კამათს. ამ პარაგრაფში მეთო-
დის ერთიანობის დოქტრინის ანუ იმ თვალსაზრისის შემო-

---

ციების რწმენის „მეტაფიზიკური“ ხასიათი: ასეთი რწმენის გამომ-
ხატველი დებულებების შემოწმება შეუძლებელია. ისილეთ, აგრე-
თვე, წინა შენიშვნა).

თავაზებას ვაპირებ, რომლის თანახმად ყველა თეორიული ან განმაზოგადებელი მეცნიერება, მიუხედავად იმისა, საბუ-ნებისმეტყველოა იგი თუ სოციალური, ერთსა და იმავე მე-თოდს იყენებს (ისტორიული მეცნიერებების განხილვას 31-ე პარაგრაფამდე გადავდებ). ამავე დროს, შევეხები ისტორი-ციზმის ზოგიერთ იმ დოქტრინას, რომელიც ჯერ საკმარი-სად არ განმიხილავს, მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა განზოგადების, ესენციალიზმის პრობლემები, ინტუიციური წვდომის როლის საკითხი, პროგნოზირების უზუსტობის, სირ-თულის და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების პრო-ბლემები.

იმის მტკიცებას, რომ თეორიულ საბუნებისმეტყველო და თეორიულ სოციალურ მეცნიერებებს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს, არ ვაპირებ. ასეთი განსხვავებები ნამდვილად არსებობს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მე-ცნიერებებს შორისაც და სხვადასხვა სოციალურ მეცნიერე-ბებს შორისაც (შეადარეთ, მაგალითად, კონკურენტული ბა-ზრებისა და რომანული ენების ანალიზი). თუმცა ვეთანხმე-ბი კონტსა და მილს და მრავალ სხვა ავტორსაც, მაგალი-თად, კ. მენგერს, რომ ამ ორი სფეროს მეთოდები ფუნდამენ-ტურად ერთი და იგივეა (მიუხედავად იმისა, რომ მეთოდები, რომლებსაც ვგულისხმობ, შეიძლება მათ მიერ ნაგულისხმე-ვი მეთოდებისაგან განსხვავდებოდეს). მეთოდები ყოველთვის დედუქციურ მიზეზობრივ ახსნებსა და (პროგნოზირების სა-შუალებით) მათ შემოწმებას გვთავაზობს. ამას ზოგჯერ ჰიპოთეტურ-დედუქციურ მეთოდს[1] ან, უფრო ხშირად, ჰიპო-თეზის მეთოდს უწოდებენ, რადგან ეს მეთოდი მის მიერ შე-მოწმებული არც ერთი მეცნიერული დებულების აბსოლუ-ტურ უეჭველობას არ ადგენს. მეტიც, ეს დებულებები მუდ-მივად ინარჩუნებს საცდელი ჰიპოთეზების ხასიათს, მიუხე-დავად იმისა, რომ მათი საცდელი ხასიათი შეიძლება აღარც იყოს ისე ცხადი მას შემდეგ, რაც ისინი არა ერთ მკაცრ შემოწმებას გაივლიან.

[1] იხილეთ V. Kraft, *Die Grundformen der wissenschaftlichen Methoden*, (1925).



საცდელი ან წინასწარი ხასიათის გამო ამ ჰიპოთე-ზებს მეთოდის მკვლევართა უმრავლესობა *დროებითად მიი-ჩნევდა იმ აზრით, რომ საბოლოოდ მათ დამტკიცებული თე-ორიები უნდა ჩაენაცვლოს* (ან უკიდურეს შემთხვევაში, თე-ორიები, რომლებიც შეიძლება დავამტკიცოთ როგორც „მა-ღალი ალბათობის“ მქონე ალბათობების რომელიმე გამოთ-ვლის მიხედვით). მწამს, რომ ეს შეხედულება მცდარია და რომ ის უამრავ სრულიად ზედმეტ სირთულეს წარმოშობს. მაგრამ ეს პრობლემა[2] აქ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვა-

[2] იხილეთ ჩემი *Logic of Scientific Discovery*, რომელსაც ეფუძნება ეს პარაგრაფი, განსაკუთრებით დედუქციის მეშვეობით შემოწმების („დედუქციონიზმის“) და, რამდენადაც თეორიები ყოველთვის ინარ-ჩუნებს ჰიპოთეტურ ხასიათს („ჰიპოთეტიზმი“), შემდგომი „ინდუქ-ციის“ ზედმეტობის დოქტრინა და დოქტრინა, რომლის თანახმად, მეცნიერული შემოწმება თეორიების ფალსიფიცირების ნამდვილი მცდელობებია („ელიმინაციონიზმი“). იხილეთ, აგრეთვე შემოწმე-ბადობისა და ფალსიფიცირებადობის ანალიზი.

*დედუქციონიზმსა* და *ინდუქციონიზმს* შორის აქ ნაჩვენები განსხვავება, ზოგიერთი ასპექტით, *რაციონალიზმისა* და *ემპირიზ-მის* კლასიკურ განსხვავებას შეესაბამება: დეკარტი დედუქციონის-ტი იყო, რადგან ყველა მეცნიერება დედუქციურ სისტემებად მი-აჩნდა, მაშინ როცა ბეკონიდან მოყოლებული ყველა ინგლისელი ემპირისტი თვლიდა, რომ მეცნიერებები აგროვებენ დაკვირვებებს, რომლებიდანაც შემდგომ, ინდუქციის მეშვეობით, განზოგადებებს ვიღებთ.

მაგრამ დეკარტს სწამდა, რომ დედუქციური სისტემების პრინციპები, წანამძღვრები სანდო და თვითცხადი – „ნათელი და გარკვეული“ უნდა ყოფილიყო. ისინი გონებით დანახულს ემყარე-ბა (კანტის ფრაზეოლოგიით, ისინი სინთეზური და *a priori* მართე-ბულია). ამის საპირისპიროდ, მე ამ პრინციპებს საცდელ დაშვებე-ბად ან ჰიპოთეზებად მივიჩნევ.

მე ვამტკიცებ, რომ ამ ჰიპოთეზების უკუგდება, პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს: სწორედ აქ იერება ჩემი და თანამედ-როვეობის ორი უდიდესი დედუქციონისტის ჭენრი პუანკარესა და პიერ დიუემის გზები.

პუანკარეცა და დიუემიც აღიარებდნენ, რომ ფიზიკის თე-ორიების ინდუქციურ განზოგადებებად გაგება შეუძლებელია. მათ ესმოდათ, რომ დაკვირვების პარამეტრები, რომლებიც თითქოს

განზოგადების ამოსავალ წერტილს წარმოადგენენ, ამის საპირის-
პიროდ *თეითონ არიან თეორიების საფუძველზე შექმნილი ინ-*
*ტერპრეტაციები.* ამდენად, მათ მხოლოდ ინდუქციონიზმი კი არ
უარყვეს, არამედ სინთეზური *a priori* მართებული პრინციპების ან
აქსიომების რაციონალური რწმენაც. პუანკარე მათ განიხილავდა
როგორც ანალიტიკურად ჭეშმარიტს, როგორც განსაზღვრებას.
დიუემი მათ ინსტრუმენტებად (ისევე როგორც კარდინალი ბე-
ლარმინი და ეპისკოპოსი ბერკლი), ინდუქციურად მიღებული ექს-
პერიმენტული კანონების მოწესრიგების საშუალებად მიიჩნევდა.
ასე რომ, თეორიებში არც ჭეშმარიტი ინფორმაცია შეიძლება იყოს
მოცემული და არც მცდარი: ისინი სხვა არაფერია, ინსტრუმენ-
ტების გარდა, რადგან ისინი შეიძლება მხოლოდ მოსახერხებელი,
ან მოუხერხებელი, ეკონომიური, ან არაეკონომიური, მოქნილი და
დახვეწილი, ანდა მოუქნელი და დაუხვეწავი იყოს (ასე, რომ დი-
უემი, ბერკლის კვალდაკვალ აცხადებს, რომ არ არსებობს რაიმე
ლოგიკური საფუძველი იმისათვის, თუ რატომ არ შეიძლება ორი,
ან მეტი ერთმანეთის გამომრიცხავი ყველა თეორია მივიღოთ). ამ
ორ დიდ ავტორს სავსებით ვეთანხმები ინდუქტივიზმის, ისევე რო-
გორც ფიზიკური თეორიების სინთეზური *a priori* მართებულობის
რწმენის უკუგდებაში. მაგრამ არ შემიძლია გავიზიარო მათი აზ-
რი, რომ თეორიული სისტემების ემპირიული შემოწმება შეუძლე-
ბელია. ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი შემოწმებადია, ე.ი. პრინციპ-
ში დარღვევადია და ისინი, მაშასადამე, სინთეზურია (და არა ანა-
ლიზური), *ემპირიულია* (და არა *a priori*) და *ინფორმატულია* (და
არა წმინდად ინსტრუმენტული). გადამწყვეტი ექსპერიმენტების დი-
უემისეულ ცნობილ კრიტიკას რაც შეეხება, ის მხოლოდ იმას
უჩვენებს, რომ გადამწყვეტი ექსპერიმენტები ვერასოდეს შეძლებენ
თეორიის *დამტკიცებას* ან გამყარებას, მაგრამ ის არსად არ უჩ-
ვენებს, რომ გადამწყვეტ ექსპერიმენტებს თეორიის *დარღვევა* არ
შეუძლიათ. შესაბამისად, დიუემი მართალია, როცა აცხადებს, რომ
მხოლოდ უზარმაზარი და რთული თეორიული სისტემების შემოწ-
მება შეგვიძლია და არა იზოლირებული ჰიპოთეზებისა. მაგრამ
თუ მხოლოდ ერთი ჰიპოთეზით განსხვავებულ ორ ასეთ სისტემას
შევადარებთ და თუ შევძლებთ ისეთი ექსპერიმენტების დაგეგმვას,
რომლებიც პირველ სისტემას დაარღვევს, მეორეს კი ძალიან
კარგად დაადასტურებს, მაშინ საკმაოდ მყარი საფუძველი გვექ-
ნება იმისათვის, რომ პირველი სისტემის წარუმატებლობა იმ ჰი-
პოთეზას მივაწეროთ, რომლითაც ის მეორე სისტემისაგან განსხ-
ვავდება.



ნია. მნიშვნელოვანი იმის გაცნობიერებაა, რომ მეცნიერება-
ში ყოველთვის ახსნებით, პროგნოზებით და შემოწმებებით
ვართ დაინტერესებული და რომ ჰიპოთეზების შემოწმების
მეთოდი ყოველთვის ერთია (იხილეთ წინა პარაგრაფი). შე-
სამოწმებელი ჰიპოთეზიდან, მაგალითად, რაიმე უნივერსა-
ლური კანონიდან და რამოდენიმე სხვა დებულებიდან, რომ-
ლებიც ამ მიზნისათვის პრობლემატურად არ მიგვაჩნია, მაგა-
ლითად, რაიმე საწყისი პირობიდან, რადაც პროგნოზის დედუ-
ცირებას ვახდენთ. შემდეგ, ყველა მოსახერხებელ შემთხვე-
ვაში, ამ პროგნოზს ვუპირისპირებთ ექსპერიმენტულ ან სხვა
დაკვირვების შედეგებს. მათთან თანხმობა მოცემული ჰიპო-
თეზის დადასტურებად განიხილება, თუმცა არა საბოლოო
დამტკიცებად, ხოლო მათთან აშკარა უთანხმოება კი დარღ-
ვევად ან ფალსიფიცირებად.

ამ ანალიზის თანახმად, ახსნას, პროგნოზირებასა და
შემოწმებას შორის დიდი განსხვავება არ არის. ეს განსხ-
ვავება ლოგიკური სტრუქტურის განსხვავება კი არაა, არა-
მედ აქცენტირებისა: ის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა *მი-*
*გვაჩნია ჩვენს პრობლემად* და რა არა. თუ ჩვენი პრობლემა
პროგნოზის მოძიება არაა და პრობლემად იმ საწყისი პირო-
ბების ან ზოგიერთი უნივერსალური კანონის (ან ორივესი
ერთად) აღმოჩენა მიგვაჩნია, რომლებიდანაც შეიძლება *მო-*
*ცემული* პროგნოზი გამოვიყვანოთ, მაშინ *ახსნას* ვეძებთ
(ხოლო მოცემული „პროგნოზი“ ჩვენი „ექსპლიკანდი“ გახ-
დება). თუ კანონებსა და საწყის პირობებს განვიხილავთ
როგორც მოცემულს (და არა როგორც აღმოსაჩენს) და მათ
რაიმე ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით, მხოლოდ პრო-
გნოზის დედუცირებისათვის ვიყენებთ, მაშინ *პროგნოზირე-*
*ბას* ვცდილობთ (ეს ის შემთხვევაა, როცა ჩვენს მეცნიერულ
შედეგებს *ვიყენებთ*). და თუ რომელიმე წანამძღვარს ე.ი. ან
უნივერსალურ კანონს ან საწყის პირობას პრობლემატურად,
ხოლო პროგნოზს კი ისეთ რამედ მივიჩნევთ, რაც ექსპერი-
მენტის შედეგებს უნდა შეეადაროთ, მაშინ პრობლემატური
წანამძღვრის *შემოწმების* შესახებ ვსაუბრობთ.

შემოწმების შედეგი იმ ჰიპოთეზების *შერჩევაა*, რომ-
ლებმაც გაუძლო შემოწმებას ან იმ ჰიპოთეზების *ელიმინი-*
*რება*, რომლებმაც შემოწმებას ვერ გაუძლო და რომლებიც,

მაშასადამე, უკუგდებულია. ამ თვალსაზრისის შედეგების გააზრება მნიშვნელოვანია. ესენია: ყველა შემოწმება უნდა გავიგოთ როგორც მცდარი თეორიების გამოხშირვის მცდელობა – რაიმე თეორიის სუსტი წერტილების აღმოჩენა მისი უკუგდების მიზნით, თუკი შემოწმება მის ფალსიფიცირებას მოახდენს. ეს თვალსაზრისი ზოგჯერ პარადოქსულადაა მიჩნეული: ამბობენ, რომ ჩვენი მიზანი თეორიების დაფუძნებაა და არა მცდარი თეორიების ელიმინირება. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი მიზანი თეორიების რაც შეიძლება უკეთ დაფუძნებაა, ისინი რაც შეიძლება მკაცრად უნდა შევამოწმოთ ანუ მათში ნაკლის აღმოჩენა, მათი ფალსიფიცირება უნდა ვცადოთ. მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად მათ ფალსიფიცირებას ვერ მოვახდენთ, შეგვეძლება იმის თქმა, რომ ამ თეორიებმა მკაცრ გამოცდას გაუძლეს. სწორედ ამის გამოა, რომ თეორიის გამამყარებელი შემთხვევების აღმოჩენას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ მის დარღვევას არ შევეცდებით და თუ დარღვევის ეს მცდელობა წარუმატებელი არ აღმოჩნდება. რადგან თუ არაკრიტიკულად მივუდგებით ამ თეორიებს, ყოველთვის იმას აღმოვაჩენთ, რაც გვსურს: დადასტურებებს მოვიძიებთ და ვიპოვით კიდევაც, ხოლო ყველაფერს, რაც ჩვენი საყვარელი თეორიებისათვის სახიფათო იქნება, თვალს ავარიდებთ და ვერ დაინახავთ. ამ გზით ძალიან ადვილია რაიმე თეორიის სასარგებლოდ ყოვლისმომცველი მოწმობის მოძიება. თუმცა კრიტიკული განხილვისას ეს თეორია, ალბათ, უკუგდებული იქნებოდა. ელიმინირების შერჩევითმა მეთოდმა რომ იმუშაოს და მხოლოდ ყველაზე გამართული თეორიების შენარჩუნება რომ იყოს გარანტირებული, მათ არსებობისათვის მკაცრი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

ეს, ზოგადად, ყველა იმ მეცნიერების მეთოდია, რომლებიც გამოცდილებას ეფუძნება. მაგრამ რა შეიძლება ითქვას იმ მეთოდზე, რომლითაც ჩვენს თეორიებს ან ჰიპოთეზებს *ვიძენთ*? რა შეიძლება ითქვას *ინდუქციური განზოგადებებისა* და იმ გზის შესახებ, რომლითაც დაკვირვებიდან თეორიაზე გადავდივართ? ამ კითხვაზე (და 1 პარაგრაფში განხილული დოქტრინების შესახებ, რადგან მათზე 26-ე პარაგრაფში არ გვისაუბრია) ორი პასუხი მაქვს: (a) არა მწამს, რომ ოდესმე მაინც ინდუქციურ განზოგადებებამდე მივდივართ იმ გზით, რომ ვიწყებთ დაკვირვებებით და მათგან ვცდილობთ ჩვენი თეორიების გამოყვანას. მწამს, რომ ცრურწმენა, თითქოს ეს ასე ხდება, ოპტიკურ ილუზიას წააგავს და რომ მეცნიერული განვითარების არც ერთი საფეხური არ იწყება თეორიის მსგავსი რაიმეს, მაგალითად, ჰიპოთეზის ან ცრურწმენის ანდა პრობლემის, ხშირად ტექნოლოგიური პრობლემის, გარეშე, რომელიც გარკვეულწილად *წარმართავს* ჩვენს დაკვირვებებს და დაკვირვების ურიცხვი ობიექტიდან იმ ობიექტების ამორჩევაში გვეხმარება, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო შეიძლება იყოს[3]. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ელიმინირების მეთოდი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა 24-ე პარაგრაფში განხილული ცდისა და შეცდომის მეთოდი, ყოველთვის შეიძლება გამოვიყენოთ. თუმცა, არა მგონია, რომ მოცემული განხილვისათვის ამ პუნქტზე შეჩერება ღირდეს. ჩვენ ხომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ (b) მეცნიერული თვალსაზრისით ის, თუ როგორ ვიღებთ თეორიებს ირელევანტურია. სულ ერთია, სიხარულით ჩავებღაუჭებით უსაფუძვლო დასკვნებს, უბრალოდ, შემთხვევით (ან „ინტუიციურად“) გადავწყდებით, თუ რაიმე ინდუქციური პროცედურის დახმარებით შევიძენთ. კითხვა „როგორ *აღმოაჩინეთ* პირველად თქვენი თეორია?“, ასე ვთქვათ, სავსებით კერძო საკითხია, განსხვავებით კითხვისაგან „როგორ *ამოწმებთ* თქვენს თეორიას?“, რომელიც ერთადერთი მეცნიერულად რელევანტური კითხვაა. შემოწმების აქ აღწერილი მეთოდი ნაყოფიერია. მას ახალ დაკვირვებებთან და თეორიისა და დაკვირვებების ურთიერთკომპრომისამდე მივყავართ.

ეს ყველაფერი, დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ არის სწორი,

[3] იმის განსაცვიფრებელი მაგალითი, თუ როგორ წარმართავს თეორია ბოტანიკურ დაკვირვებებსაც კი (და როგორაა შესაძლებელი, რომ ამ დაკვირვებებზე გავლენა ცრურწმენამაც კი მოახდინოს) იხილეთ O.Frankel, "Cytology and Taxonomy of Hebe, etc.", *Nature*, ტ. 147 (1941), გვ. 117.

არამედ სოციალური მეცნიერებების მიმართაც. სოციალურ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან შედარებით, კიდევ უფრო ცხადია, რომ ჩვენი ობიექტების დანახვას და დაკვირვებას ვერ შევძლებთ მანამ, სანამ მათ თავობაზე რაიმე აზრი არ გაგვიჩნდება. საქმე ისაა, რომ სოციალური მეცნიერების ობიექტების უმრავლესობა, თუ ყველა მათგანი არა, აბსტრაქტული ობიექტია: ისინი *თეორიული* კონსტრუქციებია (შეიძლება ვინმეს ეუცნაუროს, მაგრამ „ომი“ და „არმია“ აბსტრაქტული ცნებებია. კონკრეტული მრავალი დაღუპული ადამიანი ან ფორმებში გამოწყობილი ქალები და მამაკაცებია და სხვ.). ეს ობიექტები, ეს თეორიული კონსტრუქციები, რომლებიც ჩვენი გამოცდილების ინტერპრეტირებისათვის გამოიყენება, რაიმე გამოცდილების ახსნის მიზნით გარკვეული *მოდელების* (განსაკუთრებით ინსტიტუტების მოდელების) კონსტრუირების შედეგია: ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნაცნობი თეორიული მეთოდია (სადაც ატომების, მოლეკულების, მყარი სხეულების, სითხეების და სხვ. მოდელებს ვაგებთ). ეს რედუქციის ან ჰიპოთეზებიდან დედუქციის საშუალებით ახსნის მეთოდის ნაწილია. ხშირად ვერ ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ ჰიპოთეზებს ან თეორიებს ვიყენებთ და, შესაბამისად, ჩვენს თეორიულ მოდელებს მცდარად მივიჩნევთ კონკრეტულ ფენომენებად. ეს ძალიან გავრცელებული ტიპის შეცდომაა[4]. ის ფაქტი, რომ მოდელები ასეთნაირად ხშირად გამოიყენება, მეთოდოლოგიური ესენციალიზმის დოქტრინებს კიდევაც გვიხსნის და კიდევაც ანადგურებს (შდრ. პარაგრაფი მე-10). ეს ფაქტი ამ დოქტრინებს გვიხსნის, რადგან მოდელები აბსტრაქტული ან თეორიული ხასიათისაა და, მაშასადამე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ცვალებად დაკვირვებად მოვლენებში, ან ამ მოვლენათა მიღმა მათ ვხედავთ როგორც რაღაც მუდმივ აჩრდილს, ან არსს. ეს ფაქტი ამ დოქტრინებს ანადგურებს კიდევაც, რადგან სოციალური თეორიის

[4] ეს და მომდევნო აბზაცი შეადარეთ F.A. von Hayek, "Scientism and the Study of Society", ნაწილები I და II, *Economica*, ტ. IX და X, სადაც გაკრიტიკებულია მეთოდოლოგიური კოლექტივიზმი და დეტალურად არის განხილული მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი.



ამოცანა ჩვენი სოციოლოგიური მოდელების საგულდაგულო აგება და ანალიზია დესკრიფციული, ან ნომინალისტური ტერმინებით, ან სხვაგვარად, *ინდივიდების ტერმინებით*. ინდივიდების მიდგომების, მოლოდინების, მიმართებების და სხვ. ტერმინებით – პოსტულატი, რომელსაც „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი“ შეიძლება ეწოდოთ.

პროფესორ ჰაიეკის შრომის *Scientism and the Study of Society* ორი მონაკვეთის ანალიზით საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების ერთიანობის დემონსტრირება და დაცვა შეიძლება[5].

პირველ პასაჟში პროფესორი ჰაიეკი წერს: „ფიზიკოსი, რომელსაც სოციალური მეცნიერებების პრობლემების გაგება საკუთარი სფეროდან აღებული ანალოგიის საფუძველზე სურს, იძულებული გახდება წარმოიდგინოს სამყარო, რომელშიც ის ატომის შიდა ნაწილს პირდაპირი დაკვირვებით გაეცნობოდა და არ ექნებოდა არც მატერიის ნაწილაკებით ექსპერიმენტების ჩატარების და არც რაიმე შეზღუდულ პერიოდში, შედარებით მცირე რაოდენობის ატომების ურთიერთქმედების გარდა, რაიმეს დაკვირვების შესაძლებლობა. ატომების განსხვავებული სახეების თავისი ცოდნის საფუძველზე ის შეძლებდა აეგო ყველა იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობის მოდელი, რომლითაც მათ უფრო დიდ მთლიანობებად კომბინირება შეუძლიათ, ამ მოდელებში კი სულ უფრო ზუსტად მოახდენდა იმ რამოდენიმე შემთხვევის ყველა ნიშან-თვისების რეპროდუცირებას, რომლებშიც მან უფრო რთული ფენომენების დაკვირვება შეძლო. თუმცა მაკროკოსმოსის ის კანონები, რომელთა გამოყვანასაც ის მიკროკოსმოსის თავისი ცოდნიდან შეძლებდა, სამუდამოდ *„დედუქციურებად“* დარჩებოდნენ. რთული სიტუაციის მონაცემთა შეზღუდული ცოდნის გამო, ეს კანონები რაიმე კონკრეტული სიტუაციის ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობას მას თითქმის ვერასოდეს მისცემს. ის ვერც ამ კანონების ვერიფიცირებას შეძლებს საკონტროლო ექსპერიმენტით, თუმცა ისინი შეიძლება *უკუაგდოს* იმ მოვლენების

[5] ეს ორი ადგილი იხილეთ *Economica*, ტ. IX, გვ. 289 და შდ. (კურსივი ჩემია).

დაკვირვებამ, რომლებიც, მისი თეორიის თანახმად, შეუძლებელია“.

ვადიარებ, რომ ამ პასაჟის პირველი წინადადება სოციალურ და ფიზიკურ მეცნიერებებს შორის გარკვეულ განსხვავებებზე მიუთითებს. მაგრამ პასაჟის დანარჩენი ნაწილი, დარწმუნებული ვარ, *მეთოდის ერთიანობის* სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან თუ, რაც მე არ მეეჭვება, ეს სოციალური მეცნიერების მეთოდის სწორი აღწერაა, მაშინ ამით იმის დემონსტრირება ხდება, რომ ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხოლოდ იმ ინტერპრეტაციებისაგან განსხვავდება, რომლებიც უკვე უკუვაგდეთ. უფრო კონკრეტულად კი „ინდუქციურ“ ინტერპრეტაციას ვგულისხმობ, რომელიც ამტკიცებს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, განზოგადების რაღაც მეთოდის დახმარებით, დაკვირვებიდან სისტემატურად გადავდივართ თეორიაზე და რაღაც ინდუქციური მეთოდით ჩვენი თეორიების „ვერიფიცირება“ ან იქნებ, დამტკიცებაც კი შეგვიძლია. აქ მე სავსებით განსხვავებულ თვალსაზრისს ვიცავ: მეცნიერული მეთოდის ინტერპრეტაციას როგორც დედუქციურის, ჰიპოთეტურის, ფალსიფიცირების გზით შერჩევითის და სხვ. საბუნებისმეტყველო მეთოდის ეს აღწერა სრულ თანხმობაშია სოციალური მეცნიერების მეთოდის პროფესორ ჰაიეკისეულ აღწერასთან (საფუძველი მაქვს მჯეროდეს, რომ მეცნიერების მეთოდების ჩემს ინტერპრეტაციაზე სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების ცოდნას გავლენა არ მოუხდენია, რადგან, როცა ის პირველად ჩამოვაყალიბე, მხედველობაში მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მქონდა[6] და სოციალური მეცნიერებების შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი).

მაგრამ ციტატის პირველ წინადადებაში ნახსენები განსხვავებები არც ისე დიდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. უეჭველია, ჭეშმარიტია, რომ „ადამიანის ატომის შიდა ნაწილის“ ცოდნა უფრო პირდაპირი გვაქვს, ვიდრე ფიზიკური ატომებისა, მაგრამ ეს ცოდნა ინტუიციურია. სხვა სიტყვებით, სხვა ადამიანის ან ყველა ადამიანის შესახებ *ჰიპოთეზების* შესაქმნელად მართლაც ვიყენებთ საკუთარი თავის ჩვენს ცოდნას. მაგრამ ეს ჰიპოთეზები უნდა შემოწმდეს, ისინი ელიმინირების საშუალებით შერჩევის მეთოდს უნდა დაექვემდებაროს (ზოგიერთ ადამიანს ინტუიცია იმის წარმოდგენაშიც კი უშლის ხელს, რომ შესაძლებელია ვიღაცას შოკოლადი არ უყვარდეს). მართალია, ფიზიკოსს ატომების შესახებ ჰიპოთეზების შექმნაში ასეთი პირდაპირი დაკვირვება არ ეხმარება. მიუხედავად ამისა, ის ხშირად იყენებს სიმპატიური წარმოსახვის, ან ინტუიციის მაგვარ რაღაცას, რაც მას ადვილად არწმუნებს იმაში, რომ ის ახლოს იცნობს „ატომების შიდა ნაწილსაც“ კი, მათი კაპრიზებისა და ცრურწმენების ჩათვლით. მაგრამ ეს ინტუიცია მისი პირადი საქმეა. მეცნიერებას მხოლოდ ისეთი ჰიპოთეზები აინტერესებს, რომლებიც შეიძლება შთაგონებულია მისი ინტუიციებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ უხვი შედეგები მოჰყვება და თუ მათი სათანადოდ შემოწმება შესაძლებელია (პროფესორ ჰაიეკის პირველ წინადადებაში მოხსენიებული მეორე სიძნელის ე.ი. ექსპერიმენტების ჩატარების სიძნელის შესახებ, იხილეთ პარაგრაფი 24-ე).

ამ რამოდენიმე შენიშვნამ მე-8 პარაგრაფში გადმოცემული ისტორიცისტული დოქტრინის გაკრიტიკების გზაც შეიძლება გვიჩვენოს, დოქტრინისა, რომლის თანახმად სოციალურმა მეცნიერებამ ინტუიციური წვდომის მეთოდი უნდა გამოიყენოს.

მეორე პასაჟში პროფესორი ჰაიეკი სოციალური ფენომენების შესახებ საუბრისას აცხადებს: „ … ამ ფენომენთა წარმოშობის პრინციპის ცოდნა იშვიათად, თუკი საერთოდ ოდესმე, მოგვცემს რაიმე *კონკრეტული* სიტუაციის ზუსტი შედეგის პროგნოზირების შესაძლებლობას. იმდენად, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ფენომენების წარმოშობის პრინციპი ავხსნათ და ამ ცოდნის საფუძველზე *გარკვეული შედეგების შესაძლებლობა გამოვრიცხოთ*, მაგალითად, რაღაც მოვლენების ერთდროული მოცემულობის შესაძლებლობა, ჩვენი ცოდნა, გარკვეული აზრით, მხოლოდ ნეგატიური იქნება, ე.ი. ის მხოლოდ გარკვეული შედეგების

[6] შეადარეთ *Erkenntnis*, III, გვ. 426 და შმდ. და ჩემს *Logik der Forschung*, 1934, რომლის ქვესათაური შეიძლება ითარგმნოს როგორც „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ეპისტემოლოგიის შესახებ“ ("On the Epistemology of the Natural Sciences").

თავიდან აცილების შესაძლებლობას მოგვცემს, მაგრამ არა იმისა, რომ შესაძლებლობათა რიგი იმდენად შევავიწროვოთ, რომ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა დარჩეს“.

ეს პასაჟი, რომელიც სულაც არ არის სოციალური მეცნიერებებისათვის სპეციფიკური სიტუაციის აღწერა, შესანიშნავი აღწერაა ბუნების კანონების ხასიათისა, რომლებიც *გარკვეული შესაძლებლობების გამორიცხვაზე* უფრო მეტს ვერაფერს შეძლებენ („საცრით წყლის მოტანა შეუძლებელია“, იხილეთ პარაგრაფი 20, ზემოთ). უფრო კონკრეტულად, დებულება, რომ, როგორც წესი, ჩვენ ვერ შევძლებთ „რაიმე *კონკრეტული* სიტუაციის ზუსტი შედეგის პროგნოზირებას“ პროგნოზირების უზუსტობის პრობლემას წამოჭრის (იხილეთ პარაგრაფი მე-5, ზემოთ). მე ვაცხადებ, რომ ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას კონკრეტული ფიზიკური სამყაროს შესახებაც. საზოგადოდ, ფიზიკური მოვლენების პროგნოზირება მხოლოდ ხელოვნური ექსპერიმენტული იზოლირების დახმარებითაა შესაძლებელი (მზის სისტემა განსაკუთრებული, ბუნებრივი და არა ხელოვნური იზოლაციის შემთხვევაა. თუკი რაიმე საკმაოდ დიდი ზომის უცხო სხეულის შეჭრის შედეგად მისი იზოლაცია დაირღვა, ყველა ჩვენი პროგნოზი გაცრუვდება). რაიმე *კონკრეტული* სიტუაციის, ისეთისა როგორიცაა ჭექა-ქუხილი ან ხანძარი, ზუსტი შედეგების პროგნოზირებისაგან ფიზიკაშიც კი ძალიან შორს ვართ.

აქ მინდა ძალიან მოკლე შენიშვნა დავამატო სირთულის პრობლემასთან დაკავშირებით (იხილეთ პარაგრაფი მე-4, ზემოთ). უეჭველია, რომ რაიმე კონკრეტული სოციალური სიტუაციის ანალიზი, მისი სირთულის გამო, უკიდურესად ძნელია. მაგრამ იგივე ითქმის ნებისმიერი ფიზიკური სიტუაციის მიმართაც[7]. ფართოდ გავრცელებული ცრურწმენა, რომ სოციალური სიტუაციები უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური, როგორც ჩანს, ორი წყაროდან საზრდოობს. ერთი მათგანი ისაა, რომ ჩვენ გვაქვს მიდრეკილება შეუდარებლის შედარებისაკენ. მხედველობაში, ერთი მხრივ, კონკრეტული სოციალური სიტუაციები და, მეორე მხრივ, ხელოვნურად იზოლირებული ექსპერიმენტული ფიზიკური სიტუაციები მაქვს (ეს უკანასკნელნი შეიძლება ხელოვნურად იზოლირებულ სოციალურ სიტუაციებს, მაგალითად, ციხეს ან ექსპერიმენტულ კომუნას შევადაროთ). მეორე წყარო კი ის ძველი რწმენაა, რომ სოციალური სიტუაციის აღწერამ მასთან დაკავშირებული თითოეული პიროვნების მენტალური, ან, იქნებ, ფიზიკური მდგომარეობაც კი უნდა მოიცვას (ან რომ ეს აღწერა შეიძლება მათზე დაყვანადიც კი იყოს). მაგრამ ეს რწმენა გამართლებული არ არის. ის გაცილებით ნაკლებ გამართლებულია, ვიდრე ის შეუძლებელი მოთხოვნა, რომ კონკრეტული ქიმიური რეაქციის აღწერამ მასში ჩართული ყველა ელემენტარული ნაწილაკის ატომური და ქვეატომური მდგომარეობის აღწერა უნდა მოიცვას (მიუხედავად იმისა, რომ ქიმია მართლაც შეიძლება დავიყვანოთ ფიზიკაზე). ეს რწმენა, ასევე, იმ პოპულარული შეხედულების კვალს ატარებს, რომლის თანახმად სოციალური არსებები, ისეთები, როგორიცაა ინსტიტუტები ან ასოციაციები, ადამიანთა მასების მსგავსი კონკრეტული ბუნებრივი არსებები უფროა, ვიდრე ინდივიდებს შორის გარკვეული შერჩეული აბსტრაქტული მიმართებების ინტერპრეტაციის მიზნით შექმნილი აბსტრაქტული მოდელები.

მაგრამ, რეალურად, მყარი საფუძველი არსებობს არა მხოლოდ იმ რწმენისათვის, რომ სოციალური მეცნიერება ნაკლებად რთულია, ვიდრე ფიზიკა, არამედ იმ რწმენისათვისაც, რომ კონკრეტული სოციალური სიტუაციები კონკრეტულ ფიზიკურ სიტუაციებზე ნაკლებად რთულია. საქმე ისაა, რომ სოციალური სიტუაციების უმრავლესობაში, თუ ყველაში არა, *რაციონალური* მომენტი არსებობს. რა თქმა უნდა, ადამიანები სავსებით რაციონალურად თითქმის არასოდეს მოქმედებენ (ე.ი. ისე, როგორც იმოქმედებდნენ, თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის მთელი მისაწვდომი ინფორმაციის ოპტიმალურად გამოყენება რომ შეეძლოთ), მაგრამ ისინი, მიუხედავად ამისა, მეტ-ნაკლებად რაციონალურად მოქმედებენ. ეს კი მათი მოქმედებების და ურთიერთმოქმედებების შედარებით მარტივი მოდელების კონსტრუირების და ამ მოდელების როგორც ამ მოქმედებებისა და ურ-

[7] დაახლოებით ასეთივე არგუმენტები შეიძლება ვნახოთ კრებულში C.Menger, *Collected Works*, ტ. II (1883 და 1933), გვ. 259-60.

თიერთმოქმედებებისათვის ადეკვატურის გამოყენების შესაძ-
ლებლობას გვაძლევს.

ეს ბოლო საკითხი, ჩემი აზრით, მართლაც მიანიშ-
ნებს საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების
მნიშვნელოვან განსხვავებაზე, *იქნებ ყველაზე მნიშვნელოვან
განსხვავებაზე მათ მეთოდებში*, რადგან სხვა მნიშვნელო-
ვანი განსხვავებები, მაგალითად, სპეციფიკური სიძნელეები
ექსპერიმენტების ჩატარების (იხილეთ 24-ე პარაგრაფის ბო-
ლო) და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების თვალსაზ-
რისით (იხილეთ ქვემოთ) უფრო ხარისხთანაა დაკავშირებუ-
ლი, ვიდრე გვარეობასთან. აქ სოციალურ მეცნიერებებში
იმის შემოტანის შესაძლებლობაზე მივანიშნებ, რასაც ლო-
გიკური ან რაციონალური კონსტრუირების მეთოდი, ან, იქ-
ნებ, „ნულოვანი მეთოდი“[8] შეიძლება ვუწოდოთ. ამაში ვგუ-
ლისხმობ ყველა დაინტერესებული ინდივიდის სრული რაცი-
ონალობის (და, იქნებ, ასევე, სრული ინფორმაციის ფლო-
ბის) დაშვების საფუძველზე მოდელის აგების და მოდელი-
რებული ქცევებიდან, რომლებიც გამოიყენება როგორც რა-
ღაც სახის ნულოვანი კოორდინატი, ადამიანთა აქტუალური
ქცევის გადახრის შეფასების მეთოდს[9]. ამ მეთოდის მაგალი-
თია აქტუალური ქცევისა (ვთქვათ, ტრადიციული ცრურწმე-
ნის გავლენით და სხვ.) და იმ მოდელირებული ქცევის შე-
დარება, რომელიც „არჩევანის წმინდა ლოგიკის“ საფუძველ-
ზეა მოსალოდნელი, როგორც ამას ეკონომიკური განტო-

[8] იხილეთ „ნულოვანი ჰიპოთეზები“, რომლებიც განხილულია შრო-
მაში J.Marschak, "Money Illusion and Demand Analysis", *The Review of
Economic Statistics*, ტ. XXV, გვ. 40. აქ აღწერილი მეთოდი ნაწილობ-
რივ თითქოს ემთხვევა იმას, რასაც პროფესორმა ჰაიეკმა, კ. მენ-
გერის კვალდაკვალ, „კომპოზიტიური“ მეთოდი ("compositive" me-
thod) უწოდა.

[9] აქაც კი შეიძლება ითქვას, რომ შესაძლოა, სოციალურ მეცნიე-
რებებში რაციონალური ან „ლოგიკური“ მოდელების ან „ნულოვა-
ნი მეთოდის“ გამოყენებას რაღაც, არც თუ ისე მკაფიო, პარალე-
ლი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც მოეძებნება, განსაკუთ-
რებით თერმოდინამიკასა და ბიოლოგიაში (მექანიკური მოდელე-
ბის და პროცესებისა და ორგანოების ფიზიოლოგიური მოდელე-
ბის აგება) (შდრ. აგრეთვე ვარიაციული მეთოდების გამოყენება).



ლებები აღწერენ. ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს,
მაგალითად, მარშაკის საინტერესო შრომას „Money Illusion“[10].
განსხვავებულ სფეროში ნულოვანი მეთოდის გამოყენების
მცდელობა მოცემულია მრეწველობაში „ფართომასშტაბიანი
ოპერაციის ლოგიკის“ და „აქტუალური ოპერაციის ალოგი-
კურობის“ შედარებაში პ. სარჯენტ ფლორენსის მიერ[11].

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ, ჩემი აზრით, არც
მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპი და არც რა-
ციონალური მოდელების აგების ნულოვანი მეთოდი ფსიქო-
ლოგიური მეთოდის მიღებას არ გულისხმობს. პირიქით, დარ-
წმუნებული ვარ, რომ ეს პრინციპები შეიძლება გაერთიან-
დეს იმ თვალსაზრისთან[12], რომლის თანახმად სოციალური
მეცნიერებები შედარებით დამოუკიდებელია ფსიქოლოგიური
დაშვებებისაგან და ფსიქოლოგია შეიძლება განვიხილოთ
არა როგორც ყველა სოციალური მეცნიერების საფუძველი,
არამედ როგორც ერთ-ერთი სოციალური მეცნიერება სხვა
მეცნიერებათა გვერდით

ამ პარაგრაფის ბოლოს უნდა აღვნიშნო, თუ რა მი-
მაჩნია მეორე მთავარ განსხვავებად ბუნებისა და საზოგა-
დოების ზოგიერთი თეორიული მეცნიერების მეთოდებს შო-
რის. მხედველობაში რაოდენობრივი მეთოდების და, განსა-
კუთრებით, გაზომვის მეთოდების გამოყენებასთან დაკავში-
რებული სპეციფიური სიძნელეები მაქვს[13]. ზოგიერთი ასეთი
სიძნელე შეიძლება გადაილახოს და გადაილახა კიდეც სტა-
ტისტიკური მეთოდების გამოყენებით, მაგალითად, მოთხოვ-
ნილების ანალიზში. ისინი *უნდა გადაილახოს*, თუ, მაგალი-
თად, მათემატიკური ეკონომიკის ზოგიერთმა განტოლებამ
თუნდაც მხოლოდ თვისობრივი გამოყენების საფუძველი უნ-
და შექმნას, რადგან ასეთი გაზომვების გარეშე ხშირად ვერ
გავიგებთ, გადააჭარბა თუ არა რამოდენიმე საპირისპირო

[10] იხილეთ J. Marschak, ციტ. თხზ.

[11] იხილეთ P. Sargant Florence, *The Logic of Industrial Organisations* (1933).

[12] ეს თვალსაზრისი უფრო სრულად ჩემი *Open Society*-ის მე-14 თავ-
შია ჩამოყალიბებული.

[13] ეს სიძნელეები განხილული აქვს პროფესორ ჰაიეკს. იხილეთ
ციტ. თხზ., გვ. 290 და შმდ.

გავლენამ მხოლოდ თვისობრივ ტერმინებში გამოთვლილ შედეგს. ამდენად, მხოლოდ თვისობრივი მოსაზრებები ზოგჯერ ძალიან მატყუარა შეიძლება გამოდგეს, იმდენად მატყუარა, რომ, თუ პროფესორ ფრიშს დავიმოწმებთ, „იმის თქმაც შეიძლება, რომ როცა ადამიანი ნავის წინ გაცურვას ცდილობს, ეს ნავი, ამ ადამიანის ფეხებით განხორციელებული ხეწოლის გამო, უკან გაცურდება“[14]. თუმცა უეჭველია, რომ აქ რამოდენიმე ფუნდამენტური სიძნელე არსებობს. ფიზიკაში, მაგალითად, ჩვენი განტოლების პარამეტრები შეიძლება, პრინციპში, ბუნებრივი მუდმივების მცირე რაოდენობაზე დავიყვანოთ. ასეთი რედუქცია არაერთ მნიშვნელოვან შემთხვევაში წარმატებით განხორციელდა. ეკონომიკაში ეს ასე არ არის: აქ ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევებში თვით პარამეტრებია სწრაფად ცვლადი ცვლადები[15]. ეს ცალსახად აცირებს ჩვენი გაზომვების მნიშვნელობას, მათი ინტერპრეტირების და შემოწმების შესაძლებლობას.

## 30. თეორიული და ისტორიული მეცნიერებები

მეცნიერული მეთოდის ერთიანობის თეზისი, რომლის გამოყენებას თეორიული მეცნიერებების მიმართ ეს-ესაა ვიცავდი, შეიძლება, გარკვეული შეზღუდვებით, ისტორიული მეცნიერებების სფეროზეც კი გავავრცელოთ. ამის გაკეთება თეორიულ და ისტორიულ მეცნიერებებს, მაგალითად, ერთი მხრივ, სოციოლოგიას, ეკონომიკურ თეორიას ან პოლიტიკურ თეორიას და, მეორე მხრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას შორის საუკუთესო ისტორიცისტების მიერ ხშირად და დაჟინებით აღნიშნულ ფუნდამენტურ განსხვავებაზე უარის თქმის გარეშეც შეიძლება. ეს არის განსხვავება უნივერსალური კანონებით დაინტერესებასა და კონკრეტული ფაქტებით დაინტერესებას შორის. მე იმ თვალსაზრისის დაცვა მსურს, რომელსაც ისტორიცისტები ებრძვიან როგორც ძველმოდურს და რომლის თანახმად *ისტორიისათვის აქტუალური, ერთეული ან სპეციფიკური მოვლენებით და არა კანონებით ან განზოგადებებით დაინტერესებაა დამახასიათებელი.*

ეს თვალსაზრისი მეცნიერული მეთოდის ანალიზთან, და განსაკუთრებით კი წინა პარაგრაფებში მოცემულ მიზეზობრივ ახსნასთან, სრულ თანხმობაშია. ვითარება, მარტივად, ასეთია: მაშინ როცა თეორიული მეცნიერებები ძირითადად უნივერსალური კანონების აღმოჩენითა და შემოწმებითაა დაინტერესებული, ისტორიული მეცნიერებები ყველა სახის უნივერსალურ კანონს დამტკიცებულად მიიჩნევენ და ძირითადად ერთეულოვანი დებულებების აღმოჩენითა და შემოწმებით არიან დაინტერესებული. მაგალითად, ერთეული „ექსპლიკანდუმის“ – ერთეული მოვლენის მოცემულობისას მათ შეიძლება მოიძიონ ერთეული საწყისი პირობები, რომლებიც (ყველა სახის უნივერსალურ კანონთან ერთად, რომლებიც შეიძლება ნაკლებად საინტერესო იყოს) ამ ექსპლიკანდუმს ახსნიან. ან შესაძლებელია *შეამოწმონ* მოცემული ერთეულოვანი ჰიპოთეზა, თუ მას სხვა ერთეულოვან დებულებებთან ერთად გამოიყენებენ როგორც საწყის პირობას და ამ საწყისი პირობებიდან (ისევ და ისევ ნაკლებად საინტერესო უნივერსალური კანონების დახმარებით) გამოიყვანენ რაიმე ახალ „პროგნოზს“, რომელიც შორეული წარსულის მოვლენის აღწერას შეძლებს და რომელსაც ემპირიული ხასიათის მოწმობა, ვთქვათ, დოკუმენტები ან წარწერები და სხვ. შეიძლება დაეუპირისპიროთ.

ასეთი ანალიზის კონტექსტში ერთეული მოვლენის *ყველა* მიზეზობრივი ახსნა ისტორიულად შეიძლება მივიჩნიოთ იმდენად, რამდენადაც „მიზეზი“ ყოველთვის ერთეული საწყისი პირობებითაა აღწერილი. ეს მთლიანად თანხვდება იმ პოპულარულ აზრს, რომ რაიმეს მიზეზობრივი ახსნა იმის ახსნას ნიშნავს, თუ როგორ და რატომ მოხდა ეს, ანუ მისი „ამბის“ მოყოლას ნიშნავს. მაგრამ მხოლოდ ისტორიაში გვაინტერესებს რეალურად *ერთეული* მოვლენის მიზეზობრივი ახსნა. თეორიულ მეცნიერებებში ასეთი მიზეზობრივი ახსნები მხოლოდ რაღაც განსხვავებული მიზნის – უნივერსალური კანონების შემოწმების საშუალებაა.

---

[14] იხილეთ *Econometrica*, I (1933), გვ. 1 და შმდ.

[15] იხილეთ Lionel Robbins, *Economica*, ტ. V, განსაკუთრებით გვ. 351.

თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ ძველმოდური ისტორიის მოძულე და თეორიულ მეცნიერებად მისი გარდაქმნის მოსურნე ზოგიერთი ევოლუციონისტისა და ისტორიცისტის ცხოველი დაინტერესება წარმოშობის საკითხით, ცოტა არ იყოს, უადგილოა. *წარმოშობის კითხვები „როგორ“ და „რა“ კითხვებია. თეორიულად ისინი შედარებით უმნიშვნელოა* და, ჩვეულებრივ, მხოლოდ სპეციფიკური ისტორიული ინტერესის საგანია.

ისტორიული ახსნის ჩემი ანალიზის[1] საწინააღმდეგოდ შეიძლება განაცხადონ, რომ ისტორია *ნამდვილად* იყენებს უნივერსალურ კანონებს, მიუხედავად არა ერთი ისტორიკოსის ხაზგასმითი დეკლარაციისა, რომ ისტორიას ასეთი კანონები არ აინტერესებს. ამის საპასუხოდ შემიძლია ვთქვა, რომ ერთეული მოვლენა სხვა ერთეული მოვლენის, მისი შედეგის მიზეზი მხოლოდ რაიმე უნივერსალურ კანონთან მიმართებაშია[2]. თუმცა ეს კანონები იმდენად ტრივიალურია და იმდენად საყოველთაოდ ცნობილი შეიძლება იყოს, რომ მათ თავისთავად ცხადად მივიჩნევთ და იშვიათად თუ ვამჩნევთ. თუ ვიტყვით, რომ ჯორდანო ბრუნოს სიკვდილის მიზეზი კოცონზე დაწვა იყო, აღარ გვჭირდება იმ უნივერსალური კანონის მოხსენიება, რომ ძლიერი სიცხის ზემოქმედებით ყველა ცოცხალი არსება კვდება, მაგრამ ასეთი კანონი ჩვენს მიზეზობრივ ახსნაში ფარულად დაშვებულია.

[1] ჩემი ანალიზი შეიძლება დაუპირისპირდეს ანალიზს, რომელსაც გვაძლევს Morton G. White, "Historical Explanation" (*Mind*, N.S., ტ. 52, გვ. 212 და შმდ.). ის თავისი ანალიზის საფუძვლად მიზეზობრივი ახსნის ჩემს თეორიას იყენებს, როგორც ის წარმოდგენილია C.G.Hempel-ის სტატიაში. თუმცა ის სავსებით განსხვავებულ შედეგს იღებს. ის უგულებელყოფს ერთეული მოვლენებით ისტორიკოსისათვის დამახასიათებელ დაინტერესებას და ვარაუდობს, რომ ახსნა „ისტორიულია“, თუ მისთვის *სოციოლოგიური ტერმინების* (და თეორიების) გამოყენებაა დამახასიათებელი.

[2] ეს მაქს ვებერმა აღნიშნა. მისი შენიშვნები თავისი ნაშრომის Ges. Schr. zur Wissenschaftslehre (1922) 179-ე გვერდზე აქ წარმოდგენილი ანალიზის, ჩემთვის ცნობილი, ყველაზე ზუსტი ინტერპრეტაციაა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ვებერი ცდება, როცა ვარაუდობს, რომ განსხვავება თეორიულ და ისტორიულ მეცნიერებებს შორის გამოყენებული კანონების ზოგადობის ხარისხზეა დამოკიდებული.



იმ თეორიებს შორის, რომლებსაც პოლიტიკის ისტორიკოსი წინასწარ უშვებს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიის, მაგალითად, ძალაუფლების სოციოლოგიის გარკვეული თეორიებიც არის. მაგრამ ამ თეორიებსაც კი ისტორიკოსი, როგორც წესი, მათი გაცნობიერების გარეშე იყენებს. ის, ძირითადად, ამ თეორიებს იყენებს არა როგორც უნივერსალურ კანონებს, არამედ როგორც მის ტერმინოლოგიაში იმპლიციტურად მოცემულს. მთავრობების, ერების, არმიების შესახებ საუბრისას, ის, ჩვეულებრივ არაცნობიერად, იმ „მოდელებს“ იყენებს, რომლებსაც მეცნიერული ან წინარემეცნიერული სოციოლოგიური ანალიზი გვთავაზობს (იხილეთ წინა პარაგრაფი).

შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალური კანონებისადმი მიმართების თვალსაზრისით, ისტორიული მეცნიერებები გამონაკლისს არ წარმოადგენს. ყოველთვის, როცა რაიმე ერთეული ან სპეციფიკური პრობლემისადმი მეცნიერების აქტუალურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე, ასეთსავე ვითარებას ვხვდებით. მაგალითად, პრაქტიკოსი ქიმიკოსი, რომელსაც რაიმე მოცემული შემადგენლობის, ვთქვათ, კლდის ნატეხის ანალიზი სურს, რაიმე უნივერსალურ კანონს არც კი განიხილავს. ამის ნაცვლად, ის, შეიძლება ხანგრძლივი ფიქრის გარეშე, გარკვეულ რუტინულ მეთოდებს იყენებს, რომლებიც, ლოგიკური თვალსაზრისით, ისეთ *ერთეულოვან* ჰიპოთეზებს ამოწმებენ, როგორიცაა „ამ შემადგენლობაში გოგირდი შედის“. ქიმიკოსის ინტერესი, ძირითადად, ისტორიულია: მას სპეციფიკური მოვლენების ერთი სიმრავლის, ან ერთი ინდივიდუალური ფიზიკური სხეულის აღწერა აინტერესებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ანალიზი ნათელს მოჰფენს ისტორიის მეთოდის მკვლევარებს შორის არსებულ რამოდენიმე ცნობილ უთანხმოებას[3]. ისტორიცისტების ერთი ჯგუფის მტკიცებით, ისტორიას, რომელიც მხოლოდ ფაქტებ-

[3] იხილეთ, მაგალითად, Weber, ციტ. თხზ., გვ. 8 და შმდ., გვ. 44 და შმდ., გვ. 48, გვ. 215 და შმდ., გვ. 233 და შმდ.

ბის ჩამოთვლით კი არ კმაყოფილდება, არამედ მათი მიზეზობრივი კავშირების წარმოდგენასაც ცდილობს, ისტორიული კანონების ჩამოყალიბება უნდა აინტერესებდეს იმდენად, რამდენადაც მიზეზობრიობა, ფუნდამენტურად, კანონით დეტერმინირებულობას ნიშნავს. სხვა ჯგუფის, რომელიც ასევე ისტორიცისტებს აერთიანებს, მტკიცებით, „უნიკალური“ მოვლენებიც კი, რომლებიც მხოლოდ ერთხელ ხდება და „ხოგადობასთან“ არავითარი კავშირი არ აქვთ, შესაძლებელია სხვა მოვლენების მიზეზი გახდნენ და ისტორია სწორედ ამ სახის მიზეზობრიობით ინტერესდება. ახლა შესაძლებელია დავინახოთ, რომ ეს ორივე ჯგუფი ნაწილობრივ მართალია და ნაწილობრივ ცდება. ნებისმიერი მიზეზობრივი ახსნისათვის უნივერსალური კანონიც და სპეციფიკური მოვლენებიც აუცილებელია, მაგრამ თეორიული მეცნიერებების სახლვრებს გარეთ უნივერსალური კანონები დიდ დაინტერესებას არ იწვევენ.

ამას ისტორიული მოვლენების *უნიკალურობის* საკითხთან მივყავართ. იმდენად, რამდენადაც ტიპური მოვლენების ისტორიული ახსნა გვაინტერესებს, ისინი აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც ტიპური, როგორც მოვლენათა სახეების ან კლასების კუთვნილება, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ მიზეზობრივი ახსნის დედუქციური მეთოდის გამოყენებას. მაგრამ ისტორია მხოლოდ სპეციფიკური მოვლენების ახსნით კი არ არის დაინტერესებული, არამედ თვითონ სპეციფიკური მოვლენის, როგორც ასეთის, აღწერითაც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, უეჭველია, არის საინტერესო ხდომილებების აღწერა მათ განსაკუთრებულობასა, ან უნიკალურობაში, სხვა სიტყვებით, იმ ასპექტების, მაგალითად, მიზეზობრივად დაუკავშირებელი მოვლენების „შემთხვევითი“ თანხვედრის ჩართვა ამ აღწერაში, რომელთა მიზეზობრივ ახსნას ისტორია არ ცდილობს. ისტორიის ამ ორი ამოცანიდან, მიზეზობრივი ძაფების გამოხსნა და იმ „შემთხვევითი“ გზის აღწერა, რომლითაც ეს ძაფები ურთიერთგადაიხლართება, ორივე აუცილებელია და ისინი ერთმანეთს ავსებენ: რაღაც შემთხვევაში რაიმე მოვლენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ტიპური,



ეი. ის მისი მიზეზობრივი ახსნის თვალსაზრისით განვიხილოთ, ხოლო სხვა შემთხვევაში კი როგორც უნიკალური.

ეს მოსაზრებები შეიძლება გამოვიყენოთ *ხიახლის* პრობლემის მიმართ, რომელიც მე-3 პარაგრაფში განვიხილეთ. „მოწესრიგების ხიახლის“ და „ნამდვილი ხიახლის“ იქ აღნიშნული განსხვავება მიზეზობრივი ახსნისა და უნიკუმის შეფასების თვალსაზრისების აქ დადგენილ განსხვავებას შეესაბამება. იმდენად, რამდენადაც ხიახლის რაციონალური ანალიზი და მისი პროგნოზირება შესაძლებელია, ის ვერ ხდეს ვერ იქნება „ნამდვილი“. ეს აკამტვერებს იმ ისტორიცისტულ დოქტრინას, რომლის თანახმად სოციალური მეცნიერება გამოიყენება ნამდვილად ახალი მოვლენების წარმოშობის პრობლემის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრეტენზია, საბოლოოდ, პროგნოზირებისა და მიზეზობრივი ახსნის არასრულყოფილ ანალიზს ეფუძნება.

## 31. სიტუაციური ლოგიკა ისტორიაში. ისტორიული ინტერპრეტაცია

მაგრამ სულ ეს არის? ნუთუ ისტორიის რეფორმირების ისტორიცისტულ მოთხოვნაში, იმ მოთხოვნაში, რომ სოციოლოგიამ თეორიული ისტორიის ან ისტორიული განვითარების თეორიის (იხილეთ პარაგრაფები მე-12 და მე-16) რელი უნდა შეასრულოს მეტი არაფერია? ნუთუ ამით ამოიწურება ისტორიცისტული იდეა „პერიოდების“, ეპოქის „სულისკვეთების“ თუ „სტილის“, გარდაუვალი ისტორიული ტენდენციების, ნიადვარიეთ მოვარდნილი, ინდივიდების ვინებათა დამატყვევებელი მოძრაობების, რომლებიც, ნაცვლად იმისა რომ ადამიანების მხრიდან მართვას დაემორჩილოს, ცალკერეულ ადამიანებსაც გაიყოლებს? ვერავინ, ვისაც წაუკითხავს ტოლსტოის მართლაც რომ ისტორიცისტული, თუმცა კი საკუთარი მოტივების გულწრფელად გამომხატველი მოსაზრებები *„ომსა და მშვიდობაში“* იმის თაობაზე, რომ დასავლეთ ევროპა აღმოსავლეთისაკენ ილტვის, ხოლო რუსული ადამიანი

კი, ამის საპირისპიროდ, დასავლეთისაკენ[1], ვერ უარყოფს, რომ ისტორიციზმი რეალურ მოთხოვნილებებს პასუხობს. ისტორიციზმისაგან განთავისუფლების სერიოზული იმედი რომ გაჩნდეს, ჯერ ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რაღაც უკეთესი უნდა მოვიძიოთ.

ტოლსტოის ისტორიციზმი რეაქციაა ისტორიის შექმნის იმ მეთოდზე, რომელშიც ლიდერობის პრინციპის ჭეშმარიტება იმპლიციტურადაა გახიარებული და რომელიც, თუ ტოლსტიო მართალია და ის, უეჭველად, მართალია, ბევრს, მეტისმეტად ბევრს მიაწერს დიად ადამიანს, ლიდერს. ტოლსტოი ცდილობს გვიჩვენოს და, ვფიქრობ, წარმატებულადაც, თუ რა მცირე იყო ნაპოლეონის, ალექსანდრეს, კუტუზოვის და 1812 წლის სხვა დიდი ლიდერების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გავლენა იმის ფონზე, რასაც მოვლენათა ლოგიკა შეიძლება ვუწოდოთ. ტოლსტოი სწორად აღნიშნავს იმ უთვალავი უცნობი ინდივიდის გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების უგულებელყოფილ, თუმც კი უდიდეს მნიშვნელობაზე, რომლებიც იბრძოდნენ, რომლებმაც გადაწვეს მოსკოვი და რომლებმაც პარტიზანული ბრძოლის მეთოდები გამოიგონეს. მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ მას ამ მოვლენებში რაღაც სახის ისტორიული დეტერმინაციის, ბედისწერის, ისტორიული კანონებისა თუ გეგმის დანახვა შეუძლია. ისტორიციზმის საკუთარ ვერსიაში ტოლსტოი მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური კოლექტივიზმის კომბინირებას ახდენს, ანუ ის თავისი ეპოქის და, ვშიშობ, ჩვენი ეპოქისათვისაც, უაღრესად ტიპური, დემოკრატიულ-ინდივიდუალისტური და კოლექტივისტურ-ნაციონალისტური ელემენტების კომბინაციას წარმოგვიდგენს.

ამ მაგალითმა შეიძლება გაგვახსენოს, რომ ისტორიციზმში რამოდენიმე *საღი* ელემენტიცაა. ეს არის რეაქცია პოლიტიკური ისტორიის როგორც მხოლოდ დიდი ტირანებისა და დიდი მხედართმთავრების ბიოგრაფიების ინტერპრეტაციის გულუბრყვილო მეთოდზე. ისტორიცისტები სწორად ხვდებიან, რომ ამ მეთოდზე უკეთესიც შეიძლება არსებობ-

[1] ეს პროფესორ ტოინბის მიერ არც თუ დიდი ხნის წინ დამუშავებული, მაგრამ გადაუწყვეტელი პრობლემების ანტიციპაციაა.



დეს. ეპოქის, ერის, არმიის „სულისკვეთების“ მათ იდეას ასე მომხიბლავს სწორედ ეს მიხვედრა ხდის.

მე ამ „სულისკვეთების“, ისევე როგორც მისი იდეალისტური პროტოტიპებისა, ანდა დიალექტიკური და მატერიალისტური განსახიერებების მიმართ არანაირი სიმპათია არ გამაჩნია და სავსებით თანავუგრძნობ ყველას, ვინც მას აბუჩად იგდებს. და მაინც, ვგრძნობ, რომ ისტორიცისტები, სხვა თუ არაფერი, იმ ხარვეზის, იმ ადგილის არსებობაზე მიგვანიშნებენ, რომელიც სოციოლოგიამ რაღაც უფრო გონივრულით, მაგალითად, ტრადიციის შიგნით წამოჭრილი პრობლემების ანალიზით, უნდა შეავსოს. აქ *სიტუაციური ლოგიკის* უფრო დეტალური ანალიზის ადგილია. საუკეთესო ისტორიცისტები, მეტ-ნაკლებად არაცნობიერად, ამ კონცეფციას ხშირად იყენებენ: მაგალითად, ასე იქცევა ტოლსტოი, როცა აღწერს, რომ „აუცილებლობამ“ და არა გადაწყვეტილებამ აიძულა რუსული არმია უბრძოლველად დაეტოვებინა მოსკოვი და იმ ადგილებისაკენ დაეხია, სადაც საკვების შოვნა იყო შესაძლებელი. ამ *სიტუაციური ლოგიკის* გარდა, ან, იქნებ, როგორც მისი ნაწილი, სოციალური მოძრაობების ანალიზის მაგვარი რაღაცაც საჭიროა. საჭიროა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის საფუძველზე გამოვიკვლიოთ ის ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდების დამატყვევებელი იდეები შეიძლება გავრცელდეს, ის გზა, რომლითაც ახალი ტრადიციების შექმნაა შესაძლებელი და ისიც, თუ როგორ ფუნქციონირებენ და როგორც ისპობა ტრადიციები. სხვა სიტყვებით, ისეთი კოლექტიური არსებების, როგორიცაა ერები, მთავრობები, ან ბაზრები ჩვენი ინდივიდუალისტური და ინსტიტუციონალისტური მოდელები უნდა შეივსოს როგორც პოლიტიკური სიტუაციების, ასევე ისეთი სოციალური მოძრაობების, როგორიცაა, მაგალითად, მეცნიერული და სამრეწველო პროგრესი (პროგრესის ასეთი ანალიზის მონახაზი მომდევნო პარაგრაფში იხილეთ), მოდელებით. ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსები შეძლებენ ეს მოდელები, ნაწილობრივ სხვა მოდელების მსგავსად და ნაწილობრივ მათ მიერ გამოყენებულ სხვა უნივერსალურ კანონებთან ერთად, ახსნის მიზნით გამოიყენონ. თუმცა ესეც კი არ იქნება საკმარისი, რადგან ვერ დააკმა-

ყოფილებს ყველა იმ რეალურ საჭიროებას, რომლის დაკმაყოფილებასაც ისტორიციზმი ცდილობს.

თუ ისტორიულ მეცნიერებებს თეორიულ მეცნიერებებთან ამ შედარების ფონზე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ უნივერსალური კანონებით დაუინტერესებლობა მათ რთულ მდგომარეობაში აყენებს. საქმე ისაა, რომ თეორიულ მეცნიერებებში კანონები, სხვა ფუნქციებთან ერთად, ინტერესის ცენტრების ან იმ თვალსაზრისების როლსაც ასრულებენ, რომლებსაც დაკვირვებები უკავშირდება და რომელთა საფუძველზეც ეს დაკვირვებები კეთდება. ისტორიაში უნივერსალური კანონები, რომლებიც, ძირითადად, ტრივიალურია და გაუცნობიერებლად გამოიყენება, ამ ფუნქციის შესრულებას, ალბათ, ვერ შეძლებენ. ეს ფუნქცია სხვა რადაცამ უნდა შეასრულოს. უეჭველია, რომ რადაც თვალსაზრისის გარეშე ისტორიის არსებობა შეუძლებელია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსგავსად, ისტორიაც *შერჩევითი* უნდა იყოს, თუკი არ უნდა, რომ უმნიშვნელო და დაუკავშირებელი მასალის ნიაღვარმა წალეკოს. შორეულ წარსულში მიზეზობრივი ჯაჭვების მოძიების მცდელობა ვერაფერს გვიშველის, რადგან ყოველ კონკრეტულ შედეგს, რომელიც საწყის პუნქტად შეიძლება ავირჩიოთ, დიდი რაოდენობის ნაწილობრივი მიზეზი აქვს, ანუ მისი საწყისი პირობები ძალიან რთულია და მათი უმრავლესობა ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა.

ამ სიძნელიდან ერთადერთი გამოსავალი, დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ საგსებით გააზრებულად შევიტანოთ ჩვენს ისტორიაში *რაიმე წინასწარ ჩამოყალიბებული შერჩევითი თვალსაზრისი*, ანუ დავწეროთ *ისეთი ისტორია, როგორიც ჩვენ გვაინტერესებს*. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინასწარ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის საზღვრებში ფაქტების მოთავსების მიზნით მათი დამახინჯება ან იმ ფაქტების უგულებელყოფა შეგვიძლია, რომლებიც ამ საზღვრებში არ ხვდება[2]. პირიქით, ჩვენს თვალსაზრისთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩვენთვის მისაწვდომი მოწმობა ყურადღებით და ობიექტურად („მეცნიერული ობიექტურობის“ მნიშვნელობით, რომელსაც მომდევნო პარაგრაფში გავაანალიზებ) უნდა განვიხილოთ, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა გაგვაღიზიანოს იმ ფაქტებმა და ასპექტებმა, რომლებსაც ჩვენს თვალსაზრისთან საერთო არაფერი აქვს და რომლებიც, შესაბამისად, არც გვაინტერესებს.

ისტორიის კვლევაში ასეთი შერჩევითი მიდგომები, რაღაც მიმართებით, მეცნიერებაში თეორიების ფუნქციების ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. ამდენად, გასაგებია, რომ ხშირად მათ მცდარად მიიჩნევენ თეორიებად. მართლაც, ამ მიდგომებისათვის დამახასიათებელი ის რამოდენიმე იდეა, რომელიც ერთეულოვანი ან უნივერსალური *შემოწმებადი ჰიპოთეზების* ფორმით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, საგსებით შესაძლებელია მეცნიერულ ჰიპოთეზებად განვიხილოთ. მაგრამ, როგორც წესი, ამ ისტორიული „მიდგომების“ ან „თვალსაზრისების“ *შემოწმება შეუძლებელია*. შეუძლებელია მათი დარღვევა და, შესაბამისად, მათ თვალსაჩინო დადასტურებას არავითარი ღირებულება არ აქვს მაშინაც კი, თუ ეს დადასტურებები ისევე მრავალრიცხოვანია, როგორც ვარსკვლავები ცაში. ასეთ შერჩევით თვალსაზრისს ან ისტორიული ინტერესის ფოკუსირებას, თუ მისი შემოწმებად ჰიპოთეზად ფორმულირება შეუძლებელია, *ისტორიულ ინტერპრეტაციას* ვუწოდებ.

ისტორიციზმი ასეთ ინტერპრეტაციებს მცდარად აიგივებს თეორიებთან. ეს მისი ერთ-ერთი კარდინალური შეცდომაა. შესაძლებელია, მაგალითად, „ისტორიის“ როგორც კლასთა ბრძოლის, რასობრივი უპირატესობისათვის ბრძოლის, რელიგიური იდეების ისტორიის, „ღია“ და „დახურული“ საზოგადოებების ბრძოლის ისტორიის ან მეცნიერული და სამრეწველო პროგრესის ისტორიის ინტერპრეტირება. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად საინტერესო თვალსაზრისია და როგორც *ასეთი* საგსებით მისაღებია. მაგრამ ისტორიცისტები მათ ასეთად არ წარმოგვიდგენენ. ისინი ვერ ხედავენ, რომ მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს, რომლებიც არსებითად ერთნაირად მრავალსახეცაა და თვითნებურიც (თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება *ნაყოფიერებით* გამოირჩეოდეს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს). ამის

[2] „მთელი ისტორიული ცოდნის რელატიურობის დოქტრინის“ კრიტიკა იხილეთ. Hayek, *Economica*, ტ. X, გვ. 55 და შმდ.

ნაცვლად, ისტორიცისტები ამ თვალსაზრისებს წარმოგვიდგენენ როგორც დოქტრინებს, ან თეორიებს და ამტკიცებენ რომ „მთელი ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა“ და სხვ. და თუკი ისტორიცისტები მართლაც აღმოაჩენენ, რომ მათი თვალსაზრისი ნაყოფიერია და რომ მის საფუძველზე მრავალი ფაქტის მოწესრიგება და ინტერპრეტაციაა შესაძლებელი, მაშინ ამას მცდარად მიიჩნევენ თავისი დოქტრინის დადასტურებად ან დამტკიცებადაც კი.

მეორე მხრივ, ტრადიციულ ისტორიკოსებს, რომლებიც სწორად უპირისპირდებიან ამ პროცედურას, განსხვავებული შეცდომის დაშვებისკენ აქვთ მიდრეკილება. მიზნად ობიექტურობის დასახვის გამო, ისინი თავს ვალდებულად მიიჩნევენ, უარი თქვან ნებისმიერ შერჩევით თვალსაზრისზე, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, ისინი ისე იღებენ რადაც თვალსაზრისს, რომ ეს გაცნობიერებულიც კი არ აქვთ. ამის გამო ობიექტურობაზე მიმართული მათი ძალისხმევა ფუჭია, რადგან შეუძლებელია კრიტიკული იყო საკუთარი თვალსაზრისის მიმართ და ხედავდე მის საზღვრებს, თუ ეს თვალსაზრისი გააზრებული არ გაქვს.

ამ დილემიდან გამოსავალი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ დავრწმუნდეთ რაიმე თვალსაზრისის მიღების აუცილებლობაში, მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ ეს თვალსაზრისი და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ის ერთ-ერთია მრავალთა შორის და თეორიასაც რომ გაუტოლდეს, შეიძლება შემოწმებადი მაინც არ იყოს.

## 32. პროგრესის ინსტიტუციონალური თეორია

ჩემი მოსაზრებები ნაკლებად აბსტრაქტული რომ გავხადო, ამ პარაგრაფში, ძალიან მოკლედ, *მეცნიერული და სამრეწველო პროგრესის თეორიის* გადმოცემას შევეცდები. ამით ბოლო ოთხ პარაგრაფში განვითარებული იდეების, განსაკუთრებით კი სიტუაციური ლოგიკის და ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებელი მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის იდეების ილუსტრირებას შევეცდები. მეცნიერული და სამრეწველო პროგრესის მაგალითი იმის გამო ავირჩიე, რომ, უეჭველია, სწორედ ეს ფენომენი გახდა მეცხრამეტე საუკუ-



ნის ისტორიცისტების შთაგონების წყარო და იმის გამოც, რომ ამ საკითხზე მილის ზოგიერთი მოსაზრება უკვე განვიხილე.

შეგახსენებთ, რომ კონტი და მილი პროგრესს უპირობო ან აბსოლუტურ ტენდენციად მიიჩნევდნენ, რომელიც *ადამიანური ბუნების კანონებზე შეიძლება დავიყვანოთ.* „თანამიმდევრობის კანონი,“ წერდა კონტი, „მაშინაც კი, თუ მასზე მაქსიმალურად საფუძვლიანად მიგვითითებს ისტორიული დაკვირვების კანონი, არ უნდა მივიღოთ მანამ, სანამ მას ადამიანური ბუნების პოზიტიურ თეორიაზე არ დავიყვანთ ...“[1]. ის დარწმუნებულია, რომ პროგრესის კანონი შეიძლება გამოვიყვანოთ ცალკეულ ადამიანებში არსებული ტენდენციიდან, რომელიც აიძულებს მათ სულ უფრო სრულყონ საკუთარი ბუნება. ყოველივე ამაში მილიც სავსებით ეთანხმება მას და ცდილობს პროგრესის საკუთარი კანონი დაიყვანოს იმაზე, რასაც „ადამიანური გონების პროგრესულობას“[2] უწოდებს და რომლის უმთავრესი „მამოძრავებელი ძალა ... უფრო მეტი მატერიალური კომფორტის სურვილია“. როგორც კონტის, ასევე მილის თანახმად, ამ ტენდენციის ან კვაზი-კანონის უპირობო ან აბსოლუტური ხასიათი მისგან ისტორიის პირველი ნაბიჯების ან ფაზების გამოყვანის შესაძლებლობას რაიმე საწყისი ისტორიული პირობების, დაკვირვებების ან მონაცემების მოთხოვნის გარეშე გვაძლევს[3]. პრინციპში, ასეთნაირად ისტორიის მთელი მსვლელობის დედუცირებაა შესაძლებელი. ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ, როგორც მილი აყალიბებს ამას, „ადამიანური უნარებით, ალბათ, შეუძლებელია გამოვთვალოთ ასეთი გრძელი მიმდევრობა ... , რომლის თითოეული მომდევნო პერიოდი უფრო მეტი რაოდენობის ნაწილისაგან შედგება და უფრო მრავალფეროვანია“[4].

---

[1] Comte, *Cours de philosophie positive*, IV, გვ. 335.

[2] Mill, *Logic*, წიგნი VI, თ. X, პარაგრაფი მე-3; მომდევნო ციტატა მე-6 პარაგრაფიდანაა, სადაც ეს თეორია უფრო დეტალურადაა განხილული.

[3] Comte, ციტ. თხზ., IV, გვ. 345.

[4] Mill, იქვე, პარაგრაფი მე-4.

მილის ამ „რედუქციის“ სისუსტე ცხადია. მისი წანამძღვრებისა და დედუქციების მიღების შემთხვევაშიც კი ვერ ვიტყვით, რომ სოციალური ან ისტორიული შედეგი მნიშვნელოვანი იქნება. პროგრესი შეიძლება უმნიშვნელოდ იქცეს, ვთქვათ, ბუნებრივი გარემოს მიერ მიყენებული ზარალის გამო. გარდა ამისა, წანამძღვრები „ადამიანური ბუნების“ მხოლოდ ერთ მხარეს ეფუძნება, სხვა მხარეები კი, ისეთები როგორიცაა გულმავიწყობა ან სიზარმაცე, არ განიხილება. ამდენად, ყველგან, სადაც მილის მიერ აღწერილი პროგრესის ზუსტად საპირისპირო მოვლენები გვეძლევა დაკვირვებაში, ეს დაკვირვებები ზუსტად ასეთივე წარმატებით შეგვიძლია „დავიყვანოთ“ „ადამიანურ ბუნებაზე“ (განიმპერიების რღვევისა და დაცემის ახსნა ადამიანის ხასიათის ისეთ თვისებებზე მითითებით, როგორიცაა სიზარმაცე და ღორმუცელობა ე.წ. ისტორიული თეორიების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხერხი არაა?). ფაქტიურად, სულ რამოდენიმე ისეთი შემთხვევა შეიძლება მოვიაზროთ, რომლებსაც „ადამიანური ბუნების“ გარკვეულ მიდრეკილებებზე მითითებით დამაჯერებლად ვერ ავხსნით. მაგრამ მეთოდი, რომელსაც ყველაფრის, რაც კი შეიძლება მოხდეს, ახსნა შეუძლია, ვერაფერს აგვიხსნის.

თუ ამ განსაცვიფრებლად გულუბრყვილო თეორიის უფრო სარწმუნო თეორიით შეცვლა გვინდა, ორი ნაბიჯი უნდა გადავდგათ. პირველი, პროგრესის *პირობების* მოძებნა უნდა ვცადოთ და ამ მიზნით 28-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებული პრინციპი უნდა გამოვიყენოთ: უნდა შევეცადოთ *ის პირობები წარმოვიდგინოთ, რომლებშიც პროგრესი შეჩერდება*. ეს მაშინვე გაგვიცნობიერებს, რომ *მხოლოდ ფსიქოლოგიური მიდრეკილება* პროგრესის ასახსნელად არ იქნება საკმარისი, რადგან იმ პირობების აღმოჩენაა აუცილებელი, რომლებზეც შეიძლება პროგრესი იყოს დამოკიდებული. და მეორე, შესაბამისად, ფსიქოლოგიური მიდრეკილებების თეორია რადაც უკეთესით უნდა შევცვალოთ. მე მის ჩანაცვლებას პროგრესის პირობების *ინსტიტუციონალური* (და ტექნოლოგიური) ანალიზით გთავაზობთ.

როგორაა შესაძლებელი მეცნიერული და სამრეწველო პროგრესის შეჩერება? კვლევითი ლაბორატორიების დახურვით ან გაკონტროლებით, სამეცნიერო პერიოდული გამოცემების და დისკუსიის სხვა საშუალებების დახურვით ან გაკონტროლებით, სამეცნიერო კონგრესების ან კონფერენციების აკრძალვით, უნივერსიტეტების და სხვა სასწავლებლების დახურვით, წიგნების, სტამბების, წერის და, საბოლოოდ, ლაპარაკის აკრძალვით. ეს ყველაფერი, რისი აკრძალვა (ან გაკონტროლება) მართლაც შეიძლება, სოციალური ინსტიტუტებია. ენა სოციალური ინსტიტუტია, რომლის გარეშეც მეცნიერული პროგრესი წარმოუდგენელია, რადგან მის გარეშე არც მეცნიერება იარსებებს და არც მზარდი და პროგრესული ტრადიცია. წერა სოციალური ინსტიტუტია და ასეთივეა სტამბები და საგამომცემლო დაწესებულებები და მეცნიერული მეთოდის ყველა სხვა ინსტიტუციონალური ინსტრუმენტი. მეცნიერულ მეთოდს თვითონ აქვს სოციალური ასპექტები. მეცნიერება და, უფრო მეტად, მეცნიერული პროგრესი იზოლირებული ძალისხმევის შედეგი კი არაა, არამედ *აზრის თავისუფალი კონკურენციისა*. საქმე ისაა, რომ მეცნიერების ჰიპოთეზებს გაცილებით უფრო ძლიერი კონკურენცია და გაცილებით უფრო მკაცრი შემოწმება ესაჭიროება. მოცილე ჰიპოთეზები კი, ასე ვთქვათ, პიროვნულ წარმომადგენლობას მოითხოვენ: მათ დამცველები, ჟიური და პუბლიკაც კი სჭირდება. ეს პიროვნული წარმომადგენლობა ინსტიტუციონალურად ორგანიზებული უნდა იყოს, თუკი გვინდა, რომ მისი ქმედითობა უზრუნველვყოთ. და ყველა ეს ინსტიტუტი კარგად ანაზღაურებადი და კანონით დაცული უნდა იყოს. საბოლოოდ, პროგრესი ძალიან დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ ფაქტორზე, აზრის თავისუფლების დამცველ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ანუ დემოკრატიაზე.

საინტერესოა, რომ ის, რასაც, ჩვეულებრივ, *„მეცნიერულ ობიექტურობას“* უწოდებენ, რადაც ფარგლებში, სოციალურ ინსტიტუტებზეა დამოკიდებული. ის გულუბრყვილო შეხედულება, რომ მეცნიერული ობიექტურობა ინდივიდუალური მეცნიერის მენტალურ, ან ფსიქოლოგიურ განწყობაზე, მის მომზადებაზე, ყურადღებაზე და მეცნიერულ მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული, როგორც თავის რეაქციას, იმ სკეპტიკურ შეხედულებას წარმოშობს, რომ მეცნიერებს ვერასოდეს იქნებიან ობიექტური. ამ თვალსაზრისით,

ობიექტურობის ნაკლებობას შეიძლება ყურადღება არ მიექცეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სადაც ემოციების გავლენა უმნიშვნელოა, მაგრამ სოციალურ მეცნიერებებში, სადაც სოციალური ცრურწმენები, კლასობრივი მიკერძოება და პირადი ინტერესი აქტუალურია, ობიექტურობის ნაკლებობა შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს. ეს დოქტრინა, რომელიც საფუძვლიანადაა ჩამოყალიბებული ე.წ. *„ცოდნის სოციოლოგიაში“* (იხილეთ პარაგრაფები მე-6 და 26-ე), სავსებით უგულებელყოფს მეცნიერული ცოდნის სოციალურ ან ინსტიტუციონალურ ხასიათს, რადგან ის იმ გულუბრყვილო შეხედულებას ეფუძნება, რომლის თანახმად ობიექტურობა ინდივიდუალური მეცნიერის ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული. ეს შეხედულება ყურადღების მიღმა ტოვებს იმ ფაქტს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების კვლევის საგნის ვერც სიმშრალე და ვერც მისი დაშორებულობა ვერ აგვაცილებს ინდივიდუალური მეცნიერის რწმენებში ჩართულ მიკერძოებულობასა და ეგოიზმს და რომ, თუ ჩვენ მისი მიუკერძოებლობის იმედი უნდა გვქონდეს, მაშინ მეცნიერება, თვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებაც კი, სავსებით შეუძლებელი იქნება. ის, რაც *„ცოდნის სოციოლოგიას“ მხედველობის მიღმა რჩება, სწორედ ცოდნის სოციოლოგიაა*, მეცნიერების სოციალური ან საზოგადოებრივი ხასიათია. მას ყურადღების მიღმა ის ფაქტი რჩება, რომ სწორედ მეცნიერების და მისი ინსტიტუტების საზოგადოებრივი ხასიათი აიძულებს ინდივიდუალურ მეცნიერს დაიცვას ობიექტურობა და ახალი იდეების კრიტიკული განხილვის ტრადიცია შეინარჩუნოს[5].

ამასთან დაკავშირებით, იქნებ, მე-6 პარაგრაფში (*ობიექტურობა და შეფასება*) წარმოდგენილ კიდევ ერთ დოქტრინას შევეხო. იქ ვამტკიცებდი, რომ იმდენად, რამდენადაც

[5] ე.წ. „ცოდნის სოციოლოგიის“ უფრო სრული კრიტიკა მოცემულია ჩემს *Open Society and Its Enemies*, თავი 23-ე. *მეცნიერული ობიექტურობა და რაციონალურ კრიტიკასა და ინტერსუბიექტურ შემოწმებადობაზე მისი დამოკიდებულება ასევე განხილულია იქვე, თავი 24-ე და ოდნავ განსხვავებული პოზიციიდან ჩემს Logic of Scientific Discovery-ში.*



სოციალური პრობლემების მეცნიერულმა კვლევამ თვითონვე უნდა მოახდინოს გავლენა სოციალურ ცხოვრებაზე, შეუძლებელია სოციოლოგმა, რომელსაც ეს გავლენა გაცნობიერებული აქვს, დაუინტერესებელი ობიექტურობის სათანადო მეცნიერული მიდგომა შეინარჩუნოს. მაგრამ ამ სიტუაციაში სოციალური მეცნიერებებისათვის სპეციფიკური არაფერია. ფიზიკოსი ან ფიზიკოს-ინჟინერიც ანალოგიურ მდგომარეობაშია. იმის გასაცნობიერებლად, რომ ახალი თვითმფრინავისა ან რაკეტის გამოგონებამ შეიძლება უდიდესი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, სოციოლოგობა საჭირო არ არის.

ახლახან ზოგიერთი ის ინსტიტუციონალური პირობა მოვხაზე, რომელთა განხორციელებაზეცაა დამოკიდებული მეცნიერული ან სამრეწველო პროგრესი. ახლა მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ამ პირობების უმრავლესობას აუცილებელს ვერ დავარქმევთ და რომ ყველა მათგანი ერთად მაინც არ არის საკმარისი.

ეს პირობები არ არის საკმარისი, რადგან ამ ინსტიტუტების გარეშე (ალბათ, ენის გამოკლებით) მეცნიერული პროგრესი, მკაცრად შეუძლებელი არ იქნება. „პროგრესი“, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც *განხორციელდა* ზეპირსიტყვაობიდან დამწერლობისაკენ და უფრო მეტადაც კი (თუმცა ეს ადრეული განვითარება, ალბათ, არ იყო *მეცნიერული* პროგრესი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით).

მეორე მხრივ, და ეს უფრო მნიშვნელოვანია, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ ქვეყნად საუკეთესო ინსტიტუციონალური ორგანიზების მიუხედავად, ერთხელაც, პროგრესი შეიძლება შეჩერდეს. შეიძლება, მაგალითად, მისტიციზმის ეპიდემია გავრცელდეს. ეს ნამდვილად შესაძლებელია, რადგან თუკი ზოგიერთი ინტელექტუალის რეაქცია მეცნიერულ პროგრესზე (ან ღია საზოგადოებაზე) მისტიციზმში თავშესაფრის ძებნაა, ასე რეაგირება ყველას *შეუძლია*. ამ შესაძლებლობის ნეიტრალიზება, ალბათ, მსოფლმხედველობის ერთგვარობისათვის ხელის შეშლისა და მრავალფეროვნების წახალისების მიზნით სოციალური ინსტიტუტების, მაგალითად, საგანმანათლებლო ინსტიტუტების ახალი სიმრავლის შექმნით შეიძლება. ასევე, გარკვეული შედეგი შეიძლება

პროგრესის იდეამ და მისმა ენერგიულად გავრცელებამ მოიტანოს. მაგრამ ეს ყველაფერი პროგრესის გარანტირებას ვერ შეძლებს, რადგან, ვთქვათ, ნირვანის სურვილის გამომწვევი რაიმე ბაქტერიის ან ვირუსის გავრცელების ლოგიკური შესაძლებლობის გამორიცხვა შეუძლებელია.

ამრიგად, ვხედავთ, რომ საუკეთესო ინსტიტუტებიც კი შეიძლება საიმედო არ აღმოჩნდეს. როგორც ადრე ვთქვი, „ინსტიტუტები ციხე-სიმაგრეებს გვაგონებს. ისინი კარგად დაპროექტებული და პერსონალით სათანადოდ დაკომპლექტებული უნდა იყოს“. მაგრამ ვერც იმაში დავრწმუნდებით ოდესმე, რომ მეცნიერულმა კვლევამ სწორედ ამ საქმისათვის მოწოდებული ადამიანები მიიზიდა და ვერც იმაში, რომ ისინი შემოქმედებითი წარმოსახვით არიან დაჯილდოებული და ახალი ჰიპოთეზების შექმნის ნიჭი აქვთ. დაბოლოს, ამ საქმეში ბევრი რამ მართლაც მხოლოდ იღბალზეა დამოკიდებული, რადგან ჭეშმარიტება *ცხადი არ არის* და მცდარია რწმენა, რომელსაც კონტი და მილი იზიარებდნენ, რომ თუკი „დაბრკოლებებს“ (მინიშნება ეკლესიაზე კეთდებოდა) მოვიცილებთ, ჭეშმარიტებას დაინახავს ყველა, ვისაც ეს ნამდვილად სურს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ანალიზის შედეგის განზოგადება შესაძლებელია. ადამიანური ან პიროვნული ფაქტორი ინსტიტუციონალური სოციალური თეორიების უმეტესობის, ან ყველა მათგანის *ერთადერთ* ირაციონალურ ელემენტად დარჩება. საპირისპირო დოქტრინა, რომელიც სოციალური თეორიების ფსიქოლოგიაზე რედუცირებას გვასწავლის ზუსტად ისე, როგორც ქიმიის ფიზიკაზე დაყვანას ვცდილობთ, დარწმუნებული ვარ, შეცდომას ეფუძნება. ის იმ მცდარი რწმენისგან წარმოიშვა, თითქოს ეს „მეთოდოლოგიური ფსიქოლოგიზმი“ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის, იმ სავსებით დაურღვეველი დოქტრინის აუცილებელი შედეგია, რომლის თანახმად ყველა სოციალური ფენომენი უნდა განვიხილოთ როგორც ინდივიდუალური ადამიანების მოქმედებების, ურთიერთმოქმედებების, მიზნების, იმედებისა და აზრების შედეგი და ასევე როგორც ინდივიდუალური ადამიანების მიერ შექმნილი და შენარჩუნებული ტრადიციების შედეგი. მაგრამ ინდივიდუალისტები ფსიქოლოგიზმის მიღების გარეშეც შეიძლება ვიყოთ. რაციონალური მოდელების „ნულოვანი მეთოდი“ ფსიქოლოგიური კი არა, არამედ უფრო ლოგიკური მეთოდია.



რეალურად, ფსიქოლოგია სოციალური მეცნიერებების საფუძველი არ შეიძლება იყოს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის თვითონაა ერთ-ერთი სოციალური მეცნიერება: „ადამიანური ბუნება“ საგრძნობლად იცვლება სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად და, შესაბამისად, მისი კვლევა ამ სოციალური ინსტიტუტების წინასწარ ცოდნას გულისხმობს. მეორეც, იმიტომ, რომ სოციალური ინსტიტუტები ადამიანთა მოქმედებების არაგანზრახული შედეგების, ან გამოძახილების კვლევას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. „არაგანზრახული“ კი ამ კონტექსტში „*გაუცნობიერებლად* განზრახულს“ კი არ ნიშნავს, არამედ იმ შედეგების დახასიათებაა, რომლებმაც სოციალური აგენტის *ყველა* ინტერესი, გაცნობიერებულიცა და გაუცნობიერებელიც, შეიძლება დაარღვიოს: მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ადამიანის მტკიცებით მთებისა და განმარტოების სიყვარული ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას, ის ფაქტი, რომ თუ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს მთები, მაშინ ისინი იქ მარტოობით ვერ დატკბებიან, ფსიქოლოგიური ფაქტი არ არის. მაგრამ ამ ტიპის პრობლემა სოციალური თეორიის საფუძველია.

ამრიგად, მივიღეთ შედეგი, რომელიც განსაკვირვებლად განსხვავდება კონტისა და მილის ჯერ ისევ მოდური მეთოდისაგან. ადამიანური ბუნების ერთი შეხედვით მყარ საფუძველზე სოციოლოგიური მოსაზრებების რედუცირების ნაცვლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანური ფაქტორი სოციალური ცხოვრების და ყველა სოციალური ინსტიტუტის ერთადერთი უკიდურესად არამყარი და ცვალებადი ელემენტია. ეს მართლაც ის ელემენტია, რომლის საბოლოო სრული გაკონტროლება სოციალური ინსტიტუტების მიერ *შეუძლებელია* (როგორც ეს პირველად სპინოზამ შენიშნა[6]), რადგან მისი სრულად გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა აუცილებლად ტირანიამდე ანუ ადამიანური ფაქტო-

[6] იხილეთ შენიშვნა მე-5, პარაგრაფი 24-ე, ზემოთ.

რის, რამოდენიმე ადამიანის ან სულაც ერთი ადამიანის კაპრიზების ყოვლადძლიერებამდე მიგვიყვანს.

მაგრამ ნუთუ შეუძლებელია ადამიანური ფაქტორის გაკონტროლება *მეცნიერებით*, რომელიც კაპრიზის საპირისპიროა? უეჭველია, რომ ბიოლოგიას და ფსიქოლოგიას შეუძლია ან მალე შეძლებს „ადამიანის გარდაქმნის პრობლემის" გადაჭრას. და მაინც, ისინი, ვინც ამის გაკეთებას ცდილობენ, იძულებულნი ხდებიან დაარღვიონ მეცნიერების ობიექტურობა და ამით თვით მეცნიერებაც, რადგან ეს ორივე ფენომენი აზრის თავისუფალ კონკურენციას ანუ თავისუფლებას ეფუძნება. თუ აზროვნების განვითარება უნდა გაგრძელდეს და ადამიანის რაციონალობა გადარჩეს, მაშინ ინდივიდების და მათი შეხედულებების, მიზნებისა და ჩანაფიქრების განსხვავებულობას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს (იმ ექსტრემალური შემთხვევების გარდა, როცა საფრთხე პოლიტიკურ თავისუფლებას ემუქრება). *საერთო მიზნებისაკენ* ემოციურად დამაკმაყოფილებელი მოწოდებაც კი, როგორი შესანიშნავიც არ უნდა იყოს ის, ყველა მოცილე მორალური შეხედულების და მათ საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთკრიტიკისა და კამათის უარყოფის მოწოდებაა. ეს რაციონალური აზროვნების უარყოფის მოწოდებაა.

ევოლუციონისტი, რომელიც ადამიანური ბუნების „მეცნიერულ" კონტროლს მოითხოვს, ვერ ხვდება, რომ ეს მოთხოვნა თვითმკვლელობის ტოლფასია. ევოლუციისა და პროგრესის მამოძრავებელი ძალა შესარჩევი მასალის მრავალფეროვნებაა. იმედენად, რამდენადაც საქმე ადამიანის ევოლუციას ეხება, ეს არის „თავისუფლება იმისა, რომ იყო გამორჩეული და არ დაემსგავსო შენს მეზობელს", „არ დეთანხმო უმრავლესობას და საკუთარი გზით იარო"[7]. ჰოლისტური კონტროლი, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ადამიანების აზროვნების და არა ადამიანის უფლებების გათანაბრებასთან, პროგრესის დასასრულის მომასწავებელია.

[7] იხილეთ Waddington (*The Scientific Attitude*, 1941, გვ. 111 და 112), რომელსაც არც ევოლუციონიზმი და არც მეცნიერული ეთიკა არ უშლის ხელს იმაში, რომ ამ თავისუფლების „მეცნიერული დირებულება" უარყოს. ამ ადგილს აკრიტიკებს Hayek, *The Road to Serfdom*, გვ. 143.



## 33. დასკვნა. ისტორიციზმის ემოციური ხიბლი

ისტორიციზმი ძალიან ძველი მოძრაობაა, მისი უძველესი ფორმები, ისეთები როგორიცაა ქალაქებისა და რასების სასიცოცხლო ციკლების დოქტრინები, რეალურად, წინ უსწრებენ იმ პრიმიტიულ ტელეოლოგიურ შეხედულებას, რომ ბედისწერის გარეგნულად ბრმა განგების უკან რაღაც მიზნებია დაფარული[1]. მიუხედავად იმისა, რომ ფარული მიზნების ეს წინასწარმეტყველება ძალიან შორსაა მეცნიერული აზროვნებისაგან, თანამედროვე ისტორიცისტული დოქტრინების უმრავლესობას მან აშკარა კვალი დაამჩნია. ისტორიციზმის თითოეული ვერსია გამოხატავს იმ განცდას, რომ დაუძლეველი ძალები მომავლისაკენ მიგვაქანებენ.

თუმცა, როგორც ჩანს, თანამედროვე ისტორიცისტებს წარმოდგენაც კი არ აქვთ მათი დოქტრინის სიძველის შესახებ. მათ სწამთ, და თანამედროვეობის გადმერთება სხვა რამის უფლებას არ მისცემს, რომ ისტორიციზმის მათი საკუთარი სახეობა ადამიანის გონების უახლესი და ყველაზე თამამი მონაპოვარია, რომელიც იმდენად გამაოგნებლად ახლებურია, რომ მისი წვდომა სულ რამოდენიმე, საკმარისად განვითარებულ ადამიანს შეუძლია. ისინი მართლაც დარწმუნებული არიან, რომ სწორედ მათ აღმოაჩინეს ცვლილების პრობლემა, სპეკულაციური მეტაფიზიკის ერთ-ერთი უძველესი პრობლემა. თავისი „დინამიკური" აზროვნების შედარება ყველა წინა თაობის „სტატიკურ" აზროვნებასთან მათ არწმუნებს, რომ მათი საკუთარი პროგრესი იმ ფაქტის გამოა შესაძლებელი, რომ „რევოლუციაში ვცხოვრობთ", რამაც ისე აამაღლა ჩვენი განვითარების სიჩქარე, რომ ახლა

[1] ტელეოლოგიური დოქტრინის (თანაც ისეთის, რომელიც რელიგიურ თვალსაზრისს და განსაკუთრებით, კრეაციის დოქტრინას ეხებარებს) ჩემთვის ცნობილი საუკეთესო იმანენტური კრიტიკა მოცემულია M.B.Foster, *The Political Philosophies of Plato and Hegel*, ბოლო თავი.

სოციალური ცვლილებების პირდაპირი განცდა ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაშია შესაძლებელი. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის მითოლოგიაა. მნიშვნელოვანი რევოლუციები ჩვენამდე განხორციელდა, ხოლო ჰერაკლიტეს ეპოქის შემდეგ, ცვლილებას კვლავ და კვლავ აღმოაჩენენ ხოლმე[2].

ასეთი უძველესი იდეის თამამ და რევოლუციურ იდეად წარმოდგენა, ვფიქრობ, არაცნობიერი კონსერვატიზმის უნებლიე გამომჟღავნებაა. ჩვენ კი, ვინც ცვლილებებით მათ ასეთ განსაკუთრებულ გატაცებას ვაკვირდებით, შეიძლება გაგვიჩნდეს ეჭვი, ეს ამბივალენტური მიდგომის მხოლოდ ერთი მხარე ხომ არ არის და ხომ არ არსებობდა რადაც, ასევე განსაკუთრებული, შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც უნდა დაძლეულიყო. თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელი ხდება იმ რელიგიური თავგამოდების ახსნა, რომლითაც ამ ანტიკურ და დახავსებულ ფილოსოფიას მეცნიერების უახლეს და ამდენად, უდიდეს აღმოჩენად აცხადებენ. ნუთუ შეუძლებელია, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ ისტორიცისტებს ეშინიათ ცვლილებების? და ნუთუ სწორედ ეს შიში სავსებით უკარგავს მათ კრიტიკაზე რაციონალურად რეაგირების უნარს და სხვებს კი მათი მოძღვრების მიმართ ასე გულისხმიერს ხდის? იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისტორიცისტები უცვლელი სამყაროს დაკარგვის კომპენსირებას იმ რწმენის დახმარებით ცდილობენ, რომ ცვლილების პროგნოზირება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ეს ცვლილება უცვლელი კანონით იმართება.

---

[2] იხილეთ ჩემი წიგნი *The Open Society and Its Enemies*, განსაკუთრებით, თავი მე-2 და შმდ. ასევე, თავი მე-10, სადაც მტკიცდება, რომ პრიმიტიული დახურული საზოგადოების უცვლელი სამყაროს ნაკლოვანება იყო ის, რაც, ნაწილობრივ, ცივილიზაციის სირთულეებსა და ტოტალიტარიზმისა და ისტორიციზმის ყალბი კომფორტის მიღების მზაობაზეა პასუხისმგებელი.



## პირთა და საგანთა საძიებელი


აბსტრაქტული, აბსტრაჰირება (abstract, abstraction) 91, 93, 96, 120, 159, 164
ადამსი ჰენრი (Adams Henry) 134
ალექსანდრე დიდი (Alexander the Great) 33, 37
ამქვეყნიური სამოთხე (heaven on earth) 90
ანალოგია (analogy) 32, 97, 99
ანთროპოლოგია (anthropology) 113
ანტინატურალიზმი (anti-naturalism) 12, 29, 40, 45, 74-5, 123 (იხილეთ, აგრეთვე, ესენციალიზმი; ჰოლიზმი; ორგანული თეორია)
არისტოტელე (Aristotle) 11, 37, 39, 40, 41, 44
ასპექტი (aspect) 90, 96, 176
ასტრონომია (astronomy) 46-9, 52, 54, 117-8, 124, 132
ატომიზმი, ატომები (atomism, atoms) 98, 120, 159-161
აქტივიზმი (activism) 17, 60-5, 72, 80, 85
ახსნა (explanation) 30, 43, 45, 50, 143-4, 156
ისტორიული ~ (historical ~) 167-172, 173-6, 179

ბეკონი ფრენსის (Bacon Francis) 118, 154
ბელარმინო კარდინალი (Bellarmino Cardinal) 155
ბერკლი, ეპისკოპოსი (Berkley, Bishop) 155
ბერნალი ჯ.დ. (Bernal J.D.) 124
ბიოლოგია (biology) 11, 18, 21, 23, 39, 40, 68, 124-6, 128-130, 148, 165 (იხილეთ, აგრეთვე, ჰოლიზმი, ორგანული თეორია)
ბისმარკი ო. ფონ (Bismarck O. von) 33
ბორი ნილს (Bohr Niels) 23, 107
ბრუნო ჯორდანო (Bruno Giordano) 169
ბუნების ერთგვაროვნობა (uniformity of nature) 15, 122

გადამწყვეტი ექსპერიმენტი (crucial experiment) 155
გალილეო გალილეი (Galileo Galilei) 11, 72
გალტონი ფ. (Galton F.) 125
განათლება (education) 95, 106, 112, 182

განვითარება, სოციალური ან ისტორიული (development, social or historical) 42, 52, 55-59, 61, 63, 96, 132, 150
განზოგადებები (generalizations) 15-17, 30, 51, 115, 119, 120, 128-131, 141-2, 154, 157, 161 (იხილეთ, აგრეთვე, ინდუქტივიზმი)
გარემო (environment) 113, 117-120
გეოგრაფია (geography) 112, 118
გეოლოგია (geology) 97
გეშტალტი (gestalt) 91-3, 98
გინსბერგი მ. (Ginsberg M) 71
გომპერცი ჰ. (Gomperz H.) 92

დაგეგმვა (planning) 55, 59, 60-1, 77
იმპროვიზებული ან დაუგეგმავი ~ (improvised or unplanned ~) 81-2
უტოპიური, ფართომასშტაბიანი, ჰოლისტური, კოლექტივისტური ~ (Utopian or large-scale or holistic or collectivistic ~) 84, 87, 89, 99, 105-7
გულმოწყალე დამგეგმავი ხელისუფალი (the benevolent planning authority) 107
დადასტურება (confirmation, corroboration) 45, 103, 130, 155-7, 177
დაკვირვებები (observations) 45, 48-9, 54, 101-2, 115, 142, 158, 175
დამატებითი (complementary) 107
დარვინი ჩარლზ, დარვინიზმი (Darwin Charlz. Darvinism) 71, 78, 124-5
დემოგრაფია (demography) 133, 135, 152
დეკარტი რენე (Descartes Rene) 78, 154
დემოკრატია (democracy) 108, 180
დიალექტიკა (dialectics) 95, 103, 174
დინამიკა, სოციალური (dynamics, social) 20-1, 49-51, 87-88, 131-2, 136-7, 186
დიუემი პიერ (Duhem Pierre) 154
დიქტატორი, გულმოწყალე დიქტატორის თეორია (dictator, theory of benevolent dictator) 107
დრეიფუსი ალფრედ (Dreyfus Alfred) 32



ევოლუცია, ევოლუციონიზმი (evolution, evolutionism) 62, 124-7, 131, 134, 136, 148-9, 185
ეთიკა (ethics) 65-6, 85-6, 105-6, 108, 185 (იხილეთ, აგრეთვე, ღირებულებები)
ეკონომიკა (economics) 11, 59, 60, 68-9, 70, 74, 98, 102, 136, 166-7
ისტორიცისტული მიდგომა ~სადმი (historicist approach to ~) 14, 16, 59-60, 152
ნიუტონისეული გადატრიალება თეორიულ ~ (Newtonian revolution in theoretical ~) 71
ელიმინაციონიზმი (eliminationism) 153-8
ემპირიზმი (empiricism) 154-5
ენა (language) 39, 78, 180, 182
ენგელსი ფრ. (Engels F) 85, 87
ესენციალიზმი (essentialism) 37-8, 40, 41-4, 159
მეთოდოლოგიური ~ (methodical ~ ) 39, 40, 43, 140, 159
ექსპერიმენტი (experiment) 115, 160, 163 (იხილეთ, აგრეთვე, დაკვირვება)
სოციალური ~ (social ~) 17-8, 53-5, 99-109, 113, 163-4
გადამწყვეტი ~ (crucial ~) 155
თანდათანობითი ~ის მაგალითები (peacemeal experiments, examples of) 100
ექსპერიმენტის პირობები (experimental conditions) 110-4, 164
ექტონი, ლორდი (Acton, Lord) 74

ვებერი მაქს (Weber Max) 169, 170
ვებლენი თორსტონ (Veblen Thorstein) 67
ვიკო ჯამბატისტა (Vico Giambattista) 128
ვუნდტი უ.მ. (Wundt W.M.) 11

თეორიები (theories)
დაკვირვებამდელი ~ (~ prior to ibservation) 115 (იხილეთ, აგრეთვე ჰიპოთეზები)
თვალსაზრისი (point of view) 175-7

იზოლირება, ფაქტორების (isolation, of factors) 17, 21, 111, 163 (იხილეთ, აგრეთვე, ჰოლიზმი; აბსტრაქცია; ასპექტი)
იმპერიების რღვევა და დაცემა (decline and fall of empires) 179
ინდივიდუალიზმი, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი (individualism, methodological individualism) 98, 160, 166, 173, 183
ინდუქციონიზმი (inductivism) 154-5, 157
ინჟინერია (engineering) 76, 86-7, 99, 102, 109
სოციალური ~ (social ~) 53-5, 58, 70, 76, 87 (იხილეთ, აგრეთვე, ტექნოლოგია)
თანდათანობითი ~ (peacemeal ~) 76, 80-4, 109
უტოპიური ~ (utopian ~) 80-4, 87-8, 99
ინსტიტუტები, სოციალური (institutions, social) 27, 41-2, 55, 77-8, 87, 159, 164, 174, 180-5
ადამიანური ფაქტორი ~ში (the human factor in ~) 78, 83-4, 183-4
ინსტიტუციონალური ანალიზი (institutional analysis) 179-184
ინსტრუმენტები (instruments) 39
ინსტიტუტები როგორც ~ (institutions as ~) 77-8
ინტერვენციონიზმი (interventionisn) 72-3
ინტუიცია (intuition) 162
ინტუიციური წვდომა (intuitive understanding) 30-4, 41, 93-4, 162
ისტორია (history) 18-20, 28, 30, 43-4, 49, 50, 56-7, 61, 96, 101, 111, 167-177
~ის დაყოფა პერიოდებად (division of ~ into periods) 19-20, 52
ისტორიზმი (historism) 26
ისტორიის ინტერპრეტაცია (interpretation of history) 61-3, 112, 175-7
ისტორიული პროგნოზი (historical prediction) იხილეთ პროგნოზი



ისტორიციზმი, ისტორიცისტები (historicism, historicists) 12-3, 19, 20, 22-3, 25, 28, 34, 40-5, 47, 49, 50-2, 55-8, 59, 66, 69, 76, 84-7, 95-7, 100, 111-4, 116-8, 120, 123-4, 131-3, 146, 150, 152, 170-3, 176-7, 186-7
ისტორიციზმის დარღვევა (refutation of historicism) 8-9
ისტორიცისტული ეთიკა (historicist ethics) იხილეთ, ეთიკა

კანონები (laws) 56, 73-6, 120-2, 126-8, 134-7, 143-6 (იხილეთ, აგრეთვე, ჰიპოთეზები, ახსნა)
მიზეზობრივი ~ (causal~) 35-6, 126-7, 137, 143-6
ისტორიული ~ (historical~) 13-4,36, 46, 51-2, 56, 62-3, 138-140
ევოლუციისა და თანამიმდევრობის ~ (~ of evolution and succession) 123-7, 134-140, 147-152, 178
ბუნებრივი ~ (natural ~) 14, 34-5, 45-6, 73-4, 117-120
სოციოლოგიის ~ (sociological ~) 15-16, 35-6, 51, 56-7, 62-3, 73-4, 116, 136-7
ისტორიული კვლევისათვის გამოსადეგი ~ (~ applied to historical study) 169-170
~ის ტექნოლოგიური ფორმა (technological form of ~) 73-6
კანტი ი. (Kant I.) 67-8
კარნაპი რუდოლფ (Carnap Rudolf) 145
კეთილმოსურნეობა, დიქტატურა და დაგეგმვა (benevolence, dictatorship and planning) 107-9
კეპლერი იოჰანი (Kepler Johannes) 118-9
კლასიფიკაციები (classifications) 130-1
კოლექტივიზმი (collectivism) 83-4, 173-4
კომპოზიტიური მეთოდი (compositive method) 165
კონკურენცია (competition) 98
აზრის ~ (~ of thought) 180, 185

კონტი ოგიუსტ (Comte August)85, 89, 124, 132, 136-8, 140-2, 148, 151, 153-4, 178, 183-4
კონტროლი (control) 55, 88, 92, 94-5, 106
აზრის ~ (~ of thought) 180, 185
კორუფცია, ლორდ ექტონის ~ის კანონი (corruption, Lord Acton's Law of ~) 74-6
კოჰენი მ.რ. (Cohen M.R.) 74
კრაფტი ვ. (Kraft V.) 153
კრიტიციზმი, კრიტიკული მეთოდი (criticism, critical method) 68-70, 89, 103-4, 157-8, 181, 185

ლიბერალიზმი (liberalism) 80
ლიპმანი უ. (Lippman W.) 80
ლუთერი მარტინ (Luther Martin) 107

მათემატიკა (mathematics) 34-5, 69, 138
მაკიაველი, ნიკოლო (Machiavelli, Niccolo) 107, 128
მანჰაიმი კ. (Mannheim K.) 80-1, 83, 89, 93-6, 117, 119-120
მარქსი კარლ, მარქსიზმი (Marx Karl, Marxism) 10, 17, 60, 63-4, 85, 87, 100, 120, 152
მარშაკი ჯ. (Marschak J.) 165-6
მეთოდი, მეთოდოლოგია (method, methodology) 37, 66, 68-9, 82-4, 102-7, 115-6, 121, 140, 142-6, 152-3, 161
~ პრაქტიკული სარგებლობა (practical usefulness of ~) 68
ისტორიული ~ (historical ~) 85, 95
ჰოლისტური ~ (holistic ~) 92-4, 100
პოლიტიკური ~ (political ~) 104
სოციოლოგიური ~ (sociological ~) 11-2, 27-30, 56-7, 103 (იხილეთ, აგრეთვე, ანტინატურალიზმი; ესენციალიზმი; განზოგადებები; ჰიპოთეზები; ინდუქტივიზმი; ნომინალიზმი; ობიექტურობა; პროგნოზირება; პრონატურალიზმი; რაციონალურობა; მეცნიერება; შემოწმება)
მენგერი კარლ (Menger Carl) 141, 153, 163, 165
მეტაფიზიკური, მეტაფიზიკა (metaphysical, metaphysics) 37-8, 40, 71, 124, 135, 150, 152



მეტაფორა (metaphor) 133, 140
მეტეოროლოგია (meteorology) 54-5, 87
მეცნიერება (science) 67, 94, 161
თეორიული ან განმაზოგადებელი ~ (theoretical or generalizing ~) 67-9, 158-9
გამოყენებითი ~ (applied ~) 52-4, 67-8, 156, 170-1
სოციალური ~ (social ~) იხილეთ სოციალური მეცნიერება
ისტორიული ~ (historical ~) 167-172, 175
~ის საზოგადოებრივი ხასიათი (public character of ~) 180-3
მეცნიერებათა იერარქია (hierarchy of sciences) 21, 183
მეცნიერული აღმოჩენის ლოგიკა (Logic of Scientific Discovery) 8, 73, 103, 122, 125, 130, 135, 145, 154, 161
მიზეზობრიობა, მიზეზობრივი ახსნა (causality, causal explanation) 30, 34-6, 137-8, 143-7, 169-170
~ ისტორიცისტული თვალსაზრისი (historicist view of ~) 19-20, 35-6, 50
~ ისტორიაში (~ in history) 167-172 (იხილეთ, აგრეთვე, ახსნა)
მილი ჯ.ს. (Mill J.S.) 11, 73, 84-6, 101, 118, 124, 136-9, 140-3, 147-8, 150-1, 153, 178-9, 183-4
მისტიციზმი (mysticism) 93, 182
მოდელები (models) 104, 159-160, 164-5, 170, 174
მოდერნიზმი (modernism) 66
მოთხოვნის ანალიზი (demand analysis) 69
მორალი (morals) იხილეთ, ეთიკა; მოდერნიზმი
მსგავსება (similarity) 110-1, 124
მსოფლმხედველობის ერთგვაროვნება (uniformity of outlook) 182
მუსიკა (music) 91

ნავიგაცია (navigation) 102
ნაპოლეონი (Napoleon) 173
ნიუტონი ისაკ (Newton Isaak) 11, 46, 71, 119, 134-5, 137, 146 (იხილეთ, აგრეთვე, ეკონომიკა)

ნოირატი ო. (Neurath O.) 121
ნომინალიზმი (nominalism) 37, 39-41
მეთოდოლოგიური ~ (methodological ~) 39, 40
ნულოვანი მეთოდი (zero method) 165-6, 183-4

ობიექტურობა (objectivity) 24-5, 177, 180-1, 184-5
ოიდიპოსის ეფექტი (Oedipus effect) 22, 24-6
ომი (war) 109, 159
ომი და მშვიდობა (War and Peace) 172
ოპტიმიზმი (optimism) 61, 63-5, 87

პალეონტოლოგია (paleontology) 124
პასტერი ლუი (Paster Louis) 11, 68, 72
პაული უ. (Pauli W.) 98
პერფექციონიზმი (perfectionism) 90
პესიმიზმი (pessimism) 87
პითაგორა (Pythagoras) 75, 133
პიროვნულობა (personality) 27, 44, 96
პლატონი (Plato) 10-1, 37-8, 41, 67, 74, 87, 90, 128-130
პოლანი მ. (Polanyi M.) 67
პოლიტიკა (politics) 40, 52, 69, 74-5, 86, 104, 106, 180
მეცნიერული ~ (scientific ~) 104
პრობლემები (problems) 142, 156, 158
~ის შერჩევა (selection of ~) 67-9, 70, 142
~ის საზოგადოებრივი ხასიათი (social character of ~) 70
ექსპერიმენტამდელი თეორიული ~ (~ theoretical, prior to experiments) 115
პროგნოზი (prediction) 22, 24-5, 45, 47, 52, 141-2, 144-5, 151
წინასწარმეტყველება ტექნოლოგიური ~ის წინააღმდეგ (prophetic vs. technological ~) 52-4, 56
ისტორიული ~ (historical ~) 13, 49, 50
მოკლევადიანი ~ (short-term ~) 48, 55
გრძელვადიანი ან ფართომასშტაბიანი ~ (long-term or large-scale ~) 46-8, 52, 55, 132



~ სოციალურ მეცნიერებებში (~ is social sciences) 24, 45, 47
~ ასტრონომიაში (~ in astronomy) 46-7
~ მეტეოროლოგიაში (~ in meteorology) 53
პროგრესი, პროგრესივიზმი (progress, progressivism) 65, 85, 126, 129, 138-140, 149, 177-9, 182
მეცნიერული ~ (scientific ~) 107, 122, 179-180, 182, 186
პრონატურალიზმი (pro-naturalism) 12, 15-6, 39, 62-5, 72, 123-4, 131-5
პროპაგანდა (propaganda) 106
პუანკარე ჰენრი (Poincare Henri) 154-5

რაოდენობრივი მეთოდი (quantitative method) 34-6, 166
რასელი ბერტრან (Russell Bertrand) 79
რაციონალური მოქმედება, რაციონალობა (rational action, rationality) 78, 164-5, 184
რედუქცია (reduction) 142, 147, 150, 159, 178-9, 183
რევოლუცია (revolution) 57, 74, 186
პლატონის რევოლუციების კანონი (Plato's law of revolutions) 74
რელიგია (religion) 124-5, 187
რეფორმები (reforms) 79-81
რეივენი, ჩარლზ (Raven, Charles E.) 124
რობინზონ კრუზო (Robison Crusoe) 17, 100
რობინსი ლაიონელ (Robbins Lionel) 167

საზოგადოების ორგანული თეორია (organic theory of society) 18, 29, 33, 86-7, 96, 98, 110-1 (იხილეთ, აგრეთვე, ჰოლიზმი)
„საზოგადოება როგორც მთელი“ ("society as a whole") 79-84, 88-9, 94, 96, 100, 105, 132-4, 139
*სახელმწიფო* (*Republic*) 74, 128
სემანტიკა (semantics) 144-5
ა. ტარსკის ~ (A.Tarski's ~) 145
სიახლე (novelty) 18-21, 29, 33, 59, 171-2 (იხილეთ, აგრეთვე, უნიკალურობა)

სირთულე (complexity) 21, 29, 91-4, 163-4
სიტუაცია (situation) 14, 20-1, 31-2, 75, 117
სიტუაციური ლოგიკა (situational logic) 170 და შმდ. (იხილეთ, აგრეთვე, რაციონალობა)
სოკრატე (Socrates) 80
სოციალიზმი (socialism) 100
სოციალური ინსტიტუტები (social institutions), იხილეთ ინსტიტუტები
სოციოლოგიური კანონები (sociological laws), იხილეთ კანონები
სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია (social sciences, sociology) 41, 44-5, 59, 68, 70, 73, 159, 166, 184
~ მოძველებულობა (backwardness of ~) 11-3, 68
~ის მეთოდი (method of ~), იხილეთ მეთოდი
~ის ამოცანა (task of ~) 40, 45, 48, 52, 55
ტექნოლოგიური ~ (technological ~) 56-7, 59
სოციალური სისტემები (social systems) 132, 134
სოციალური სტრუქტურა (social structure) 27-9, 33, 56, 57
სპენსერი ჰ. (Spencer H.) 85, 87
სპინოზა ბ. (Spinoza B. de) 106, 184
სტატიკა (statics) 49, 87, 131-2, 136, 148
სტატისტიკა (statistics) 47, 69, 135
სტატისტიკური მეთოდები ეკონომიკაში (statistical methods in economics) 69
სტივენი კ. (Stephen K.) 140
სციენტიზმი (scientism) 72, 75, 123-4, 132-3
*status quo* 74

ტარსკი ალფრედ (Tarski Alfred) 145
ტენდენციები (trends) 32-3, 43-4, 46, 51, 56, 100, 128, 131, 135-6, 139, 141-2, 147-152, 178-180
ტექნოლოგია, სოციალური (technology, social) 56, 70, 102-4
თანდათანობითი ~ (piecemeal ~) 70-8, 85-6
ტექნოლოგიური მიდგომა (technological approach) 72-3, 85-6



ტექნოლოგიური ფორმა კანონების (technological form of laws) 73-5, 79
ტინბერგენი ჯ. (Tinbergen J.) 104
ტირანია (tyranny) 106-8, 129, 173
ტოინბი ა. (Toinbee A.) 128, 129, 130, 131, 173
ტოლსტოი ლ.ნ. (Tolstoy L.N.) 172, 173, 174
ტონე რ.ჰ. (Tawney R.H.) 107, 108
ტრადიცია (tradition) 28-9, 183
ტროელში ე. (Troeltsch E.) 96

უაიტი მ.ჯ. (White M.G.) 169
უები სიდნი და ბეატრის (Webb Sidney and Beatrix) 102
უეჭველობა (certainty) 153
უნიკალურობა (uniqueness) 127-9, 171-2
უნივერსალიები, ~ის პრობლემა (universals, problem of ~) 36-8
უოდინგტონი ს.ჰ. (Waddington C.H.) 86, 124, 134, 140, 185
უტილიტარიზმი (utilitarianism) 85
უტოპია, უტოპიზმი (Utopia, Utopianism) 56-8, 62, 65, 87-8, 95-6, 99-100, 107-9 (იხილეთ, აგრეთვე, ინჟინერია, სოციალური; დაგეგმვა, უტოპიური)

ფალსიფიცირება (falsification) 153-9, 161
ფიზიკა (physics) 8, 11, 17-21, 25, 27-30, 34-6, 39-41, 45, 49, 50, 53, 73, 98, 110, 112-4, 120-3, 131, 133-4, 136-7, 147
ფილოსოფოსი-მეფე (philosopher-king) 57
ფიშერი ჰ.ა.ლ. (Fisher, H.A.L.) 127, 128, 129
ფლორენსი პ. სარჯენტი (Florence P. Sargent) 166
ფოსტერი მ.ბ. (Foster M.B.) 186
ფრენკელი ო. (Frankel O.) 158
ფრიდრიხი ს.ჯ. (Friedrich C.J.) 75
ფრიში რაგნარ (Frisch Ragnar) 167
ფსიქოლოგია (psychology) 11, 21, 23, 90-4, 98, 140, 142
~ როგორც სოციალური მეცნიერება (~ as a social science) 166, 184
ფსიქოლოგიზმი (psychologism) 177-183
ფუნქციონალიზმი (functionalism) 78

ქიმია (chemistry) 21, 164, 170

ღია საზოგადოება (Open Society, The) 10, 66, 76, 87, 145, 166, 187
ღირებულებები (values) 65-6, 149 (იხილეთ, აგრეთვე, ეთიკა)
ღირებულების თეორია (value theory) 69

შემოწმებადობა, შემოწმება (testability, tests) 45, 67, 84, 99, 103-6, 115, 127, 130, 146, 151, 153, 156, 158, 162, 176, 180
შმიტი ს. (Schmitt C.) 94
შპენგლერი ო. (Spengler O.) 128
შრომის დანაწილება (division of labour) 98

ცდა და შეცდომა (trial and error) 89, 103, 112-3, 115, 158
ცენტრალიზება (centralization) 105-6
ცვაიგი ფ. (Zweig F.) 89
ცვლილება (change) 41-44, 50, 56, 60, 62-3, 65, 87-9, 112-8, 120, 122-3, 133, 135, 152, 186-7
~ ახსნა (explanation of ~) 121-2
~ მეტაფიზიკა (metaphysics of ~) 186
ცივილიზაცია (civilization) 128, 130-1
ცოდნა, ცოდნის საზღვრები (knowledge, limits of) 8-9, 76-7, 91-3, 105-7
ცოდნის სოციოლოგია (sociology of knowledge) 26, 116, 181

ძალაუფლება (power) 75, 79, 106-8, 129, 170

წარმოსახვა (imagination) 152
წინასწარმეტყველება, ისტორიული (prophecy, historical) 22-3, 53-4, 61, 132, 140, 151
~ ტექნოლოგიური პროგნოზირების წინააღმდეგ (~ vs technological prediction), იხილეთ, პროგნოზი.

ჭეშმარიტება (truth) 183

კარლ რაიმუნდ პოპერი (1902-1994) დაიბადა ვენაში. ვენის უნივერსიტეტში ეუფლებოდა მათემატიკასა და თეორიულ ფიზიკას, ფილოსოფიას სწავლობდა დამოუკიდებლად. ლ.ვიტგენშტაინისა და ვენის წრის გავლენით დაინტერესდა მეცნიერული ცოდნის დაფუძნების პრობლემებით, მაგრამ თეორია, რომელიც მან შექმნა – ფალსიფიკაციონიზმი და რომელსაც მან მოგვიანებით კრიტიკული რაციონალიზმი უწოდა, წარმოადგენს ლოგიკური პოზიტივიზმის რადიკალურ კრიტიკას.

ეს კონცეფცია მან პირველად წარმოადგინა შრომაში „კვლევის ლოგიკა“ (1935), მისი გადამუშავებული და შევსებული ვარიანტია „მეცნიერული აღმოჩენის ლოგიკა“ (1959), მის იდეებს ავითარებს „ვარაუდები და დარღვევები“ (1963). ამ კონცეფციის ბირთვია ფალსიფიცირებადობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც თეორიის მეცნიერულობის, დებულებათ[illegible] [illegible]ნიერული სისტემებისგან მისი დემარკაციის ერთადერთი კრიტ[illegible] [illegible]ვის შესაძლებლობა, ე.ი. ისეთ დაკვირვებად ვითარებათა [illegible]ობის შესაძლებლობა, რომელშიც ამ თეორიის ერთი შედეგი მაინც ირღვევა.

1937 წელს ფაშიზმის გაძლიერების გამო პოპერი ტოვებს ავსტრიას და გადადის კრაისტჩერჩის უნივერსიტეტში (ახალი ზელანდია). ის ინტენსიურად მუშაობს პოლიტიკის თეორიისა და ფილოსოფიის პრობლემებზე. მისი ძირითადი თემა ხდება ტოტალიტარული აზროვნების პრინციპების გამოვლენა და კრიტიკა. მსოფლიო აღიარება მოუ[illegible]ოპერს შრომებმა „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1945) [illegible]ციზმის სიღატაკე“ (1944/45). ამ შრომებში მოცემულია მარქსიზმის გამანადგურებელი კრიტიკა; კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ისტორიის მარქსისტული გაგება ეწინააღმდეგება საზოგადოების ჭეშმარიტ, ადამიანებისათვის მართლაც სასარგებლო რეფორმირებას. კ.პოპერი ამ კრიტიკას თვლიდა თავის წვლილად კომუნიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ საერთო ომში. თავისი იდეებითა და განხილვის მეთოდებით კ.პოპერი ყოველთვის ნერგავდა რაციონალური კრიტიკის ეთოსს.

1946 წელს კ.პოპერი ბრუნდება ევროპაში და იწყებს მუშაობას ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, 1949-1969 წლებში ამ სკოლაში ლოგიკისა და მეცნიერული მეთოდის კათედრის პროფესორია. 1965 წელს მას მიანიჭეს რაინდის საპატიო ტიტული.